# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 28 ოქტომბერი 2011 №22(152)

1516
2011



# „არტანუჯი“ გთავაზობთ

























მისამართი: ილია ჭავჭავაძის 17ბ ტელეფონი: 25 05 22, 91 22 83, 899 55 66 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ჩემი პატარა ქალაქი | 2 | ტომას ვულფი მხოლოდ მკვდარმა თუ იცის ბრუკლინი |
| ელვარე და ლომფერი | 4 | ამბროსი გრიშიკაშვილი შოპენის გული |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 7 | რეზო ჭეიშვილი „ვიყოთ ერხანს“ |
| პროზა | 9 | ზურაბ ლავრელაშვილი განკვართული |
| პოეზია | 22 | რაულ ჩილაჩავა მიპატიჟება ბიზანტიაში და სხვა ლექსები |
| | 26 | მიხეილ ზანდუკელი თოვლიან ღამით და სხვა ლექსები |
| | 28 | ბელა ჩეკურიშვილი ანტიგენი და სხვა ლექსები |
| ახალი რომანი | 30 | როსტომ ჩხეიძე პილატეს დეტექტიური საგა<br>(ერიკ-ემანუელ შმიტის „პილატეს სახარება“) |
| დიალოგი | 35 | ოქონის ხატი — გორისა და საქართველოს მფარველი<br>(მარინე გიგაშვილს ესაუბრება იოსებ ალიმბარაშვილი) |
| თეატრალური სიახლენი | 37 | იოსებ ჭუმბურიძე „რაცა სურს, დასძლევს“<br>(„რომეო და ჯულიეტა“ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში) |
| თქმა მართლისა | 38 | შოთა ქურდაძე პირზე მომდგარსა სიტყვასა |
| გალაკტიონოლოგია | 41 | ვახტანგ ჯავახაძე ეფემერული სიმფონია<br>(ციკლიდან — „ისევ გალაკტიონი“) |
| დაუვიწყარი სახელები | 44 | გურამ გოგიაშვილი ლამაზი პოეტი<br>(თამაზ ჩხენკელის გახსენება) |
| გამოხმაურება | 46 | დავით ნერედიანი „ერთსა კაცსა ბლისკინელსა“... |
| სად წაიყვან სადაურსა | 47 | ეკა ბუჯიაშვილი „როგორ ალმომაჩინე, შვიდი ფენა მფარავდა...“<br>(ია ჯინჭარაძე) |
| მარადი ხელოვნება | 51 | ნატა ვარადა ესმას და რენოს ფერთა ბრწყინვალე ღლესასწაული |
| კრიტიკა | 54 | სოფო წულაია ერთი ყველაზე პაციფისტური ტექსტი<br>(გურამ მეგრელიშვილის „ირატტა.რუ“) |
| პოეზიის მერიდიანები | 56 | უილიამ ბლეიკი უმანკოების ნიშნები |
| უსხოური ნოველა | 58 | როალდ დალი კაცი სამხრეთიდან |
| მოზაიკა | 63 | შეთხზული ალსარება |


27899


ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: „დადგა წვრილი წვიმების და მოწყენის სეზონი“
გია არაბულის კომპიუტერული გრაფიკა

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 12 ნოემბერს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომას ვულფი

# მხოლოდ მკვდარმა თუ იცის ბრუკლინი



კაციშვილმა არ იცის ბრუკლინის ასავალ-დასავალი, იმიტომ, რომ ამ დედააფეთქებული ქალაქის გზები რომ გაიკვლიო, ერთი სიცოცხლე უნდა მოითავო.

ხოდა, იმას ვამბობდი, ჩემი მატარებლის მოსვლას ველოდი, როცა დავინახე იქვე აყუდებული ერთი ახმახი ბიჭი; ნაგიჟარს გავდა და ისიც დავალივერე, რომ ცოტა ზედმეტი ჰქონდა გადაყლურწული, მაგრამ თავი მაინც მაგრად ეჭირა, — არც ენა ებმლებოდა და არც რვიანებს წერდა. ხოდა, ეს ახმახი მიდის იქვე მდგომ წრიპა ბიჭთან და ეკითხება, — როგორ მოვხვდე მეთვრამეტე ავენიუს სამოცდამეშვიდე ქუჩაზეო.

– ღმერთო, სწორად გამიგე, უფროსო, – ეუბნება წრიპა, – დიდი ხანია აქ არ ვყოფილვარ. ეგ ადგილი სად არის? – ეკითხება, – სადღაც ფლეშბუშის რაიონში ხომ არა?

– არაა, – ამბობს ახმახი, – ბენსონჰოისტის უბანშია, მაგრამ ადრე იქ არასოდეს ვყოფილვარ. იქამდე როგორ მივა კაცი?

– ღმერთო! – ამბობს წრიპა და თავს იქექავს.

იცი, მაშინვე მიხვდებოდი, რომ ის წრიპა ბიჭი ქუჩების ბაიბურში არ იყო.

– ხომ გესმის, უფროსო, ეგეთი სახელისთვის ყურიც არ მომიკრავს, რომელიმემ ხომ არ იცის, სად არის? – მომიბრუნდა მე.

– როგორ არ ვიცი! – ვამბობ, – ბენსონჰოისტის გარეუბანში მეოთხე ავენიუს ექსპრესში უნდა ჩაჯდე, გადახვიდე ორმოცდამეცხრე ქუჩაზე, გადაჯდე სიი ბიჩზე და ჩამოხვიდე მეთვრამეტე ავენიუსთან სიქსტი-ტოიდზე. მერე ოთხი კვარტალი უნდა გაიარო. სულ ეს არის.

– აბა შენ ყოფილხარ, – მოიქოქა ერთი ჭკუის კოლოფა, რომელიც ადრე არ შემიმჩნევია, – რალაცას აჩმახებ, აი! – ამბობს.

ოჰ, მართლაც რომ ჭკუის კოლოფა იყო.

– ეს ბიჭი ცოტა აფრენს! მე გეტყვი, რაც უნდა ქნა, – ეუბნება ახმახ ბიჭს, – უნდა გადაჯდე უესტ ენდის ხაზზე ტოიტი სიქსთან, – ეუბნება, – ჩამოდი ნიუ უტრეხტთან, სიქსტი ავენიუსთან, – ეუბნება, – ორი ქუჩა გადაკვეთე, მერე ოთხი ქუჩის იქით აუხვიე, – ეუბნება, – და ზუსტად იქა ხარ.

ოჰ, მართლაც რომ ჭკუის კოლოფა იყო ის ბიჭი.

– ოჰ, ჰოო? – ვამბობ, – ამდენი საიდან იცი? – ცოტა არ იყოს გულზე მომხვდა, ყველაფერში რომ ასე ერკვეოდა, – რამდენი ხანია, რაც აქ ცხოვრობ? – ვეკითხები.

– დაბადებიდან, – მეუბნება, – უილიამსბოიგში დავიბადე, – ამბობს, – და ამ ქალაქზე ისეთი რამეების თქმა შემიძლია, შენ რომ არც დაგესიზმრება.

– ჰოო? – ვეუბნები.

– ჰოო! – მეუბნება.

– კეთილი. მაშ შენ ამ ქალაქზე ისეთი რამეების თქმა შეგიძლია, სხვას რომ არც დაესიზმრება. იქნებ ყველაფერი დაძინებამდე მოგელანდა, – ვეუბნები. – ყველაფერი იცი, ყველაფერი გეხერხება, არა – ქალალდის თოჯინების და ასეთი რამე-რუმეების გამოჭრაც ხომ არ იცი?

– ოჰ, ჰოო, – მეუბნება, – თავი ძალიან ჭკვიანი გგონია?

– ოჰ, არ ვიცი, – ვეუბნები, – თავი ლინკოლნად არ მომაქვს, რომ მეც ქანდაკება დამიდგან, – ვამბობ, – მაგრამ ჭკუა იქამდე კი გამწვდება, რომ კაცს შევატყო, ჩათლახია თუ არა.

– ჰოო, – მეუბნება, – თავი დიდი ვინმე გგონია, ჰა? ხოდა, ერთი ვინმე აპირებს მაგ ჭკვიან სიფათში კარგად ჩაგაფაროს. აი, ესეც შენი ჭკუა.

ჯინაზე ჩემი მატარებელი გამოჩნდა, თორემ სიფათს გავულამაზებდი, მაგრამ როცა მომავალი მატარებელი დავინახე, იმის თქმალა მოვახერხე, – შე ახვარო, ვაჰ რომ ვერ დავრჩები, თორემ ვიცი, რასაც გიზამდი, მაგრამ ერთხელაც გნახავ სასაფლაოზე ფეხებგაფშეკილს-მეთქი.

მერე იმ ახმახს მივუბრუნდი, მთელი ეს დრო იქ რომ იყო დაყუდებული, შენ მე წამომყევი-მეთქი. როცა მატარებელში ჩავსხედით, ვუთხარი, ბენსონჰოისტში სად მიდიხარ, რა ნომერს ეძებ-მეთქი. იცი რა, მეგონა თუ მისამართს მეტყოდა, როგორლაც დავეხმარებოდი.

– ოჰ, — ამბობს, – არავისაც არ ვეძებ. არც არავის ვიცნობ.

– მაშ რატომ მიდიხარ? – ვეკითხები.

– ოჰ, – ამბობს, – უბრალოდ იმ ადგილის დათვალიერება მინდა. რალაც დამევასა ეს სახელი, ბენსონჰოისტი, კარგად ჟღერს. ვიფიქრე, ერთი წავალ და ბარემ დავთირავ-მეთქი.

– რას მეჩალიჩები, მალადავებ თუ რა, მეკაიფები?

იცი, ვიფიქრე, ეს ბიჭი რალაცას მასიაბანდებს-მეთქი.

– არა, – ამბობს, – ნალდში გეუბნები. ასეთი საკაიფო სახელების მქონე ადგილებში გატასავება და დათვალიერება მევასება. საერთოდ ყველანაირი ადგილების დათვალიერება მევასება, — ამბობს.

– საიდან იცი ეგეთი ადგილები, – ვეუბნები, – თუ არასოდეს ყოფილხარ?!

– ოჰ, – ამბობს. – რუკა მაქვს.

– რუკა? – ვეკითხები.

– ნალდში მაქვს, – ამბობს, – რუკა მაქვს, ზედ ყველა ადგილია მითითებული. სადაც მივდივარ, თან მიმაქვს.

და ღმერთო, ამის თქმისთანავე ჯიბიდან რუკას აძრობს. გინდ დამიჯერე, გინდ არა და რუკა ნალდში ჰქონდა, — არ სტყუოდა, — დიდი რუკა, რომელზეც ყველა ეს

დედააფეთქებული ადგილები იყო მთელი თავისი შემადგენელი ნაწილებით, ხომ იცი, — კანარსი, ისტ ნიუ იორკი, ფლეტბუში, ბენსონჰოისტი, საუთ ბრუკლინი, ჰაიტსი, ბეი რიჯი, გრინპერტი, — ერთი სიტყვით, მთელი ეს ოხრობა წვრილ-წვრილად იყო ჩამოთვლილი და იმ რუკაზე მის თვალწინ ელაგა.

– რომელიმე ამ ადგილას თუ ყოფილხარ? – ვეკითხები.

– აბა, ბიჭო! – ამბობს. – მათი უმეტესობა დაჩითული მაქვს. ჯერ კიდევ გასულ ღამეს რედ ჰუკში ვიყავი, — ამბობს.

– ღმერთო! რედ ჰუკი, — ვამბობ. – იქ რა გესაქმებოდა?

– ოჰ, ბევრი არაფერი. უბრალოდ აქეთ-იქით დავტასაობდი. ერთ-ორ ადგილას კარგადაც გადავყლურწე, – ამბობს, – მაგრამ უფრო აქეთ-იქით დავტასაობდი.

– მაინც სად დატასაობდი? – ვეკითხები.

– ოჰ, – ამბობს. – აზრზე არა ვარ, იმ ადგილს რა ჰქვია, მაგრამ მინდორზე მივდიმოვდიოდი, – ამბობს. – სადაც გემებია.

– წყალი არ გაუვა, – ვამბობ. – ვიცი, სადაც იყავი. ეერთ ბეისონში იყავი.

– ჰო, – ამბობს. – მგონი ეგ იყო, დიდი ელევატორები და ამწეები ჰქონდათ და გემებს ტვირთავდნენ. მშრალ დოკზე ერთიანად გაჩახჩახებული გემები ვნახე, ასე რომ, ნაღდში იქ ვიყავი, სადაც გემები დგანან. – ამბობს.

– მერე რა გააკეთე? – ვეკითხები.

– ჰო, – ამბობს. – ბევრი არც არაფერი, იქიდან მალე დავახვიე და ერთ-ორ ალაგას ყელი დავისველე.

– როცა იქ იყავი, რამე ხომ არ მომხდარა? – ვეკითხები.

– არა, – ამბობს. – ბევრი არაფერი. ერთ-ორ მასტი გატყვრა და შუხური ატეხა, მაგრამ იქიდან დაახვევინეს, – ამბობს.

– მერე ერთი დაბრუნდა, მაგრამ ბარმენმა ბეისბოლის ჯოხი დააძრო დახლის ქვემოდან. ხოდა, ის მასტიც მაშინვე აიფახა... ფაიზალი მანდ ვიყავი.

– მაგ ადგილს მოერიდე, – ვეუბნები, – მაგ ადგილიდან თავი შორს დაიჭირე.

– ვითომ რა? – მეკითხება. – მაგ ადგილს რა სჭირს რო?

– ოჰ! – ვეუბნები. – უბრალოდ მაგ ადგილიდან თავი შორს უნდა დაიჭირო. ეგ ისეთი ადგილია, რომ უნდა მოერიდო.

– მაინც რატომ? – მეკითხება. – ეგეთი რა ადგილია?



მხატვარი ნუგზარ მეძმარიაშვილი

ღმერთო! რა უნდა უყოს კაცმა ასეთ ყეყეჩს? მაშინ ვიადე, რომ მასთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. უბრალოდ ვუთხარი, – „ოჰ, არაფერი, შეიძლებოდა დაკარგულიყავი. მეტი არაფერი".

– დავკარგულიყავი? – ამბობს. – არაა, რას დავიკარგებოდი. რუკა აქ არა მაქვს?! – ამბობს.

რუკა! რედ ჰუკი! ღმერთო!

მერე ეს ტიპი ათასნაირ ყეყეჩურ კითხვებს მისვამს: ბრუკლინი რამხელააო, გზებს თუ ვაგნებდი და კაცს რამდენი დრო სჭირდება, რომ ამ ადგილს მულამი აუღოსო.

– მისმინე! – ვეუბნები. – ეგ აზრები ახლავე ამოიგდე თავიდან, ვეუბნები, – ასი წელიც რომ გავიდეს, ბრუკლინი შენთვის გამოცანად დარჩება-მეთქი. – მთელი ცხოვრება აქ გავატარე, – ვეუბნები, – და ჯერ არც მე ვიცი ყველაფერი. ასე რომ, როგორ გინდა ეს ქალაქი გაიცნო, – ვეუბნები. – როცა აქ არ ცხოვრობ?

– ჰო, – ამბობს, – მაგრამ რუკა ხომ მაქვს და გზასაც გავიკვლევ.

– რუკა გინდ გქონია, გინდ არა, – ვეუბნები. – რუკა ბრუკლინის გაგებაში ვერაფერს გიშველის.

– ცურვა იცი? – მეკითხება ისე, უბრალოდ.

ღმერთო! იცი, ახლა კი ნაღდად მივხვდი, რომ ეს ოყლაყი მაგარი დარეხვილი იყო. მართალია ბევრიც გადაეყლურწნა, მაგრამ მისი თვალების გამოხედვა რაღაც არ მევასა.

– ცურვა იცი? – მეკითხება.

– ვიცი, აბა რა! – ვეუბნები, – შენ?

– არა, – ამბობს. – ერთი-ორი მოსმა ვიცი, მაგრამ მეტი არც მიცდია.

– ჰო, ადვილია, – ვამბობ, – ერთადერთი, რაც გჭირდება, თავის ხელში აყვანაა. ერთ დღეს, რვა წლისა რომ ვიყავი, ჩემმა უფროსმა ძმამ დოკიდან წყალში მიკრა თავი, უნდა იცუროო – მითხრა. ან კარგად იცურებ ან დაიხრჩობიო, მეუბნება და, დამიჯერე, გავცურე. როცა სხვა გზა არა გაქვს, გაცურავ, ერთადერთი შენი თავისა უნდა გჯეროდეს და ერთ დღესაც გაცურავ, – ვამბობ. – სხვა არაფერი უნდა გადარდებდეს. ეს ისეთი რამეა, რომ არასოდეს დაგავიწყდება და მთელი სიცოცხლე გაგყვება.

– კარგად ცურავ? – მეკითხება.

– თევზივით, – ვეუბნები. – წყალში თავს თევზივით ვგრძნობ, – ვეუბნები. – დოკებიდან ვილაც უცხო მასტებს შევეჯიბრე ცურვაში, – ვამბობ.

– კაცი რომ იხრჩობოდეს, რას იზამდი? – მეკითხება ის ოყლაყი.

– რას ვიზამდი? რას და გადავხტებოდი და ამოვათრევდი, – ვამბობ. –სხვას რას ვიზამდი.

– ოდესმე დამხრჩვალი კაცი გინახავს?

– აბა არ მინახავს? – ვამბობ. – ორი ბიჭი ვნახე, მაგრამ ეგ მაშინ, როცა კონეთ აილენდზე ვიყავი. ძალიან შორს შეცურეს და თან არცერთმა არ იცოდა ცურვა. სანამ იქამდე ვინმე მიაღწევდა, მანამდე დაიხრჩნენ.

– როცა აქ იხრჩობიან, მერე რა ემართებათ? – მეკითხება.

– აქ სად იხრჩობიან? – ვეკითხები.

– აქ, ბრუკლინში.

– არ ვიცი, რას გულისხმობ! – ვეუბნები. – არ გამიგია ბრუკლინში ვინმე დამხრჩვალიყოს. საცურაო აუზს ხომ არ გულისხმობ? ბრუკლინში ვერ დაიხრჩობი, – ვამბობ. – სადმე სხვაგან უნდა იყო — ოკეანეზე, სადაც წყალია.

– დახრჩობა, – ამბობს ბიჭი და თან რუკას დაჰყურებს. – დახრჩობა.

ღმერთო! მაშინ კი დავრწმუნდი, რომ თავში ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა. როცა გიყურებდა, გიჟური გამომეტყველება ედგა თვალებში და ვერც კი წარმომედგინა, რისი გამკეთებელი იყო. ასე რომ, როცა სადგურს მივუახლოვდით, თუმცა ჩემი გაჩერება არ იყო, მაინც ჩამოვედი.

– აბა, უფროსო, ჯერჯერობით, – ვეუბნები. – ცხოვრებას ცოტა იოლად შეხედე.

– დახრჩობა, – ამბობს და თან რუკას დაჰყურებს. – დახრჩობა.

ღმერთო! მას მერე ის ბიჭი თავიდან ვერ ამოვიგდე. ნეტა რა დაემართა, როცა ბენსონჰოისტის სანახავად წავიდა? ეს სახელი ხომ ასე ევასებოდა! ან როცა ღამით მარტოდმარტო დაეხეტებოდა რედ ჰუკში და თან რუკას დაჰყურებდა! ბრუკლინში რამდენი ადამიანი მინახავს დამხრჩვალი! ნეტავ რამდენი ხანი დასჭირდება ბიჭს, რომელსაც კარგი რუკა აქვს, რომ ბრუკლინს მულამი აუღოს?! ღმერთო, რა დარეხვილი იყო! ნეტა რა დაემართა! ნეტა ვინმემ თავში რამე ხომ არ ხია! ნეტავ კიდე დაძვრება მიწისქვეშა სადგურებში თავისი პატარა რუკით?! საბრალო ჯეელი! იქნებ ეს ყველაფერი სასაცილოდაც არ უნდა მყოფნიდეს, მე კი ფიქრით თავს ვისიებ! შეიძლება უკვე მოტვინა კიდეც, რომ ერთი ცხოვრება არ ეყოფა ბრუკლინის ასათვისებლად. მოკლედ, კაცს მთელი სიცოცხლე სჭირდება, რომ ბრუკლინს მულამი აულოს და მაშინაც კი ის მისთვის უცხო ხილად დარჩება.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**მედეა ზაალიშვილმა**

**ამბროსი გრიშიკაშვილი**

# შოპენის გული

დიდი პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი ფრედერიკ შოპენი 1849 წლის 17 ოქტომბერს, პარიზში გარდაიცვალა. იმ ეპოქაში ასე არ იყო განვითარებული მედიცინა, როგორც დღეს, და ადვილად და დროულად ვერ დაადგინეს მისი ხანგრძლივი ავადმყოფობის დიაგნოზი, რაც საბოლოოდ მისი ნაადრევი სიკვდილის მიზეზიც გახდა. დღეს მისთვის შველა და სიცოცხლის შენარჩუნება არცთუ ისე ძნელი იქნებოდა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, კომპოზიტორის გარდაცვალება ჭლექს ანუ ტუბერკულოზს გამოუწვევია.

იმ დროს ბევრ ადამიანს, როგორც ცეცხლის, ისე ეშინოდა ცოცხლად დამარხვის. და არცთუ ისე უსაფუძვლოდ. XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ხომ მრავალი ასეთი შემთხვევა მოხდა. მაგალითად, გაუკეთებიათ გვამის ექსჰუმაცია, და აღმოჩენილა, რომ უკვე დამარხულ, ვითომ გარდაცვლილს, გაღვიძებია და გაშმაგებით უბრძოლია, რათა სამარისათვის თავი დაეღწია. სწორედ ამიტომ იყო, რომ საფრანგეთსა და ინგლისში საკმაოდ განვითარდა განსაკუთრებული სახის სამრეწველო დარგი: ამ დარგის შესაბამისი სპეციალისტები კუბოში ამონტაჟებდნენ სპეციალურ მილებს, რომლებსაც წვერი მიწის ზევით ისე ჰქონდათ ამოყოფილი, როგორც წყალქვეშა ნავებს. ეს იმიტომ, რომ თუ ვინიცობაა გარდაცვლილი შემთხვევით გაცოცხლდებოდა, ვიდრე ვინმე მიეხმარებოდა და ზევით ამოიყვანდა, მას სუნთქვის საშუალება ჰქონოდა. გარდა ამისა, კუბოში მწოლიარეს საგანგებო მავთულით აკავშირებდნენ ასევე მიწის ზედაპირზე დამაგრებულ ზართან, რომ, თუ ვინიცობაა გაეღვიძებოდა, ზარი დაერეკა და მშველელისათვის მიეხმო.

სწორედ ასეთი რამის ეშინოდა შოპენსაც. მას ჰქონდა კიდეც სათანადო მიზეზი. ბოლო ხანებში კომპოზიტორს ხომ მრავალჯერ ესიზმრა, რომ იღვიძებს მიწისქვეშ, ზარის მავთულს ექაჩება, მაგრამ უკუნეთი ღამეა და განგაშის ხმა არავის ესმის. ცხადია, არც არავინ ეშველება და კუბოში უჰაერობისაგან ტანჯვით იგუდება. ამიტომ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ფრედერიკმა დაითანხმა თავისი უფროსი და, ლუდვიგა, რომ კომპოზიტორის ფორმალურად გარდაცვალებისთანავე მისთვის გული მკერდიდან ამოეღოთ და ცალკე დაეკრძალათ. შოპენის თხოვნა მართლაც აღასრულეს. ამიტომ ის მტკიცება, თითქოს მან ანდერძი, რომლის მიხედვითაც მისი გული პოლონელებს უნდა გადასცემოდათ, პატრიოტული გრძნობების გამო დატოვა, უბრალოდ უნიადაგოა და მეტი არაფერი.

ლუდვიგამ ძმის გული ვარშავაში ჩაიტანა.

ბევრ წიგნში შეიძლება ამოიკითხოთ, თითქოს ქალს შოპენის გული სამშობლოში ურნით წამოეღოს. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მან ძმის გული შუშის ქილაში მოათავსა და პოლონეთში ასე ჩამოიტანა. ამბობენ ასევე, თითქოს ქილა კრისტალის ყოფილიყოს. როდესაც მატარებელი რუსეთის იმპერიის საზღვარს მიაუახლოვდა, ქალმა ქილა გულთან ახლო, კორსეტისა და კაბის ქვეშ დამალა.

ვარშავაში თავიდან შოპენის გულით მაინც და მაინც არავინ დაინტერესებულა და გარკვეული ხნის განმავლობაში ლუდვიგა მას საძინებელ ოთახში ინახავდა. შემდეგ ზოგი მიხვდა, რომ დიდი კომპოზიტორის გული შესაძლებელი იყო იშვიათ რელიკვიად გამხდარიყო და ამით გარკვეული სარგებელიც ენახათ. ამიტომ ქალაქის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება მისი წმინდა ჯვრის ეკლესიაში დასვენების თაობაზე.

მეტად საინტერესოა, რომ 1944 წელს, ვარშავის აჯანყების დროს გერმანელმა ნაცისტებმა მართალია დანაღმეს ეს ეკლესია, მაგრამ დამნაღმელთა რაზმის მეთაურმა, როგორც ჩანს, მელომანმა, ჯარისკაცებს მისი საყვარელი კომპოზიტორის გულის განადგურების უფლება არ მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდვიგა ვარშავაში მარტო ჩავიდა. მისი ქმარი, იოსებ კალასანტი, პარიზიდან შედარებით ადრე დაბრუნდა. იგი ასე შოპენთან (რომელიც ძალიან ეჯავრებოდა) გამუდმებული ჩხუბისა და უსიამოვნობის გამო მოიქცა და მეუღლეს მისი დაბრუნებისთანავე გაეყარა.

რა ჩამოიტანა ლუდვიგამ პარიზიდან ძმის გულთან ერთად?

შოპენის მიერ დანატოვარ საგნებში არაფერი ყოფილი ფასეული, ჟორჟ სანდის მიერ მონერილი წერილების რამდენიმე შეკვრის გარდა. როდესაც ლუდვიგამ მათ გადახედა, არ გასჭირვებია მიხვედრა, რომ ეს მეტად საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტები უნდა ყოფილიყო. მათში ხომ შოპენისა და სანდის, ამ ეპოქის მეტად ცნობილ ადამიანთა, სიყვარულის (და არა მხოლოდ) პერიპეტიები იყო ასახული?! ლუდვიგას მათი სანდის ქალიშვილის, სოლანგესათვის, რომელიც მომაკვდავ შოპენს სასიკვდილო სარეცელზე პატრონობდა, გადაცემა არ ენადა. ამიტომ თან წაილო თავის სამკვიდრო სოფელ მისლოვიცაში, სადაც იმ დროს პრუსიასა და რუსეთს შორის საზღვარი გადიოდა (იმ დროს პოლონეთი ამ სახელმწიფოებს და ასევე ავსტრიას შორის იყო სამად გაყოფილი). როდესაც მშობლიურ სოფელს მიუახლოვდა, ქალი შიშმა შეიპყრო, რომ მესაზღვრეებს მისთვის წერილები არ წაერთმიათ, და ამიტომ ისინი თავის კარგ ნაცნობ, ებრაელ ობერჟისტ კუზნიცკის დაუტოვა შესანახად.



ფრედერიკ შოპენი

1851 წელს ეს წერილები შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ ალექსანდრე დიუმას (შვილს), „ქალი კამელიების" ავტორს. მწერალი მიშლოვიცაში გავლით იმყოფებოდა, რადგანაც თავის საყვარელ ქალთან, ლიდია ნესელროდთან მიდიოდა სტუმრად. ამ ქალის ეჭვიანმა ქმარმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ამ დაუპატიჟებელ ფრანგს საზღვარი ვერ გადაეკვეთა. თუმცა დიუმას სიყვარული ამ ქალისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ მაინც შეძლო მასთან ჩასვლა და ორი კვირაც გაჩერდა მის სიახლოვეს. დიუმა აქვე გაეცნო ობერჟისტთან დატოვებულ შოპენის სასიყვარულო წერილებსაც. მწერალმა წაკითხვისთანავე აცნობა მამას, კიდევ უფრო პოპულარულსა და სახელგანთქმულ, ასევე ცნობილ მუსუსს, ალექსანდრე დიუმა-უფროსს, რომელიც სანდის დიდი მეგობარი გახლდათ, თუ რა დიდი განძი ინახებოდა ამ პატარა პოლონურ სოფელში. ამასთან შვილი მამას იმასაც დაეკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო ამ წერილებთან დაკავშირებით. როდესაც ამის შესახებ ჟორჟ სანდმაც შეიტყო, მან დაიყოლია მოხუცი დიუმა, რომ შვილისათვის წერილების დაუყოვნებლივ პარიზში ჩატანა მოეთხოვა. ახალგაზრდა დიუმაც ასე მოიქცა, წერილები საფრანგეთში ჩაიტანა და სანდს გადასცა, რომელმაც ისინი დაუფიქრებლად ცეცხლში მოისროლა. კაცმა არ იცის, დიუმამ ხომ არ გამოიჩინა პატარა ეშმაკობა მაინც და მათი ასლი ხომ არ გააკეთა ან მათი ნაწილი ხომ არ დაიტოვა?! თუმცა რადგანაც ისინი აქამდე არავის ჩავარდნია ხელთ, ალბათ არც მომავალში უნდა გვქონდეს მათი წაკითხვის იმედი.

ახლა ცოტა რამ იმის თაობაზე, თუ სად და რა ვითარებაში გარდაიცვალა კომპოზიტორი.

სიცოცხლის ბოლო წლებში შოპენს პარიზში, ვენდენის ქუჩა 12-ში, ოროთახიანი ბინა ეჭირა. პირველი ოთახი წარმოადგენდა დიდ მისაღებს, სადაც ხშირად იყრიდა თავს პარიზის წაღები საზოგადოება. სწორედ აქ შეიკრიბნენ ისინი მაშინაც, როდესაც ყველასათვის საყვარელი (სხვათაშორის, მამით ფრანგი) კომპოზიტორი სიკვდილს ებრძოდა. პარიზელებს ენადათ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე შოპენის ხილვა. ის, რასაც აქ მოსული ადამიანები ხედავდნენ, მათზე ძალზე დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა: სარეცელზე იწვა 44 კილოგრამამდე გამხდარი 170 სანტიმეტრი სიმაღლის მამაკაცი. მისმა შემხედვარე რამდენიმე მაღალი წრის მანდილოსანმა გონებაც კი დაკარგა. თუმცა ეს მაშინ კარგ ტონადაც ითვლებოდა.

მომაკვდავთან მოსულთაგან თავისი ქცევით განსაკუთრებით მაინც რამდენიმე ადამიანი გამოირჩეოდა. მათი ამ ბინაში ყოფნა გარკვეულ მიზანთან იყო დაკავშირებული. აქ შოპენის დის, ლუდვიგას გარდა, იმყოფებოდა სანდის ქალიშვილი – სოლანგე (დედამისი ხომ კომპოზიტორის ერთ-ერთი ბოლო სიყვარული იყო!). ამ უკანასკნელს ენადა ხელთ ეგდო დედამისის წერილები შოპენისადმი და ამასთან შეკვეთა მოეპოვებინა თავისი მეუღლე, მოქანდაკე ავგუსტო კლესინგერისათვის. კლესინგერი სულმოუთქმელად ელოდა კომპოზიტორის გარდაცვალებას, რათა ჯერ სახის ნიღაბი და ხელის ასლი გაეკეთებინა, ხოლო შემდეგ მისი სამარის ქვა გაეფორმებინა. ეს დროც დადგა. თუმცა ხელოვანის პირველი ცდა უიღბლო აღმოჩნდა: თაბაშირში ჩამოსხმული პირველი ნიღაბი საშინელი გამოვიდა. საჭირო გახდა დაუყოვნებლივ მეორის ჩამოსხმა. დღეს კეთილშობილი კომპოზიტორის სწორედ ეს მეორე ნიღაბია შემორჩენილი.

ხარჯები ამ ყველაფრისათვის შოტლანდიელმა ჯეინ სტირლინგმა, შოპენის უკანასკნელმა მუზამ, გაიღო. სწორედ მან მისცა შესაძლებლობა კომპოზიტორს გაელამაზებინა თავისი სიცოცხლის ბოლო, 1848 წელი და გასტროლებზე წასულიყო ინგლისსა და შოტლანდიაში. ბრიტანეთში ცოტა მოიკეთა კომპოზიტორმა, თორემ იქ ჩასვლისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე იყო გამოფიტული, ფეხზე ძლივსა დგებოდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: როიალზე რაიმე ნაწარმოების შესრულების დროს აქეთ-იქიდან ორი ადამიანი ედგა, რათა დასუსტებული შოპენი სკამიდან არ გადმოვარდნილიყო.

ბევრს აინტერესებდა, ეზიარებოდა თუ არა კომპოზიტორი. უამრავ ხალხს მოეყარა მომაკვდავის გარშემო თავი და უკვირდათ, რომ მისი სულთმობრძაობა ასე დიდხანს გრძელდებოდა. ალბათ არც ეშმაკებს სურთ მისი ჯოჯოხეთში წაყვანა და არც ანგელოზებს მისი ზეცად ამაღლებაო – ფიქრობდნენ ისინი. და ეს იმიტომ, რომ შოპენი ურწმუნო იყო.

ბოლოს გადაწყვიტეს, წერტილი დაესვათ მისი ტანჯვისათვის და იგი ღმერთთან შეერიგებინათ. ამ მიზნით პოლონელი ემიგრანტი მღვდელი ალექსანდრე იალოვიცკი მიიწვიეს მომაკვდავთან. მაგრამ შოპენს იმის გაგონებაც კი არ სურდა, რომ აღსარება ეთქვა. თუმცა გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე იცვლის გადაწყვეტილებას და აღსარებას ამბობს. მისი დასრულების შემდეგ, როგორც ამის შესახებ სწერს მღვდელი იალოვიცკი ერთ-ერთ თავის ნაცნობს, შოპენმა მას ასე მიმართა: „შენ რომ არა, ჩემო ძმაო, ღორივით მოვკვდებოდი".

არსებობს კომპოზიტორის სიცოცხლის ბოლო დღეების სხვა ვერსიაც. მის მიხედვით, მრავალმა თაყვანისმცემელმა სთხოვა შოპენს ჯვარს მთხვეოდა. ერთ-ერთი გადმოცემით, შოპენს ისეთი სისხლის ღებინება დაეწყო, რომ დაიხრჩო კიდეც.

ბევრს აინტერესებს, თუ რატომ არ გადაუღეს კომპოზიტორს უკანასკნელი ფოტოსურათი.

მაშინ პარიზში ცხოვრობდა სახელგანთქმული დაგეროტიპისტი ლუის ბისონი, ძმებ ბისონთაგან ერთ-ერთი. სწორედ მან შეასრულა 1849 წელს კომპოზიტორის ერთადერთი ფოტო, რომელიც, სამწუხაროდ, ომის დროს განადგურდა და ახლა მხოლოდ მისი რეპროდუქცია გვაქვს. და აი, ამ ბისონს სთხოვეს მომაკვდავი შოპენის სახის უკვდავყოფა.

შოპენმა სული დალია მწუხრში, ღამის ორ საათზე. ბისონი განთიადზე მივიდა იქ, თუმცა მაშინაც არ ჰყოფნიდა შუქი, რათა კარგად აღებეჭდა კომპოზიტორის სახე. ოთახში ანთებული სანთლები ამისათვის საკმარის შუქს ვერ გამოსცემდნენ. რათა კარგად გადაეღოთ მომაკვდავის ფოტოსურათი, მისი სარეცელი ფანჯარასთან მიაჩოჩეს, თუმცა ვერც ამან უშველა და ამ მიზეზით არც  ცოცხალი და არც გარდაცვლილი კომპოზიტორის ფოტო ვერ შემოგვენახა.

შოპენის სარეცელთან შეკრებილ საზოგადოებაში გამოირჩეოდა კიდევ ერთი ქალბატონი — დელფინა პოტოცკა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გვარის წარმომადგენელი, სახელგანთქმული პოლონელი მწერლის ზიგმუნდ კრასინსკის მუზა. როდესაც ამ უკანასკნელმა ელიზა ბრანიცკასთან იქორწინა, მიხვდა, რომ ოფიციალურ ცოლზე მნიშვნელოვანი მუზა ყოფილა. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ თავისი ცოლქმრული ვალდებულებანი შეესრულებინა, მუზასთან ერთად სასაფლაოზე ინანიებდა, რომ ცოლად მოიყვანა ქალი, რომელსაც ვერც სულიერად და ვერც ფიზიკურად ვერ ეთვისებოდა. ზიგმუნდს სიგიჟემდე უყვარდა დელფინა, ისე ძლიერ, რომ მასთან და მის ქმართან ერთად ცხოვრობდა. ისინი ამ კავშირის აფიშირებასაც კი არ ერიდებოდნენ და ყველგან ერთად ცხადდებოდნენ (სხვათა შორის, ანალოგიურად ცხოვრობდა გამოჩენილი რუსი მწერალი ივან ტურგენევიც, რომელსაც ისე ძლიერ უყვარდა ფრანგი ბალერინა პოლინა ვიარდო, რომ წლობით პოლინასთან ედო ბინა. არადა, ქალი გათხოვილი გახლდათ და ქმრის სახლში ცხოვრობდა). ასეთი უცნაური ცხოვრება კრასინსკისათვის ტრაგიკულად დასრულდა – როდესაც 1859 წელს სიცოცხლეს ემშვიდობებოდა, ელიზა ახალგაცნობილ ყმაწვილთან ერთად ლაღობდა, თანაც იმავე სახლში, სადაც კრასინსკი სულს ღაფავდა. მეტიც: სარეცელთან დელფინასაც არ უშვებდა ამ სიტყვებით: „შენი იყო მისი სიცოცხლე, მისი სიკვდილი მაინც იყოს ჩემი".

დელფინას სასიყვარულო რომანი შოპენთანაც ჰქონდა. ამიტომ გამოიძახეს პარიზში. შოპენი, რომელიც ალბათ, ნარკოტიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომ ტკივილები ოდნავ მაინც ჩაყუჩებოდა, ხედავს ამ ანგელოზს თავის სარეცელთან, ძლივს ამოიცნობს მასში დელფინას და რომელიმე სიმღერის შესრულებას სთხოვს. მალე მეორე ოთახიდან შემოიტანენ ფორტეპიანოს, ქალიც მიუჯდება მას და არიებს მღერის ბელინისა და როსინის ოპერებიდან. შოპენი ძალიან განიცდის ამ სიმღერებს. ბოლოს, როდესაც ქალი ალექსანდრე სტრადელის „ჰიმნი ქალიშვილისადმი" მღერას დაიწყებს, კომპოზიტორის სული სხეულს დატოვებს.

შოპენის სასიყვარულო კავშირი ამ ქალთან დღემდე საიდუმლოების ბურუსითაა მოცული. მისი ოჯახი ძალიან ფრთხილობს ამ მხრივ. მათ ცხრაკლიტულში გამოკეტეს დელფინასა და შოპენის სიყვარულის ამსახველი წერილებიც. მაგალითად, ამბობენ, რომ ცნობილი „წუთიერი ვალსი", რომლის მთავარი გმირიც გოშიაა, ფორტეპიანოს რომ უვლის გარს, სინამდვილეში კომპოზიტორის ინტიმურ დაახლოებას აღწერს თავის შეყვარებულთან.

ბუნებრივია დაისმის კითხვა: ვინმემ კი წაიკითხა ეს წერილები?

XX საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა ვინმე პაულინა ჩერნიცკა, მუსიკის მასწავლებელი, რომელიც აცხადებდა, რომ ის ფლობდა შოპენის წერილებს დელფინა პოტოცკისადმი, და უჩვენებდა კიდეც საზოგადოებას, ოღონდ საქმე ისაა, რომ ეს იყო წერილთა ასლები და არა ორიგინალები. პაულინა აცხადებდა, რომ წერილები იპოვა პოტოცკებისა და კრასინსკების მიერ დაფუძნებულ ფონდში, რომელთაც, თავის მხრივ, ეს წერილები შესყიდული ჰქონდათ. და ვინაიდან ამ ქალს სურდა კომპოზიტორის სიცოცხლის ბოლო დღეების აღწერა, მას ფონდის მესვეურებმა ნება დართეს გაცნობოდა წერილებს და გამოეყენებინა კიდეც, ოღონდ მხოლოდ ის ფრაგმენტები, რაც მუსიკოსის გარდაცვალების დღეებს ეხებოდა. ამ ქალის განცხადებებმა კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალი მკვლევარი დაარწმუნა, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში შოპენს დელფინა უფრო უყვარდა, ვიდრე სანდი. კომპოზიტორს მრავალი წერილი ჰქონდა მისადმი მიწერილი. როგორც ჩანს, ძალზე უყვარდა დელფინასთან მიწერ-მოწერაც. ქალისადმი მიწერილ წერილებში წვრილმანებსაც კი საგულდაგულოდ აღწერდა. ზოგიერთ ბარათში შოპენი სექსუალურ აქტს მუსიკის შექმნის პროცესსაც კი ადარებდა. როგორც ჩანს, თავის დროზე ფრედერიკი ორივე ამ საქმეში თანაბრად ვირტუოზი გახლდათ.

თავიდან შოპენის შემოქმედების შემსწავლელმა კომისიამ საკმაოდ სანდოდ მიიჩნია ჩერნიცკის განცხადება და სთხოვდა, რომ წერილთა ორიგინალები გადაეცა მათთვის. ბოლოს ამ საქმეში პოლიცია ჩაერთო. ამ ქალის ფსიქიურ ჯანმრთელობაშიც კი შეიტანეს ეჭვი და შიზოფრენიაზე დაუწყეს მკურნალობა. 1949 წელს, კომპოზიტორის გარდაცვალების 100 წლისთავზე, მუსიკის მასწავლებელმა თავი მოიკლა.

რეზო ჭეიშვილი

# „ვიყოთ ერხანს“

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა „ჩემი აზრით“, არის უკიდურესად (უსაშველოდ) გაჭირვებული მდგომარეობა.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— სადაც ვცხოვრობ იქ, საქართველოში! დროებით, მცირე ხნით კი —

**სადმე ყრუ ადგილს დავესახლები**
**ამ საუკუნის მგზავრი გვიანი,**
**სადაც იქნება ცოფი ნაკლები**
**და უფრო ნაკლებ ადამიანი...**

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— სიცოცხლე. არსებობა ამ ცის ქვეშ.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— დონ კიხოტი, ლუარსაბ თათქარიძე, როსტომ ნერეთელი, კირილე მიმინოშვილი, პაკი აძბა, ლახუნდარელი, გვადი ბიგვა, თარაშ ემხვარი, ლეკო თუთაშელი, ჟიულიენ სორელი, პიერ ბეზუხოვი, ჩიჩიკოვი, თავადი მიშკინი, ილიკო და ილარიონი, ჩემი მეგობარი შალიკო ხვინგიაძე, სხვები და სხვები...

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— ნაპოლეონი, ბაგრატიონი, რიჩარდი, გიორგი სააკაძე, გიორგი ბრწყინვალე, გარიბალდი, ბაგრატ IV, სოლომონ პირველი, დავით აღმაშენებელი ცხადია.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ნიკალა, დავით კაკაბაძე... შორს ნუ წავალთ —მიქელანჯელო, — „წყეული სამსჯავრო“, „სიქსტის კაპელა“. მინახავს, მქონდა ეგ ბედნიერება. ასევე — მონალიზა, ტიციანი, რაფაელი, ტინტორენტო. გამატარეს სხვებთან ერთად, ალვირით (ავშარით), ვატიკანში, ვერსალში, პრადოში ბეგრაუნდით კომუნისტების ზეობაში.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ბეთჰოვენი. მუსიკა მიყვარს მუსიკური, კლასიკურიც, მაგრამ დიდად ვერ გამოვიდებ თავს. ჩამოთვლას აზრი არ აქვს და ფალიაშვილს დავამატებდი. ფალიაშვილის დიდი, მრავალრიცხოვან ოჯახის წევრების მუსიკალური სამყარო ბოლომდე არ მგონია შესწავლილი. სახლი ათი კი სახლ-მუზეუმად ისევ დგას ქუთაისში „ფრანგების“ (ასე ეძახდნენ კათოლიკურ საყდარს ადრე ჩემს დროს (?!) ეკლესიასთან.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— კაცობას, ვაჟკაცობას, მამაკაცურ თვისებებს — ზოგადად: სიტყვას, პირის არგატეხვას, მიმტევებლობას.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— ყველაზე მეტად ქალობას, დედობას, ცოლობას, პარტნიორობას ყოველნაირი გაგებით. თაყვანს ვცემ ქართველი ქალის პატიოსნებას, ოჯახიშვილობას, მოთმინებას, თავშეკავებულობას და შვილების აღზრდის უმთავრესობას მათ ყოფიერებაში. ბულვარული, — პორნოგრაფიული პრესით, ტელეარხების საშუალებით, სექსოპათოლოგიური გადაცემებით მიზანმიმართულად, შეგნებულად რომ უბიძგებენ ადამიანებს უკეთურობისაკენ. ქართველი ქალი მაინც ოჯახით, — შვილებით, შვილიშვილებითაა შემოფარგლული; გარკვეულ უმრავლესობაზეა მაინც ლაპარაკი.



**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მიმზიდველი?**

— ყოველგვარი... თუ სათნოება სათნოებას ეწოდება მხოლოდ, მისალებია და მიმზიდველიც...

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— საქმე. თუ საქმე არა მაქვს, — უსაქმურობა მჯაბნის მხოლოდ — მახათის გარეშე! საქმე მაინც: შრომა ფიზიკური და გონებრივი!..

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ვერ გეტყვით: ბავშვობაში გიორგი სააკაძეობა; რომ წამოვიზარდე, ომი ახალი დამთავრებული იყო. გვიჭირდა, გვშიოდა, გიორგი მეცამეტეობა, მომინდა, თუმც არც ერთს ვიცნობდი, არც მეორეს. პლატონ იოსელიანსა აქვს აღნიშნული, დაწერილია, მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული. მეფე გიორგის ზაქის ხორცი უყვარდა, თვარა მართლა ერთ ზაქს (კამეჩის ნაშიერს) კი არ ჭამდა ერთ ინჯრაზე.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— ვერ გეტყვით, ინტუიცია ალბათ. ადამიანის ამოცნობა, ასე მგონია, არ მეშლება. პირველივე შეხვედრაზე ვხვდები, ვინაა, რა კაცია. შევმცდარვარ, ცხადია, თუმცაღა — იშვიათად. მითქვამს, რაც არ უნდა მეთქვა, მაგრამ ბოლომდე არა. ადამიანს გული არ უნდაატკინო, ღირსიც რომ იყოს, სიტყვით არ უნდა მოკლა. თეთრსა და წითელ ღვინოს განა ერთფერად სმა უნდა, ენაზე მომდგარ სიტყვასა... შემდეგ, როგორც ტექსტშია.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— მეგობრობას. სიახლოვეს. ლხინისა და ჭირის გაზიარებას, თანაგრძნობას. გვერდში დგომას... არ დავიწყებას მოყვრისას...

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— უყურადღებობა, უხასიათობა ზოგჯერ, შეცდომებს, სიგლახესაც კი, ვპატიობ ადამიანებს, მაგრამ გულში ჩატოვებულს ვერ ვივიწყებ, წყენა დროდადრო შემახსენებს ხოლმე თავს. ეს არ ვარგა. ესე იგი, ნაკლი, ნაკლ-ები მაქვს. მყვანან, მაგრამ მთავარი რომელია, — არ ვიცი. ესეც ნაკლია!

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ბედნიერება პირობითია, იგი იქ არ არის, სადაც ვეძებთ ხოლმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ბედნიერების დაკარგვა. ღმერთო, შენითა და არა ჩვენითა!..

— **როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— როგორიცა ვარ, ცოტა უკეთეს-უმჯობესი!..

— **თქვენი საყვარელი ფერი?**

— ყვითელი
მწვანე
წითელი.

— **ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ია-იები
ვარდის ფურცლები თეთრი, წითლები...
აყვავებული ტყემლები აპრილის ქუთაისში!

— **თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ჩიტი.

— **თქვენი საყვარელი პოეტი?**

— არიან დიდი პოეტები, კარგები და არა საყვარლები. ქართველებს დავასახელებ:

რუსთაველი. გურამიშვილი. ბესიკი. აკაკი. და გალაკტიონი...

— **თქვენი საყვარელი მწერალი?**

— სვიფტი.

ასევე: სტენდალი. მერიმე. გოგოლი. კლდიაშვილი და ვჩერდები... ბევრნი არიან...

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— ჯულიეტა. კარმენი. ფუფალა.

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— მახათმა განდი... ტიბეტის დღევანდელი სულიერი ლიდერი, დევნილი.

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ქეთევან წამებული.
კლეოპატრა, ჟანა დ'არკი.

— **საყვარელი სახელი?**

— ქალის, კაცის?

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— მართალ ტყუილს.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— თავს შევიკავებ...

— **სამარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— მტერს რომ კუდით ქვას ასროლინეს. ისე კი, ომი აღტაცების საგანი არ არი, არ უნდა იყოს!

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— სიკვდილით დასჯის აკრძალვას, ბატონყმობის, ჯერ მონობის, გაუქმებას, კომუნიზმის ილუზიების გაქრობას...

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— რომელსაც ვფლობდი და ვფლობ, რომელიც მომანიჭა ბუნებამ, თუ გნებავთ, — განგებამ. სიმღერის ნიჭი რომ არ მომცა, ამაზე ქე მწყდება ცოტა გული.

— **როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— მინდოდა, თუ მინდა? არანაირი არ მინდოდა...

**...არც მდომებია, არც მინდა**
**შენს გარდა სხვა რამე წმინდა...**

*(აკაკი)*

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— დასაშვების ნორმებში. გმადლობთ.

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— სიბრიყვეს, რომელიც თავის გამოჩენასთან და თავის მოსულელობასთან არ არის დაკავშირებული.

— **თქვენი დევიზი?**

— ვიყოთ ერხანს!

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ცოცხლები მიწიერ ღმერთს არ ხვდებიან, პირისპირ დგომის ხანა, ყოველშემთხვევაში, ჯერჯერობით, მგონი არ დამდგარა.

ღმერთი ერთია!
უფალიცა...
იგი ჩვენთანაა...
ამინ!

## წერილი რედაქციას

**ხორხე ლუის ბორხესი** ჩემი უსაყვარლესი მწერალთაგანია, არა მწყინდება მისი ნოველებისა და მინიატურების კითხვა, მაგრამ ლექციების ეს ციკლი **„შვიდი საღამო"**, რომელიც დროგამოშვებით იბეჭდებოდა „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე, ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ. რადგანაც თანმიმდევრობით ქვეყნდებოდა ეს ლექციები, თავიდანვე მივხვდი, რომ ცალკეულ ნიმუშთა გაცნობას კი არ გვამყოფინებდნენ მკითხველებს, არამედ სრულად მოგვანვდიდნენ. ასეც მოხდა და პუბლიკაციათა ეს სერია დაგვირგვინდა ჟურნალის 14 ოქტომბრის ნომრით, რომელშიც მხილველნი გავხდით „შვიდი საღამოს" ბოლო საღამოსი, გამაოგნებელი ძალით რომ ჰკრავს მთელს ციკლს და იმ მხრივაც ამშვენებს და ამრავალფეროვნებს მის შინაგან მდინარებას, რომ გარდა ანალიტიზმისა და ლირიკული გადახვევებისა, მკვეთრად იჩენს თავს მემუარული ნაკადი.

სიტყვა „გამაოგნებელი" შემთხვევით არ მიხსენებია, ყველაფერს ველოდი, მაგრამ სიბრმავის აპოლოგიას თუ წავიკითხავდი, ვერასგზით ვერ ვიფიქრებდი. მართლაც აპოლოგიას!.. არა თანაგრძნობის გამოწვევას, არა ცალკეულ ნიუანსთა წარმოჩენას, არამედ ერთი შეხედვით სრულიად უცნაურ მსჯელობას სიბრმავის სიკეთეზე, იმ უჩვეულო მადლზე, რაც სრულიად მიუწვდომელია თვალხილულთათვის. ვიღაცას ეგონება, ბორხესი თავს ინუგეშებდა, მისთვის სიბრმავის აპოლოგიის შექმნა თავისებური ფსიქოთერაპია იყო და მეტი არაფერი, რათა გაუსაძლისი ყოფა როგორმე ასატანი გაეხადა. არადა, დიდი არგენტინელის ნებისყოფისა და სიმტკიცის პიროვნებას ამგვარი თვითდამშვიდებანი სრულებით არა სჭირდებოდა. იგი მხოლოდ გულწრფელად გვიზიარებს საკუთარ დაკვირვებებს სიბრმავის თავისებურ უპირატესობაზე და ბრმა მწერალთა რიგში შემოჰყავს **ჯეიმზ ჯოისიც**, ვინც თურმე ძალიანაც არ განსხვავდებოდა ბრმისაგან თვალის დაუსრულებელი ოპერაციების შემდგომაც.

ამ ესეის გაცნობის მერე სულ სხვაგვარად წარმომიდგენ ძველი დროის პოეტი **ბისტიკა (პავლე ინგოროყვას** აღმოჩენის წყალობით) და ახალი დროის პოეტი **სიმონ ჩიქოვანი,** რომელნიც ძალდაუტანებლად ემატებიან ბორხესისეულ რიგს.

ცხადია, შთაბეჭდილება ასეთი გამაოგნებელი ვერ იქნებოდა, **ნინო ქაჯაიას** შესანიშნავი თარგმანი რომ არა, სხვა ჩინებულ ნამუშევრებთან ერთად ბორხესის „შვიდი საღამოც" რომ შესძინა ქართულ მწერლობასა და კულტურას.

**ზაზა ტატიშვილი**
*გორი*

ზურაბ ლავრელაშვილი

# განკვართული

*აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა...*
მათე 10,16.



ჭუჭრუტანიდან სვეტად ჩამოსული სხივი თითქოს ორად ჰკვეთდა სიბნელეს. თივაში გახვეული ბიჭიც თვალმოკიუული უყურებდა სინათლის იალ-კიალს გომურის მიწურ იატაკზე; სხივი უწყვეტ, ბუსუსოვან ბაწარს ჰგავდა და ზეციდან დაშვებული, დედამიწის გულამდე ატანდა. ბაგაში ნებივრად მიწოლილი ბიჭი ცდილობდა, წარმოედგინა სად იწყებოდა შუქის ეს იკანკელი და სად თავდებოდა, მაგრამ მისი ბავშვური გონება სხივის წარმომავალობას ვერ სწვდებოდა; ჯერ პატარა იყო საიმისოდ, გარემომცველი სინამდვილის საიდუმლო რომ ამოეცნო - ამიტომაც ინვა განაბული და უფროსებისაგან გაგონილს თვალით დანახულს უდარებდა: სინათლის სხივს კი არა, ანგელოსებისაგან ციდან ჩამოშვებულ ოქროს შიბს ვხედავ, წვერით რომ სამოთხის ძირს ებჯინებაო... ცალი წვერი კი ზეცაში ჰქონდა შიბს და ალმა თუ აჰყვებოდი, ანგელოსთა დასს იხილავდი, იმათ მაღლა კი - ყოვლისშემძლე და ყოვლისმპყრობელი ღმერთის საბრძანისს, სადაც ოქროს ტახტი ედგა და ოქროსავე სკიპტრი ეპყრა. ანგელოსებიც მხოლოდ სალამოთი ასწევდნენ ოქროს შიბს და ქვეყნიერებას კუპრი სიბნელე ეფინებოდა...

გომურში თბილოდა და ნაკელის სუნი იყნოსებოდა. ბაგაზე მიბმული ძროხები ბიჭს სახეზე ასუნთქებდნენ, ზოგჯერ კი მათი ხაოიანი, გრძელი ენის შეხებას გრძნობდა ლოყაზე... გაუნძრევლად ინვა და დროდადრო ხელს თუ ამოსწევდა თივის ბულულიდან, შუბლიდან ნესტიანი ბუწუწი რომ მოეშორებინა. ასეთ დროს ხამად ნაქსოვი, ხევსურული ჯვრებით მოქარგული ჩოხის სახელო გამოუჩნდებოდა და შავად ნალები ტილოს გულისპირი... ათი-თორმეტი წლისა იქნებოდა, თივაში ჩაფლულს სახე თითქმის არ უჩანდა და ხანდახან, ხელის გაქნევისას მორევში ჩავარდნილივით ფათურობდა გომურის წიალში... ანცობდა, ხელებს წარმოსახული ოქროს შიბისკენ იწვდიდა, რომ მოსჭიდებოდა და მუჭით სიცარიელეს ეპოტინებოდა...

ძროხები იცოხნიდნენ და მშვიდი ფშვენით ლეჭავდნენ ხმელ ბალახს. გომურიც იმათ სუნთქვას ამოევსო, იმათ ოხშივარს, იმათი ტანისა და ნეხვის სუნს... დინჯად ინაცვლებდნენ ფეხს ზღვეზე, კუდს აქნევდნენ და ენით თავის ქალამს სწვდებოდნენ... გომური პატარა იყო, თითქოს ქვეყნიერების დასალიერს დაკარგული; ბიჭსაც ასე ეგონა, ნავში ვზივარო, — ნავში კი არა, კიდობანში, უსამანო და უსასრულო კუპრიელში რომ მიაცურებდა დრო-ჟამის ტალღა და ვილაცას მაშველად ოქროს შიბი გადმოეგდო - ის იმაგრებდა ნავს, ის იჭერდა ღუზასავით, რათა მორევს არ ჩაენთქა და არ ჩაეხაფრა... ბულულებში გახვეული ბიჭიც სიამით ილიმოდა, იმ ნავის რწევას აყოლილი და მონანავე, ანგელოსებს რომ ეჭირათ ოქროს ჯაჭვით...

გომურის კარმა ოდნავ დაიჭრიალა და შემოიღო. სინათლის ზოლი და ზამთრის სუსხი ერთდროულად შემოიჭრა შიგნით და ღიობში ჩრდილი გაკრთა. ძროხები მოუსვენრად აწრიალდნენ, ზღვეზე ჩლიქს სეტყვასავით სცემდნენ და ზმუოდნენ. ბიჭმა ბაგიდან წამოიწია და კარს გახედა: გარედან შემოსულ სინათლის ზოლში მურა დრუნჩი და ორი ნაღვლიანი თვალი გაილანდა. ბიჭს შიშით გააცია - გომურის კარში ბებერი მგელი იდგა და შიგნით გულგრილად იყურებოდა... მარტო დრუნჩი უჩანდა შავად, რუხ თავ-პირზე კი ბალანი მოსთელოდა და ნაცრისფერ წინა ტორებზე ყინულის კოტოშები აჰკვროდა... ბიჭი მონუსხულივით შეჰყურებდა ნადირს და როცა იმანაც ფოსფორული ნათებით აღსავსე მზერით შემოხედა, განწირულივით დაიკივლა... ძროხები უფრო მოუსვენრად აწრიალდნენ, თავებს აქნევდნენ და აწყვეტას ლამობდნენ, ნადირი კი ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა... იმის ნაცვლად ღიობში ქულაჯიანმა და თოფიანმა კაცმა შემოალაჯა.

- მინდი, აქა ხარ, ბალღო? - დაიბუხუნა კაცმა.

ბიჭი გაუნძრევლად იდგა, უტყვად. კაცმა დირეს გადმოაბიჯა და გომურში თავდახრილი შემოვიდა. ბიჭი კი გამტკნარებული შეჰყურებდა და ხმა ვერ ამოეღო. კაცი დაიხარა, შეანჯღრია შვილი...

- მგელი, მამავ! - დაიჩურჩულა ბიჭმა.

კაცმა ბაგადან გადმოსვლა უშველა და ორივენი თოვლით გადათეთრებულ ეზოში გამოვიდნენ. კაცმა გომურის კარი გადარაზა. მთები გადაელესა თოვლს, თავის უბეში მიეჩუმქრა პატარა სოფელი. სერებზე აქა-იქ მოჩანდა ზვავისგან დანატოვარი შურო, ერთგან კი ლაქად დამჩნეოდა მუქად ამონვდილი ლოდი თუ მოშიშვლებული მიწის ნაგლეჯი. კაცმა თვალი გააყოლა იმ ადგილს მიციებული ბიჭის მზერას და თოფის კონდახი მხარზე მიიდო.

- არ ესროლო, მამი! - თოფის ლულას მისწვდა ბიჭი.

- იქით გაიწი, ბალღო...

- ვითამ მე, მამი, ვითამ მე, - ლამის ტირილით იმეორებდა ბიჭი და თოფს ეკონწიალებოდა. თოფმა მაინც იჭექა. სერს თოვლის ბუქი აედინა და მუქი ლაქა გაქრა. კაცმა ბრაზით გადააფურთხა და თოფი მხარზე გადაიკიდა. მძიმედ გაალაჯა თოვლში. ბიჭმა უკან მისდია.

საფიხვნოზე ბერიკაცები თბებოდნენ ზამთრის უძალო მზეზე. იქვე, ბანზე, ბრმა მეფანდურე იჯდა და ფანდურის სიმებს აწვალებდა. კაცი სანახშოზე გაჩერდა და მოხუცებს მიესალმა. ბიჭი მამის უკან იდგა, მათ ლაპარაკს უსმენდა, თუმცა მზერა სერისკენ გაურბოდა... თვალის კილოები ეწვოდა დაძაბულობისაგან, კისერს იგრძელებდა, ფეხის წვერებზე დგებოდა, ბებერი, რუხი მგელი რომ დაენახა, მაგრამ სერის წვეროდან უკვე ჩამოსულიყო ჯანღი თუ ბურუსი და მგელიცა და იმისი ნაწოლი ალაგიც გაექრო, გაექარწყლებინა, რძისფრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეესუდრა... ბრმა მეფანდურე ისევ უნადინოდ აჩხაკუნებდა საკრავის ლარებს და კაციც დაბალი ხმით უთხრობდა საფიხვნოზე შეყრილ ბერიკაცებს, როგორ შევარდნოდა ნადირი გომურში იმის საქონელს და ბალღიც შეეშინებინა...

- აბაიმე, - უკვირდათ მოხუცებს და თავებს აქნევდნენ, თოვლში ინიტებოდნენ, - ტიელ ნადირ ას, ტიელ...

ბრმა მეფანდურემ კი სიმების ჩხაკუნი შეწყვიტა და ბანიდან ჩამოსძახა:

- ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ხოგაი... ეგ ბალღი გაგიზარდოს!

რძისფერი ბურუსი სოფელს ეფინებოდა... მეორე მხრიდან კი მნუხრი ეპარებოდა კორტოხებზე ამართულ ციხე-კოშკებს, დათოვლილ ბანიან სახლებს, ხევსურთა ყუდრო-კარს... ხოგაი ისევ ბრაზით მიალაჯებდა თოვლში; უკან, დანილაკებით, ბიჭი მისდევდა და მალი-მალ განზე იხედებოდა - თეთრად შესუდრული სერისაკენ, სადაც უკვე ალარაფერი იხილვებოდა და სადაც ნისლს გადაეფინა სქელი საბურველი...

* * *

ღრუბლებს მაღლა, სოფელს მოშორებით, მიუვალი კლდის წვერზე ედგა ხოგაის ქავ-ციხე. სოფელს ღრმა და ვიწრო ხეობა ჰყოფდა ურუსთა ქვეყნისაგან; იქიდან ხშირად გადმოდიოდნენ სამეკობროდ ლეკნი თუ დიდონი, ცხვარ-ძროხას იტაცებდნენ, ქალ-რძალნი ტყვედ მიჰყავდათ, ხევსურთა სარჩო-საბადებელს ცეცხლს აძლევდნენ; ხოგაი პირველი უხვდებოდა მტერს; მთაში შორს გავარდნოდა სახელი, როგორც მამაც მეომარსა და უშიშარ ვაჟკაცს, ჩაუქი მონადირეც იყო, თუმცა მის იღბლიანობას ოჩოპინტრესთან ძმადნაფიცობას მიანერდნენ ხევსურები... მაცილი ჰყავს შემწედ, ამადაც აუცდენლად თოფავს ჯიხვებსო, ამბობდნენ... ხოგაის სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ეს ამბავი, სანამ პირისპირ არ შეხვდა ნადირთა მწყემსს... სანადიროდ გასული ჯიხვებს უთვალთვალებდა, როცა მენინავე ხარჯიხვი დაინახა ქარაფზე... უჩუმრად მიეპარა და ტყვია გულში დასცა... ხარჯიხვი უფსკრულში გადაიხაფრა, ვეძა წყალზე ჩამოსული ნადირთა ჯოგი კი არც შერხეულა თოფის ხმაზე - მარტო შუნებმა აალირეს თავები, ნაღვლიანი თვალებით გამოხედეს მენადირეს და ისევ განაგრძეს მლაშე კლდის ლოკვა...

ხოგაიმ წრიაპები გაიძრო და ხარჯიხვს ჩაჰყვა უფსკრულში... ციცაბო დალმართზე, ეხის წინ, პატარა ბაქანზე, გარდიგარდმო გაშოთილ ბერიკაცს გადააწყდა - მაღლიდან თუ ჩამოვარდნილიყო... დაიჩოქა, ბერიკაცს თავი წამოუწია და თითებზე ბლანტი სითხე იგრძნო...

- ვკვდები, - დაიგმინა ბერიკაცმა და თვალი გაახილა, - მიშველე...

ხოგაიმ მუხლებზე დაისვენა მოხუცის გრუზა თავი.

ბერიკაცი მძვინვარე მზერით შემოსცქეროდა და ხოგაიმაც ჰკითხა, რა მოგსვლიაო...

- შენ მესროდი ტყვიას! - უთხრა მოხუცმა ლამის სიძულვილით, მერე ხოგაის თოფს წასწვდა და ბანჯგვლიანი თითებით ჩაბღუჯა, - ბერდანია?

ბერდანიაო, დაუდასტურა გაოცებულმა ხოგაიმ და ბერიკაცი ზურგზე მოიგდო, ნანადირევი ხარჯიხვივით მხრით ატარა ქავ-ციხემდე. მეორე სართულზე, ბუხრიან ოთახში გაუშალეს მოხუცს ლოგინი და ხოგაიმ მაშინვე დოსტაქარი მოაყვანინა...

დოსტაქარმა დიდხანს უჩხიკინა დაკოდილს მამა-პაპეული კაჟის დანით და ფერდიდან თოფის ტყვია გამოუღო. ტყვია ნეკნს მოხვედროდა, ოდნავ შეჭყლეტილიყო.

- ბერდანისაა, - ფიქრიანად თქვა დასტაქარმა და ტყვია დაკოჟრილ თითებში შეათამაშა, ხოგაის კი უცებ შესცივდა, თითქოს მზვარედან უეცრად ყინულიან წყალში შესულიყო; მომაკვდავს უნუგეშოდ დააცქერდა და თუ გადარჩებაო, იკითხა... თავისი ხმა სადღაც შორიდან მოესმა...

- გადარჩება, ოღონდ, - აღარ დაათავა დოსტაქარმა, გასამრჯელო - ლუდის გოზაური და ხინკლით სავსე ქვაბი ილლიაში ამოიდო და წავიდა, ხოგაი კი ისევ ბერიკაცს დააცქერდა. დოსტაქარს მოხუცი წელამდე გაეშიშვლებინა და ხოგაი იმისმა ბალნიანობამ შეზარა: ავადმყოფს თეძოებამდე ხშირი და თხისურივით გრძელი ბალანი ემოსა, თითქოს ჩოხა აცვიაო; ხელის ზურგიც ბალნიანი ჰქონდა, ხმელ და მოკაკვულ თითებზე კი თხის ჩლიქივით ხეშეში ფრჩხილები წამოზრდოდა და საშინლად ჰყარდა... სანამ ზურგით შინ მოიტანდა და ბერიკაცს ცალკე ოთახში დააწვენდა, ხოგაი თითქოს ვერ გრძნობდა მის სუნს, მაგრამ ახლა აქაურობა ბერიკაცის სიმყრალეს აექოთებინა... იატაკზე დაღვრილი მისი სისხლი თუ ყარდა... ცხვირის ნესტოებზე ცერწაჭერილი გავარდა ქოთიან სუნს შეჩვეული ხევსური ბუხრიანი ოთახიდან და ამის შემდეგ იქ აღარ შესულა - შინაბერა დის, მზექალის, ხელით უგზავნიდა მოხუცს სასმელ-საჭმელს, თავად კი თითებზე ითვლიდა დოსტაქრისგან დათქმულ დღეებს, ბერიკაცი სადაცაა გამეცლებაო... გულში შიში შეჰპარვოდა, ზიზღის გარდა რაღაც ავსაც უგრძნობდა ტანი, როცა იმისი შემოხედვა ახსენდებოდა, ეხის პირას რომ ნახა მიმკვდარებული... რად ვძულვარ ან თავის იარას მე რად მაბრალისო, ფიქრობდა შეურვებული და ისევ დღეებს ითვლიდა... მოხუცმა მოიკეთა და მის სანახავად მოსული დოსტაქარიც აიმედებდა მასპინძელს, დღეს-ხვალ უთუოდ წასვლას შესძლებსო. გახარებულმა ხოგაიმ დასტაქარს ციკანი აჩუქა და მაწვევარი აფრინა მეზობლებში, რათა ბერიკაცის გადარჩენისთვის ზვარაკი დაეკლა ხატისათვის, როცა ცოლმა მზექალის ფეხმძიმობა შეატყობინა...

კაცმა ხანჯარი იშიშვლა და ყვერფნის ახლო ბრმასავით მიყუნჭული დისკენ გაექანა, თმაში ღონიერი ხელი წაავლო, კისერი გამოუჩინა და ზედ სატევარი დააბჯინა, თან გაუთავებლად ეკითხებოდა, ბალღი ვისია, გვარი ვინ შემირცხვინაო... მზექალი გაკერპდა, ხმა როდი გაიღო... ხოგაიმ ხანჯარი მოუღერა (გულში კი ნატრობდა, ნეტავი არ სთქვას, ნეტავი არ სთქვასო...)... ცოლმა მაჯაში უტაცა ხელი.

- ავსულისგან ჰყავს, ბეჩავო! - ჩასძახა თითქოს ქვევრის პირიდან და ხოგაიმაც ბედითად ამოიხავლა, ხანჯარი გაუვარდა და ყვერფნს გადააწყდა წაბარბაცებული...

ზემოდან ხითხითი მოისმა...

ხოგაი ერთხანს წაკუზული უსმენდა ამ ჩუმ სიცილს, კოშკის კედლები რომ გაეჟღინთა და ყოველი ნასვრეტიდან წყალივით ილვრებოდა, რაღაც ავბედითისა და საზარელის მაცნე... ყურში ისევ ედგა ყვერფნის ქვებზე დავარდნილი სატევარის ზრიალი (სატევარი იცინოდა და ცეკვავდა გამურულ ქვებზე, იგრიხებოდა, ემანჭებოდა კაცს, თითქოს-და გოჯილას სახედ გარდაქმნილი და განსხეულებული), მერე როგორღაც წყალში გადავარდნილივით აიქნია მკლავები, კაჩხადან თოფი ჩამოგლიჯა და ქვის ვიწრო კიბით ზემო სართულზე აიჭრა... ფეხით შელეწა მუხის სქელი კარი,

ზღურბლიდანვე ტყვია დაახალა მაცთურს... ბერდანის ტყვიამ ტანში გაურა ბერიკაცს და ნატისუსალი აადინა ბანჯგვლიან მკერდზე, მაგრამ სნეული ისე მარდად წამოხტა ლაჭანიდან, თითქოს არაფერს გაეკაწროს...

- ვერ მომკლავ, ადამის ძეო! - ბერიკაცმა ზურგსუკან დამალული ხელი გამოიშვირა და ხმელი თითები გამოშალა: ხელისგულზე გვერდშეჭყლეტილი ტყვია ედო... ხოგაიმ ისევ მხარზე მიიდო კონდახი, „ლიშანი" ახლა მოხუცის შუბლს უსწორა, მაგრამ იმან თითლიბაზურად ჩაუკრა თვალი, ადგილზე შეხტა, შეიკუნტრუშა, სტომაქიდან ხმაურით გამოუშვა ჰაერი და ბუხარში შეძვრა...

ყროლი სუნით გაბრუებული ხოგაი ბუხართან მიიჭრა და თოფის ლულა შიგ შეჰყო, ტყვია დაადევნა მაცთურს, მაგრამ ტყვიამ სიცარიელეს გასწივლა... მერე ბერიკაცის საბან-გობანი ამოიღლიავა და ცეცხლში შეუძახა... ბუხართან გიშრის მარცვლისოდენა რაღაც ბრწყინავდა ქვის იატაკზე... თითებში მოსრისა ნაპოვნი: ვაცის კურკლი იყო, ჯერაც თბილი და მკვრივი... ახლაღა მიხვდა, ვინ ჰყოლოდა სტუმრად და ვისი სისხლი დაელვარა თავად... კურკლი ცეცხლში მოისროლა (ის საფანტივით გასკდა და აალდა), დაბლიდან ცული ამოიტანა და ბერიკაცის ნაწოლი ლაჭანი ნაფოტებად დაჩეხა... ბუხრის ცეცხლი ლოკავდა ავსულის ნაკვალევს და იმისი გამონაცვალი ლეიბ-საბანიც გოგირდივით სქელ და მხუთრ კვამლს უშვებდა...

ქვემო სართულზე, ყვერფნის პირად ბრამასავით მიყუნჭულ მზექალსა და სამძივარს ჯერ ცულის რაკუნი ესმოდათ, მერე ვაჟკაცის ღრიალი გაიგონეს...

მზექალი სამრელოში გაგზავნეს იმ საღამოსვე და ხოგაის აღარ სჩვენებია. საჭმელს სამძივარი უზიდავდა: მივიდოდა, კალათს სამრელოს კართან დაუდგამდა და გარედან ანუგეშებდა სვეუბედურ მულს, ვინც საშოთი მაცილის ნაყოფს ატარებდა... ხოგაის ზნე და ხასიათი გამოეცვალა: გახდა, დაიკუშტა, გარეთ იშვიათად გადიოდა და მაშინაც სამამაკაცო საქმეებში არ ერეოდა; უმეტესად ყვერფნის პირას იჯა და ცეცხლს ანიტებდა. ქავ-ციხის ბნელ ოთახებსა თუ სათავსებში კი ბნელი ლანდი დაძრწოდა, მოუცილებელი ხითხითი რომ სდევდა თან... ხოგაი თითქოს ცხადად ხედავდა მაცილის მკერდიდან ალმომსკდარ სიცილს, წყალივით რომ ჟონავდა ნესტიანი კედლებიდან და თითქოს დაღრჩობას უპირებდა გარს მორევივით შემომდგარი; ხედავდა თავის უძლურებასა და გააფთრებას, მოცეკვავე ხანჯარს, ყვერფნის ქვაზე რომ ხტოდა და იწმახნებოდა მის გამოსაჯავრებლად; ძილი გაუტყდა და შეთიანივით წამოვარდნა და ძახილი დასჩემდა... იმ ზამთარს კურატი და რამდენიმე თიკანი დაუკლა ხატს, შემწეობა სთხოვა... ლანდიც თითქოს გაუფერულ-



მხატვარი ინა ჭელიძე

და და გაიმქრა, ქავ-ციხის სქელ კედლებშიც იშვიათად ატანდა იქედნური ხითხითი, სანამ მზე საბოლოოდ იძალებდა და თოვლთან ერთად შიშსაც ამოაშრობდა ხოგაის ეზო-კარიდან... ხატმა თუ მიშველაო, პირჯვარს იწერდა კაცი და მხნეობა უბრუნდებოდა... თითქოს ავი და უჟმური ძილისგან ერკვეოდა, ლეთარგიული თვლემისაგან; თითქოს ხელახლა ამოდიოდა სამზეოზე ქვესკნელიდან, სადაც ლანდებსა და მოჩვენებებთან იმყოფებოდა ეს ხანი... ძალმოცემული მზე კი სულ უფრო მაღლა იწევდა და დღეც თვალდათვალ მატულობდა; ბნელი იკლებდა, პატარავდებოდა, სიმკვრივე უნელდებოდა, სანამ დღე და ღამე ტყუპისცალებივით არ გაუტოლდნენ ერთმანეთს... და აჰა, ბუნიობის ჟამს, მზექალმა ვაჟი შვა - ქერა, ცისფერთვალა და მსხვილტუჩა, ვისაც ნიშანწყალიც კი არ გამოჰყოლოდა ბანჯგვლიანი და ტლუ მამისა... ერთი ეგ იყო, მარჯვენა მხარზე ტყირპი უჩანდა: წურბელის მსგავსი, შავფერი, ბალღის კანს საცეცებით ჩაფრენილი... ბიჭს მგელიკა დაარქვეს და უპოვარ ქვრივს მიაბარეს გასაზრდელად, მზექალი კი შირაქში გაათხოვეს რკინიგზის დარაჯზე... მული სამძივარმა გააცილა - ხოგაიმ დის ნახვა არ ისურვა, ზემო სართულის სარკმლიდან უცქერდა დაბღვერილი, როგორ გადაიარა ყუდრო-კარი იმისმა სისხლმა და ხორცმა, ვისაც ჯილაგი შეერცხვინა და ავსულთან ზიარებით სამუდამო შიში და შფოთი ჩამოეგდო მყუდრო საბუდარში, მანამდე ხოგაის ქავ-ციხე რომ ერქვა სახელად...

* * *

ერთი წლის შემდეგ, ისევ ბუნიობას, სამძივარსაც ეყოლა ბიჭი. ნანინანატრ პირმშოს მინდია დაარქვეს, სამძივარი კი ნათელისძეს ეძახდა მოფერებით და ავსულთა გასაბუცებლად, რათა იმათ ახალშობილი არ გაეთვალათ - ბიჭის გაჩენამდე ხომ სამძივარს მუცელშივე უწყალდებოდა ნაყოფი. ვაჟის გადასარჩენად ხოგაიმ ხევსურთა ღვთაებას მსახურად აღუთქვა შვილი და ხატის კარს საკლავი და ლუდი მიიტანა ძღვნად. ბიჭი ჯანმრთელი და საზრიანი იზრდებოდა, ოღონდ სისხლი ამიზეზებდა; ნათლობისას, როცა ხევისბერმა შუბლზე კურატის სისხლი წასცხო ჯვრის სახედ, ბალღი ჩაბჟირდა... ისე გააფთრებით ტიროდა, აღარ ეგონათ თუ გადარჩებოდა, რაღაი უსასოობამდე მისული ტირილი ლამის უფლეთდა პაწია ფერდებს, ხელ-ფეხს იქნევდა, იჭაჭებოდა, უნიათო კოსერს ძაბავდა, თითქოს ხევისბერის სისხლიან თითს უნდა თავი მოარიდოსო, მის შუბლზე რომ აღებეჭდა სამარადჟამო ნიშანი ზვარაკის სისხლით; ქერა ღინღლით ძლივს შემოსილ თავს აქნევდა ჩვილი, პაწია მუშტებს კუმშავდა და მჯიღი უთეთრდებოდა დაძაბულობისაგან, სახე კი წამოსწითლებოდა და ხამი ხმით ღნაოდა თვალდახუჭული, რაკი თვალის ახელა ვერ გაებედა თითქოს, იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე მიწაზე გაგორებული კურატის მოჭრილი თავი რომ არ დაენახა, არ შეეხედა პირუტყვის მოხუჭული ქუთუთოებისთვის, შავი ნესტოდან გადმომავალი სისხლის ზორტისთვის, მოლზე სისხლის მუქი ალუბლისფერი გუბისთვის, რომელშიც მთვრალ ხევისბერს ბანდულიანი ფეხი უცურდებოდა, და ლამის ზედ გადმომხობოდა ატირებულ ყრმას, მაგრამ მაინც თავს იმაგრებდა არყით გაჟინჟღილებული თუ დაკლული ზვარაკის სისხლის ოხშივრით მთვრალი და მხოლოდღა ავბედით ჩრდილს ჰფენდა ბალღს, სისხლში ამოწებილ თითს უტურტურდებდა თავზემოთ, რათა სისხლითვე გამოესახა იმის ნათელ შუბლზე ნიშანი რამ ზიარებულისა, ხატისთვის შეწირულისა, რადგან ხატს სწყუროდა სისხლი - აკი უამსისხლოდ ჩვილი ვერ იცოცხლებდა, ვერ ივლიდა სამზეოზე, თუკი ღვთისშვილნი, ვისი მფარველობისთვისაც ხოგაის მიენდო ვაჟი, სანაცვლოდ სულიერის, სხვა ცოცხალი არსების თხიერს არ შეიწირავდნენ...

— ხატიმც გიმწყალობნებს, ხოგაი, საკლავს შაგიწირავს, მეოხად გექმნეს, მეხვაიშნედ! - დალოცა ხევისბერმა და ჩვილს ხავსივით მღიერი ბალნით შემოსილ ტიტველ თავზე მძიმე ხელისგული დაადო... ბალღი გაყუჩდა, გაირინდა, თითქოს ტირილმა ძალა გამოაცალა ან ბალღური ჭკუით მიხვდა თავისივე უძლურებას. მიცვალებულივით ესვენა მამის მკლავებზე და აღარ სუნთქავდა - მამასაც აგრე ეგონა, მოკვდაო, სანამ ხევისბერის რჩევით ცივ წყალში არ ჩასვეს უმოძრაო და უსუნთქველი; მაშინღა ამოისლუკუნა პატარამ, ამოიჩხავლა და წყლით განბანილს ნელინელ მოუვიდა სიცოცხლის ჯავარი; სისხლიანი ჯვარი მაინც კარგა ხანს შერჩა შუბლზე, რალაი გამბანავი ცდილობდა წყლისთვის მოერიდებინა ბიჭის შუბლი და ხევისბერის დასმული ნიშანი დროზე ადრე არ ჩამოერეცხა...

ამიერიდან ხევსური იყო ესეც, ხატის მონა და მსახური, ხატის მოიმედე, ღვთისშვილთა მფარველობას მინდობილი; ოთხ წლამდე თმა არ მოუკვეციათ მისთვის, თეთრი პერანგი არ გამოუცვლიათ, მერე კი ალთქმისაებრ, ხატს მიჰგვარეს მსახურად... ხევისბერის მეთვალყურეობით იზრდებოდა, მასავით ხატისთვის შეწირულ ყრმებთან ერთად, ასკეტურ მორჩილებასა და საწესო რიტუალებს სწავლობდა დედ-მამას მოშორებული, რათა ღვთის მსახური შექმნილიყო შემდეგ... ერთფეროვან დღეთა შორის მკვრივდებოდა ბიჭის ცვილივით რბილი შეგნება, ითვისებდა, ისრუტავდა ქვეყნიერების ხმებსა და ფერებს, ზესკნელ-ქვესკნელის ამბებს, სულიერთა არსს, საგანთა რაობას... თანატოლებისაგან განრიდებული უკვირდებოდა ხეს, ბალახს, მღილს, წყალსა თუ ვარსკვლავს, რაკი იცოდა, რომ ამქვეყნად ყოველივეს სული უდგას, ყოველივეს ენა აქვს და თავისი საწუხარი... აკი ესმოდა უსულოთა თუ უასაკოთა ნაუბარი, მათი დარდი, მათი ვარამი... დაკარგულივით იყო უსასრულო ცასა და ვრცელ მიწას შორის გამოკიდული, კენჭი რამ მცირე, მღილზე უმღილესი, შიშით დაზაფრული... კუშტი და უშქარი ლანდი დასწოლოდ იმის ბალღურ ცნობიერებას, ალყაში მოექცია, შემოსჯაროდა... ხევისბერი ავსულებითა და კუდიანებით აშინებდა ყრმებს, მერიგე ღმერთის უძლეველობას შეაგონებდა, ღვთისშვილთა მფარველობის მოიმედე... ბიჭის შეგნებაში კი ცთომილი ნაპერწკალივით ენთებოდა სულ სხვა საწუხარი, არარა ხორციელს რომ არ ანამებს აგრე მწარედ, ადამიანის მეტს: კაცის მარტოსულობა, მისი დაკარგულობა, ეულობა მისი... შენივთებოდი თუნდაც ქვეყნიერების სულს, მრავალსახედ რომ განფენილიყო მიწის პირზე, მაინც მარტო იყო ადამიანი, სხვა სულიერთაგან გამორჩეული, სხვებზე უბედური... უმწეობისა და უსუსურობის შეგნება მუშტებს აკუმშინებდა ბიჭს; ნავიდოდა, დაწვებოდა მინდორში მუხის ქვეშ და ასცქეროდა ცას, რალაცის მომლოდინე და მოდარაჯე... მუხა დინჯად აშრიალებდა ფოთლებს და ყრმის სმენასა და მოლოდინს უნანავებდა... მინდიასაც ძლიერ უყვარდა ეს ბებერი მუხა, მფარველად მიაჩნდა, მეგობრად... სოფლის ქალ-რძალს შიბებითა და ფერადი ნაკუწებით მოერთო ხის რტოები და შორიდან უძველეს კერპს ჰგავდა ოლედ მდგარი ხე მწვანე მინდორზე... შემწეობას სთხოვდნენ, ნატვრათა ასრულებას, ხვაშიადის ახდენას, მინდიას კი არაფერი სურდა მეგობრისაგან, არც მფარველობა, არც სიმდიდრე, არც ბედის სინებივრე... შემიფარე და მესაიდუმლედ მეყავო, ეჩურჩულებოდა და დაკოჟრილ ტანზე უცაცუნებდა ხელისგულებს... მუხაც თითქოს დასტურის ნიშნად აქანავებდა რტოებს, რალაცას ბუბუნებდა, რალაცის თქმას ლამობდა და ბიჭიც წუხდა, დარდობდა, ხეში დავანებული სულის ნაუბარს რომ ვერ ჩანვდენოდა, ვერ გაეგო, ვერ ამოეცნო... მაინც ელოდა იმედიანი, ერთიც იქნება, სული დამენახვებაო და აკი დაენახვა კიდეც, — ერთხელაც ხის ქვეშ მწოლს, ჭრელი გველი გადმოუცურდა ხიდან... მინდიას ჯერ ქალის მანდილი ეგონა, ვილაცისგან დანატოვი - რტოსთვის შეუბამთ და ნასკვი თუ შემოხსნია, იმიტომაც მოსრიალებს მუხის ტანზე აგრე უჩუმრადო, მაგრამ მერე კი მიხვდა თავის შეცდომას, როცა უხსენებელი მის თავზემოთ ტოტს გადმოეკიდა და ორკაპა ენა აასავსავა... ბიჭი მონუსხულივით აჰყურებდა ქვეწარმავალს, ხმა ვერ გაელო, დადუნებულიყო, დამბლა დასცემოდა თითქოს... გველი კი უკვე შუბლს დასწოლოდა ლამის, გიშერივით თვალი უბრჭყვიალებდა, თავი აელო და ბიჭს კეთილმოსურნედ უცქერდა... ენას აღარ ამოძრავებდა, გაირინდა, გატვრინდა, ხის ტოტივით ჰაერში გადმოკიდული და შორიდან დამნახავს ასე ეგონებოდა, მუხას ჭრელი რამ ხმელი შტო გამობმიაო... ბიჭი დადუნდა, მოიღვენთა, ტანი გაულხვა, ხის ძირას ჩაიხვენა და მსხვერპლივით უნიათო ელოდა ქვეწარმავლის თავდასხმას, როცა უეცრად იჭექა მოწმენდილ ცაზე და მუხას მეხი დაეცა... მინდიას ყურთასმენა დაუხშო მეხის ჭექამ და მერე ალარაფერი გაუგონია...

მოგვიანებით ის მწყემსებმა იპოვნეს დამეხილ მუხასთან, სრულიად შიშველი და უვნებელი... მეხს მხოლოდ სამოსი შემოეცლია ყრმისთვის და არკი ევნო, არ დაეფერფლა, არ დაეწვა უმწეო ბალღი; განაკაწრიც არ ეტყობოდა, თმის ღერიც არ ჩამოვარდნოდა... ხევისბერმა ცუდად ინიშნა ეს ამბავი, ხოგაი დაიბარა და შინ გაატანა ბიჭი, ცოტა ხნით ხატის თვალს გაარიდეთ, ვინ იცის გამწყრალია ბალღზეო... შვილის საოხად ხოგაიმ ნასუქი ხარი დაუკლა ხატს, მაგრამ მინდია იმის კარზე ალარ გაუშვია, რადგან მალე ქვეყანა აირია და ღვთიმსახურებისთვის ალარავის ეცალა...

* * *

მინდია იმ დროს ათი წლისა იქნებოდა... თვალტანადი ყმაწვილი დადგა, საზრიანი, დაუზარელი. მამას სანიადაგო საქმეებში ეხმარებოდა და სანადიროდაც დაჰყვებოდა, ოღონდ ნადირისთვის არასოდეს უსვრია და ვერც ნადირობა შეაყვარა ხოგაიმ. ბიჭს უფრო სწავლისკენ უწევდა გული. სოფლის ხუცესმა ხარის ბეჭზე ასწავლა წერა-კითხვა, მერე კი, ყრმის საზრიანობით გაოცებულმა, ხოგაის ურჩია, ბარად

გაეგზავნა შვილი სასწავლებლად, მაგრამ ხოგაის ვაჟი არ ეთმობოდა; ეგეც არ იყოს, ხატისთვის შეეწირა და ალთქმას ვერ გადავალო, იუარა, პირობას ვერ დავარღვევ, რალაი ხატის ძალით თუ იცოცხლებს ბიჭი, იმის შემწეობას მინდობილიო... ვინ იცის, ხევისბერადაც სჭვრეტდა ბიჭს, თემის მფარველად და ადათის მცველად; ამიტომაც ხშირად გაუბამდა ხოლმე მინდიას საუბარს ღვთისშვილთა ზნესა თუ უნარზე, ხატის ძალასა და მერიგე ღმერთის დიდებაზე, შეაგონებდა ხევსურთა მფარველი ღვთაებებისადმი მორჩილებას, იმათი ნების უსიტყვო აღსრულების აუცილებლობას; თემის თითოეული წევრი უნდა დაჰყაბულებოდა ხატის ბრძანებას, ადათი არ მოეშალა, წესი არ დაერღვია, თუ არა და უბედურება არ ასცდებოდა თემს: ზვავი, შიმშილი და სახადი გასწყვეტდა ხალხს, სნეულება დაამლიერებდა, დოვლათი და ბარაქა დაეშრიტებოდა, გვარი გადაჯიშდებოდა და დაკნინდებოდა, სანამ ხატის ნება არ აღსრულდებოდა ისევ, სანამ ღვთისშვილთაგან დადგენილ ადათსა და მცნებას არ დაიბრუნებდა თემი, სანამ ღვთის სიტყვას არ ირწმუნებდა...

- ვინ ამცნობს მერე, მამავ, ღვთისშვილთა ნებას ხალხს? - ჰკითხავდა მინდია.

- ხატის მკადრე, იმის პირით მოლაპარაკე, ღვთისშვილთა ხელკაცი და მოენე... ვინძლო, შენც ეგ იყო, მინდი, - აკი ხატისთვის შემიწირავს შენი თავი...

- არ მინდა.

- ჩონ ვინ გვკითხავს, რაი გვინდა და რაი არა... ხატი თუ დაგიჭერს, ვერ წაუხოლ.

მინდია შეშინდა... ხევისბერიც ამასვე უბეჯითებდა და იცოდა, ეგ სიმართლე იყო... აკი იმათ თემშიც ცხოვრობდა ერთი ეგეთი უარმყოფელი ხატის წესისა, ვინაც ხატს თავის ქადაგად აერჩია, ნიშანი მიეცა და ამას კი არ მოენდომებინა, უარი ეთქო... ამიტომაც ხატს იმისთვის ცოლ-შვილი და საქონი ამოეწყვიტა, უპოვრად დაეგდო, უპატრონოდ - სოფლელები ერიდებოდნენ იმის სახლ-კარის ახლო გავლას და მინდიაც, სხვა ბალღებთან ერთად, კარგა ხანი ვერ ბედავდა ხატისგან შერისხულის ეზოში გადაეხედა, თუმცა ერთხელ მაინც გაჰბედა და ისიც იხილა - მწუხარებით დადრეკილი, მხრებში მოხრილი, სვეუბედური... კაცი ეზოში იჯდა და წალდით ხის ტოტს სთლიდა ანგარიშმიუცემლად, უგულოდ, დარდის გადასაყოლებლად... დაკონკილი ჩოხა ეცვა, ფეხზე ჯლანი ემოსა, თმა-წვერი მოუვლელობით აბურძგნოდა... ქათამი არ ყიოდა და ძროხა არ ბლაოდა იმის ყუდრო-კარში, სულიერის ჭაჭანება არსად იყო... შრამელები მონგრეულიყო, სახლი წამოქცევას ეპირებოდა და იქაურობა ისე გაპარტახებულიყო, თითქოს არავის ეცხოვროს, არავის დაედგას ფეხი, არ ემუშაკოს... ხატს დაექცია და დაენელებინა მანამდე მუყაითი ხევსურის საცხოვრისი და რამდენიც არ უნდა ეცადა, ველარც ცხვარ-ძროხას გაიჩენდა და ველარც ცოლ-შვილს მოეკიდებოდა ჯერაც ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი: ჭირი ისევ გაუწყვეტდა საყოლს, ამოშენებულ ფუძეს ფარული ძალა დაუქცევდა, მოარული კი აკვანშივე მოუკლავდა მემკვიდრეს... ამიტომაც იჯდა მორჩილი, ბედის მიმყოლი, წალდს აჩაკუნებდა და ნაფოტებს აყრევინებდა სარს, მერე კი წამოხტა და წალდი მოუღერა ცას... ბრაზისა და თავგამეტების მეტი აღარაფერი შერჩენოდა, მუქარითა და ყვირილითღა იოხებდა გულს, ხატს ამუნათებდა ასეთი არაადამიანური სასჯელის გამო, მაგრამ ხატს რას დააკლებდა იმისი ჩივილი თუ წალდის ქნევა?! სასჯელს ვერ შეაცვლევინებდა და ვერც მიიმხრობდა ღვთისშვილთ, რადგან მერე რაღა ძალა ექნებოდა იმათ ბრძანებას, თუკი ადამიანს სიკერპეს შეარჩენდნენ?! თუნდაც ხმის ჩახლეჩამდე ელრიალა, თუნდაც დღედაღამ ექნია წალდი - ხატი ნირს არ შეიცვლიდა, განაჩენს არ გააუქმებდა, ადათის მდინარებას არ შეშლიდა... თუ მაინც არ დაჩუმდებოდა, სულაც გონებას წაჰგვრიდნენ კაცს, შეთად აქცევდნენ: ხევ-ხევ მობორიალე უმიზნო არსებად, სადმე ღრანტეებში რომ უნდა ჩახაფრულიყო ღვთის მგმობელი და დამმუნათებელი...

აი, რა ენახა ყმაწვილს, მამის წინ რომ იდგა შეურვებული და იმის დარიგებას ისმენდა. ხოგაი ყვერფნის წინ ყალივანს აბოლებდა, სრუტნიდა, ცეცხლს აწიტებდა და შვილს ქვეყნიერების შესაქმეს უყვებოდა...

- უწინ მერიგე ღმერთმა ცა და ხმელი დაჰბადა. - ცეცხლს და მინდიას უთხრობდა ხოგაი, - იმათ მოწესედ კი ხმელთმოურავი დააყენა, ზეცაში კი ღვთისშვილნი უფლობენ... ცა სავაჟკაცო ალაგ ას, ხმელეთს დედათმდებიარედ ვიტყვით... მაგრამ, რაი არს დედაკაცი უვაჟოდ? არც რაი... ცა წვიმას გვიგზავნის, ვეჟო, ხმელი მწვანვილს აღმოაცენებს... კაცთა ცხორების წესი კი ციდან გვეუწყება ღვთისშვილთა პირით.

- ბევრნი არიან, მამავ, ღვთისშვილნი?

- თითოეულ თემს თავისი მფარველი ჰყავნ, მინდი... იმის ყმები ორთ ყველანი...

და უკვე მერამდენედ, შვილს მოაგონა ხოგაიმ, რომ ღვთისშვილნი თავიანთი მოენის სახით ელაპარაკებიან ხალხს, თავიანთ ნებას ამცნობენ, ადათს ჰკარნახობენ... შენც მაგნაირი სიტყვის მკადრე უნდა იყო, ხატის ნების ამსრულებელიო...

მინდია მამას შესცქეროდა და მოენეს როგორღა ირჩევენ ღვთისშვილნიო, ჰკითხა მერე... ნუთუ ყველა არ გამოდგება ხატის მკადრედ, ხატის ხელკაცად...

-ნწუ, - ცეცხლს ჩააფურთხა ხოგაიმ, - ხატის სურვილს ვერავინ შაიცნობს... ზოგს რომ მოენედ გახდის, ზოგსაც შეთად, როგორც იმ შენს აბიკას, ხატს რომ არ უყაბულა ქადაგობა... ბრიყვ კაც ას, აბიკაი, ბრიყვ...

მინდიას უსამართლობად მოეჩვენა მამის განაჩენი და იქნებ აბიკას ხატის სამსახური ეძნელებოდა, იმიტომაც სთქო უარი ქადაგობაზე, იმიტომაც არ იყაბულაო, შეჰკადრა მამას...

ხოგაი გაირინდა, ყალივანი ხელში გაუშეშდა. შვილისთვის არ შეუხედავს, ცეცხლს დაელაპარაკა თითქოს... ხმა მწუხარე და ნაღვლიანი ჰქონდა... ღვთისშვილთ ჩვენი სიკეთე უნდათო, თქვა... იმიტომაც ირჩევენ მოენეს, რომ იმან თემს წესი და რიგი გაუმხილოს, თორემ უამისოდ არეულობა იქნება და თემი ამოწყდებაო, დაარიგა შვილი... ამან კი აღარაფერი უთხრა მამას, უჩუმრად გამობრუნდა და მინდორში გაიქცა ხეებთან სალაპარაკოდ - იმის იმედით, იქნებ იმათ მაინც გაემხილათ ქვეყნიერების საიდუმლო, თუკი იცოდნენ რამე...

* * *

ქვრივ მძიმიას სოფელს მოშორებით ჰქონდა ეზო-კარი. იმის ეზოზე ჩავლისას მინდიას ხშირად უნახავს ბექზე გადმომდგარი მგლისთვალა ბიჭი, უტიფარი მზერით რომ მიაცილებდა გამვლელ-გამომვლელს... მინდიასაც უგრძვნია ბიჭის ავი მზერა, თუმცა ვერ ხვდებოდა, იმისთვის რა დაეშავებინა, რად უცქერდა ბიჭი ასე ზიზლით... თითქმის მინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიას ტოლი იყო და სოფელში ყველა ქვრივის ბიჭს ეძახდა... თემისგან გაკიდეგანებულიყვნენ ქვრივი და ბიჭი, არავის ეკითხებოდნენ, არ მეზობლობდნენ და თემიც მოშორებას რჩეობდა იმათგან, რაკი ბიჭს თითქოს კოჭებშივე ეტყობოდა ავკაცობა... ნადირის სიველურე და უტეხობა გამოკრთოდა იმის იერში, მსხვილ ტუჩებში, მოქურუხებულ წარბებსა და ფოსფოროვან თვალებში... ხელმრუდი იყო ბიჭი, ავზნე, უჯიათი და შეუპოვარი, თავს არავის დააჩაგვრინებდა, უმიზეზოდ ჩხუბი უყვარდა და მეტოქეს გამეტებით სცემდა, რალაცნაირი გააფთრებით, ადამიანისადმი ზიზლითა და სიძულვილით... გადაუდგებოდა წინ სოფლის ბიჭებს, დასცინოდა, სამტროდ აქეზებდა; სუსტებს ნაუთაქებდა, გულადებს საჩხუბრად იწვევდა... რამდენჯერმე მინდიაც გაიპატიჟა საჭიდაოდ, მაგრამ მინდია გაეცალა, გაარიდა თავი... შიშით როდი მოსვლია - ჩხუბი არ უყვარდა; არადა ხვდებოდა, ქვრივის ბიჭი საბაბს ეძებდა, მერე რომ სისხლიანი დაკა-დაკა გაემართა და დაელილავებინა მტერი... აკი მტრად მიაჩნდა გარშემო ყოველი: ადამიანიც, ცაც, მიწაც, ქვაც და ღრუბელიც...

ახლაც ყეინივით გადმომდგარიყო ბექზე, ვინმე მოშულლარს უცდიდა... მინდიამ შორიდანვე იგუმანა ხიფათი, გვერდის ავლა დააპირა, მაგრამ ქვრივის ბიჭმა ბექი ჩამოირბინა და ვიჭიდავოთო, მკვახედ მიაძახა, თან მინდიას არ აცილებდა მგლის მზერას...

მინდიამ თავი დალუნა და განზე გადგა ბიჯი.

- ლაჩარი ყოფილხარ, - დამცინავად უთხრა ბიჭმა და ხელი ჰკრა.

მინდია თავდალუნული ეძგერა — უხმოდ, უძლური გააფთრებით, როგორც ბნელ ღამეში უნახავ კარს დაეძგერებიან ხოლმე... ცრემლი აწვებოდა ყელში, ქვითინი ალრჩობდა, რაკი იცოდა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაძგერებულები; სისხლი უნდა დათხეულიყო, კისერი უნდა გადაემტვრია ერთ-ერთს მოწინაალმდეგისათვის ან ისე დაესახიჩრებინა, რომ ველარ შესძლებოდა წამოდგომა და მტერზე კვლავ ხელის ალმართვა; ქვრივის ბიჭი ლონიერი იყო, მაგრამ მინდიას გააფთრებამ შეჰმატა ძალა, თითქოს მარტო თავისთვის როდი იბრძოდა, არამედ ქვეყნიერებისთვისაც; ქვრივის ბიჭს კი არ ებრძოდა, ადამიანის ზიზლსა და სიძულვილს ერკინებოდა - ყოვლისწამლეკავ სიძულვილს, რომელიც ადამიანურ რაობას მიწაში სვრის და აქარწყლებს... კაპასად ეჭიდებოდნენ ერთურთს და არ ინდობდნენ გაავებულნი: მიწაზე ათრევდნენ, თავ-პირს მუშტით ულეწდნენ, თმას აგლეჯდნენ... ქვრივის ბიჭმა მაინც აჯობა, ქვეშ მოიგდო ხოგაის ძე, ყელში ხელი წაუჭირა და დალრჩობა მოუნდომა, მაგრამ მინდია არნახული გააფთრებით დაუძვრა მოძალადეს, თავად მოიქცია ლაჯქვეშ, თმაში წაავლო ხელი და ცხვირ-პირი მიწაზე დაახლევინა, თან მტვერში გაგლესილ ლოყაზე უძლურებისა და სინანულის ცრემლი სდიოდა... დაბინდული თვალით წაქცეულ ბიჭს როდილა სჭვრეტდა - თითქოს საყოველთაო ბოროტებას ხედავდა წაქცეულსა და პატივაყრილს, სიბნელით შემოსუდრულს, ქვესკნელისკენ დაზიდულს და იქით გამწესებულს, რადგან ასე ეგონა, მიწა გაირლვევა და თან ჩაიტანს თავისგანვე შობილ უკეთურებას, რათა ქვეყნიერებაზე ალარ იბოგინოს უმიზეზო სიძულვილმაო...

ვილაცის ლონიერმა ხელმა ჰაერში ასწია გააფთრებული და გრძელი ლანდი ჩადგა მოჩხუბართა შორის... მინდიამ ცრემლი მოიწმინდა... მწითური, ახმახი კაცი დასწვდენოდა მხარში, რალაცას ეუბნებოდა უცხო და გაუგებარ ენაზე, მერე წაქცეულს მიათითა ხმელი და ჭორფლიანი თითი და ისევ რალაც შესძახა იმ თავის გაუგებარ, მაგრამ მშობლიურ ენაზე... აქაურობისთვის უცხო და უცნაური ვინმე ჩანდა: მალალი, ჭოკივით გამხმარი, წვრილმკლავა და დიდფეხება... მწითური თმა ბუჩქივით ადგა თავზე, სახე ჭორფლიანი ჰქონდა და გრძელ ცხვირზე სათვალე დაეკოსებინა... მინდია რომ გააშორა მოშულლარს, ახლა წაქცეულ ქვრივის ბიჭს დასწვდა ასაყენებლად, მაგრამ იმან ხელი აუქნია გაავებულმა... უცხოელმა ისევ რალაც წამოიძახა და მკლავი ქვრივის სახლისკენ გაიშვირა: ალბათ, ბიჭს ანიშნა, აქაურობას გასცლოდა... ქვრივის ბიჭიც წამოდგა და უცხოელსა და მინდიას ზიზლით გამოხედა... ნადირის ფოსფორული ნათება გაკრთა იმის თვალში, სახე დაემარნა, ტუჩები ზიზლით დაემანჭა... ტირილი თუ უნდოდა უძლურებითა და გვემით შერცხვენილს, მაგრამ მყისვე იბრუნა პირი და მტვერში კოჭლობით წაჩლახუნდა ქვრივის სახლისკენ... ბეჭზე ჩამოფლეთილი პერანგიდან მოზრდილი ტყირპი გამოუჩნდა - ცოცხალივით მოძრავი და ზლარბივით მობლუნძული, ფითრივით რომ ჩაფრენოდა ბიჭის ზურგს...

უცხოელმა იქვე მიყრილი ხელჩანთა და პეპლების საჭერი ბადე აილო და მინდიას სუფთა ქართულით ჰკითხა, სად ცხოვრობო... ზემოდან დაჰყურებდა ხოგაის ძეს, სათვალის მინები უელვარებდა და ობელისკს თუ მონუმენტს ჰგავდა - უშფოთველობისა და ფარული გულზვიადობის ნიშანსვეტს, უეცრად რომ ამოზრდილიყო ხევსურეთის მწირ მიწაზე...

მინდიამ უხმოდ მიუთითა ხოგაის ქავ-ციხე.

- წამიყვანე, ბიჭო, იქ, - ყინულივით ცივი ხმით უთხრა უცხოელმა და წაუბიძგა მხარში, მერე წინ გადაუსწრო და წეროსავით გაალაჯა; არ მოუხედავს, ბიჭი მისდევდა თუ არა...

ხოგაიამ კეთილად უმასპინძლა სტუმარს - ხინკალი აჭამა და ლუდი ასვა, როგორც აქაურ წეს-ადათს შეჰფეროდა... უცხოელი გერმანელი გამოდგა, გვარად ვილანდი; ამ მხარეში ძველი ზლაპრებისა და არაკების ჩასაწერად გადმოსულიყო დიდოთა ქვეყნიდან, თან იშვიათი ჯიშის პეპლებსაც გადმოჰყოლოდა, რაკი მწერთა კოლექციასაც აგროვებდა თურმე ეთნოგრაფიასთან შეთავსებით... გვიან ლამემდე უსხდნენ ტაბლას სტუმარ-მასპინძელი და ჰყვებოდნენ მთა-ბარისას, მერე ლუდნასვამი უცხოელი კოშკის თავზე ავიდა...

- მაძახურს თუ ელაპარაკება, - წაიბურტყუნა ხოგაიმ და ცეცხლში ჩაანიტა, როცა უცხოელის ღალადი მოესმა ზემოდან.

- რა უნდა, მამავ, იმ კაცს მაძახურასაგან? - ჰკითხა მინდიამ მთვრალ მამას, რომელსაც დაჰვიწყებოდა შვილის წელანდელი ყოფა, გალახული და ნაცემი რომ მოუვიდა შინ და იცრუა, ფლატედან გადმოვარდი და დავშავდიო; აკი ნათქვამი უცხოელმაც დაუდასტურა და ხოგაიც ალარ ჩასციებია ვაჟს, არ გამოუკითხავს დაწვრილებით, მართლა ფლატედან ჩამოვარდნილიყო თუ ჩხუბით მოსვლოდა დიდი მარცხი... ეს რომ შეეტყო, იქნებ შემკრთალიყო მამის გული, რალაი მაშინვე ინიშნებდა ავსა და ხიფათს - ყველაზე უკეთ ხომ ამან იცოდა ქვრივის ბიჭის ვინაობა და სადაურობა და თავადაც ედო ბრალი იმის ამქვეყნად გაჩენაში... მაგრამ ხოგაის არაფერი უგუმანია, იჯდა, თვალებს ბლიტავდა და ცეცხლს აფურთხებდა:

- იმას ზღაპარივ ხგონავ მაძახურაი, - ამბობდა ბოყინით, ლუდით მუცელგამობერილი, - როდი იცის, თუ გაიტყუა, შაჰბოჭავს და აღარ გამოუშვებს...

მერე ცოლს გასძახა, ძაღლები აუშვი და ქავის კარი ჩარაზეო...

- ჯადო ხმა აქვს მაძახურასა, ჯადო, - ისევ ცეცხლში ჩაანიტა კაცმა.

მინდია გასუსული იჯდა ყვერფნის პირად და უშიშარ უცხოელზე ფიქრობდა, ვისაც არ ეშინოდა მაძახურასი - იმ მავნე და ავსული მაცილისა, ვის წინაშეც აგრე რიდით კანკალებდნენ ხევსურები და ღამე შინიდან არ გამოდიოდნენ... ღამით მოდის მაძახურა და თავისი ჯადო-ხმით სახლიდან კარში გაჰყავს კაცი, რათა დაჰკარგოს და ავნოს, მაგრამ უცხოელს კი ვერ მორევნოდნენ ავსულები - ალბათ იმიტომ, რომ იმას თავისი ღვთისშვილები იფარავდნენ მტერთაგან... ბიჭიც იმას ფიქრობდა, ხვალ მივალ და უცხოელს ვკითხავ, ვინ მფარველობს ავსულთაგანო, მაგრამ დილით სტუმარი აღარ დაუხვდა - ადრიანად წასულიყო, მინდიასთვის კი ფერადი წიგნი დაეტოვებინა საჩუქრად... ფრთახატულა პეპლები და ჭია-ჭუები გამოესახათ იმ წიგნში, თუმცა იმათ არც ფეხი ჰქონდათ და არც საძრაობა, როგორღაც დაგლეჯილ-დანაწევრებული დაეხატათ ფურცლებზე: აქეთ ფეხები და ფრთები, იქით მწერის თვალი ან ტანი... ბიჭმაც ერთი კი შეატრიალა ხელში წიგნი და მიაგდო, დიდად აღარ დაინტერესებულა... ასე ეგდო ობლად ყვერფნის პირას უცხოელის საჩუქარი, სანამ ისევ ხოგაიმ არ გაუჩინა სანიადაგო მიზანი: სათითაოდ ჰხევდა წიგნიდან ფურცლებს და წეკოს ახვევდა, როცა ყალიონის სრუტვა მოეწყინებოდა...

* * *

თოვლი ჩაშრა და ჩაიშრიტა ხევებში და ბალახმა ამოჰყო ყური მთის ფერდობებზე... ელავდა, ქუხდა, ნაკადულების ხმა ავსებდა სოფელს და იშვიათადღა სწვდებოდა აქაურობას მგლის ყმუილი.

დიდთოვლობას სოფელს ერთიანად მომწყდარი ნადირი ხოგაიმ და სხვა მენადირეებმა დათოფეს, რადგან მგლები ხევსურთა საქონელს ეტანებოდნენ და ბაკებში უცვიოდნენ ხალხს... მგლის ტყავები ციხე-კოშკურის ბანზე შრებოდა, თავები კი სარებზე დაჰკიდეს ნადირის დასაშინებლად... ხოგაის ეზო-ყურეშიც კრეჭდნენ კბილებს მარგილზე წამოცმული ნადირის თავისქალები - განსაკუთრებული მძვინვარებით მგლები გაეწყვიტა ხოგაის, შინ მოეზიდა ნანადირევი და ცოცხლადაც მოეყოლებინა მგლის ლეკვი, ბუნაგში მოკლულ ძუ მგელისთვის რომ აეცლია ჯერაც თბილი ძუძუებიდან აწკავწკავებული და აყმუვლებული... მინდია და ლეკვი მალე შეეთვისნენ ერთმანეთს, ბიჭი ლოგინშიც კი ინვენდა ნადირს, რძეს ასმევდა, ბანდა, ასუფთავებდა... ლეკვი ძაღლივით ყეფდა, ეზოში დარბოდა, გამვლელებს კალთაზე კბილით ეკონწიალებოდა... მერე ხმა დაუბოხდა და ქეჩო გაუსქელდა... ტორებზეც შეეტყო მგლობა, აღარც აქეთ-იქით აწყდებოდა, ეზოს კუთხეში იწვა თათებზე თავჩამოდებული და მთებს გაჰყურებდა.

- ტიელ ნადირ ას, ტიელ, - ბურტყუნებდა მგლის ლეკვის დანახვისას ხოგაი და შვილს ურჩევდა, ან დაკარგე აქედან ნადირი, ან დათოფეო... მინდიას კი მეგობართან განშორება ეძნელებოდა, იმის მოკვლას ხომ ფიქრადაც არ გაივლებდა დედისერთა ბიჭი, ვისთვისაც ყოველი ცოცხალი არსება ისედაც ძმა და მეგობარი იყო, არამცთუ თანშეზრდილი ლეკვი... ბრმა და უსუსური ახსოვდა მინდიას ლეკვი, როცა მამამ შინ მოუყვანა საჩუქრად და აგრე ეგონა, მუდამ ასეთი იქნებოდა - ვერ ამჩნევდა, როგორ იჩენდა ლეკვი ნადირის ზნეს, როგორ იცვლიდა ფერსა და ჯავარს, როგორ უსასტიკდებოდა მზერა, რათა შემდგომ სისხლმწყურვალ მხეცად ქცეულიყო; მკვლელად, სხვა არსების სიცოცხლის მომსპობად, ბასრი ეშვით მათი ხორცის მფლეთელი და სისხლის მხვრეპი...

ეძნელებოდა და ყოყმანობდა და სანამ ამ რყევაში იყო, ლეკვი თავისით დაიკარგა. სად არ ეძებეს ხოგაიმ და მინდიამ, მაგრამ ვერსად მიაგნეს... ბოლოს, ვიღაცამ ამბად მოუტანა მამა-შვილს სხვისგან განაგონი, ლეკვი ქვრივის ეზოში უნახავთო...

ხოგაიმ თოფი ჩამოხსნა კაჩხადან და გარეთ გავარდა. მინდია გაჰყვა. ხოგაი გაბრაზებული მიალაჯებდა და მავკლავ იმ უჯიშოსო, ბურტყუნებდა გზადაგზა, ბიჭს კი ვერ გაეგო, ვის ემუქრებოდა კაცი: მგლის ლეკვს თუ ქვრივის ბიჭს... ან იქნებ ორივეს ერთად, რაკი იმის წარმოდგენაში შეერთებულიყვნენ მგელიც და ქვრივის ბიჭიც, შეზრდილიყვნენ, ერთარსად ქცეულიყვნენ და ესეც ალღოთი გრძნობდა ხიფათს, გული ავს უთქვამდა; ამიტომაც მიიჩქაროდა გავეშებული, რომ მიეგნო, მოეხელა ორივე და მყისვე დაეთოფა, რათა სახსენებელიც კი მოესპო მგლისა თუ ქვრივის ბიჭისა, ან ორივესი ერთად, რაკი არ განიყოფოდნენ ისინი, ერთნი იყვნენ, ერთი ზნისა, ერთი ჯილაგისა... მიაბოტებდა გამწარებული და მინდიასაც ეგონა, ქვრივის ბიჭი სადმე დასაკარგავში დაემალება კაცის რისხვასო, მაგრამ ბიჭიც და ლეკვიც ეზოში, მზის გულზე დაუხვდნენ მამა-შვილს... ბექზე ისხდნენ და თამაშობდნენ, აწცობდნენ, ერთურთს ალალებდნენ. თოფიანმა კაცმა რომ ამოიარა ალმართი და იმის უკან ბიჭიც ამოჩნდა, ქვრივის ბიჭმა ლეკვი ხელში აიყვანა და წამოდგა, გაჩერდა დაკოპილი, სამტროდ შემართული... არც შიში დასტყობია და არც დამალვა უცდია - იდგა და უტიფრად გამოსცქეროდა მამა-შვილს...

ხოგაიმ მინდიას წაუქიმუნჯა.

- მიდი, წამაიყვა! - უთხრა და თავად თოფი შემართა, „ლიშანში" ამოიღო ქვრივის ბიჭი.

მინდია კი ფეხშებორკილივით იდგა და ნაბიჯის წადგმა ეძნელებოდა. მერე ცრემლნარევი ხმით წაიჩურჩულა:

- იყოს, მამავ! არ მინდა.

- მიდი-მეთქი, ბალღო! - დაიბუხუნა კაცმა და თოფი ახლა ქვრივის ბიჭის შუბლს უსწორა. იმას ნირი არ შეუცვლია, იდგა, მგლის თვალს აკვესებდა და იქედნურად იღიმოდა.

- მოდით და წაიყვანეთ!.. — თქვა მერე იმავე იქედნური ღიმილით და სახე უცებ ჩაუშავდა, მხეცური სისასტიკის ჩრდილმა გადაუარა.

ხოგაიმ ბრაზით გადააფურთხა, თოფი დაუშვა, ჯავრიანად შეიგინა და გატრიალდა, წავიდა გაცოფებული... მინდია და ქვრივის ბიჭი კი ერთხანს პირისპირ იდგნენ, თვალებში შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე ქვრივის ბიჭმაც ხოგაისავით გადმოაწიტა, ოღონდ ბრაზი და უძლურება როდი მორევია - კმაყოფილმა და გამარჯვების სიამაყით ალვსილმა გადმოაცდინა კბილებს წებოვანი ნერწყვი და ნელა, დამარცვლით თქვა:

- ლაჩარო!

მინდიას ცრემლი მოაწყვა ყელში, თვალი დაუბინდა მლაშე სითხემ და კვლავ ბუნდად აცურდა იმის მზერაში ქვეყანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სიცხის არმურში აცახცახდება ხოლმე მყარი და საგნები კონტურს ჰკარგავენ... ქვრივის ბიჭიც და ლეკვიც უსხეულო ლანდად ეჩვენებოდა, ნაგრძელებულ, მოცახცახე ჩრდილად, ერთურთში ჩანმახნულ სიზმარეულ ჩვენებად, მის ბალღურ ცნობიერებაში ქვეყანა რომ გადაფარა და ყოველივეს გადაეფოფრა... მუჭით მოიწმინდა ცრემლი, თავდალუნული გაბრუნდა და ჩაეფარა დალმართს, თუმცა ზურგში კიდევ დიდხანს გრძნობდა ხანჯალივით მობჯენილ მზერას...

* * *

ხოგაის ორი დღე არ განელებია ქვრივის ბიჭთან შეხვედრით ნაწვნევი მარცხის და უძლურების შეგნება... ეს პირველი იყო, როცა არ იცოდა რა ექნა და რა ენამებინა... იმ საღამოს მარტო გაილეშა არყითა და ლუდით და ნასმურევზე დილაადრიან სანადიროდ წავიდა, თუმცა წესი არ იყო ნამთვრალევზე ნადირის დევნა... ვერც გაუმარჯვდა აქამდე ჩაუქ მენადირეს, კლდიდან ჩამოვარდა და ფეხი ილრძო... საკაცით მოიტანეს შინ და ყვერფნის პირას დაუგეს ლოგინი. იქ იწვა ფეხმტკივანი და ყალიონს აბოლებდა. მინდიაც გვერდით უჯდა მამას, წყალს მიუტანდა, ნალრძობ კოჭზე საფენს უცვლიდა... ქვრივის ბიჭთან შეხვედრის ამბავი არცერთს არ უხსენებია, თითქოს უთქმელად შეთანხმებულიყვნენ, მეხსიერებიდან ამოეწვათ და ამოეშანთათ მტრის ხატი; თითქოს ხსენებით იმას ძალა ემატებოდა და იზრდებოდა, ბევრდებოდა, საზარელი ხდებოდა... ხოგაი ნადირობის ამბავს უთხრობდა შვილს, მინდია ხევსურთა მეზობლად მცხოვრები ხალხების შესახებ ეკითხებოდა მამას - დიდოელთა, ლეკთა, რუსთა შესახებ, ოდითგანვე ხევსურთა მოსაზღვრედ რომ სახლობდნენ.

- დიდოი და ლეკი მტერი ას, - ჰყვებოდა ხოგაი, - საქონს გვტაცებენ, ჩვენი ვაჟკაცები ტყვედ მიჰყავთ.

- რად მტრობენ, მამავ, ხევსურნი და დიდონი?

- მარბიელ ას დიდოი, ქურდი, კანტალი... არც ხევსურნი ვართ ჯაბანნი, ბევრჯერ აგვიტირებია იმათი ქალ-რძალნი...

და ხოგაი ძველი ბრძოლების შესახებ ალაპარაკდა, ხევსურებს რომ გადაუხდიათ მეზობლებთან... მამის ნათხრობით ისე გამოდიოდა, დამნაშავენი მუდამ დიდონი იყვნენ ამ სისხლიან მეშულლეობაში, თუმცა ამათაც, ხევსურებსაც, ბევრჯერ დაურბევიათ თურმე მშვიდობიანი ტომები... მინდიას კი ვერაფრით გაეგო, რად ებრძოდნენ ერთურთს მთიელები ან ვის ჩამოეგდო იმათ შორის შული...

- კაცთა შორის მტრობაც და მშვიდობაც ღვთისგან არი, ვენაცვალე იმის სახელს, - სასოებით თქვა კაცმა, მინდიამ კი ველარაფერი უპასუხა. ღმერთი ხოგაის მთავარი საბუთი იყო - იმის ნება-სურვილზე ეკიდა ქვეყანა, იმისით ბრუნავდა წუთისოფელი... ღვთის განსჯა არ შეიძლებოდა, არც მის მიერ დადგენილი წესის შეცვლა, რომლის ასრულებასაც ღვთისშვილნი ასწავლიდნენ ადამიანებს... ბიჭი ახლა სოფლის ხუცესს დაეკითხა აზრს, ვისგანაც წერა-კითხვა ესწავლა, და იმანაც იგივე უთხრა: უფალმა ხვთისშვილი მოავლინა ბოროტების ალმოსაფხვრელად, მაგრამ ხალხმა იმისი არაფერი იწამაო... ეგ კი არა, ბოროტეულთ ღვთის შვილი შეეპყროთ და ჯვარს ეცვათ, ის კი თურმე იქიდანაც ლოცავდა მწვალებლებს და სიყვარულსა და ძმობას უქადაგებდა... ბოლოს, ხუცესმა იმით დაასრულა, მინდიას ურჩია, თუ ეს ამბები გაინტერესებს, ბევრი უნდა იკითხო და მამაშენს შეეხვეწე ბარში გაგგზავნოს სასწავლებლადო...

თავად ხუცესს მრავალგზის ჩამოეგდო ხოგაისთვის სიტყვა ამის თაობაზე, მაგრამ ხოგაის ხატისა ეშინოდა, ბიჭი იმისთვის შემიწირავს და გამირისხდებაო... თანაც, ცუდი ამბებიც მოდიოდა ხევსურეთის მოსაზღვრე მხარიდან, სადაც დიდი არეულობა შექმნილიყო თურმე - რუსებს ალყაში მოექციათ დიდოელნი და ლეკნი და ისინიც ფიცის კაცებს უგზავნიდნენ ხევსურებს, გვიძმეთ, გვიხვაიშნეთ და რუსი განვაძოთო... საღამოობით ხოგაის ქავ-ციხეში იკრიბებოდნენ სოფლის თავკაცები, ბჭობდნენ, კამათობდნენ... ზოგი რომ მომხრე იყო რუსებთან ბრძოლისა, ზოგს რუსის მეფისთვის მიცემული ფიცი ახსენდებოდა...

- რუსთ ხელმწიფემ ძალით გვითაყვანა, ფიცი უჯერო ას, - კბილების ღრჭიალით ამბობდა წინწანაქარით სახეგაფიჟვინებული ხევისბერი, - ჩვენ სხვა კანოლები გვქონდა, იმან კიდევ სხვა რჯული დაგვიდო წესად...

ხოგაი სტუმრებს ხინკალს და არაყს სთავაზობდა და ცეცხლს აფურთხებდა... სიმართლე არავინ იცოდა, სანამ მოხეტიალე გერმანელი გამოჩნდებოდა ისევ და ამბავს მოიტანდა, სპარსეთიდან მოვდივარ, იქ დიდი ომია და ვინძლო აქამდეც უწიოსო... რუსთა ხელმწიფე და ხონთქარი წაჰკიდებოდნენ ერთმანეთს და ბრძოლის სასწორიც რუსისკენ დახრილიყო... ხოგაიმ მდუმარედ მოისმინა ვილანდის ნათხრობი და ლუდი შესთავაზა, როგორც პირველი გამოჩენისას. გერმანელს განუყრელი ჰერბარიუმი და პეპლების საჭერი ბადე წამოელო, თითქოს იმისთვის ომის ქარ-ცეცხლი არც არსებობდა, თითქოს თავისივე ამბად მოტანილი კაცთაკვლის საზარლობა არ აღელვებდა და ამქვეყნად მარტო პეპლების დევნა იყო უმთავრესი... ხინკალს მადიანად სჭამდა, მუქ ლუდს აყოლებდა, ხევსურეთის ბუნებას აქებდა და ამათ ადათებს იწონებდა. მერე სხვათაშორის ჰკითხა მასპინძელს, ბიჭს რატომ სასწავლებლად არ ჰგზავნიო... ხოგაიმ ვერაფერი უთხრა, რადგან უცხოელს ხატი და ჯვარი არ სწამდა და მასპინძელს სასაცილოდ აიგდებდა, მარტო რაღაც ჩაიბურტყუნა გაუგებრად, ქვეყანაზე ომი გაჩენილა და მეშინია, ბიჭი არ დამეკარგოსო...

- აქ თუ ომია, ევროპაში სიმშვიდეა, - უთხრა გერმანელმა, - ბიჭს მე წავიყვან... თუ, რა თქმა უნდა, თავად მოისურვებს ამას...

მინდია იხმო, მუხლზე დაისვა და ჰკითხა, ჩემი ნაჩუქარი წიგნი მოგეწონა თუ არაო... ბიჭმა ჯერ სირცხვილით ალმურმოდებულმა ჩალუნა თავი, მერე თამამად გაუსწორა მზერა და არაო, უთხრა... გერმანელი შეჩქვიფდა და მიზეზს ჩაეძია, მაინც რა არ მოგწონს, რა გეხამუშაო... მანდ პეპლებიც და ჭიებიც ნაწილ-ნაწილ არი გაგლეჯილი და სული აღარ შერჩენიათო, მიუგო ბიჭმა და უცხოელმაც გულიანად გადაიხარხარა... სიცილისაგან ისე ხტოდა, ბიჭი მუხლიდან ჩამოცურდა, ის კი სიცილით იჭაჭებოდა, მკერდზე ხელს ირტყამდა, თავი ურატრატებდა და სათვალის მინები უბრჭყვიალებდა, თითქოს ჭორფლიან ცხვირზე დაკოსებული სათვალე ცალკე სულიერია და ისიც თავისთვის იცინისო... ბოლით გამჭვარტლულ დარბაზში კიდევ დიდხანს ისმოდა ვილანდის თხისებური კიკინი, სანამ გულს მოიოხებდა და ბიჭს ისევ თავისთან მოიხმობდა.

- სული, ჰა? - ჩაეკითხა მისკენ გადმოხრილი - იცი კი, ბიჭო, სული რა არის?

- რაც გვაცხოვნებს, - ხუცესისგან განაგონი მიუგო ბიჭმა კუშტად, რაკი მიხვდა, რომ უცხოელს მისი გამასხრება გადაეწყვიტა.

27899

- მერედა როგორია ან ვის აქვს სული, ესეც თუ იცი? - არ ეშვებოდა გერმანელი.

- სული ყველას აქვს... მისით ვცოცხლობთ, მისით ვარსებობთ და თუ დავკარგავთ, სამუდამო ცეცხლში ჩავიხაფრებით.

ვილანდმა ისევ გაიცინა, მაგრამ ამჯერად მჭახედ, მოკლედ, თითქოს დამბაჩის სასხლეტი გაჩხაკუნდაო... მერე ჰერბარიუმის ყუთი გახსნა და იქიდან ქინძისთავზე წამოცმული მკვდარი პეპელა ამოიღო.

- ამას თუ აქვს სული?

- ნწუ, - ისევ კუშტად მიუგო ბიჭმა, - მკვდარია უკვე.

ვილანდმა ქინძისთავზე წამოცმული პეპელა ხელში შეატრიალა.

- ესეიგი სული ჰქონდა და აღარ აქვს... სად მიდის მერე სიკვდილის შემდეგ სული?

მინდია აიწურა.

- აქ, - თქვა გაუბედავად, - დაფრინავს ალბათ...

ვილანდმა ახლა მხოლოდ გაიღიმა, თუმცა სათვალის შუშებს მიღმა თვალები არ უცინოდა. მეორე ხელით პეპლების საჭერ ბადეს მისწვდა და ბიჭს მიაწოდა.

- აჰა, მიდი და დამიჭირე ეგ სული, რაკი აქ დაფრინავს!

ხოგაი გაშტერებული უყურებდა გერმანელს, იმან კი მკვდარი პეპელა ყუთში ჩააბრუნა ბადე კედელზე მიაყუდა და მინდიას ცივად უთხრა:

- წამყევი, ბიჭო, და კაცთა სულების დამჭერად გაქცევ.

* * *

ალმოსავლეთით ოდნავ ინათა და მრუმე ჩრდილები დაეფინა მთების კალთებს, თუმცა ხევებსა და ღრმა ალაგებს ჯერაც არ ჩასწვდენოდა მზის შუქი. მთის წვერები ნელი-ნელ ნათდებოდნენ და თავად მთებიც უძრავი სიმშვიდით ეყრებოდნენ სიბნელეს - თვალდათვალ ისახებოდა იმათი კონტურები, მკვრივდებოდნენ, სახიერებას იძენდნენ აქამდის უსახონი და უჩინონი, ბნელს შერთულნი; სინათლის ტალღამ სუდარასავით გადააცალა ქედებს სიბნელის ნამუსრევი და მკვდარი მთა გაცოცხლდა... ქვეყნიერებამ ისევ დაიბრუნა ფერი და ჯავარი, ჰაერი შეტოკდა, სინათლით გაივსო, ბალახს სიომ გადაუარა... სიბნელემ სინათლე შვა და იმის ნიაღიდან გამოღწეული ქვეყანაც ათრთოლდა, აკანკალდა, სიცოცხლის დვრიტით აჟიჟინდა... აქამდის უჩინარი ხმები და ფერები მოეფინა გარემოს, მოდიდდა, მომძლავრდა... უფრო მკაფიოდ გაისმა გაღვიძებული ფრინველების თუ მწერების შმაშური, ნიავის სისინი, ბალახის ოხვრა...

მინდია და ვილანდი ღრმა ხეობის ფსკერზე მიაბიჯებდნენ რიყის ქვით მოფენილ მდინარის ჭალაში. ბიჭი სიცივით იბუზებოდა, ნამძინარევი, თითქოს სიზმრად ადგამდა ფეხებს... გერმანელმა ის უთენია გაალვიძა და უხმოდ ანიშნა გაჰყოლოდა... ბიჭი არ შეყოყმანებულა, ოღონდ სიზმრის განცდა ჰქონდა ისევ - სიზმარში ადგა ლაჭანიდან. სიზმარში ჩაიცვა, სიზმრისეულ ბუნდოვანებაში გაედევნა უცნაურ სტუმარს... გერმანელი წინ მიალაჯებდა და უკან არ იყურებოდა, არც ახლა დაინტერესებულა, მოჰყვებოდა თუ არა ბიჭი, თითქოს დარწმუნებულმა იცოდა, ის რომ ფეხდაფეხ სდევდა, რადგან ვერსად წაუვიდოდა ამ ახმახი და მწითური კაცის ნებას, იმის ფარულ მაგნეტიზმს, ასე რომ იმორჩილებდა და აჯადოებდა ბიჭს... სოფელი გაიარეს და ხეობაში ჩაეშვნენ. ვილანდმა ბიჭი შეაჩერა და ხევსურული ციხე-კოშკისკენ მიახედა.

- გცივა თუ გეშინია? - ჰკითხა მერე, სამგზავრო ჩანთა გახსნა, ქუდი და სერთუკი ამოიღო და ბიჭს მიაწოდა.

- აი, ახლა ევროპელს ჰგავხარ! - უთხრა ღიმილით, როცა მინდიამ რუხი სერთუკი შემოიცვა აკანკალებულ ტანზე და ქუდიც დაიხურა... იდგა ასე, უცხო სამოსში გამოწყობილი, კბილს კბილზე აცემინებდა და ფეხის წვერებს დასჩერებოდა... ახედვა არ უნდოდა - იცოდა, ვილანდის დამცინავ და ყოვლისდამნახავ მზერას წააწყდებოდა, იმის ჭორფლიან სახეზე ათამაშებულ ღიმილს, სათვალის მოელვარე მინებს, მწითური უცხოელის სარკაზმი და მედიდურობა რომ მოექციათ თითქოს ფოკუსში... არც მშობლიური ქავ-ციხისკენ გაჰპარვია მზერა, სადაც არყით გალეშილ მამას ეძინა ყვერფნის პირად და აზრადაც არ მოსდიოდა, მისი ერთდერთი ძე უცხოელს რომ მიჰყავდა მალულად დასაკარგავში... ცრემლი არ მოსვლია თვალზე, განშორების სიმწარეც არ შეუგრძვნია, რადგან ბალღური გუმანით ხვდებოდა, ვილანდს რომ ალთქმული ქვეყნისკენ მიჰყავდა - სანეტარო და საოცნებო მხარეში, სადაც მისთვის ჯერაც უცნობი ცხოვრება ელოდა... ამიტომაც ნებისყოფის დაჭიმვით ცდილობდა, კანკალი შეეჩერებინა, კბილს კბილზე აჭერდა, სერთუკს ტანზე იტმასნიდა და მდინარის ხმაურს უსმენდა გაშტერებული...

განთიადი დგებოდა, ჩრდილთა გაყრის ჟამი. მდინარის იქით დიდოთა ქვეყანა იყო. ვილანდმა მიხვეულ-მოხვეული ბილიკებითატარა ბიჭი და უცხო მხარეს გაიყვანა. აულდააულ მიდიოდნენ და გერმანელი ყოველ შემხვედრს იქაურ კილოკავზე ელაპარაკებოდა.

მალე ყაზახ-რუსების სტანიცებს დაუახლოვდნენ და ხან საზიდრით, ხან ურმით, მოზრდილ ქალაქში ჩავიდნენ, სადაც გერმანელმა მატარებელში ჩასვა ბიჭი...

ეს სასწაულის დასაწყისი იყო: მინდია მოელოდა ამას და აუხდა კიდეც - უცხო, ჯადოსნურ მხარეში იყვნენ, მის მშობლიურ ხევსურეთს რომ არ ჰგავდა - მთებში დაკარგულ მწირ და ბეჩავ სამოსახლოს... ვილანდი ათასნაირი ამბებით ართობდა თანამგზავრს; უთხრობდა, იმ ქვეყანაში სადაც მიმყავხარ, ხალხი არა მარტო რკინის მხეცზე ამხედრებული დადის, ცაშიც დაფრინავს ასეთივე რკინის ფრინველზე გადამჯდარი, სახლები კი წვეროკინებით ცას სწვდებაო...

- აბაიმე, - ხევსურულად უქცევდა ბიჭი, - ქაჯნი თუ არიან, თორო ცად ასლვა რაგვარ შაიძლების...

ვილანდი იცინოდა და ბიჭს ახალ-ახალი არაკებით აბრუებდა. სტეპი მოთავდა და რუხ, ზღვისპირა ნავსადგურს მიადგნენ. იქ ორი კვირა დაჰყვეს სასტუმროში, მერე გერმანელმა დიდ საოკეანო გემზე დასვა ბიჭი და ევროპაში წაიყვანა...

* * *

სიზმრის განგრძობა თუ იყო ესეც - თორმეტი უცხო წელიწადი, უცხოეთში ბორგნეულად გადავლილი, როგორც მდინარის ტალღები გადაივლის ხოლმე ხვინჭით მოფენილ ფსკერზე... ბუნდოვან ლანდებს შორის იზრდებოდა ბიჭი, ლანდებს შეზრდილი, მათით შესუდრული... მისი არსება - ჩვილი, განუვითარებელი, სასწაულმა შეჰბოჭა და იქნებ ტყვეც ჰგონებოდა ვინმეს სხვათა ცხოვრებით დაწნეხილი, მაგრამ სათბურის ნერგი იყო მხოლოდ, უცხო ნიადაგში გადარგული... ბიჭიც ხარბად ინოვდა საცეცებით უცხო აზრებსა და შთაბეჭდილებებს, თავისუფლების წვენით ივსებოდა, ფერს იცვლიდა... მისი მასწავლებელი ვილანდი იყო. გერმანელს პატარა, პროვინციულ ქალაქში ედგა მდინა-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისპირას კოხტა ორსართულიანი სახლი, რომლის წინაც იშვიათი მცენარეების ბაღი გაეშენებინა. ბაღში ორანჟერეაც ჰქონდა - ნაზი, არომატული ყვავილები ეხარებინა იქ, ერთმანეთს აჯვარებდა და ახალი ჯიშები გამოჰყავდა, მაგრამ ვილანდისეული დიდი სასწაული მაინც ზოოლოგიური პარკი იყო, სადაც რკინის ვოლიერებში ასნაირი ნადირფრინველი გამოემწყვდია და დღისით თუ ღამით იქიდან კივილი, სტვენა, ღრიალი და ხორხოცი მოისმოდა... ეგ კია, უჩვეულო ზავი სუფევდა თითქოს კლდეს შეხლილი და დამსხვრეული კიდობნიდან გამოცვენილი ცხოველების ამ დურდოში: ძაღლი კატას არ მტრობდა, ქორი წიწილას არ ეტანებოდა და თხა და მგელიც უწყინრად ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ... ურყევი ნებისყოფით აღჭურვილი ვილანდი ხშირად ექსპერიმენტსაც უტარებდა ცხოველებს... საამისოდ უფრო მტაცებლებს ირჩევდა და მინდიას გაენდო კიდეც, როგორ დაესახა მიზნად, მგელი ხორცის ჭამისთვის გადაეჩვია... ბიჭი ხშირად შეჩერებულა ბაღში ხეტიალისას ცალკე გალიასთან, სადაც მის მამობილს საცდელი ცხოველი გამოემწყვდია... შიშნეული მოლოდინი და გარდაუვალი ხვედრისადმი მორჩილება სჭვიოდა ერთდროულად ოდესღაც მრისხანე, ახლა კი დაბეჩავებულ ნადირთა მზერაში... მათი ბედის განმგებელი ხომ ვილანდი იყო, სკალპელშემართული, გამოუცნობი ზრახვით აღტყინებული, ვისაც ბუნების კანონთა შეცვლა და საგანთა დასაბამიდან დადგენილი იერარქიულობის გაუქმება მოენადინებინა; იმ სისხლისღვრისა და მტრობის აღკვეთა, რაც დედამიწაზე ცოცხალ არსებათა გაჩენისთანავე არსებობს სულიერთა შორის, იმათ შორის, ვინც დახოხავს, დახტის, დაფრენს, მიწაზე, წყალსა თუ ჰაერში ბინადრობს და გამუდმებით ერთმანეთს ებრძვის, ერთმანეთს ნთქავს, ფლეთს, ანაკუწებს და მაინც ვერ ამოურწყავს სიცოცხლის მარაგი, ვერ დაუშრეტია, რადგან მიწა ხელახლა შობს უშტი და უშქარი ოდენობით მსხვერპლსაც და ჯალათსაც, შეწირულსა და შემწირველსაც, მტაცებელსაც და ტაცებულსაც...

ამ ახირების გამო გარეშეებს იქნებ შლეგადაც მიაჩნდათ ვილანდი, მაგრამ მინდიას უყვარდა მამობილი, რაკი სწამდა, იმას კეთილშობილური განზრახვა ამოქმედებდა... ისედაც სასიამოვნო კაცი იყო, თვინიერი, დამყოლი, ჰუმანური... ბიჭი შვილივით შეითვისა და ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა მის აღსაზრდელად. აქ ჩამოსვლისთანავე წერილი მისწერა მინდიას მშობლებს, ებოდიშებოდა, დაუკითხავად რომ წამოიყვანა ბიჭი, მაგრამ იქვე ჰპირდებოდა, განათლებულ კაცად დაგიბრუნდებათო... რამდენიმე თვის შემდეგ მინდიამ ხუცესის ხელით ნაწერი დედის ბარათი მიიღო - სამძივარი ხოგაისა და სოფლის ამბებს ატყობინებდა... დედის მომდევნო წერილით შეიტყო ბიჭმა მამის სიკვდილიც: ხოგაი ისევ ნამთვრალევი ნასულიყო სანადიროდ და ოჩოპინტრეს კუთვნილი ხარჯიხვი მოეკლა შეცდომით... იმას აღარ ეპატიებინა ასეთი კადნიერება, ხელი ეკრა და კლდიდან გადმოეგდო აღკვეთის დამრღვევი მონადირე...

მამის სიკვდილმა მხოლოდ სინანულის გემო დაუტოვა ბიჭს... უკვე დიდი ხანია მშობლიურ ეზო-კარს იყო მოშორებული და ხოგაის სახებაც გაფერმკრთალებულიყო, გაცრეცილიყო იმის შეგნებაში... ბუნდადღა ახსოვდა მამა, რუხ სილუეტად, თუმცა ყველაფერი როდი დაჰვიწყნოდა... მშობლის ხსოვნა ხევსურეთის მთებს შეზრდოდა, ხევსურულ ქავ-ციხეს, ხევსურეთის წყალ-ჭალებსა და კამკამა ცას, ამიტომაც ვერ დაიჯერა ხოგაის სიკვდილი, როგორც მთებისა თუ მდინარის სიკვდილს ვერ დაიჯერებდა, მით უმეტეს, რომ მიზეზი ეუცხოვა მამის თავს გადახდენილი უბედურებისა... ვილანდის წყალობით უკვე იმდენად განაფულიყო ბუნებისმეტყველებაში, აღარც კუდიანი სწამდა, აღარც ავსული... წასულიყვნენ, გადაკარგულიყვნენ თუ ბაღლური ცნობიერების ბნელ კუნჭულში ჩარჩენილიყვნენ მეჯალაფენი, მაძახურები და დევები; დაწრეტილიყო, გამქრეულიყო ხსოვნაც ოჩოპინტრესი თუ ყელღილიანი ღმერთქალ სამძივარისა, დედის მოსახელისა... ხოგაის ალბათ ფეხი დაუცდა და უფსკრულს ჩაიხვეწა ნასმურებიო, ფიქრობდა ბიჭი... როგორც მაშინ, ქვრივის ბიჭს რომ მიუხდა მამაშვილი მგლის ლეკვის წამოსაყვანად და ვერკი წამოიყვანეს... მაშინაც ხომ ფეხი ილრძო ხოგაიმ ნადირობისას, რადგან მარცხს გაემწარებინა და უძლურების გასაქარწყლებლად წინა დღით ბლომათ ესვა არაყი თუ ლუდი... საკვირველია, მაგრამ მეორედაც ქვრივის ბიჭი გამხდარიყო უბედურების მიზეზი: დედა სწერდა, თუ რა არჯალი გაზრდილიყო ბიჭი, კერპი, უტეხი, მოშუღლარი და კაცის გამმეტებელი... მგლის ლეკვიც თავისი ზნისა გაუზრდია და ორივეს აკლებული ჰყოლია სოფელი... მგელი რომ ცხვარ-ძროხას იტაცებდა, ბიჭი ქათამ-წიწილას და სურსათს იპარავდა თურმე... ბოლოს, სოფელს ავკაცთა დასჯა გადაუწყვეტია და თოფებით შეიარაღებული ხალხი კარზე მიხტომია ქვრივის ბიჭს, მაგრამ იმას გაესწრო, გადახვეწილიყო მგელთან ერთად, ვინც მის ერთარსად ქცეულიყო უკვე... ამის შემდეგ სინყნარე კი ჩამოვარდნილა სოფელში, მაგრამ დიდ ხანს არ გაუვლია და რამდენიმე სახლი აბრიალებულა ცეცხლში... მაშინვე მიმხვდარან, ვინც იქნებოდა ამის მქნელი, მაგრამ რაღას იზამდნენ - ბიჭი და მგელი ვერაფრით მოხელეს...

მხოლოდ მოგვიანებით შემწყდარიყო სოფლის რბევა და თარეში, რაღაი ხალხის თქმულებით, ჩრდილოეთში გადახვეწილიყო ბიჭი მგელთან ერთად. მანამდე კი ხოგაის სიცოცხლე შეეწირა მოუხელთებელსა და უჩინარს, რადგან სოფელში ხანძრის გახშირებას ძლიერ დაუღონებია კაცი, არაყსა და ლუდს მისძალებია და აკი უზომო სიმთვრალემ აღკვეთაც დაარღვევინა: ტაბუ გატეხა ნაცადმა მონადირემ, წესს უღალატა, როცა ნაბახუსევზე ჯიხვებს გაეკიდა და ნადირთა მწყემსის კუთვნილი ნადირი მოკლა; იმ ოჩოპინტრესი, ვისი სისხლიც ემართა მანამდე, თუმცა მინდიამ როდი იცოდა ეს ამბავი - ნადირთა მწყემსის დაკოდვისა და ისიც, ოჩოპინტრესგან რომ ჰყავდა მამიდაშვილი... შინაურები გულდაგულ უმალავდნენ ამას, ამიტომაც არ უწყოდა, ქვრივის ბიჭი რომ სისხლი სისხლთაგანი იყო მისი; რომც სცოდნოდა, ძნელი სათქმელია, დაიჯერებდა თუ არა მამისგან ოჩოპინტრეს დაჭრას და იმისგან მზექალის შეცდენას, რის შემდეგაც მგლისთვალა ბიჭი მოვლენოდა ქვეყანას... არ დაიჯერებდა, რადგან ვილანდს უკვე ესწავლებინა მისთვის გეოგრაფია, ბოტანიკა, ფიზიკა, ქიმია, ალგებრა და მეცნიერების სხვა დარგები... მამობილი ბიჭს ზემო სართულის კაბინეტში სწვრთნიდა, სადაც რკინის სალტეშემორტყმული გლობუსი ედგა მოოქროვილი წარწერით: „დავიპყროთ ბუნება!", საწერი მაგიდის თავზე კი იტალიელი ბერის პორტრეტი ეკიდა.

- ეგ ლუკა პაჩოლია, ბუღალტერიის გამომგონებელი, — ბერის ვინაობა გააცნო ვილანდმა, - ცხოვრება აქტივი და პასივია... სიამოვნება აქტივში უნდა ჩასწერო, ტანჯვა და წუხილი პასივში... მაშინ ბალანსის გამოყვანაც არ გაგიჭირდება.

თავად ვილანდს კი არაფრით ეტყობოდა, თუ ამ წესს მისდევდა... ის მარტო ცხოვრობდა უზარმაზარ ბაღში ჩადგმულ ორსართულიან სახლში და მინდიას არ ახსოვს, მასთან სტუმრად მოსულიყო ვინმე; ბიჭმა ვერც ის შეიტყო, რით ირჩენდა თავს მამობილი... ეგ იყო მხოლოდ, ცხოველების შესანახად საზოგადოებრივი ფონდი დაეარსებინა და იმათზე იყო გადაგებული, იმათზე ზრუნავდა მომეტებით და ისე ჩანდა, ცხოველები უფრო უყვარდა ამ ახირებულ კაცს, ვიდრე ადამიანები... ბიჭის შინ აღზრდა მოთავებულად რომ ჩათვალა, მამობილმა მინდიას ურჩია, კოლეჯის კურსი ექსტერნად გაევლო, მერე კი ჰაიდელბერგში შესულიყო სამთამადნო ინსტიტუტში.

- ახლა ის დროა ბუნება დავიპყროთ! - თავისი არჩევანის გასამართლებლად მან თითი გლობუსზე ამოტვიფრულ წარწერას მიაშვირა, - ნუ შედრკები, ჩემო ბიჭო, და გახსოვდეს, რომ მატერია უნდა გარდავქმნათ. თუ ისევ გამოქვაბულში გინდა შევძვრეთ?

და რაკი ბიჭს ეს არ სურდა, ბარგი ჩაალაგა და მამობილის შერჩეულ გზას გაჰყვა, რათა კოლეჯის დასრულების შემდეგ ინჟინრის დიპლომისთვის ესწავლა ინსტიტუტში... ვილანდმა მას სარეკომენდაციო წერილები გაატანა საჭირო ხალხთან, ის ბანკიც დაუსახელა, რომელშიც სწავლისთვის საჭირო ფული უნდა მიელო დროდადრო და ცივად დაემშვიდობა... მხოლოდ ბაღის ჭიშკრამდე გაჰყვა და გულგრილად აჩქარებით მიუხურა კარი... ბიჭმა წუთით მოხედა მამობილს და უკვე ვოლიერთან მისული დაინახა: ვილანდი მისკენ აღარ იყურებოდა, თითქოს ბიჭი აღარც არსებობდა, თითქოს ხსოვნაც წაშლილიყო მისი, გალიის წკნელებს შორის მკლავი შეეყო და ახალგაზრდა მგელს ქეჩოს ფხანდა, ვისთვისაც ხორცის ჭამის ბუნებრივი მიდრეკილება უნდა ალეკვეთა...

* * *

ჰაიდელბერგში მინდია მამობილისგან შეთვისებულ ასკეტურ ყაიდაზე ცხოვრობდა და ამ სამ პუნქტს შორის გადაადგილდებოდა: ინსტიტუტი, სამკითხველო, ბინა, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ მასთან ემიგრანტი სტუდენტები და როგორც სტუდენტებს სჩვევიათ, ათას რამეზე მსჯელობდნენ და გამუდმებით კამათობდნენ. მათ შორის რამდენიმე გერმანელი ყმაწვილიც ერია - ისინი რუსული რევოლუციის მოახლოებით აღფრთოვანებულ ემიგრანტებს მაშინ მოდად ქცეულ სოციალიზმსა და მუშათა მოძრაობაზე ეკამათებოდნენ, რადგან რევოლუციის გამარჯვება და სოციალური თანასწორობის სუფევისა არ სჯეროდათ... ემიგრანტები კი რუსული იმპერიის მოსალოდნელი კრახით იყვნენ ატაცებულნი და იმ ოქროს საუკუნეს მოელოდნენ, რაც რევოლუციას უნდა მოეტანა.

- ევროპა გაიხრწნა, - დაჟინებით ამტკიცებდა გრძელცხვირა, შავტუხა და ტარანივით გამხმარი სომეხი ლალაიანცი, ვინც, მინდიასავით, ინჟინრის ხარისხისთვის სწავლობდა სამთამადნო ინსტიტუტში, - ერთი ნახეთ, აქაურობა რასა ჰგავს: დიდი ბაზარია და მეტი არაფერი...

- კეთილდღეობა მხოლოდ ფასადია, - ეთანხმებოდა მარტინოვიც, რუსი ემიგრანტი. ის იატაკქვეშა მოძრაობაში იყო ჩაბმული და რევოლუციური აგიტაციის ცნობილ ლიდერად ითვლებოდა სტუდენტურ წრეებში, - და ეს ფასადი ადამიანისაგან ადამიანის ექსპლუატაციას ჰფარავს მხოლოდ... აქაური მშრომელები კი ბედს შეეგუვნენ და აღარ იბრძვიან.

- იმიტომ, რომ არაფერი გამოუვიდათ და არც გამოუვათ, - მარტინოვს შეეკამათა ზემო გერმანიიდან სასწავლებლად ჩამოსული ყმაწვილი, გვარად ბრანდტი, - ორმოცდარვა წლის რევოლუციები გაიხსენეთ...

- ეგ მშრომელთა ბრძოლა როდი იყო, - გაცხარებული შემოუბრუნდა ბრანდტს ლალაიანცი, - რევოლუციით ისევ ბურჟუამ იხეირა, ხალხს კი სამათხოვროდ არჩევნების უფლება და რესპუბლიკა მიუგდეს... იმპერიალისტები გასუქდნენ და მსოფლიოს ხელახალ გაყოფაზე ოცნებობენ... ომი იქნება, ეს დაიმახსოვრეთ...

- ახლა რუსეთის რიგია, ცეცხლის გაღვივებაც იქ უნდა ვცადოთ, - დარწმუნებით თქვა მარტინოვმა, - ევროპელი მუშა და ბურჟუა დიდად როდი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რუსი მუჟიკი კი ბუნებით ნამდვილი სოციალისტია...

- ბრავო, ბატონებო! - დაცინვით შესძახა ბრანდტმა და ზემოგერმანულად მოუქცია, - კაცობრიობის ბედი რუს მუჟიკზე გინდათ ჩამოჰკიდოთ?

- რატომაც არა! - აუღელვებლად შეეპასუხა მოკამათეს მარტინოვი, - თუკი ამ მუჟიკს წინამძღოლად მტკიცედ ორგანიზებული და დარაზმული პარტია ჰყავს...

- მერედა რომელია ეგ პარტია, ვერ მეტყვით? - დადარაჯებით ჰკითხა ბრანდტმა და გაიღიმა.

- რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, - კვლავ აუღელვებლად მიუგო მარტინოვმა, - თუმცა მისი წევრები მარტო მუშები და გლეხები როდი არიან, მომხრეები საზღვარგარეთაც ჰყავს...

- უკეთესი იქნებოდა გეთქვათ, მარტო საზღვარგარეთ ჰყავსო, - დაცინვით მოჭუტა თვალები ბრანდტმა, - რუსი იმპერატორი არც ისე სულელია, სოციალისტური პარტიები ქვეყანაში თავისუფლად აპარპაშოს...

მარტინოვი გაჩუმდა. სამაგიეროდ ლალაიანცი წამოეშველა:

- ვისი ბრალია, თუ ინტერნაციონალიზმის იდეა ჩაიშალა? ევროპა აღარ იბრძვის...

- ეგ იმიტომ, რომ დავჭკვიანდით, - ღიმილით მიუგო ბრანდტმა, - რევოლუციას ევოლუცია გვირჩევნია...

- აკი ვთქვი, ევროპაში კონფორმისტები მომრავლდნენ-მეთქი, - ჩაიბურდღუნა ლალაიანცმა, ადგა და გულმოსულმა გაიჯახუნა კარი. მარტინოვი და ბრანდტი კიდევ დიდხანს კამათობდნენ და გვიან საღამოსღა დაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა ამით მათი პაექრობა არ შეწყვეტილა... სტუდენტებს თავისებურ შტაბად ექციათ მინდიას ბინა და უქმე დღეებში, ხანდახან ყოველ საღამოსაც, იქიდან გაუთავებელი ხმაური და შეძახილები გამოდიოდა. თავად მინდია კამათში იშვიათად ერეოდა - უფრო კუთხეში ჯდომა და ყურისგდება ერჩია, რათა მოსმენილი გონებაში კარგად გადაეხარშა... საუბრის თემა თითქმის მუდამ საზოგადოებაში გაბატონებული უთანასწორობა იყო და მოკამათენიც ამიტომ თხზავდნენ ნაირ-ნაირ სამომავლო უტოპიებს, ზეციური სამოთხის ანალოგებს, როცა ყველა მაძღარი და კმაყოფილი იქნებოდა... საამისოდ ადამიანს ყველა პირობა ჰქონდა თურმე: იმას უკვე დაეძლია ბუნების წინააღმდეგობა და ტექნიკური პროგრესი უზომო დოვლათს ჰპირდებოდა... მცირე დაბრკოლებაღა რჩებოდა - საზოგადოების სამართლიანი მოწყობა... მარტინოვისა და ლალაიანცის

აზრით, ეს ძნელი არ იყო: საკმარისია, მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველ პარტიას აელო ძალაუფლება და დედამიწაზეც მაშინვე ბედნიერი ცხოვრება დაივანებდა. აღარ იქნებოდნენ მშიერნი და ტიტველნი, ჩაგრულნი და მჩაგვრელნი, დიდნი და მცირენი; მყისვე მოისპობოდა უსამართლობა, მტრობა, ზაკვა და შური, გაიფანტებოდა უმეცრების ბნელეთი და ადამიანი ადამიანს ძმად გაუხდებოდა... მაგრამ აღთქმული სანეტარო ჟამი იგვიანებდა და მარტინოვიც და ლალაიანციც ამაოდ იხარჯებოდნენ რევოლუციის ხოტბა-დიდებაში...

ამასობაში სწავლისთვის დათქმული ვადაც გავიდა და მინდია მამობილს დაუბრუნდა ბალში განმარტოებით ჩამდგარ კოხტა სახლში. ვილანდმა ინჟინრის დიპლომს სინათლეზე გახედა, მერე თაროზე შემოდო და მინდიას უთხრა:

- ადგილს მეტალურგიულ ქარხანაში გიშოვნი, მერე ცოლად რომელიმე ვაჭრის ქალიშვილს შეირთავ და ბედნიერად იცხოვრებთ... თუ სამშობლოში გინდა დაბრუნდე?

მინდია შეყოყმანდა. ამაზე ბევრჯერ უფიქრია, მაგრამ ვერაფერი გადაეწყვიტა. მამობილმა ორჭოფობა შეამჩნია და ურჩია:

- ჩემი აზრით, გიჯობს ჯერ ევროპაში დარჩე... გამოიცდები, ინჟინრის პროფესიას უკეთ შეითვისებ... დამიჯერე, ასე გირჩევნია! შენს სამშობლოსაც მაღალკვალიფიციური კადრი სჭირდება... ხვალვე სარეკომენდაციო წერილს გაგატან...

მართლაც, ვილანდის რეკომენდაციით, მინდია აქაურ ფოლადსამსხმელო ქარხანაში მოეწყო რიგით ინჟინრად. შინიდან ადრე გადიოდა, გვიან ბრუნდებოდა და მამობილს მხოლოდ ვახშმობისას ხვდებოდა... ვილანდს სულ უფრო და უფრო ეტყობოდა უგუნებობა, მოიქუფრა, სიტყვაძუნწი გახდა... მართალია, გარეგნობით დიდად არ შეცვლილა - ჭაღარა არ ერია წითურ თმაში და არც ნაოჭები გასჩენოდა ღოჭის კანივით მოვარდისფრო პირისახეზე; ეგ კი არა, ჭორფლიც თითქოს უფრო უხასხასებდა და სათვალის მინებიც უფრო მჭახედ უელვარებდა, მაგრამ მოღუშული და დარდიანი იყო... მიზეზიც მალე გაირკვა: თურმე ვილანდს ექსპერიმენტში მარცხი მოსვლოდა და ხორცის ჭამას ის-ის იყო გადაჩვეული მგელი ისევ გატყიურებულიყო, აქამდე მშვიდობიანი ზნის მიმინოს კი წიწილა დაეგლიჯა...

- ბუნება გვებრძვის, ჩემო ბიჭო, - სევდიანად აღმოთქვა მან, როცა მინდიამ ჰკითხა რას აპირებო, - ინსტინქტების აღმოფხვრა არც ისე იოლია... არადა უამისოდ დავილუპებით...

მინდიამ სტუდენტობისას მოსმენილი არგუმენტები გადმოულაგა... ადამიანთა შორის უთანასწორობა სამართლიანი საზოგადოებრივი წყობის შემოღებით აღმოიფხვრება, თავად ადამიანის ცხოვრების რაციონალური მართვაც შესაძლებელია რესურსების გონივრული განაწილებით და განათლების ხალხში შეტანით...

ვილანდმა მწარედ ჩაიცინა.

- უტოპისტები ისე ლაპარაკობენ, თითქოს საქმე ანგელოსთან ჰქონდეთ და არა მხეცთან, - თქვა მერე, - გგონია, მარტო მგელს უჭირს ხორცის ჭამას გადაეჩვიოს? ადამიანიც მხეცია...

ამ თემაზე აღარ უსაუბრიათ და ვილანდიც თითქოს გაყუჩდა, გაირინდა, თუმცა ექსპერიმენტები არ შეუწყვეტია... მინდია ისევ ქარხნის ორომტრიალში ჩაერთო, კვლავ ძველი განრიგით ცხოვრობდა და კვირაობით თუღა იცლიდა დასასვენებლად... ისიც, შორს არსად მიდიოდა, უმეტესად მამობილის ბალში დასეირნობდა და თუ ცხელოდა, მდინარეში ჭყუმპალაობდა, მერე ყავას ან ერთ ბოთლ ლუდს სვამდა ტერასაზე...

ტრინეც მდინარესთან ნახა პირველად... ბალის ბილიკებით ვოლიერებთან გასულმა გალიასთან უცხო ქალიშვილი შეამჩნია: მგლის ვოლიერში შეეყო თეთრთათმანიანი ხელი და ნადირს ყურს ფხანდა.

მინდია ქალიშვილს მიუახლოვდა.

- ჩემი ნათესავია და ტრინე ჰქვია, - თქვა გალიის უკნიდან მოულოდნელად გამომძვრალმა ვილანდმა და ისინი ერთმანეთს წარუდგინა, - იმედია, ერთმანეთს შეეწყობით, თუმცა ტრინე ჩემს ოპტიმიზმს არ იზიარებს - არ სჯერა, რომ მგელი შეიძლება უხორცოდ არსებობდეს...

ქალიშვილმა გალიიდან თათმანიანი ხელი გამოიღო და ვაჟს ხელმკლავი გამოსდო.

- თქვენ მგელი ხართ თუ კრავი? - ჰკითხა მერე, - მეც ხომ არ შემჭამთ?..

მინდიამ ის ბალის ჭიშკრამდე გააცილა და ტაქსში ჩასვა. ამის შემდეგ ტრინე თითქმის ყოველ კვირა მოდიოდა და ასევე თითქმის უცვლელი მარშრუტით სეირნობდნენ ბალსა თუ მდინარის პირას... ამ დროისთვის უკვე გაიბა მათ შორის უბრალო ნაცნობობის ძაფებზე მეტი - ის მოუთმენელი ლტოლვა ახალგაზრდებს შორის, რაც უმეთვალყურეოდ დარჩენას მოსდევს... მინდიას სულ უფრო და უფრო უჭირდა ტრინეს უნახაობა, ქალიშვილს კი თავი შედარებით ყოჩაღად ეჭირა, თუმცა ვაჟი იმედოვნებდა, ჩემდამი გულგრილი არ უნდა იყოსო... ტრინე გულგრილი მართლაც არ იყო და სქესით გაბრუებულ ამ წყვილს შორის შეიძლებოდა სიყვარულიც გაჩენილიყო, მაგრამ მათ დაახლოებას ის აბრკოლებდა, რომ ტრინე დანიშნული იყო აქაური კომერსანტის შვილზე... სასიძო საქმეებზე გამგზავრებულიყო რომელიღაც შორეულ პროვინციაში და საბედო მის მობრუნებას ელოდებოდა, რათა ნიშნობა ეზეიმათ... მანამდე კი სასტუმრო „ნიმფაში" ცხოვრობდა და დროს საქორწინო წვრილმანების შეძენაში ჰკლავდა... როცა მინდიამ შესთავაზა, თქვენი მეგზური ვიქნები მაღაზიებშიო, ტრინემ მსუბუქად დაჰკრა თითი მკლავზე...

- თქვენ რა, გინდათ ქალაქი ამიყაყანოთ? ცუდია, თუ ეს არ გესმით...

ისინი გალიასთან იდგნენ და უყურებდნენ, როგორ აჭმევდა ხორცს მსახური გალიაში გამომწყვდეულ ნადირს... შემდეგ ტრინემ მსახური მოიხმო და სინიდან თათმანიანი ხელით ხორცის ნაჭერი აიღო, მგელს შეუგდო გალიაში... მინდიამ შენიშნა, როგორ ნაეცხო ქალიშვილს თათმანზე სისხლი და მოილუშა... ტრინემ ეს შეამჩნია და ხორცის ნაჭერი ვაჟს გაუწოდა. მინდიამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- რა გულჩვილი ყოფილხართ! - გაიღიმა ქალიშვილმა, - უფრო მამაცი მეგონეთ...

მინდია თავადაც ხვდებოდა, როგორ ეცლებოდა სიმამაცეც და გამბედაობაც ტრინეს სიახლოვეს... ნებისყოფის დაძაბვით ცდილობდა, ქალიშვილზე არ ეფიქრა, მაგრამ ვერაფერს გახდა - თითქმის ერთი თვე იყო გასული მათი გაცნობის დღიდან... წყვილი ისევ ისე უცვლელი ბილიკებით დასეირნობდა ბალსა თუ მდინარის პირას, ოღონდ ახლა ვაჟი წდომითა და გაუბედაობით იხერხებოდა, ხშირად ხმა

უწყდებოდა, ქალიშვილის შემოხედვაზე იბნეოდა, შეხებისას კი ციებიანივით კანკალებდა... მინდია შესაფერის შემთხვევას ეძებდა გულისნადების გასამჟღავნებლად და როცა ეს გაბედა, სული ლამის კოჭებში გაეპარა პასუხის მოლოდინში.

ტრინემ მოუსმინა და პასუხის ნაცვლად, მშრალად აცნობა:

- ორ კვირაში ვთხოვდები...

შემდეგ, ვაჟის მუდარით ანთებული და მომლოდინე თვალების დანახვისას, ხელი გაითავისუფლა და მკაცრად უთხრა:

- ნულარ გამაცილებ... მარტოც გავიგნებ გზას.

მიბრუნდა და წავიდა - მკაცრი, ულმობელი... მინდიამ ისე მომუჭა მჯიღი, ფრჩხილები ლამის ხელის გულებში შეესო, სახე გაუფითრდა და გული სისხლისგან დაეწრიტა... მდინარის პირას ჩავიდა, გაიხადა და შეცურდა წყალში, ნაწყენი გულის დასამშვიდებლად... ლოყებზე ცრემლი სდიოდა და მდინარის წვეთებს ერეოდა... დაღლილი და გულმოკლული გამოვიდა ნაპირზე, ქვიშაზე გაიშხლართა... სული რომ მოიბრუნა, ტირიფს მიეყრდნო ზურგით, თავი ჩაქინდრა... ცრემლი აღარ სდიოდა, მაგრამ ახლა შიგნით, გულის თასში, ეწვეთებოდა მდუღარე შხეფები...

ხის უკნიდან უცებ თეთრი და ფუნჩულა მკლავი გველივით გამოსრიალდა და ვაჟს თვალებზე შემოეხვია.

მინდია შეკრთა, მკლავი შეიპყრო.

- ტრინე, - წაიჩურჩულა ხმაჩამწყდარმა.

ტირიფის უკნიდან ტრინე გამოვიდა... დედიშობილა იყო, თმა მკერდზე ჩამოშლოდა, ვაჟს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. მინდია მისწვდა იმ ხელს, დაეკონა. ტრინემ მეორე ხელი ვაჟს თავზე დაადო, თითქოს ლოცავსო, თავი დაახრევინა და მინდიამ მისი წვივებიდან მოდენილი უნაზესი სურნელი სიამით შეიყნოსა...

* * *

შემოდგომა ახლოვდებოდა, როცა ვილანდმა ნადირფრინველი მიჰყიდ-მოჰყიდა, ბაღიდან ვოლიერები აალებინა და შვილობილს უთხრა:

- ჰინდიკუშის მთებში ძველი ხელნაწერი უპოვნიათ. ლონდონური გაზეთები წერენ, ვითომ ტექსტის ენა კოპტურს ჰგავს... მინდა იქაურ მთიელთა ენა შევისწავლო, ამიტომ თურქესტანის გავლით ავღანეთში მივემგზავრები. შენ თუ გინდა ტრინესთან დარჩი, გინდა რუსეთში წადი - პუტილოვის ქარხანაში ადგილი გიშოვნე...

მინდიამ უცებ ვერაფერი უპასუხა, რადგან არჩევანი ეძნელებოდა. რამდენიმე კვირა იყო, რაც ტრინე დანიშნულს გაეყარა და ცოლობის თანხმობა ამას გამოუცხადა... თუმცა ჯერ ისევ სასტუმროში ცხოვრობდა და ვილანდის მამულში გადმოსვლას არ ჩქარობდა. თუ ვაჟი საყვედურს შეჰკადრებდა, ზარმაცად ეტყოდა:

- რა გეჩქარება, დატკბი თავისუფლებით... ქორწინება ისედაც მონობაა...

თავად მხოლოდ პარტნიორული ურთიერთობები სწამდა და ჯანსაღი ეგოიზმის მომხრე იყო, ოღონდ მინდიას ის ველარ გაეგო, რატომღა მოჰყვებოდა ტრინე ცოლად, თუ ოჯახი მონობად მიაჩნდა?! საერთოდაც, ფრიად გამოუცნობი ხასიათის ქალიშვილი იყო და მინდია ამას აღზრდითა და აქაური წეს-ჩვეულებებით ამართლებდა - ქვეყნიერების ამ მხარეს ხომ ქალები მბრძანებლობდნენ და ცხოვრების ყაიდაც მათ ნება-სურვილზე იყო აგებული... მინდია იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რასაც ტრინე მოისურვებდა, მისთვის ისედაც უდიდესი წყალობა იყო, ქალიშვილმა რომ თანხმობა გამოუცხადა, ამიტომ დიდი მონდომებით ემზადებოდა ტრინეს დასახვედრად... საამისოდ კი ვილანდის სახლ-კარის გადაკეთება გახდა საჭირო: მინდიამ მუშები და ხელოსნები დაიქირავა და მამობილის ხელსაწყოები ქვემო სართულზე ჩაატანინა... რაც იქ ვერ დაეტია, ფარდულებში დაალაგებინა, მერე უახლესი ნიმუშის ავეჯი მოაზიდვინა და ექსპერიმენტატორის სამყოფი მდიდარი ქალბატონის ბუდუარს დაემსგავსა. ვილანდის სამუშაო კაბინეტი ახლა მისაღებ ოთახად ქცეულიყო: აქ უკვე აღარ იდგა მოოქროულწარწერიანი გლობუსი; აღარც ლუკა პაჩოლის პორტრეტი მოჩანდა კედლებზე, სამაგიეროდ, ოთახს ბაცი ტორშერი და მოდურ მხატვართა ტილოები ამშვენებდა. ტრინე კი გადმოსვლას მაინც არ ჩქარობდა - იმ დღეს ელოდა, როცა ძველი დანიშნული ჩამოვიდოდა და პირისპირ ეტყოდა ყოველივეს...

- მართალია, მივწერე და ავუხსენი რაც საჭირო იყო, მაგრამ არ მინდა გაუგებრობა მოხდეს, - განუმარტა მან მინდიას, - აბა, იფიქრე, რა სკანდალი იქნება, თუ მშვიდობიანად გაყრას ვერ მოვახერხებ, ის კი სცენებს მომიწყობს...

დამოუკიდებლობისადმი დიდი მისწრაფების მიუხედავად, ტრინეს მუდამ საზოგადოებრივი აზრი აშინებდა... ამიტომაც ერიდებოდა მინდიასთან ერთად ქალაქში სიარულს, ვინ იცის რას იტყვიანო... თავის მხრივ, კეთილგონიერების გამო, მინდიაც უგანებდა ხოლმე იმ სასტუმროს, სადაც ტრინე ცხოვრობდა, მაგრამ ერთ დღეს მაინც მოუწია იმ ქუჩაზე გავლა... ნაშუადღევი იყო და შესვენებაზე ქარხნიდან გამოსულმა სავაჭროში შეირბინა საწოლი ოთახისათვის შპალერის შესარჩევად. ნოქარს ნიმუში გადმოაღებინა და პატარა ნაჭერიც მოახევინა (ამ ნაჭერს მერე ტრინეს აჩვენებდა), როცა ვიტრინიდან ტრინე დალანდა ქუჩაში, სასტუმროს წინ... მისი დანიშნული მარტო არ იყო, ვილაც ულვაშა კავალერი ახლდა და ორივემ ნელა შეუხვია სასტუმროს კარში... მინდიას შპალერის ნახევი ხელში გაუშეშდა, ნოქარს მოუბოდიშა, მაღაზიიდან გამოვიდა და ქუჩა აჩქარებით გადაჭრა...

ფოიეში დიდრაჯული იერის ადმინისტრატორი შემოეგება.

- რით გემსახუროთ, ბატონო ჩემო? - ჰკითხა ზურგსუკან ხელებშემოწყობილმა.

მინდიამ განუცხადა, ქალბატონ ტრინეს ნახვა მსურსო...

- სამწუხაროდ, ნომერში არ გახლავთ, - აუღელვებლად მიუგო ადმინისტრატორმა, მინდიას კი გულმა რეჩხი უყო... დავინახე, აქ როგორ შემოვიდა ორი წუთის წინო, დაუჟინა მერე ადმინისტრატორს, მაგრამ იმას სიმშვიდე არ დაუკარგავს, ისე განუცხადა, გეშლებათო...

- ეს ოპტიკური ილუზია გახლავთ, ბატონო ჩემო, - კვლავ ზურგსუკან ხელებშემოწყობილმა განუმარტა მან, - ხშირად ხდება, ვინმეს ჩვენს ახლობელს ვამსგავსებთ ხოლმე ჩაცმულობის ან აღნაგობის გამო...

ადმინისტრატორი ისე დარწმუნებით ელაპარაკებოდა, მინდია დაეჭვდა, მართლა სხვა ვინმე ხომ არ მეჩვენა ტრი-

ნეს სახითო... ადმინისტრატორს მოუბოდიშა და სასტუმროდან მაინც ფეხარეული გამოვიდა. ტრინესთვის არაფერი უთქვამს - არ უნდოდა უსაფუძვლო ეჭვიანობით გაენაწყენებინა... არადა ეჭვი მაინც ფაჩუნობდა იმის გულში და როგორც ჩანს, არცთუ უმიზეზოდ, რადგან მომდევნო კვირას ისევ ნახა ტრინე კავალერთან ერთად - ამჯერად ვილანდის მამულში... წინა დღით საბედომ შემოუთვალა, გესტუმრებიო და მინდიამაც მსახურს ტერასაზე გაატანინა მაგიდა, რათა აქ მსუბუქად ევახშმათ და ყავა დაელიათ, თავად კი, ტრინეს მოლოდინში მდინარეზე ჩავიდა გასაგრილებლად... ის იყო, სამოსი გაიძრო და წყალში შესვლას აპირებდა, როცა ბუჩქნარიდან ბლარძუნის ხმა მოესმა... მინდია გაბრაზდა... უეჭველია, მსახურები ერთობოდნენ ასე თავხედურად, არადა სადაცაა ტრინე უნდა მოსულიყო... გაგულისებული მიიჭრა ბუჩქებთან და ტოტები გადასწია... ბუჩქებში ნახრილ კაცს მოჰკრა თვალი, იმის ფეხებშორის კი ქალის შიშველ სხეულს... ხმაურზე კაცი ანაზდად შემობრუნდა და მინდიამ სასტუმროსთან ნანახი კავალერი იცნო...

„ააჰ!" - შესძახა კაცმა, ბუჩქებიდან გადმოხტა და სარცხვინელზე ხელებაფარებული მდინარის ნაპირ-ნაპირ ოტებული სატირივით გაიქცა...

წუთის შემდეგ ბუჩქები ისევ გადაიწია და იქიდან ტრინე გამოვიდა: კაცის პერანგი მუხლებს ვერ უფარავდა. ტუჩებზე სისხლიან ჭრილობასავით ნადღაბნოდა პომადა... შიშველ ფეხისგულებს ფრთხილად ადგამდა ქვიშაზე. ბუჩქებს შემოუარა და კაცის ახლო შეჩერდა.

- მიბრაზდები? - ჰკითხა სხვისი ხმით, - დაივიწყე ყველაფერი... ყავა დავლიოთ...

ტიტველი მკლავი ასწია, უნდოდა კაცისთვის თმა მოეჩეჩა, მაგრამ მინდიამ მაჯაში უტაცა ხელი და მაგრად მოუჭირა.

- გამიშვი, მტკივა, - დაიწმაწნა ქალი.

მაგრამ მინდიას არაფერი ესურებოდა. კბილს კბილზე აჭერდა, სახე ჯერ გაუთეთრდა, მერე გაუჭარხლდა და თითებს სულ უფრო და უფრო უჭერდა ქალს მაჯაზე.

- მხეცო, ნადირო! - შეჰყვირა ქალმა და მინდიაც თითქოს გონს მოეგო, ტრინეს ხელი უშვა, მიბრუნდა და მდინარისკენ გაალაჯა.

მოგვიანებით, როცა ტრინე ტაქსში ჩასვა, ის ავტომობილის სიღრმიდან გადმოიხარა, მინდიას სუნამოს კეთილსურნელება შეაფრქვია და თითით ანიშნა, დახრილიყო.

- ცხოვრება თამაშია... სასტუმროში შემომიარე და გასწავლი, როგორ დაივიწყო ეგ ყველაფერი...

მერე კარი მიიხურა და მინდიას ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა. მინდია გაკერპებული გასცქეროდა მიმქროლავ ავტოს, მერე დაიხარა და მტვრიდან მბრწყინავი მარცვალი აილო - მარგალიტის ფარლულის მძივი იყო, ტრინეს დავარდნოდა... მომუშტა მძივი, ხელი ღონივრად გაიქნია და შორს გასტყორცნა ნადავლი...

მეორე დღეს, ტრინეს რჩევისამებრ, ქალაქში წავიდა, ოლონდ სასტუმროში არ მისულა - ბურგომისტრს სახლის გასაღები და დოკუმენტები ჩააბარა, ვილანდის ჩამოსვლამდე შეინახეთო, და სადგურისკენ გაეშურა, რათა პეტერბურგისაკენ მიმავალი მატარებლისთვის მიესწრო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში





დაიბადა 1948 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში. იზრდებოდა იმავე რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში, სადაც 1965 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. 1967 წელს მიავლინეს კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტ-

## რაულ ჩილაჩავა

### ნავი

ნაპირზე ერთი ნავი აბია,
რომელსაც მუდამ თავს ადგას დაცვა.
ქვეყნად მრავალი მინახავს ნავი,
მაგრამ ასეთის მნახველი არც ვარ.
დრო და დრო იგი ხალხით ივსება
და მეხოფენი უსვამენ ხოფებს,
არავინ იცის, რა აკავშირებთ,
რა აქვთ საერთო იმ ნავში მყოფებს.
ზღვას რას გაუგებ, ზღვა ხან წყნარია,
ხან გიჟია და გადარეული,
თუ მოისურვა, მას შეუძლია
ერთ წამში დანთქას ნავი ეული.
მაგრამ რატომღაც ასე არ ხდება
და ნავი მუდამ ბრუნდება უკან,
ალბათ, მესაჭეს აქვს იდუმალი
და მხოლოდ მისთვის ცნობილი რუკა.
ოლონდ ეგ არი, უკან ბრუნდება
მუდამ ერთი და იგივე მგზავრი,
სხვები არ ჩანან, თითქოს სტიქიამ
რატომღაც მათზე იყარა ჯავრი.
ვერც ვერასოდეს გამოჩნდებიან,
ვერც აღადგენენ ნაპირთან კავშირს.
მათ ეს მაშინვე უნდა სცოდნოდათ,
როცა სხდებოდნენ... ხელმწიფის ნავში!

### ჰამურაბის შემოსევა

თითქოს უცაბედად
გვეძგერა ჰამურაბი,
ფლოტი ჩაგვიძირა,
წაგვართვა ჰამერები,
დაგვტოვა ბითურად
იმერ-ამერები...
ბებია მოწამლულ
ბიას ამურაბებს.

* წიგნიდან „მიპატიჟება ბიზანტიაში"

ში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტიცა და სტაჟირებაც. მას შემდეგ ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევში. მუშაობდა პრესაში, ათ წელიწადზე მეტ ხანს იყო უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილე, პარალელურად დედაქალაქის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, 2006-2010 წლებში იყო უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში.

რაულ ჩილაჩავა არის საქართველოს, უკრაინისა და ლატვიის მწერალთა კავშირების წევრი, მწერალთა და პუბლიცისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გალაკტიონ ტაბიძის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ალექსანდრე ჩაკის, მავრიკ ვულფსონის სახელობის პრემიების ლაურეატი, ევროპის ხელოვნებათა კავშირის ფრანც კაფკას სახელობის ოქროს მედლის მფლობელი, მინიჭებული აქვს „ქართული კულტურის ამაგდარის" წოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (საქართველო), ორდენით „დამსახურებისათვის" (უკრაინა), „სამი ვარსკვლავის" ორდენით (ლატვია), უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა მემატიანე ნესტორის ორდენით, წმინდა სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენებით „კომანდორის ჯვარი" და „ოფიცრის ჯვარი", სხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ჯილდოებით. გამოცემული აქვს 100-მდე საკუთარი და ნათარგმნი წიგნი.

## მატიოლა

შორეული მოგონება: დილა... კელასური... ნამი...
დანამული ნაპირიდან თითქოს გემი „სურინამი"
ილანდება... ილანდება დელფინები... მათ იოლად
ვერ შეამჩნევ... ნაცნობ ჰანგებს უკრავს სადღაც რადიოლა,
ტურბაზის წინ ყვავილნარში თავს იწონებს მატიოლა.

## ასტაპოვოსკენ

როცა სანიერს დაისები წითლად შეღებავს
და გათენებას არ ექნება ხალისი ძველი,
როცა იანვრის პირველი დღის კარის შეღებას
არ დამანებებს სადარბაზოს პირქუში მცველი,
როცა შუქნიშანს მარტო ჩემთვის დაენანება
მწვანე შუქი და გზაჯვარედინს მიტომ ჩახერგავს
და ჩემი ლექსი თან ნაჰყვება, როგორც ზმანება,
ლეთაში დანთქმულ, არარსებულ უკვე სახელგამს,
როცა გახდება ასახსნელი ჩემი რაობა
მათთვისაც, ადრე ვინც მიცნობდა, ვინც მენდობოდა,
და ტახტზე ისევ მოირჭმება არარაობა,
მწარე წარსული ხელს დამიქნევს ურმის კოფოდან, —
არ ვკოპწიაობ, გეუბნები როგორც ტოლს ტოლი,
გადავწყვეტ ჩემთვის: დროა უკვე სხვა განცდა ვპოვო,
მე ოჯახიდან გავიქცევი როგორც ტოლსტოი,
და მივაშურებ ჩემს ასტაპოვოს.

## ამაღლება

ჯერ კიდევ ძილში იყო მერხეული,
როდესაც ვნახე ტანი მე რხეული.

გამოდიოდა გულრიფში ნისლიდან,
სტვენდა აფხაზურ ქოხიდან ისლი და

გზად მიარხევდა გოგონა საროს ტანს,
მე შორიახლო ჩუხჩუხა წყაროსთან

ვისხურე გრილი წვეთები ნამით და...
ის გოგო უცებ ზეცისკენ წავიდა.

## დაკაკუნება

მზე იმ საღამოს ისე ჩავიდა,
ისე ჩამონვა გარშემო მწუხრი,
ვერ მოვასწარი ნათურის ჩართვა,
ველარც ზალაში დანთება ბუხრის.
ჩვეულ წიკწიკით ბეჭდავდა ლექსებს
ჩემი პირადი სტამბა – პრინტერი,
ჩამსაფრებოდა მოწყენის ლანდი,
როგორც ჭალაში მწყერს პოინტერი.
მე არაფერი არ მაკლდა თითქოს,
მქონდა ჭერიც და თავსასთუმალიც,
მაგრამ დალუპვის განცდას ბადებდა
ყურში ჩამდგარი ხმა იდუმალი.
მეგონა, სახლი თითქოს გემია,
ის იძირება, თითქმის ფსკერზე ვარ,
და გადარჩენის არანაირი,
ნამცეცა შანსიც აღარ მეძლევა,
და სწორედ ამ დროს (მსგავსი ფინალის
შეშურდებოდა თვითონ აკუნინს)
მე გავიგონე გარკვევით სახლის
ქვემოდან როგორ დააკაკუნეს.

## მეისრე

ჩემს ადრინდელ შეკითხვას ვუბრუნდები მე ისევ:
„მაინც როდის ჩათვლიმე, უბედურო მეისრევ?
ყველაფერი ერთბაშად შენ რომ გადაგაბრალეს,
ვინ არიან ისინი, რომ მღერიან „ძაბრალეს"?
არაფერი არ არის ცხადი და გასაგები,
რჩება გაუშიფრავი რუნები და საგები.
ეს სადაგი დღეებიც ჰგვანან იეროგლიფებს,
რებუსია ბუნების, ტყეში ია რომ კრიფე!
ჩვენ არ ვიცით, ამ ქვეყნად რომელს რა შეუძლია,
შეხე, ეგერ ელმავალს რკინის ბორბლებს უცვლიან.
წამიც და გრიგალივით იგი კვლავ გაქანდება,
ძველი ნაბაქანარიც ისევ გაბაქანდება,
და შენ იცი, მეისრევ, ახლა მაინც იმარჯვე,
ჯავრი არ შეარჩინო იმ კვერნებს და იმ არჩვებს,
თითქოს ყველაფერი რომ გაიგეს და გაშიფრეს,
(ზოგი, ძირს რომ ძლივს დადის, ფიქრობს, ვითომ ცაში ფრენს),
ერთი ესეც გაიგონ — კაკალი ხარ კერკეტი,
სანამ ჩაგიქროლებენ, გადასწიე ბერკეტი!

## მწარე სამება

ზოგს დრო გაჰყავდა, ზოგს — ელექტრობა
(ვისთვის საქმეა მარტივი — დენი)
მე კი ვწერდი და გამომცემლობებს
ვუტევდი, როგორც მარტინ იდენი.
და შევეზარდეთ ასე ერთმანეთს:
მე, ხელნაწერი და რედაქცია
და ამ სამებამ ბოლოს და ბოლოს
ჩემი ცხოვრება მწარედ აქცია.
ისხდნენ დაჯავშნულკაბინეტებში,
როგორც ღმერთები ძველი ელადის,
რედაქტორები და ასრულებდნენ
მხოლოდ სურვილებს მათივ ბელადის.
თვეებს კი არა წლებს მიმოკლებდა
მისაღებებში ცდა უშედეგო,
როცა მდივანი მეტყოდა: უფროსს
დღეს არ სცალია, მოდით შემდეგო.
შემდეგ კი... შემდეგ ვხედავდი,
ერთურთს როგორ უცვემდნენ წიგნებს ისინი,
რომლებსაც მუდამ მისდევდა კუდში
დამცირებულთა ავი სისინი.
მე, მართალია, მოსისინეებს
არ გავრევივარ, მაგრამ მტკიოდა,
რომ მედროვეთა ასეთ პარპაშში
დრო გადიოდა... დრო გადიოდა.
მე რა ვიცოდი, მოვა სხვა დრო და
მათ, ვინც აზრსა და განცდას სდენიდა,
ისინი, თითქოს დრო რომ გაჰყავდათ,
მყის გაიყვანდნენ დროის სცენიდან.

## გზა და პაროლი

ვუწყი მშვენივრად, რომ მე არსად მელოდებიან,
რომ არ იშლება არც ერთ სახლში ჩემთვის ლოგინი,
ეს უთავბოლო ხეტიალი, მეტიც, — ბოგინი,
ბოლოს და ბოლოს, რომ მიმიყვანს მე ლოდებიან

საუფლოს კართან... გაცხადდება, რაც დაფარული
იყო აქამდე... აღმოჩნდება უცებ მარტივი,
თამაშის ბოლოს ახალბედის გაქრილ კარტივით,
იმ ქვეყანაში შესასვლელი გზა და პაროლი.

## პლაცებო

ჩემი ახალგაზრდობის დროინდელო პლაცებო,
ახლა მივხვდი, ყოფილხართ თურმე მართლაც პლაცებო.
თურმე თქვენი წყალობით ვერ ვამჩნევდი იარებს
და ქარ-ცეცხლიც უვნებლად მიტომ გამოვიარე.
გრიალებდა მუსიკა, ტრიალებდნენ წყვილები,
განა გაუბედავნი, განა დამორცხვილები.
გოგონები, შობილნი ზღვის ქაფქაფა ქაფიდან,
ამოხტომას ლამობდნენ თავის მოკლე კაბიდან.
სახლში მივაცილებდით ცეკვით გათანგულები
იმ გოგონებს... გვეგონა, გვრჩება მათთან გულები.
ჩემო თანატოლებო, ჩემო სახლიკაცებო,
პლაცზე რომ იხვითქება გუნდი საალტაცებო,
ა, ის გოგონებია ახლა ჩვენი პლაცებო!

## მიპატიჟება ბიზანტიაში

*გურამ ოდიშარიას*

წავიდეთ ბიზანტიაში,
ვნახოთ მეორე რომი,
იქ შეჯიბრია ეტლების,
გუგუნებს იპოდრომი.

იქ უშქარ დამსვენებელთა
ფეხშიშვლად ტანტალია
და ატალია რომ ერქვა,
იხსენებს ანტალია.

იქ თავის დამწვარ ტაძარზე
ქვითინებს არტემიდა,
(მერე რა, რომ ავაზაკი
მოკვეთეს გვარ-თემიდან).

წავიდეთ ბიზანტიაში,
ერთად გავმართოთ რალი,
აკი ტაძრები იქ ჩვენც გვაქვს,
იქ ჩვენც გვაქვს სატირალი.

ოშკსაც, შატბერდსაც, ხახულსაც
პირჯვარი გადავსახოთ,
თურქმა რაც უნდა, ისა თქვას,
ჩვენ საქართველო ვნახოთ!

## ბუდე და ფრინველები

*(ლოგიკა)*

არ იკეთებენ ბუდეს მტრედები,
მინდობილები კაცის სიკეთეს;
შესაბამისად: კაცის არ სჯერა
ფრინველს, რომელიც ბუდეს იკეთებს.

## გაუგზავნელი ნოტა

*(დიპლომატიური მონოლოგი
ვიკილაქსის მოტივებზე)*

*კოტე კორკელიას*

გვითვალთვალებენ, გვაყურადებენ,
კვალში გვიდგანან, არ გვაქვს საშველი,
ჩაგვსაფრებია დღითაც, ღამითაც
ათასი თვალი, ათასი ყური.
რათა საქვეყნოდ გამოგვაჭენონ,
რათა გვაჭამონ ჩვენ ალიყური,
დააქვთ ეთერში ჭორი ანტენებს,
რაკეტებივით ცისკენ აშვერილთ.
არავინ იცის, ხვალ ვინ იქნება

ბილწი მსტოვრების მსხვერპლი მორიგი,
ვის დაბრალდება ერის გაყიდვა,
ბეზღი, ლიქნობა, ქცევა ყბედური.
ვის ელოდება გამცემის დამღა,
ვის — თითის ქნევა და საყვედური,
ვის — კაბინეტის ნაცვლად დილეგი,
ვით მანანწალის ცივ სხეულს მორგი.
ზოგჯერ მგონია, რენტგენის სხივით
ვარ გაქოლილი თავით ფეხამდე
და ტანშიშველი მივალ ქუჩაში,
ზედ არაფერი აღარ მაცვია.
იქნებ მერჩია სადმე ქაცვნარში
სატრფოსთან წოლა, როგორც ქაცვიას,
იქ თუ მნახავდნენ, მხოლოდ გლეხები,
რომლებიც სერვერს ვერ გატეხავდნენ.

## შეუსაბამო დიალოგი

— დამარეკინეთ,
თუ შეიძლება!
— აბრძანდით, ოღონდ...
სამრეკლოდან
არ გადმოვარდეთ!

## ჩვენი ჟიური

მე ბევრი რამე მოვასწარი, ბევრიც — ველარა,
დავმარცხებულვარ და ნეტარი ნამიც მიგრძვნია,
რომ ვიპყრობ მწვერვალს, რომ იქ ასვლა მეც შემიძლია,
და წვრილმანია, რომ ყივჩაღი შემომეყარა.

მე არ ვუჩივი წუთისოფელს, ბედს და შემთხვევას,
(რომც ვუჩიოდე, განმკითხავი, აბა, ვინ არი!).
ვირწმუნე, რომ ვარ იღბლიანი, როგორც ვინერი,
და გამარჯვება, დრო მოვა და, მკერდზე მემთხვევა.

არ ვიცი, რაა სიძულვილი, მტრობა და შური.
ხალხო კეთილო, ერთმანეთთან ვიყოთ გულღია.
იმ ქვეყანაში თვით მეფესაც რა წაულია!..
ნუ გვავიწყდება — ზეცაშია ჩვენი ჟიური.

## ჩურჩულთა ექოები

მე ახლაც ტანში
გამცრის ხოლმე,
როცა ვიხსენებ
ჩურჩულით ნათქვამს:
„სირცხვილია,
დაგვინახავენ!.."
მსგავსთა ჩურჩულთა
ექოები,
ჩვენ, მამაკაცებს,
ცოდვილ მიწაზე
გვამხნევებენ
და... გვინახავენ.

## პაბი

კარებს გააღებს პაბი როს,
შენ გააბოლებ პაპიროსს,
ცამ ელვა, ჭექა-ქუხილი
და თავსხმაც რომ დააპიროს.

როსმე ჩვენებურ ლუდხანას
ამჟამად პაბი გვიქვია.
შენ ბრიტანულში დადიხარ,
თუმცა ქართულიც იქვეა.

## ჩემო იორიკ!

მთელი ცხოვრება ქაღალდს მელნით ვკვებავდი... მელნის
კვალია, ქვეყნად თუ დარჩება ჩემგან რაიმე,
თუმცა მერმისი მისახავდეს უნდა რა იმედს,
როცა გარშემო განუწყვეტლივ დაძრწიან მშლელნი

კვალის, სახელის, სიყვარულის, გაგების, ნდობის,
მწადნი აქციონ ვარდნარები ეკალ-ბარდებად.
ერთხელაც ჩახმახს ზეანკიპავს და გავარდება
სცენის სიღრმეში დაკიდული ბერდანკის თოფი.

მერე გაქცევით თუ უშველის თავს სუფლიორი,
მაყურებელი მიაწყდება კარებს გუნდებად...
შენ რომ ყოველთვის გაშინებდა, ის დრო ბრუნდება,
ჩემო საწყალო მეგობარო, ჩემო იორიკ!

## როცა ლექსს ვწერ...

როცა ლექსს ვწერ, თითქოს სისხლი მელანდება
და კალამი ჩემი ხატავს იმ ათიანს,
მე რომ მსურდა... განა მართლა „იმათია"
ეს ქვეყანა... სულ წალკოტი მელანდება,

როცა ლექსს ვწერ... მეჩვენება — ადამი ვარ,
კაცთა მოდგმას დავუწესე დასაბამი...
მოვრჩი!.. ბევრი გაგვიხდება დასაბამი,
აღსარება თუ ტრაბახში გადამივა!

## ჩემი დოსიე

ახლა წარსული არის თითქოს ქვიშის ბარხანი,
რომელსაც წელთა ქარიშხალმა გადაუარა.
მოვრჩი მგზავრობას, შინ ვბრუნდები ბარგი-ბარხანით,
და მეჩვენება, რომ თანხმობას ჰგავდა უარი

თვალსხივოსანის, ვისი ხსოვნაც ჟამმა გათელა
და ვერ ვიხსენებ თუ გვქონია ჩვენ ნაცნობობა.
არც გაფრინდა და არც მოფრინდა ციცინათელა,
საკუთარ ქსელში აღესრულა ეჭვის ობობა.

მე რომ მცოდნოდა წუთისოფლის წილადობილა
რას მიმზადებდა, რა ვარამი უნდა მეზიდა,

თავისუფლება რომ ლიტონი სიტყვა ყოფილა,
სიამტკბილობა — გადახვევა უფლის გეზიდან,

სხვა გზით სიარულს, სხვა ცხოვრებას შევეცდებოდი,
მაგრამ ამჟამად სინანული რაღა დროსია.
ვისთან ვიყავი მართალი და ვისთან ვცდებდი,
კიდევ ცოტაც და თქვენ გაგიმხელთ ჩემი დოსიე.

### ჭერი

ჭერი, რომელსაც ახლა ავყურებ,
ხუთკუთხა ანუ პენტაგონია,
ჯერ კიდევ წუხელ იგი ცა იყო
და ოქროს სხივებს მფენდა, მგონია.

ჯერ კიდევ წუხელ ატლანტის მსგავსად
ის საკუთარი მხრებით მჭერია,
მაგრამ უეცრად ზე ავიხედე
და დავინახე, რომ ის ჭერია

ციცქნა ლოჯიის... როგორც სარქველი,
მას სახურავი ადგას კრამიტის...
და ამიტომაც ჩემი არც ერთი
ლოცვა ამ ჭერის იქით არ მიდის.

### სეპარატისტები

როგორც კოდალას
ხელისგულით
ვერ დააპურებ,
ისე ამათაც
ვერ მოიმხრობ
ხელშეკრულებით.

### და ყველაფერი კვლავ არის ცუდად...

ილიას დროსაც, აკაკის დროსაც,
გალაკტიონის, მათ შორის, დროსაც,
წვერებიანიც, ქაჩალიც, ქოსაც,

დროს აგინებდა, დრო იყო ცუდი...
ქვეყანა, სავსე ყრუთი და ცრუთი,

გახდა მშობელი ყრუთა და ცრუთა...
და ყველაფერი კვლავ არის ცუდად,
და ყველაფერი კვლავ არის ცუდად.



დაიბადა 1935 წელს თბილისში, ცნობილი ინტელიგენტის ოჯახში.

დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი 1959 წელს. იმუშავა 1960 წლიდან ჯერ სკოლაში, შემდეგ — 1963 წლის გაზაფხულიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებაში უფროსი ინსპექტორის (განყოფილე-

## მიხეილ ზანდუკელი

* * *

რასაც შევნატრით, სული, მუდამ, — მას ვერ მოსწვდება,
ჩვენ კი მიგვათრევს წუთისოფლის შმაგი დინება...
მხოლოდ ნათელი, დათაფლული, წმინდა ოცნება —
უკულმართ აწმყოს — ოაზისად მოევლინება.

წლები გაგვექცნენ, — ჩვენმა ბუჩქმა ველარ ივარდა,
შეგვრჩა მხოლოდ ის, — რაც უფალმა ჩვენთვის ინება, —
რაც გვეკუთვნოდა, გვამაღლებდა, გვწამდა, გვიყვარდა, —
თუნდაც ვილოცოთ, — უკან აღარ მოგვიფრინდება!

სექტემბრის ქარვით გაიკაუეს ტანი მტევნებმა,
სევდით დატოვეს ველ-მინდვრები თივის ზვინებმა...
მე კი — იმედით დატანჯული სული მევსება, —
ცისარტყელა როს მთას და რუხ ცას დაეკიდება.

### თოვლიან ღამით

ბარდნა დაუდგა თბილისს დარაჯად,
სულის საუნჯეც — თეთრი ფიფქია...
გზებზე ოცნება ისე დავხარჯე,
რომ ჩემს ზამთარზე არც მიფიქრია.

რბილი ფანტელი თმაში მენთება,
მადნება, —
ვითარც ტკბილი ნამები...
ცა, თოვლიანი მიჩანს ედემად,
როს ჩემს მინაზე სულ ვეწამები.

მთვარეც, ვით ყრმობა, სადღაც გამქრალა,
სურვილები კი არ გვითავდება...
კვლავ მარტო ვდგავარ,
უკვე ჭაღარა,
დედაქალაქის სიბრძნის თავდებად.

თბილისის სიზმრებს მარად ვდარაჯობ,
წლები — ფიქრების მსგავსად მიქრიან...
ბედს მივყვებოდი — სადაც არა სჯობს
და ცხოვრებაზეც არ მიფიქრია!

ბის გამგის მოადგილის) თანამდებობაზე 7 წელი. თითქმის ორი წელი იყო აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მთავარ ბიბლიოთეკარად, შემდეგ ისევ აკადემიის პრეზიდიუმში. 1973 წლის დასაწყისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. ამ პერიოდში გადავიდა ხალხთა მეგობრობის მუზეუმში გამოფენების (სამეცნიერო ინფორმაციის) განყოფილების ხელმძღვანელად. ორი წლის შემდეგ დაბრუნდა ისტორიის ინსტიტუტში. ათი წელია პენსიონერია.

დისერტაციის თემა: ინგლისის ექსპანსიური პოლიტიკა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში და მისი ასახვა ქართულ პერიოდიკაში. საყურადღებოა, რომ ქართველი მწერალ-პუბლიცისტები სწორად განსაზღვრავდნენ აღნიშნული პერიოდის პოლიტიკას, აშკარად აკრიტიკებდნენ კოლონიალიზმს და ხშირად წინასწარმეტყველებდნენ მსოფლიო მოვლენებს. ლენინზე გაცილებით ადრე წამოაყენეს მოსაზრება, რომ I მსოფლიო ომი გაჩაღდებოდა გერმანია-ინგლისის წინააღმდეგობის საფუძველზე, ვინაიდან გაძლიერებული გერმანია ვერ შეურიგდებოდა ინგლისის მიერ ამდენი ქვეყნის თავის კოლონიად გადაქცევას.

მიხეილ ზანდუკელის გამოქვეყნებული სტატიებიც, უმეტესად ამ თემებს ეძღვნება. სადოქტორო ვერ დაამთავრა, რადგან სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლამ შენყვიტა მოსკოვ-ლენინგრადში, — მათ საისტორიო თუ სამხედრო არქივებში სამუშაოდ ჩასვლის შესაძლებლობა.

ლექსი ბავშვობაშიც დაუწერია, თუმცა პოეზიაში არ მუშაობდა. 1992 წელს გამოსცა ლექსების კრებული. რამდენჯერმე დაუბეჭდეს „ლიტერატურულ საქართველოში", „სალიტერატურო გაზეთში" (პოეტის ერთი ლექსი — ჟურნალი „ხატაური").

ქართლის ქედების სუნთქვა მათბობდა,
მხმობდა —
მთაწმინდა და შავნაბადა...
მსურს — უფალს მუდამ ვუძღვნა მადლობა,
რომ საქართველოს გულში დამბადა.

* * *

კვიპაროსების ჩუმ ხეივანს მივყვები მწუხრზე,
მრუდე გზით გარბის არეული ჩემი ცხოვრება...
დასავლეთის ცის გასაოცარ ფერწერას ვუმზერ
და ჩამავალი მზის სინაზე მემშვიდობება.

ბედნიერ დღეთა ხშირი განცდა ერგო იღბლიანს,
ბევრს კი გულები დაგვიკოდეს ანმყოს ეკლებმა...
დღეს წლებიც ჩვენგან ისე სწრაფად სადღაც მიქრიან,
თითქოს ეშმაკი მათ მათრახით მიერეკება.

მარადი ტრფობა სულს ავყოფის შხამისგან წმინდავს,
გრძნობათ ჰორიზონტს იმედების სხივებით უვლის...
თბილ ნაბადივით შემოვიხვევ შავ ნისლთა წყვდიადს
და გულის ალით გავიქარვებ შემოჭრილ წუხილს.

...კვიპაროსების წყებას მივდევ ჩემს ობოლ მწუხრზე,
სივრცესაც, სულსაც გაუჩინა დარდმა ბზარები...
დასავლეთის ცის შემორჩენილ ნაზ ფერებს ვუმზერ
და ჩამავალ მზეს, ალბათ, მალე — დავემგზავრები!

## შებინდებისას

მთებში ჩასულმა მზემ აიხედა,
ცას მიანათა მწუხარე მზერა —
და გაუგზავნა ბოლო იმედად
ქარვის, ძონის და ლალის სიმღერა.

ცოტაც... და სხივი კვარივით ჩაქრა,
ბავშვივით, — ტკბილად მილულა თვალი.
გაკრიფა სითბო მსუბუქმა ქარმა,
მოიცვა სევდამ სამყარო მქრალი...

და მხოლოდ შორით — ქედი ჭაღარა
სივრცეში ბრწყინავს, —
ვით მინანქარი.

## შემოდგომა მოგვადგა

სანთლების რითმულ, უნაზეს კრთომას —
მიჯნურის გულის ვადარებ ძგერას...
სიყვარულს არ აქვს წონა და ზომა,
მას ანგელოზი ხატავს ან ძერწავს.

ყვავილი, მჭკნარი, სევდას გვრის ბუჩქებს,
ცივ მინას კვებავს ფოთოლთა ჯარი...
გული უამრავ განსაცდელს უძლებს,
მას თანაუგრძნობს დაისი წყნარი.

ოცნებით, ხშირად, შევხარი ხატებს,
სული, მღელვარე, — ლექსით ერთობა...
ანმყოს სიმრუდე სიბერეს მმატებს
და წლებს ჩაეკრა — უიმედობა.

* * *

მომფენს სიამეს სიოს „ჩაკრულო",
შენი მშვენება სანამ განმგმირავს...
ვარ ტრფობის ჯაჭვით კლდეზე გაკრული,
ვერ დავემსგავსე, თუმცა, ამირანს.

არ მაშინებენ ბენვის ხიდები,
სულს გულგრილობა მხოლოდ აკვნესებს...
ამდენ წელს ურცხვად
                    რად მერიდები,
ვით მთის კალმახი ბოროტ ანკესებს?!

* * *

წეროები მიფრინავენ მწკრივად,
მათ ძნელ გზებზე ზღვებია და მთებია...
თბილ ქვეყნებში განა ყველა მივა,
უგზო-უკვლოდ ლამაზ ცაში ქრებიან.

არ იშლიან!
განზრახვა აქვთ მტკიცე,
აჰყოლიან სულის ძახილს ვნებიანს...
ჩვენც მიგვილებს სანუკვარი სივრცე,
მინაზე თუ აღარ გველოდებიან.

## სექტემბერი

სიცხე სიგრილით ხდება ძლეული,
ტანის შემოსვა იწყეს ქალებმა...
და ჩამოქნილი მათი სხეული
მალე ქსოვილში ჩაიმალება.

ყინვამ მწვერვალნი შელეს-მოლესა,
გამოიძინეს მთებში ქარებმა...
მუქი ზურმუხტის მწვანე ფოთლებსაც
ქარვის სინაზე შეეპარება.

ყველას გვიქრება თითო ზაფხული
და შემოდგომის სევდით ვივსებით...
გზები, სიმწვანის ზღვაში ჩაფლული,
წაიცრემლებენ თეთრი ნისლებით.

გრძნობა მაღალი, რითაც ვენთებით,
ვერ გაუმხილეს ქალებს ჰანგებმა...
და სიდიადე ტანის მშვენების
სქელი კაბის ქვეშ დაგვეკარგება!

## შენთან — ზაფხულის ღამით

ზაფხულის ღამის სილამაზე
აჟღერებს ტკბილად სულის სიმებს...
მგონია თავი აგარაკზე: —
ფერდობი ნათურებს მიციმციმებს.

შევხარი თბილისს, — ტრფობით აღვსილს,
შევიგრძნობ ყველგან შენს ღრმა თვალებს...
ცა გახდა შენი სულის მსგავსი
და ანგელოზიც გვითვალთვალებს.

ოცნებაც, ღამის, შენს კვალს გასდევს —
და ვერცხლის გზებზე იმედს იძენს...
ვერ ვმართავ მთვარის შუქზე აზრებს,
ზღაპრული სამყარო არც მაძინებს.

ფანჯრიდან სივრცეს გადავყურებ,
გულს მოეშვება დარდი მძიმე...
იმედის სხივს გვფენს, — თავის მდგმურებს,
დედაქალაქი მოციმციმე.

უხილავ ძალებს ვემონებით,
გვათრობს სამოთხური ნეტარება...
სავსე ვარ გრძნობით, ღმერთის ნებით,
შენი სიყვარული მენატრება.

მიჯნურს — არ მიზიდავს ნატვრის თვალი,
არც ოქრო-ალმასთა ელვარება...
ოღონდ შენ მყავდე, — გულის ქალი,
სანამ ცის ნათელი გამიქრება!



ბელა ჩეკურიშვილი

## სერაფიმს, მეთევზეს

ყველა წყალს – ონკანს, საშხაპეს, ქუჩის შადრევნებს, ქალაქის ცივ და მდორე მდინარეს, შენს სახელს ვუმეორებ და გადავლილ ზამთარზე ვუყვები.

(აქ წყალი ერთადერთი მოძრავი და ცოცხალი სუბსტანციაა, ვისაც შემიძლია ჩემს ენაზე ველაპარაკო)

და გაზაფხულის წვიმებისას, როცა წვეთები შენს ქვეყნამდე ჩამოაღწევენ, გექნება ჩემი მდუმარე სურათები ტანზე მიკრული ხელებით, ჩამწყდარი ხმით და შეჩერებული სისხლით.

მაშინაც, როცა თავი ოქროს თევზები გვეგონა და ადამიანების ილბალს ვარკვევდით,

მაშინაც, როცა მივხვდით, თევზსაშენში ვიმყოფებოდით და გაშლილი სივრცე, რომელსაც სიკვდილამდე შევიცნობდით, მხოლოდ ბეტონის აუზი იქნებოდა,

მერეც, როცა აკვარიუმში ცხოვრება და ინტერიერის დამშვენება შემოგვთავაზეს,

ვიცი, ვერაფრით წარმოიდგენდი, რომ სიცოცხლეს საკუთარი ნებით დავთმობდი, შრიალა ტალღებს მარინადის სოუსს ვარჩევდი და გულისფეთქვას ოკეანის ხმაურს კი არა, წვიმის წვეთების წკაპს ავუწყობდი.

და ახლა,
ბევრი წლის და ქვეყნების მერე, ცურვისა და ფართხალის მერე,
ვთავხედდები და იმ დუმილის (ტკივილის) ამბავს გიყვები, რომელიც მხოლოდ მარინადად ქცეულმა თევზმა შეიძლება გაგიზიაროს.

## ციკლიდან „შეკითხვად სიზიფეს“

რა დაემართება თხას, თუ არ მოვწველით?
ანდა ვენახს - შემოდგომაზე თუკი არ დავკრეფთ?
ყანას არ მოვმკით, ან აბრეშუმს პარკუჭიდან არ ამოვახვევთ?
ძველთაგან ვიცით, თუ სამყაროს სიმწიფეს არ მივაყურადებთ, გადაშენდება და დავიმშევით.

მაგრამ როდესაც გრძნობები მწიფს, ძვლებში სიყვარული გროვდება და ჩვენი სისხლი ნათებას იწყებს, ვიბნევით, ვფრთხებით, თვალებს ვხუჭავთ, სადღაც გავრბივართ,

ალბათ ვიცით, რომ შიმშილი არ გვემუქრება და ამ გაქცევით არაფერი დაგვაზიანებს, სამაგიეროდ, იოლია, აღმართებზე არ დაგვძალავს ტანის სიმძიმე და შარა-გზაზეც მსუბუქად ვივლით.

როცა ვიცით, რომ არაფერს ვფლობთ და დასაკარგიც არაფერი გვაქვს, ლაღად ვცხოვრობთ, არც ომები გვაშინებს და არც მიწისძვრები.

მაგრამ რა ემართება ძვლებს გაცივების შემდეგ? ან სისხლს, როცა მის ნათებას არ მიჰყვებიან? რა გვემართება ჩვენ, როცა ერთმანეთს გაბერნებულ სულებს შევახებთ?

ეს სადღაც კუშტ და მძიმე მკლავებში (სივრცეში) გადაშვებას (მოხვედრას) ჰგავს, სადაც ვგრძნობთ, რომ ერთმანეთით ველარ ვივსებით, ველარ ვშველით, ვერ ვნაყრდებით, ვერც ვიზიარებთ,

სამაგიეროდ, ვხედავთ, როგორც გვიწოვს, გვფარავს, გვფატრავს, გვვახშმობს და გვსადილობს ის ნანატრი სიცარიელე, რომლის მკლავებში (სივრცეში) მოხვედრილებს (გადაშვებულებს) გასაქცევი უკვე არსად გვაქვს...
...
ვაშლის ხესავით დავმწიფდი და ჩამოვიხუნძლე.
შენ თავს იმართლებ, რომ გამვლელი ხარ და ხელი მხოლოდ ერთი ნაყოფისკენ ამოიწოდე, რომც მოისურვო და ჩამომკრიფო, ვერსად წამიღებ, ვერსად ჩამტევ, ვერ მზიდავ, ვერ დამაბინავებ...

## რა გითხრა, რით გაგახარო?

გაგახარებ, აქ ქუჩებზე ისეთი უნაკლო ასფალტი კრიალებს, ფეხსაცმელი არასდროს ცვდება და მენალეთა ჯიხურები პატრონების აკლდამებად იქცნენ თურმე ასობით წლის წინ.

გაგიხარდება, რომ შეხედავ, სახლებს ისე მაღალი და მყარი ლობე აქვს, ქურდი და მტერი კიარადა, მოგონებებიც ვერ გადმოდიან, არ გეგონოს, დაუკითხავად თუნდაც ბავშვობის ფანტაზია შემოგეპაროს.

აქ ვერ გაიგებ დანაწევრებულ, უთავბოლო შეძახილებს, სადაც წარმართული რიტუალივით ერთი იწყებს და გუნდი ამთავრებს, შინაარსით სადიდებელს რომ ჩამოჰგავს და ჟღერადობით – ომის დაწყებას. აქ ყველა ღმერთი ნადიდებია და ყველა ომი – მოგებული, მრევლი და ჯარი თბილ ქვიშაზე იშუშებენ მეტანიით დაყვლეფილ მუხლებს.

გეტყვი იმასაც, აქ არასოდეს იმღვრევა წყლები. ყველა მდინარე ერთხელ არჩეულ კალაპოტში მიედინება და თევზებიც მწყობრი რიტმით ისე ცურავენ, ზუსტად იციან, თოლიებისკენ რომლის რიგია და ქვირითის დასაყრელად ქვებში ვინ ძვრება...

კიდევ რა გითხრა, რით გაგახარო? ჰო, აღარ გვიჭირს საკუთარი ანარეკლის ამოცნობა ვიტრინების ფერად მინებში, აქ ცხრა თვალით და 12 ხელით ზუსტად განვსაზღვრავთ იმ ნახნაგებს, სადაც უკეთ დავიმალებით ან გამოვჩნდებით...

## სავსე ვარ,

იმდენი ნაყარნუყარი დავიტიე, რაც ვაგროვე, რაც გზადაგზა ამეკრო და ამეხლართა, რაც მესროლეს და შემომაყარეს, მიძღვნეს, გამიყვეს, გადმოუყვათ, გადმოუვარდათ, ყველაფერი მოვხვეტე და ერთად ჩავკეცე,

ჰოდა, ახლა, ალპინისტის ზურგჩანთასავით მკვრივადსავსე ვარ, ჩატკეპნილი ბოლო კვანძამდე, საჭირო და ექსტრემალური ნივთებით (აზრებით) სავსე...

აი, ასე, ქვასავით, გარეთ გამოდგმული, თვალებს ვაკვესებ და მიკვირს:
გაქცევას ხომ არ ვეშურები? ან გადამალვას? შორს მივდივარ თუ სადმე ახლოს მივემგზავრები?

არადა, აბა გაიხსენე, რა სისტემურად ვიქცეოდი, თანმიმდევრულად:

წვიმა ვიყავ და ნაგუბარში ვდგებოდი ხოლმე, კოკა ვიყავ და წყლის გზაზე ვტყდებოდი, მოვის პერანგად ტანზე მცვეთდნენ, ვერცხლის თასად – ხელისგულებში,

ისიც ხომ გახსოვს, რა ადვილად ვიხსნებოდი, მარგალიტის ნიჟარასავით, თუკი ჟინი ეყოფოდათ და მის ამოსატანად ფსკერის სიღრმემდე დაშვება არ შეაშინებდათ...

სავსე ვარ

და ასე მგონია, წყლის წვეთსაც კი ვერ დავიმატებ, ვგრძნობ, რაღაც უცხო ნივთი შემომეხვია - შევმცირდი, შევიკუმშე და გადავივსე.
...
მაშ, შენც მირჩევ რომ, ყველაფერი ისევ უკან ამოვაწყო და კარგად გავსინჯო?

## ანტიგენი

ის გრძნობდა, რომ დავლივლივებდი.

წყალი კი არ ვიყავი, ან წყალზე არეკლილი ხის ტოტები, ანდა ნიავი და საჰაერო ბუშტი, დღეებს დავყვებოდი, საათებს, წუთებს,
როგორ აგიხსნა,
წამოიდგინე, სუნთქვის რიტმი, ანდა თვალის დახამხამება, ნაბიჯები, თუნდაც კიბეზე.
მისი ყოფნის შემოგარენში ვტრიალებდი და შიგნით შესვლას ჯერ არ ვცდილობდი,
(ესეც ვირუსის თვისებაა, ხელსაყრელ დროს და ადგილებს ვირჩევთ).

ისიც მახსოვს, იგრძნო, როგორ დავლივლივებ პირდაპირ მის თვალის გუგებთან ურცხვად, საჩინოდ.
დამიჯერე, ჩვენ სხეულებს დიდხანს ვსნავლობთ, ვიდრე მათში შევიჭრებოდეთ, თორემ მცდარი არჩევანი ზუსტად ისე გაგვანადგურებს, როგორც ცუნამი – ოკეანისპირა ქალაქებს.

რაფინირებული ვირუსი ვიყავი – ადამიანის უჯრედებზე ნაცადი მემკვიდრეობით და გეტყვი, რომ ინტუიციას არ შეეძლო ელალატა.

მაგრამ იმ მომენტში, როცა განგაშის სიგნალი უნდა ანთებულიყო, თითქოს თეთრი ბატკნების ფარა გადმორეკესო, ჰაერი ისე აზვირთდა და ახმაურდა, მერე იმ ბატკნებივით ჩათბა, ჩაორთქლდა და ამ სითბომ სადღაც გამტყორცნა.

ვიცი, ვიცი, მიზეზები მუდამ არსებობს (აქ ხომ ყველას საკუთარი სინანულის ჭა და წყარო აქვს), მაგრამ როცა ბზრიალ-ბზრიალით ამ სხეულში მკვრივად ჩავეშვი, მივხვდი, დავმთავრდი.

ახლა, როცა სიკვდილმისჯილთა გვერდით ვკიდივარ, გეკითხები: ჩემი მისია იქნებ სწორედ ეს ბზრიალი, ეს ვარდნა და გაოცება იყო და არა სხვისი სისხლისა და ხორცის შექმა, დაშლა, დანგრევა?

## ახალი რომანი

**როსტომ ჩხეიძე**

# პილატეს დეტექტიური საგა

**ნუთუ შეიძლება პილატესაც შეექმნა თავისი სახარება?**
**სახარება და... პილატე?..**
**განა რა ექნებოდა მოსაყოლი?**
**ანდა კიდეც რომ მოეყოლა, რა მნიშვნელობას მიანიჭებდა ქრისტიანული მოძღვრება?**
**აპოკრიფულსაც კი არა, უფრო ერეტიკულს.**
**ერეტიკული გააზრებანი არ აკლია მახარებელთა მონათხრობსა და იესო ქრისტეს სახებას, და ვინც პილატეს სახელით გამოაქვეყნებდა სახარებას, ამ გააზრებებს კიდევ ერთ ნიმუშს შემატებდა და ეგ იქნებოდა და ეგ.**
**მაგრამ ასე იოლადაც ნუ განვსჯით ამგვარ განზრახვას.**
**მთავარი ამჯერადაც ისაა, თუ ვინ მოჰკიდებს ხელს მის ხორცშესხმას.**
**და თუ ერიკ-ემანუელ შმიტს გაუჩნდებოდა ამგვარი ჩანაფიქრი, იმთავითვე უნდა გვერწმუნა, რომ მისი ბელეტრისტული ქმნილება კანონიკურ სახარებათა წრეში იტრიალებდა; ამასთან, სიუჟეტი მახვილგონივრულ ქარგაზე გაიშლებოდა და არც დეტექტიური ზოლი მოაკლდებოდა, ფინალი კი შესაძლოა გამაოგნებელიც აღმოჩენილიყო თავისი მოულოდნელობით და ახლებური სინათლით გაეცისკროვნებინა მანამდელი თხრობა.**

ფინალი ეგებ ყოველთვის ვერ იყოს ერიკ-ემანუელ შმიტის მწერლური ხელოვნების შესაფერისი და ხან ექსპრესიულად და დიდებულად წარმართული თხრობა ერთბაშად მოიკვეცოს და მელოდრამას დაემგვანოს (საამისო ნიმუშად თუნდაც „ულისე ბაღდადიდან" წარმოგვიდგება), მაგრამ ამ შემთხვევაში — მაცხოვრის ამქვეყნიურ ბიოგრაფიაში შეღწევის ცდისას — ფინალური ნაწილი თუ მოდუნდებოდა ანდა მელოდრამისაკენ გადაიხრებოდა, შმიტი თავს უფლებას არ მისცემდა, დასრულებულად დაეგულებინა და გამოექვეყნებინა.
იგი ქმნის წმინდა წერილის აპოკრიფულ ვერსიას, რომლის გათვალისწინებაც მართებთ ქრისტიანული მოძღვრების ღრმად შეცნობის მოსურნეთ.
გაბედული განზრახვაა.
და შესაფერისადაც თავმობმული.

როდესაც კომპოზიციური სტრუქტურის ასაგებად ეპისტოლეს ჟანრს მიმართავს, ცხადია, ითვალისწინებს XVIII საუკუნის რომანის გამოცდილებასაც, სულაც ეპისტოლური რომანის სახელით რომ ვიცნობთ, მაგრამ უპირველესად მაინც წმინდა წერილის იმ ნაწილის აღნაგობას ეყრდნობა, მთლიანად ეპისტოლეებს რომ მოიცავს. დაე პილატეც ამ ფორმით ამცნობდეს რომში დარჩენილ საკუთარ ძმას იმ უჩვეულო მოვლენებს, რამაც საბოლოოდ მისი სრული ფერისცვალება გამოიწვია, თავისდამოულოდნელად სულიერების ერთი პოლუსიდან მეორე პოლუსზე რომ აღმოჩნდა.
ფერისცვალება იოლად არ მოხდებოდა, რასაკვირველია, და ერიკ-ემანუელ შმიტის ფილიგრანული სამწერლო ტექნიკა იმ ნიუანსებსაც უნდა ჩაღრმავებოდა, ქვეცნობიერის ქვეცნობიერსაც რომ ამოაქტივტივებს, თორემ სულის სხვა დანაშრევების ამოზიდვა თავისთავად იგულისხმება, რათა მორალური შემობრუნება ისეთი დამაჯერებელი იყოს, მკითხველის ცნობიერებაში მყარად ჩანერგილ ხატს პილატესას ეს ახალი ხატი მარჯვედ და დამაჯერებლად შეენაცვლოს.
პილატე არ ყოფილა მოსურნე იმ ადამიანის სიკვდილით დასჯისა, უწინარესად მაინც მღვდელმთავარნი რომ გადაიკიდა და ბრბოც სწორედ მათ მიუსიეს. მოსურნე არა ყოფილა, მაგრამ ვერც წინ აღუდგა ძე ღვთისას განირვას და ისე გულმშვიდად გადაიბანა ხელები, თითქოს ყოყმანიც და სინანულიც ჩაღვრილ წყალს გაატანა.
ამ აქტით განზოგადდა იდიომურ გამოთქმაში.
ამ სიმბოლური სახებით დამკვიდრდა კაცობრიობის მეხსიერებაში.
და მწერალი დგება ურთულესი პრობლემის წინაშე — ეს ხასიათი ისე განავითაროს, ისეთ მწვავე ვითარებებში მოაქციოს და იმგვარი განსაცდელი გამოატაროს, მკითხველი ოდნავადაც აღარ შეცბუნდეს, როდესაც რომანის დამაგვირგვინებელ აკორდად ამ სტრიქონს ამოიკითხავს:
— იქნებ პირველი ქრისტიანი სულაც შენ ხარ, პილატე?
ის, რაც გამაოგნებელი და ეგებ კომიკურიც ყოფილიყო კონტექსტიდან ამოგლეჯილი, უკვე სავსებით სარწმუნოდ წარმოგვიდგება ფანტასმაგორიული, ათასგვარად ჩახლართული თხრობის ფონზე — არა თავისებურ ეპატაჟად, თითქოსდა ხელოვნურ მცდელობად, ამოაყირავოს მკითხველის ცნობიერებაში ჩაბეჭდილი სიმბოლური სახება, არამედ შმიტი თვითონ იმ ხასიათს აყენებს ისეთ სიტუაციებში, რაც სავსებით ლოგიკურია და ძალდაუტანებლად მოითხოვს პილატეს პიროვნული ბუნების ყოველმხრივ გადმოშლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იგი ქმნის წმინდა წერილის აპოკრიფულ ვერსიასო...

მწერალი არანაირად არ ცდილობს მონათხრობის ხელოვნურ „დაძველებას“, და თუ „პილატეს სახარებას“ სიძველის სურნელი ასდის, ეს იმიტომ, რომ პერსონაჟის სულში შეაღწია და ის ზოგადი ხასიათი გამოჰკვეთა, ყველა ჟამისა რომ არის და, იმავდროულად, ამა თუ იმ ეპოქის თავისებურებებსაც შეგვაცნობინებს, მითუფრო ეპოქის — საკაცობრიო გზა რომ განსაზღვრა.




თითქოს — ყურანში აღმოჩენილი ბიბლიური ტექსტებისა არ იყოს — შმიტსაც ეს აპოკრიფული ვერსია, პილატეს სახელით აღბეჭდილი, შემთხვევით ეპოვნოს, ოღონდ ფრაგმენტული სახით, და იძულებული გამხდარიყოს, ამოევსო თხრობა, ოღონდ ოდნავადაც არ გაცდენოდა თხზულების ზოგად სტილისტიკას.

არარსებული ტექსტის შევსება-გადაწერა ხდება?

დიახ, რაღაც ამგვარი.

თუმც მწერალს უკმარი და ძალიანაც უკმარი მოეჩვენებოდა მარტოდენ პილატეს სახარების გამოქვეყნება. თითქოს რაღაც კიდევ სჭირდებოდა რომანის სრულყოფას, რაღაც არსებითი, ბოლომდე რომ გაამართლებდა მისი შექმნის აუცილებლობას. და კიდეც მიაგნებდა ვრცელი ექსპოზიციის დართვის იდეას, რომელიც აიგებოდა სიკვდილმისჯილის აღსარებაზე დაპატიმრების ღამეს.

წრე იკვრის.

დღე, რისთვისაც მოევლინა ძე უფლისა წუთისოფელს ადამიანის ხორცით შემოსილი, მოახლოებულა და ეგაა.

იგი გეთსიმანიის ბაღში მარტოდმარტოა და ემზადება გადამწყვეტი წუთებისათვის მის ამქვეყნიურ ბიოგრაფიაში.

— ჯარისკაცები უკვე პოხავენ იარაღს. შიკრიკები სასამართლოს წევრების გასაფრთხილებლად ქალაქში მიმოფანტულან, დურგალი უკვე ეფერება ჯვარს, რომელზეც ხვალ ჩემი სისხლი დაიღვრება. ქალაქში უკვე დაირხა ხმები: ლამის მთელმა იერუსალიმმა იცის, რომ წუთიწუთზე დამაპატიმრებენ. გადაუწყვეტიათ მოულოდნელად დამადგნენ თავზე... მე კი რახანია ველოდები მათ. ისინი დამნაშავეს ეძებენ, მაგრამ სინამდვილეში თანამზრახველს თუ ჩაავლებენ ხელს.

და ლალადისი:

— ღმერთო, გემუდარები, მოუდუნე მათ თავშეკავებისა და ზომიერების უნარი, აქციე ისინი უგუნურებად, მოძალადეებად და სასამართლოს გადაწყვეტილების სწრაფ, პირუთვნელ აღმსრულებლებად. დამინდე და ნუღა დამქანცავ.

ახალ აღთქმაში თუ ეპისტოლეები მოებმის მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს, მათ მიერ შედგენილ ბიოგრაფიას მოძღვრისას, შმიტის რომანში მაცხოვრის თავგადასავალი მისივე პირითაა ნაამბობი ანუ — ბიოგრაფიას ავტობიოგრაფია ჩანაცვლებია.

თუ გაბედვაა, გაბედვა ყოფილიყო.

და რაკიღა რომანის მხატვრულმა ლოგიკამ დაისაჭიროვა იესოს ავტობიოგრაფია, კიდეც გაშლილიყო თხრობა ამ ქარგაზე.

არადა, როგორ გინდა თანდათანობით ამოამზევო, თუ როგორ აღმოაჩენს გმირი საკუთარ თავში ამ უჩვეულო მისიას კაცობრიობის ხსნისათვის, თავის ღვთიურ წარმომავლობას და ამ წარმომავლობისა და მისიის წილ — ტანჯვით აღსრულებას.

რაკურსი მკვეთრად უნდა შეიცვალოს.

სხვათა ნაამბობის ნაცვლად თვითონ მოძღვარი უნდა ამეტყველდეს და ის, რაც მახარებელთა მონაყოლში ქვეტექსტურად თუ გამჭვირვალედაა მინიშნებული, ამჯერად უფრო ხელშესახები უნდა შეიქნას, შესაფერისი მაცხოვრის თხრობის სტილისათვის, ოთხივე სახარება რასაც გვიდასტურებს — იგავთა ქსოვილითაც რომ იმოსება მისი ნაუბარი და ლიტერატურული ფორმულების სიმკვეთრითა და ლაკონიურობითაც წარმოგვიდგება; და ეს მონაცვლეობა ქმნის მაცხოვრის ენობრივ პორტრეტს მის ბიოგრაფოსთა თხზულებებზე დაყრდნობით, ამჯერად შმიტის რომანის პირველი ნაწილის სტილისტიკას რომ განსაზღვრავს.

ჯერ იესოს ენობრივი პორტრეტის გასიგრძეგანებაა რთული.

და მისი გადატანა სულაც ავტობიოგრაფიული ყაიდის თხრობაში?

თან გმირის სულის თანდათანობითი გადახსნა იმ უზენაესი საიდუმლოს წინაშე, რომლის გაცხადებაც მას დავალებია?

მაგრამ გაბედვა მართლაც გაბედვა უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ ვრცელი ექსპოზიციის გარეშე პილატეს სახარება მთლად ჰაერში თუ არ გამოეკიდებოდა, მომხიბლავად მონაყოლი ამბის ჩარჩოებს ვერ გასცდებოდა და ვერ შეიძენდა იმ კონცეფციურ სიღრმესა და სრულყოფილებას, იმ კომპოზიციურ დასრულებულობას, რაც ამ რომანს ასერიგად გამოარჩევს ერიკ-ემანუელ შმიტის ბელეტრისტულ და დრამატურგიულ ქმნილებებშიც და თანადროულ ლიტერატურულ ცხოვრებაშიც, როდესაც მწერლობა ასეთი მწყურვალებით დაეძებს იმ რწმენის აღდგენას, მითოსსა და უფლის სიტყვას მოკლებულ დროში ლამის სრულიად რომ გაგვიქრა ხელიდან და მისი ნამცეცების შეკოწიწება ვაივაგლახით გვიხდება დაცემული ზნეობისა და სულიერების აღსადგენად.

დაე ერთ-ერთ მეგზურად ამ გზაზე სამწერლო ცხოვრების ბუნებრივ მდინარებასაც და მკითხველსაც „პილატეს სახარებაც“ ნაადგეს, და თუნდაც იმ აპოკრიფულ ვერსიად, რომელსაც ვერ შელევიხარ, მიუხედავად იმისა, რომ კანონიკურ თხზულებებს შორის ადგილი ვერ უპოვნია.

დამინდე და ნუღა დამქანცავო, — მამაღმერთს რომ შეღაღადებს, გადარჩენას კი არ ევედრება, არამედ სიცოცხლის მსწრაფლ მოსპობას — დაუფიქრებლად და დაუყოვნებლივ.

რაისთვის დამიტევეო, — ჯვარცმულის ეს საყვედური, ცხადია, შმიტს არ გამორჩებოდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ფასეული, ფსიქოლოგიურად ასერიგად დამაჯერებელი პასაჟი ახალ აღთქმაში, დამადასტურებელი მაცხოვრის არსებაში არამარტო ღვთიური, არამედ კაცებრივი ბუნებისაც. და არამცთუ არ გამოტოვებდა, სულაც ამ აკორდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე დაავგირგვინებდა რომანის ექსპოზიციურ ნაწილს, ანუ იმ ეპიზოდს, როდესაც ხეებს შორის უკვე უნდა გამოჩნდეს კოჰორტა, იეჰუდა ჩირაღდნით ხელში მოუძღოდეს ჯარისკაცებს, უახლოვდებოდეს მოძღვარს და მისკენ იშვერდეს ხელს.

უფლის განაჩენი შეუცვლელია.

და იესოს კაცებრივი ბუნება უნდა აწრიალდეს:

„მეშინია.

ვორჭოფობ.

მსურს, გაქცევით ვუშველო თავს.

მამაჩემო, რატომ მიმატოვე?"

სახარების ფრაზას ოდნავ წინ რომ გადმოუნაცვლებია, ამით ოდნავადაც არაფერი ირღვევა, რადგანაც ამგვარი ფიქრი, სულის ამოხდომის წინ საქვეყნოდ გაცხადებული, მაცხოვარს ამ წუთებშიც უსათუოდ ექნებოდა.

იგი უკვე პირისპირაა შერჩენილი გარდუვალ აღსასრულს, დიდ სატანჯველში გამოვლილს, და თუმც მთელი ცხოვრება აქეთ მოისწრაფოდა და საკუთარი ხელით ქედდა ჯვრის მისტერიას, ამგვარი განწყობილებაც უთუოდ უნდა შეჭრილიყო მის მტკიცე რწმენაში, რაკილა ნამდვილი რწმენისათვის უცხო არ არის არც შიში, არც ორჭოფობა, არც გაქცევით თავდაღწევის სურვილი და არც საყვედური უფლის მიმართ, სხვა გზა რომ ვერ გამოძებნა კაცობრიობის სახსნელად, თუ არა საკუთარი ძის მსხვერპლშეწირვა.

ამ მისტერიის აღსრულებაში იუდას თავისი მნიშვნელოვანი ადგილი განსაზღვროდა, და თუმც საწყევრად გაეხადა თავი, ის მოვალეობა უნდა აღესრულებინა, ჯვარცმას რეალობად რომ აქცევდა. და თუმც სახარება დაბეჯითებით გვამცნობს, რომ იესომ ამ გაცემისათვის თავის ამ ერთ-ერთ მოწაფეს წინასწარვე გამოუტანა მკაცრი განაჩენი, აკი განმანათლებლობის ხანამ მოინდომა იუდას რეაბილიტაციაც და მისი ამ უკეთური საქციელის გამართლებაც იმ მოტივით: რომ არა იესოს ტრაგიკული აღსასრული, რაც მხოლოდ და მხოლოდ იუდას ღალატმა გამოიწვია, ქრისტიანობა მარტოდენ მოძღვრების სახით ამხელა გავლენასა და დიდებას ვერ მოიპოვებდაო.

ახლა კი შარავანდად ადგა მაცხოვრის ჯვარცმული ხატი, რაც იუდას შეგნებული გადაწყვეტილების ნაყოფად შეირაცხა — არა ბოროტებად, შურად თუ ანგარებად, არამედ ქრისტიანობის დასამკვიდრებლად გადადგმულ თავგანწირულ ნაბიჯად.

ასე რომ, ამ მოძღვრებას, ღმერთსმოკლებულ ეპოქებში, ორი გმირი გამოუჩნდა, ორი თავგადადებული პერსონაჟი — იესო ქრისტე და იუდა ისკარიოტელი. და თითქოს ერთი მსხვერპლი მეორის თანაბარი გახლდათ, არაფრით ნაკლები, ის კი არა, იუდას მოქმედება ლამის იესოს ჯვარცმაზე მეტადაც აღამაღლეს, რაკილა მან, ამხელა ღვაწლის სანაცვლოდ, მხოლოდ სახელის გატეხვა, კაცობრიობის ზიზღი ინვნია.

ღმერთსმოკლებულმა დრომ იცის ამგვარი პარადოქსები.

და რა გასაკვირია, რომ იუდას რეაბილიტაციის მცდელობა მხატვრულადაც ასახულიყო.

ამგვარ ცდებს თავის დროზე ეგებ თავისებური ეპატაჟის დანიშნულებაც ჰქონდა, მაგრამ დღესდღეობით ეს გარეგნული ეფექტი უთუოდ განელებულია, და საგრძნობლადაც, ალბათ უკვე ჩავლილიცაა, და ამიტომ ყურს ჭრის ერიკ-ემანუელ შმიტის მიერ ამ ყავლგასული მხატვრული იდეის განმეორება, არადა, საკმაო მნიშვნელობას ანიჭებს იუდას სახის მაინცდამაინც ამგვარ გააზრებას.

და როდესაც მოძღვარმა უნდა წარმოთქვას ის ცნობილი ფრაზა: გულწრფელად ვაღიარებ, რომ ერთი თქვენგანი გამყიდის, — მოწაფეებს გაკვირვებისა და გაუგებრობის ჟრუანტელმა უნდა დაუაროთ და მაღე პროტესტი ყვირილითა და ხმამაღალი შეძახილებითაც გამოხატონ... და მხოლოდ იუდა უნდა დუმდეს, მხოლოდ იუდა მიხვდეს ყველაფერს, სახე ცვილისფერი გაუხდეს და გამჭოლი მზერა მიაპყროს იესოს:

— იეჰუდამ შეიგნო იმ მსხვერპლის მასშტაბურობა, რომელსაც მისგან მოვითხოვდი: უნდა დავესმინე. თვალი თვალში გავუყარე და მივახვედრე, რომ მხოლოდ მისთვის, საყვარელი მოწაფისათვის შემეძლო მსგავსი მსხვერპლის გაღება მეთხოვა. მხოლოდ ამ გზით თუ შევძლებდი მეც საკუთარი თავის გაწირვას.

რაკილა შეიგნო, განშორებისას კიდეც უნდა აქვითინდეს, თუმც მალე ემოციები მოთოკოს და ჩასჩურჩულოს: მესამე დღეს შენ დაბრუნდები, მაგრამ მე აქ უკვე აღარ ვიქნები. მე შენ გულში ველარ ჩაგიკრავო.

რატომ?

ცხადია, რატომაც.

ისიც წინასწარ ხედავს მომავალ სცენებს:

— დაგასმენ. ჯარისკაცებს ვუხმობ ზეთისხილის მთაზე. შენ დაგადებ ხელს. მერე წავალ და თავს ჩამოვიხრჩობ.

და თუ მოძღვარი მისგან მხოლოდ გაცემას ითხოვს, მისი თვითმკვლელობა კი აღარ სურს?

მაგრამ იუდა შეუვალია: შენ ხომ ჯვარცმაზე ხარ ყაბულს. რა მოხდა მერე, მე თუ თავს ჩამოვიხრჩობ, — და როდესაც იესო მიმართავს: მომიტევებია შენთვისო, — იუდამ პასუხი ასე უნდა დაუბრუნოს: მე ვერ მოგიტევებ.

იგი შეძრულია მოძღვრის ამ არჩევანით, სწორედ ის, უსაყვარლესი მოწაფე რომ გამოარჩია ამ საზარელი აქტის აღსასრულებლად. და თუმც იუდა პირნათლად აღასრულებს იესოს სურვილს და თავის როლს მორჩილად ითამაშებს, ნაწყენობას მაინც ვერ ფარავს, რაღა მე გამიმეტაო. ამიტომაც არ შეუძლია მიუტევოს.

დამაფიქრებელია რომანის ეს სურათი. იუდას იდუმალი ძალით წინასწარვე ეუწყა ყოველივე, მაშინ, როდესაც სხვა მოწაფენი იესოსა და იუდას ამ ხანმოკლე გასაუბრების შემდეგაც ვერ უნდა ჩაწვდნენ მომხდარი სცენის მნიშვნელობას.

მართლაც გამორჩეული მოწაფე და ფარული თანამზრახველი ყოფილა იუდა, ერთბაშად რომ მაღლდება მისი სახება, როგორც იესოს უშუალო თანამდგომისა და მისი დავალების მტვირთველის.

ასეთია „პილატეს სახარების" პერსონაჟი იუდა. და თუ სხვა შემთხვევაში, ანუ შმიტის მიერ პირველად გააზრებისას, ამგვარ ფერისცვალებას ისტორიული პირისა თავისი მხატვრული დანიშნულება ექნებოდა და მოულოდნელობის ეფექტიც, ნაცნობ იდეასთან შეხვედრა ველარ ახდენს მკითხველზე იმ შთამბეჭდაობას, რაც მწერალს განუზრახავს, მითუმეტეს, სახარებაში საკმაოდ ცხადადაა აღნიშნული, რომ იუდა იესოს დავალებით კი არ მონაწილეობს ჯვარცმის მისტერიაში, არამედ არჩევანის თავისუფლებამ უბიძგა ამ ნაბიჯისაკენ.

იგი ხომ ისეთ უმნიშვნელო თანხად ყიდის მაცხოვარს, ამითაც ამცირებს და შეურაცხყოფს მის პიროვნებასაც და ამქვეყნად მოვლინების მისიასაც.

ასეა თუ ისე, იუდას ამაო რეაბილიტაციის განზრახვა განცალკევებულად არ რჩება რომანში და ერიკ-ემანუელ შმიტს ეს განწყობილება გადააქვს კიდევ ერთ ისტორიულ პირზე, იმ სალომეზე, ვინც მისი ცეკვით აღტაცებული ჰეროდესაგან საჩუქრად იოანე ნათლისმცემლის თავი ითხოვა და კიდეც მიართვეს ფეშხუმზე დადებული თავი იმ კაცისა, იესოს უშუალო წინამორბედი ვინც გახლდათ და იორდანეში მისი გამნათლავი.

სახარება სალომეს ერთ უდიდეს ცოდვილად წარმოსახავს ზნედაცემულ და ქარაფშუტა ქალად, ვინც თვით ძე ღვთისას ნათლია შეიწირა — რომ არა მისი როკვა და ჰეროდეს აღთქმა: რასაც მოისურვებ, ყველაფერს გიბოძებო, — იოანე ნათლისმცემელს არავითარი განსაცდელი არ ემუქრებოდა.

და, აი, ეს სალომე მოულოდნელი კუთხით უნდა წარმომდგარიყო ოსკარ უაილდის ერთმოქმედებიან დრამაში „სალომე", არა ქარაფშუტად და სხვისი კარნახის მორჩილ აღმსრულებლად, არამედ იოანე ნათლისმცემლის სიყვარულით გახელებულ ქალად, შმაგ მიჯნურად, ვინც ველარ უძლებს გულში დატრიალებულ ვნებათაღელვას, განცდათა უკიდურესობას, და უნუგეშო სიყვარულისაგან მრისხანებით და შურისგებით აღვსილი იმეტებს სასიკვდილოდ მიუნვდომელ სატრფოს, რათა ასე მოიპოვოს მასთან სიახლოვე — ეამბოროს ტუჩებზე მოკვეთილ თავს („აჰა! მე ვეამბორე შენს ბაგეს, იოქანაან, მე ვეამბორე შენს ბაგეს. შენს ბაგეს ჰქონდა მძაფრი გემო. იყო ეს გემო სისხლისა? შესაძლოა ეს სიყვარულის გემო იყო. ამბობენ, სიყვარულს მძაფრი გემო აქვსო").

ჯიბრან ხალილ ჯიბრანიც ვერ შეელეოდა ახალ აღთქმაში გაკვრით, ოღონდ ასე ტრაგიკულ სცენაში გაელვებულ პერსონაჟს და მომნანიედ და ერთ პირველ ქრისტიანად გაიაზრებდა რომანში „იესო, ძე კაცისა", გულმდუღარედ რომ ალაპარაკებდა ჩადენილ ცოდვაზე და იესოსაგან გამოითხოვდა დანაშაულის მიტევებას („გონს გადავცდი, მოვაკვლევინე გახელების ჟამს შენი თვისი, წინამორბედი. მომფინე მადლი, მომიტევე ეგ შეცოდება, იხსენი ჩემი სიყმაწვილე სიბრმავისაგან, რომ გზა გავლიო შენს ნათელში, შენს სიყვარულში").

მან უნდა იგრძნოს იესოს უჩვეულობა, სინაზედ და აღტაცებად დაიღვაროს მისი ყოველი თვალისმოკვრისას და სურვილი სწვავდეს, ნეტარებით ემთხვიოს იმისი კალთის ნაოჭსა თუ ქობას. და მისი განცდები სულაც ექსტაზში გადაიზარდოს, არავინ და არაფერი რომ აღარ სურს, გარდა იესოს ხატისა, და ამიტომაც ინამებს უყოყმანოდ მის ღვთისშვილობას, როგორც სრულიად ფერნაცვალი ქალი („წავიდა იგი. და მასთან ერთად რაღაც მთავარი წავიდა ჩემგან. ეგებ ეს იყო სინორჩე ჩემი და ეგებ ჩემმა ყმაწვილქალობამ ველარ გასტანოს აქ, ამ მიწაზე: ჯვარს აცვეს რადგან გოლგოთის ბორცვზე იესო — ღმერთი სიჭაბუკისა").

სალომეს ამ სრულიად ახლებური პორტრეტის მხილველნი ვხდებით „პილატეს სახარებაშიც", სადაც ნაამბობია იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის ამბავი ისე, როგორც სახარებიდან ჩაგვბეჭდვია ხსოვნაში, მაგრამ მერე კი, როდესაც პილატე და მღვდელმთავარი კაიაფა საუბრობენ ერთბაშად გავრცელებულ ჭორებზე, თითქოს იესო მკვდრეთით აღმდგარიყოს, აღმოჩნდება, რომ ის, ვინც ირწმუნება, გაცოცხლებული ჯვარცმული გამომეცხადაო, პრინცესა სალომეა.

ეს მან შთაბერა სული მაცხოვრის ზეცად ამაღლების იდეასა და ხატს.

და ამაოა სკეპტიკოსთა წამიერი თვითდამშვიდება, განა ვინ შეიძლება ამ ბოდვით დაინტერესდესო. თვითონაც გრძნობენ, რომ სასახლეს მთელი სამყარო მიაწყდება და ყველა მიადევნებს თვალყურს სალომეს ფათერაკებს.

ხოლო როდესაც პილატეს ცოლი კლაუდიაც ჯვარცმულ პიროვნებაში მესიას ხედავს და თავის ეპოქას გარდამტეხ ჟამად შეიცნობს კაცობრიობის ცხოვრებაში, მთლად ორიგინალურობას არც ამჯერად იჩენს ერიკ-ემანუელ შმიტი, და კვლავაც ძალდაუტანებლად წამოგვაგონდება ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო, ძე კაცისა", სადაც პილატეს ცოლი (იქ მას სახელი არა ჰქვია) უნებურად უნდა გადააწყდეს ჭალაში მოწაფეებთან მოსაუბრე მოძღვარს, და თუმც მისი ენა ქალისათვის თითქმის გაუგებარია, მაინც უნდა ჩაწვდეს ნაუბარის შინაარსს („ენა რად სჭირდება ადამიანს ნათლის სვეტის ან ბროლის მთის დასანახავად?! გულს ესმის ის, რასაც ენა ვერ იტყვის და ყური ვერ გაიგონებს").

მას შემდეგ კი იესოს ხატება უნდა ეწვიოს ხოლმე პილატეს ცოლს და მისმა თვალებმა ქალის სული ეძიოს, მისმა ხმამ კი იმეუფოს ქალის ღამეთა მდუმარებაში, ამ განცდამდე რომ აღამაღლებს: მე ტყვექმნილი ვარ სამარადჟამოდ. და არის სიწმინდე ჩემს ტანჯვაში. და არის თავისუფლება ჩემს ცრემლშიო.

ამ ფრაგმენტში თვალსაჩინოა ჩანასახი ოჯახური დრამისა, რომელიც უშუალოდ უნდა გადაეჯაჭვოს სახელმწიფოებრივსა და რელიგიურ კონფლიქტებს, ანუ რამდენიმე დრამა ერთმანეთს შეეხალოს და უფრო მასშტაბურად წარმოისახოს ჭიდილის მრავალშრიანობა. სახელმწიფო მოღვაწე, ვინც მტკიცედ ცდილობს დასაწყისშივე აღმოფხვრას მოსალოდნელი საფრთხე, რასაც იესოს მოძღვრების დამკვიდრება უქადის რომის იმპერიასა და ღვთაებათა წარმართულ პანთეონს, ოჯახშივე აწყდება დიდ წინააღმდეგობას და უფრო საცნაური ხდება მისთვის ახალი რელიგიური ტალღის საშიშროება, რაკილა განხეთქილებისათვის შინაც ვერ მოუვლია.

როგორ გინდა მაწანწალად და ჯადოქრად მიგაჩნდეს კაცი, ვისაც მოთაყვანედ შენი უახლოესი ადამიანიც გახდომია. — ჯერ საუკეთესო მკურნალად რომ აღიარა და შემდეგ იმ მხსნელადაც, საუკუნეთა მანძილზე რომ მოელოდნენ და ძველი აღთქმა ამ რწმენით გაჟღენთილიყო.

ოჯახური ჭიდილის ფონზეც გაიშლებოდა სიუჟეტური ქარგა ვასილ ბარნოვის რომანისა „არმაზის მსხვრევა", რელიგიურ და სახელმწიფოებრივ ჭიდილს ზედ გადაენასკვებოდა ოჯახური დრამაც მეფე მირიანისა და დედოფალ ნანასი, ვინც, მოციქულთა სწორ ნინოსაგან განკურნებულმა, ინამა ჯვარცმული ღმერთი, მონადინე შეიქნა ძველი კერპების დამხობისა და ქმარსაც მოუნდომა შეგონება, ქრისტეს რჯულის აღიარება გერჩივნოს და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაო.

მეფე კი, აბორგებული და განრისხებული მეუღლეზეც და მის მკურნალზეც, სანადიროდ გავიდოდა და მკაცრ სიტყვას დააგდებდა: შემოვბრუნდები და შურს ვიძიებ მათგან ჩემს ღმერთთა შეურაცხებისათვისო.

ოღონდ ვასილ ბარნოვი სიუჟეტს ამ მიმართულებით რომ გაშლიდა, მთავარ საყრდენად ქართულ ისტორიულ ქრონიკას მოიშველიებდა, წმინდა ნინოს ბიოგრაფიას და ამ კვალს გაჰყვებოდა მისი მხატვრული წარმოსახვანი.

თუმც ეგეცაა:

ამგვარი რამ ქრონიკაში რომც ვერ ამოეკითხა — არ მომხდარიყო მოციქულთა სწორის მიერ დედოფლის განკურნება და მისი სახით დიდი მოთაყვანე არ გამოსჩენოდა ახალ რჯულს — მოსალოდნელია ვასილ ბარნოვს მხატვრული აუცილებლობისათვის, კონფლიქტის გასაღრმავებლად, შეეთხზა სიუჟეტის სწორედ ასეთი მსვლელობა, რათა მწვავე სახელმწიფოებრივ და რელიგიურ მოვლენებში ოჯახური დრამაც არანაკლები ექსპრესიით შემოჭრილიყო.

მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიისათვის, მწერლური ლაბორატორიის შესწავლისათვის ამგვარ მოსალოდნელობას თავისი მნიშვნელობა ენიჭება, თორემ აგერ, ერიკ-ემანუელ შმიტის რომანს რომ კითხულობ, ნამიერად ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება დაგრჩეს, სიუჟეტის განვითარებისათვის ისიც წმინდა ნინოს ქრონიკებს დასესხებია, იესოს ბიოგრაფოსთა ნაამბობისათვის ქართველთა განმანათლებლის ბიოგრაფოსთა მიერ შემონახული ცნობები შეუზავებიაო.

საგულისხმოა, რომ ოთარ ჩხეიძე საგანგებოდ დაუკვირდებოდა „არმაზის მსხვრევაში“ მხატვრული კონფლიქტის სამივე განზომილების აუცილებლობას შინაგანი ლოგიკის გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივსა და რელიგიურს ოჯახურიც რომ უნდა გადაჯაჭვოდა მეტი სიმძაფრისათვის, ისევე, როგორც „შუშანიკის წამების“ ანალიტიკური გააზრებისას მკვეთრად წამოწევდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოებრივსა და რელიგიურ ჭიდილს პერსონაჟთა ოჯახური შეხლაც მიმატებოდა და შუშანიკი მაშინღა გატეხილიყო, როდესაც შეიტყობდა, რომ ვარსქენ პიტიახშს შვილებიც მოგვობაზე მოექცია. ეს გადაიქცეოდა მის ტრაგედიად და გაუმწვავებდა ქრისტიანობისათვის მსხვერპლად შეწირვის განცდას. და ეს გამწვავება კი ახალი დროის მწერალს თავისი შორეული წინამორბედის, იაკობ ხუცესის, მხატვრული ალღოს დადასტურებად მიაჩნდა, იმ მიგნებად, რამაც მისი აგიოგრაფიული ქმნილება ააცილა ბერძნულ-ლათინურ მარტვილობათა ერთფეროვან ნაკადს და სრულყოფილ მხატვრულ-დოკუმენტურ ნიმუშად შემოგვინახა.

თავისთავად როგორია:

თითქოს ერიკ-ემანუელ შმიტს ქართული ისტორიული ქრონიკა ეპყრას და მის კვალს მიჰყვებოდეს ერთგულად.

მისი პილატე მეფე მირიანივით არა ბორგავს და არა მრისხანებს, არ ემუქრება მეუღლეს შურისძიებით, მაგრამ მძაფრი კამათი კი მოსდით და ეს გრძელდება მანამდე, სანამ პილატე ახალ რჯულზე მოექცეოდეს.

და თუმც თვითონ ძალიან ნანობს, გვამის მოძებნის ჟინით შეპყრობილი, ყველაფერს რომ გამოაკლდა, ყველაფერი უიმისოდ მოხდა და ვერ იხილა, რაც სხვებმა ნახეს და აკი კიდეც ირწმუნეს, კლაუდიამ უნდა დაამშვიდოს იმ შთამაგონებელი ფრაზით: იქნებ პირველი ქრისტიანი სულაც შენ ხარო, — რაკილა სხვებმა იხილეს გამოცხადება და მხოლოდ მას შემდეგ ინამეს მაცხოვარი, პილატეს კი არ უხილავს და მაინც გაუკვლევია გზა მის გულში ახალ რწმენას.

და ეს რას ნიშნავს, თუ არა იესოს შეგონების გათავისებას, მისი ხატის გამოცხადების გარეშეც რომ უნდა ერწმუნათ მისი, თუკი ნამდვილ ქრისტიანებად სურდათ გადაქცევა და არა მოყოყმანე ბრბოდ, აქეთ-იქით რომ აწყდებოდა და თავს კი იმით ინუგეშებდა: დაუჯერებელი ბოლომდე როგორ დავიჯეროთ, თუკი სასწაულმა არ დაგვიდასტურაო.

არადა, მაცხოვარი სასწაულთა იმედად რომ ყოფილიყო, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მისთვის, ჯვარზე გაკრული აშვებულიყო და ყველას თვალწინ ამაღლებულიყო ზეცად.

მაგრამ მაშინ კაცობრიობა თავისთავად დაკარგავდა თავისუფალი არჩევანის ნებას, რაც ახალი რჯულის ერთ არსებით ნიშნად წარმოგვიდგება და ამ არსებით ნიშანს თავისი მხატვრული ხორცშესხმა უნდა ეპოვნა შმიტის თვალით დანახული პილატესა და მისი სახარების წყალობითაც, იმ პილატესი, ვინც სოფოკლეს ოიდიპოსის სიმაღლემდე ადის თავისი სიწრფელითა და მიზანდასახულებით დეტექტიური ძიებისას.

აკი პირველ დეტექტივად ოიდიპოსიც შეურაცხავთ, და თუმც პირობითია ამგვარი განსაზღვრება, ხელშესახებია ჭეშმარიტების ის მარცვალი, რაც თვალნათლივია და არა ეპატაჟური მიზნით შეთხზული.

ოიდიპოსი გულმართლად რომ არ იძიებდეს ლაიოსის მკვლელობის საქმეს და მართლა მონადინე არ იყოს მკვლელის პოვნისაც და თებეს თავზე შავი ჭირის მოვლინების მიზეზის ამოხსნისაც, აუცილებლად დაფარავდა გამოძიების შედეგს — ძებნა-ძებნაში... საკუთარ თავს რომ მიადგებოდა. და თუმც უნებური გახლდათ მამის მკვლელობაც და საკუთარ დედასთან შეუღლების არანაკლებ შემზარავი დანაშაულიც, როგორც წრფელ პიროვნებას, მას არ შეეძლო ძიების ჩაფარცხვა.

ის კი არა, ისეთ სასტიკ განაჩენს გამოუტანდა საკუთარ თავს, რისთვისაც მისი ქვეშევრდომნი არაფრისდიდებით არ გაიმეტებდნენ. მან კი არ დაასწრო მართლმსაჯულებას, არამედ გადაამეტა იმის უფლებებს, რადგანაც სულით ხორცამდე შეძრა ცოდვის (თუნდ უნებური ცოდვის!) სიმძიმემ.

შმიტის პილატეც არანაკლებ გულმართალია და, თავგადაკლული რომ დაეძებს იესოს ნეშტს, ძებნისას კი არავის და არაფერს ერიდება და მზადაა ყველაფერი გაწიროს, ოღონდაც ზეცად ამაღლების მითი გააქარწყლოს, როდესაც ოიდიპოსივით მიადგება ჭეშმარიტებას, უკან არ დაიხევს და აღიარებს მის ძალმოსილებას, რაოდენ დამამწუხრებელიც უნდა იყოს ამ სათავის მიკვლევა მისთვის.

სახარებისეულმა სტატიკურმა ხასიათმა უჩვეულო მოვლენათა შუაგულში ამოჰყო თავი.

დიდი ვნებათაღელვა გამოსცადა.

ერთი პოლუსიდან მეორეს მიაწყდა და მოაწყდა.

და ასე ჰპოვა საკუთარი თავიც და ის ამქვეყნიური დანიშნულებაც, რაც იესოს ბიოგრაფოსთა მხედველობის მიღმა დარჩა, რადგანაც ისტორიულმა რეალობამ საამისო მასალა არ მიაწოდათ; მოგვიანო ხანის მწერალმა კი თავის მხატვრულ ძიებათა ქვაკუთხედად აქცია და ახალი აღთქმის აპოკრიფული ვერსია ამ მოულოდნელი შემობრუნებით, მაგრამ მხატვრული ლოგიკით, ხასიათის ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი განვითარებით იმგვარ განზომილებაში გადაიტანა, გვირგვინად რომ უნდა დადგომოდა ჯადოსნურ აკორდს მიმსგავსებული ფრაზა:

— იქნებ პირველი ქრისტიანი სულაც შენ ხარ, პილატე?

ასე რომ არ ყოფილიყო, ამქვეყნად მართლაც ქრისტიანთა ერთი თაობა იარსებებდა, ის თაობა, იესო მკვდრეთით აღმდგარი რომ იხილა, და ეს რწმენა მათთან ერთად გაქრებოდა, როგორც კი უკანასკნელი მოხუცი, რომლის მახსოვრობასაც ცოცხალი იესოს სახე და ხმა შემორჩებოდა, თვალებს დახუჭავდა.



გამოდის ისტორიკოს იოსებ ალიმბარაშვილის წიგნი: „ოქონის ხატ[ებისა და ტაძრ[ების ისტორიიდან“. ავტორი აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე წელია მუშაობს, მაგრამ მისი გამოქვეყნებისაგან გარკვეულ მოსაზრებათა გამო თავს იკავებდა. ოქონის ხატის ირგვლივ მეცნიერებსა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შორის დღემდე განსხვავებული მოსაზრებანი არსებობს და ეს პოლემიკა არახალია. რამდენადაც ოქონის ხატისა და ტაძრის ისტორია მნიშვნელოვანწილად გორთანაა დაკავშირებული, იგი არაერთხელ გახდა აქ მოღვაწე მეცნიერთა კვლევისა და განსჯის საგანიც. მათ შორისაა სოსო ალიმბარაშვილი.

# ოქონის ხატი — გორისა და საქართველოს მფარველი

*

## მარინე გიგაშვილს ესაუბრება იოსებ ალიმბარაშვილი

**— ბატონო სოსო, როდის დაინტერესდით პირველად ოქონის ხატის ისტორიით?**

— ოქონის ხატისა და ტაძრის ისტორია ყველა გორელისა და მით უფრო ისტორიკოსისათვის სათუთი თემაა. ეს საკითხი გორში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეპარქიაში მეუფე ანდრიას მოსვლის შემდეგ.

ინტერესი ერთბაშად არ გაჩენილა. წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გორის სახელმწიფო არქივსა და ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში სხვადასხვა საკითხებზე მუშაობისას ვკრებდი მასალებს ოქონის ხატთა და ტაძრების შესახებ. 2007 წლის ივნისში მეუფე ანდრიასთან სტუმრობისას ჩემი მოსაზრებანი გავუზიარე, მისგან ლოცვა-კურთხევა მივიღე და საკითხის სიღრმისეული შესწავლა დავიწყე.

**— რამდენად მნიშვნელოვანია ოქონის ხატი ქართულ მართლმადიდებლობაში, კერძოდ კი გორის ისტორიაში.**

— ოქონის ხატი არამარტო გორის, არამედ საქართველოს მფარველადაც ითვლება და დიდ როლს ასრულებდა ერის ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია, რომ ოქონის ის ხატი, რომელიც ჩემი კვლევის ინტერესს წარმოადგენს, „ქართველ მეფეთა საწინამძღვრო ოქონის ხატ-ჯვარცმის“ სახელითაა ცნობილი. იგი მიუძღოდა წინ ქართველთა ლაშქარს ბრძოლის ველზე. ის მოჰყავდათ „თავდებად“ წყალობის, ნასყიდობის, სასისხლო სიგელებში. გორთან დაკავშირებული ძველ დოკუმენტთა უმრავლესობაში ესა თუ ის საქმე ოქონის ხატისა და გორიჯვრის წმინდა გიორგის „მეოხებითა და შეწევნით“ ხდებოდა და ა. შ. ამავე დროს, თავისი ძალისა და ფასეულობიდან გამომდინარე, მუდმივად იყო ცილობის (მათ შორის ქართველი მეფე-მთავრების) საგანი და სხვადასხვა კუთხეებსა და ქვეყნებში იძულებითაც „მოგზაურობდა“.

**— რამდენი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს ოქონის ხატის შესახებ?**

— საგულისხმოა, რომ ოქონის სახელზე ეკლესიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აშენდა (ქართლში — გორსა და სოფელ ოქონაში, იმერეთში, გურიაში, ქვემო სვანეთში) ნაწილი ღვთისმშობლის, ნაწილიც — მაცხოვრის სახელზე. პოლემიკა ოქონის ხატის ირგვლივ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო და მასში ჩართულნი აღმოჩნდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი (გარსევანიშვილები ქართველ მეფეთაგან საუკუნეების განმავლობაში დადგენილნი იყვნენ ოქონის ხატის მცველებად), გიორგი საძაგლიშვილი (კირიონ II), გრაფინია უვაროვა, მოსე ჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვანი. პოლემიკის საგანს წარმოადგენდა ის, თუ ოქონის არსებულ ხატთაგან რომელი იყო ელენე დედოფლის (ბაგრატ IV-ის ბიზანტიელი მეუღლის) „მზითევი“. გარსევანიშვილი და საძაგლიშვილი გორის ოქონის ეკლესიაში დაცულ „ვედრების“ სამკარედიან ხატს ანიჭებდნენ უპირატესობას. უვაროვა მიიჩნევდა, რომ საქართველოში არსებულ ოქონის ხატთაგან ბერძნული ხელობისა მხოლოდ სამაჩაბლოს ოქონაში არსებული სპილოსძვლის ტრიფტიკონია, ამიტომაც ელენეს სწორედ ეს ხატი უნდა მოეტანა სამშობლოდან. ექვთიმე თაყაიშვილი მეფეთა საწინამძღვრო ხატს უჭერდა მხარს. ამ ბოლო დროს ბიზანტიოლოგმა თამარ მესხმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ოქონის ხატი მთავარანგელოზისა უნდა ყოფილიყო.

**— როგორია თქვენი ვერსია და რა მონაცემებს ეყრდნობით მის გასამაგრებლად.**

— ფაქტი ერთია, თუ მართლა ელენეს მზითევ ოქონის ხატს ვეძებთ, ის დაკარგულია, ან უკეთეს შემთხვევაში პირვანდელი სახით აღარ არსებობს. გამორიცხული არ არის შემორჩენილი იყოს ფრაგმენტების სახით. მოგვიანებით ოქონისა დაერქვა ყველა ძვირფას ხატს, რომლებიც ოქონის სახელზე არსებულ მონასტრებში იყვნენ დაბრძანებულნი. დაბნეულობის კიდევ ერთი მიზეზი გახდა ისიც, რომ ოქონის ეკლესიები ზოგი ღვთისმშობლის სახელზე აშენდა, ზოგიც მაცხოვრისა.

ჩვენი აზრით, ელენეს მზითევთან ყველაზე ახლოს მაინც „ქართველ მეფეთა საწინამძღვრო ოქონის ხატ-ჯვარცმაა“. ყველა მკვლევარი, ვინც კი ოქონის ხატის ისტორიის შესწავლა დაიწყო, ელენეს თან-მოყოლილ ხატთან დაკავშირებით ეყრდნობა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას. ფაქტია, რომ ვახუშტი კარგად იცნობდა ხატ-ჯვარცმას,

რადგანაც ის საუკუნეთა განმავლობაში ქართლელთა, მუხრანბატონთა საკუთრებას წარმოადგენდა. ბატონიშვილი თავის ნაშრომში ოქონის ხატს ოთხჯერ ახსენებს და ოთხივეჯერ საუბარია მეფეთა სანინამძღვრო ხატზე. ეს დასტურდება როგორც ქართველ მეფე-მთავართა ხატზე გაკეთებული წარწერებით, ისე ხატში ჩატანებული სიწმინდეებით, რომლებიც საქართველოში, როგორც წესი, ბიზანტიიდან იგზავნებოდა. საუბარია მაცხოვრის წვერზე, სამსჭვალზე, წმ. ბარბარეს ნეკზე, ღვთისმშობლის სარტყელზე, მახარებელთა, წმინდანთა ნაწილებზე, ძელი ჭეშმარიტზე და სხვ.

— **თქვენს ნაშრომში კარგად ჩანს ის როლი, რომელიც ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა სერგი მაკალათიამ (რომელიც მაშინ გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის დირექტორი იყო) ითამაშა ოქონის ეკლესიაში დაცულ ნივთთა გადარჩენის საქმეში.**

— სერგი მაკალათია მართლაც დიდი მამულიშვილი გახლდათ და რომ არა მისი ავტორიტეტი და ღვაწლი, დღეისათვის მართლაც ბევრი რამ გვექნებოდა დაკარგული. ეს ეხება, როგორც ეთნოგრაფიულ, ისე დოკუმენტურ მასალას. ჩვენ მივაკვლიეთ მის ჩანაწერებს გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც იგი, ხელისუფლების ზემოქმედებისა და ცენზურის მიუხედავად, თანამშრომლებს მკაცრ მითითებებს აძლევს ოქონის ეკლესიიდან გადმოცემული ქონების ანტირელიგიური მუზეუმისათვის გადაცემის გამო და სთხოვს მათ უკან დაბრუნებას.

— **როდის იკარგება ოქონის ეკლესიის კვალი გორში, იმ ერთადერთი ეკლესიისა, რომელშიც ქართულ ენაზე მუდმივად ტარდებოდა წირვა-ლოცვა.**

— აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი და კვლევა სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა. საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ცნობილი იყო, რომ ოქონის ეკლესია 1920 წლის თებერვლის ცნობილი მიწისძვრის შედეგად დაინგრა. გორის სახელმწიფო არქივში მუშაობისას მივაკვლიე გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის 1928 წლის 16 მარტის დადგენილებას ოქონის ეკლესიის დანგრევასთან დაკავშირებით და ამის შესახებ განვუცხადე მეუფე ანდრიას. მეუფემ კურთხევა მომცა და მთხოვა კვლევა გამეგრძელებინა ამ მიმართულებით.

— **ნაშრომში ცდილობთ აღადგინოთ ის ადგილი, სადაც იდგა ოქონის ტაძარი. რომელ ცნობებს ეყრდნობით?**

— საბედნიეროდ, შემოგვრჩა გორის ცენტრალური ნაწილის ერმაკოვისეული ფოტო, რომელშიც თვალნათლივ ჩანს ოქონის ტაძარი და მისი შემოგარენი. ოქონის ტაძართან ძალზე ახლოს იდგა სხვა შენობებიც. ხელისუფლებამ სწორედ ეს მოიდო მიზეზად, თითქოს მიწისძვრისაგან დაზიანებული ტაძარი ახლომდებარე მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა და მისი დანგრევის განკარგულება გასცა, ხოლო დანგრეული ტაძრის სამშენებლო მასალა ადგილობრივ ღარიბ მოსახლეობას დაურიგდა სახლების ასაშენებლად. ერმაკოვის ფოტოზე ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით ჩანს განსხვავებული არქიტექტურისა და სახურავის შენობა, რომელიც დღესაც იმავე ადგილასაა. ამ ფაქტითა და ფოტო-დაზვერვის მეთოდით დგინდება, რომ ტაძარი დღევანდელი სკვერის ჩრდილო-დასავლეთით, 50-60 მეტრში იდგა. აღნიშნულ ადგილას, ერთ-ერთი მოსახლის ეზოში შემორჩენილია ძველი ტაძრის კუთხის ფრაგმენტიც.

— **როგორია საბჭოთა ხელისუფლების „ღვაწლი“ ოქონის ტაძრის დანგრევა-განადგურების საქმეში? რა დოკუმენტები არსებობს ამასთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, ეს დოკუმენტები წიგნს დანართების სახით თან ერთვის.**

— საბჭოთა წყობილების ლენინურ-სტალინურ გეგმაში ეკლესიისათვის ადგილი ვერ მოიძებნა. უმძიმეს ვითარებაში ჩავარდა სასულიერო წოდება. საარქივო დოკუმენტებზე მუშაობისას არაერთგზის წავაწყდი მღვდლებისათვის სამოქალაქო უფლებათა და ქონების ჩამორთმევის ფაქტებს. თანაც ეს ყველაფერი ხდებოდა საოცარი ცინიზმით. მაგალითად, ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, გორის „საკანდიტროებში“ პასკები დაუცხვიათ და ზედ ჯვრების ნაცვლად ნამგალი და უროები გამოუსახავთ. სხვაგან მღვდლების ჩამორთმეულ ქონებაზე საჯარო ვაჭრობა ცხადდება და სხვ.

ჩვენ დიდხანს ვფიქრობდით, შეგვეტანა თუ არა ნაშრომში ეს ფაქტები. თუმცა საზოგადოებას აქვს უფლება სიმართლე იცოდეს საკუთარი ქვეყნისა და ქალაქის არც-თუ შორეული წარსულის შესახებ, ამიტომ მკითხველს წინასწარ ბოდიშს ვუხდით მძიმე ფონისათვის.

— **დღეს, როგორც ცნობილია, ოქონის ხატის ადგილზე შენდება ეკლესია. ვისი ინიციატივით და როდის დაიწყო მისი აღდგენა-მშენებლობა?**

— როდესაც მეუფე ანდრია გორში მოვიდა (2001 წ.), ქალაქში მხოლოდ ერთი ტაძარი ფუნქციონირებდა. ამჟამად მოქმედია 5 და სამი მშენებლობის პროცესშია (მათ შორის — ოქონის). მეუფის აქტიური ძალისხმევით გაიხსნა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გიმნაზია, დაარსდა კულტურისა და სულიერ განათლების ცენტრი, საფუძველი ჩაეყარა სამთავისის ტაძრის არქეოლოგიურ გათხრებს. ყოველწლიურად ტარდება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, წმინდა მღვდელმონამის კირიონ II-სადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, შეკეთდა ოქონის ნიში, წყარო და სხვ.

მეუფის ინიციატივით, 2003 წლის 29 აპრილს აღსდგა ოქონობის ბრწყინვალე დღესასწაული, ხოლო 2011 წლიდან ახალი ტაძრის მშენებლობაც დაიწყო.

— **გვითხარით ორიოდე სიტყვით თქვენს შესახებ.**

— ვმუშაობ გორის სასწავლო უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის უფროსის თანამდებობაზე. წლების განმავლობაში ვეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას. ვიყავი ტინისხიდის საჯარო სკოლის დირექტორი. ამჟამად ვარ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. გამოცემული მაქვს წიგნები: „ტინისხიდის ისტორია“, „ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე“, „აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს-ის II ნახევარში“, „ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში“. რუკები: „გორისა და გორის რაიონის ხუროთმოძღვრების ძეგლები“, „დიდი და პატარა ლიახვის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები“. სტატიებიდან გამოვყოფდი: „კიდევ ერთი დავით მეფეთა-მეფის ვინაობისა და რიგითობის საკითხისათვის“, „ზედაველას ბრძოლები“, „შიდა ქართლის ქალაქ-სოფლების გასარწყავების საკითხი ძველი დოკუმენტების მიხედვით“, „ნიახურას ბრძოლის შეფასების საკითხისათვის“ და სხვ.

ამჟამად ვმუშაობ მონოგრაფიაზე „დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი“ (ცხოვრება და მოღვაწეობა).

იოსებ ჭუმბურიძე

# „რაცა სურს, დასძლევს“

*

## „რომეო და ჯულიეტა“ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში

ცოდვას თავიდანვე გავამხელ — სპექტაკლის სანახავად რომ მივდიოდი, ვფიქრობდი: როგორ უნდა დაძლიოს დევნილი თეატრის დასმა ეს ურთულესი ამოცანა? აქაურ „მოზარდს“ გასჭირვებია და სოხუმისა რა დღეში იქნება?! **შექსპირთან** შეჭიდება მეტისმეტი ხომ არ არის თეატრისათვის, რომელიც უმწირესი დაფინანსებით, სხვის ჭერქვეშაა (თანაც ხან სად და ხან სად?) შეფარებული.

ახლა კი ამ ფიქრების გამო მრცხვენია. მრცხვენია იმის გამო, რომ ამ შესანიშნავ დასს აქამდე არ ვიცნობდი. მათი არც „ჩარლის დეიდა“ მინახავს, არც „ცეკვის მასწავლებელი“, არც „გამარჯობა, სოხუმო!“ — ეს ბოლო მაინც ხომ უნდა მენახა?!

და — პირდაპირ შექსპირი!

პირდაპირ — „რომეო და ჯულიეტა“ — სიყვარულის ლამაზი და ტრაგიკული ამბავი.

ტრაგედია, რომელიც კი არ გთრგუნავს, და სასოწარკვეთილებაში გაგდებს, პირიქით, სიყვარულის უდიადეს ჰიმნად ჩაგესმის და ძალას გმატებს.



*თორნიკე ბელთაძე (რომეო)*
*ქრისტინე ბერუაშვილი (ჯულიეტა)*

არ ვიცი, სხვები რას იტყვიან, მე კი ასე მემართება:

როცა თეატრში „ჰამლეტის“ სანახავად მივდივარ, ყველაზე მეტად იმის ნახვის წადილი მიპყრობს, თუ როგორ წარმოთქვამს მთავარი გმირი „ყოფნა-არყოფნის“ ცნობილ მონოლოგს.

როცა „რომეო და ჯულიეტას“ უნდა ვუყურო, უწინარესად, ის მაინტერესებს, როგორ გათამაშდება რომეოსა და ჯულიეტას ცნობილი დიალოგი, **ვახტანგ ჭელიძემ** თითქმის მაჩაბლის დონეზე რომ გადმოგვითარგმნა:

**რომეო:**
**ულირსი ხელით თუ შევბღალე**
**წმიდა მშვენება,**
**თაყვანსაცემი, სინაზით რომ არა ჰყავს სწორი,**
**მაშინ ამ ტუჩებს, ორ მწირ მლოცველს, მიეცი ნება,**
**გამოისყიდონ შეცოდება ნაზი ამბორით.**

**ჯულიეტა:**
**შენ მეტისმეტად შეურაცხყოფ, მწირო, შენს ხელებს...**

თუ ეს სცენა ბუნებრივად გათამაშდება, და წრფელი სიყვარულის დაბადების მოწმენი შევიქნებით, ეს ნიშნავს, რომ ურთულესი ამოცანა დაძლეულია, ანუ „საჯილდაო ქვა“ (შექსპირი!) — გადაგორებული.

სოხუმელთა სპექტაკლში ეს მიღწეულია.

ასეთივეა „აივნის სცენა“, სადაც მსახიობები იმდენად დამაჯერებლად თამაშობენ, გავიწყდება, რომ თამაშობენ.

სოხუმელთა სპექტაკლი სხვა ბევრი ღირსებითაც არის გამორჩეული.

ეს შექსპირის პიესის ტრადიციული, „კანონიკური“ გადაწყვეტაა — ტექსტის ერთგულებით, ტრაგედიის „შინაგანი მდინარების“ დაცვით, მსახიობთა წრფელ განცდაზე დაფუძნებული. რაც მთავარია, ეს სიყვარულზე სიყვარულით დადგმული სპექტაკლია. სიყვარული კი, შექსპირი ამბობს, გამბედავია, „რაცა სურს, დასძლევს“.

ტექსტის ერთგულება (თანაც რა ტექსტის!), რა თქმა უნდა, დიდებულია, მაგრამ ამ პრინციპით დადგმული არაერთი მკვდრადშობილი სპექტაკლი გვინახავს. სულ ახლახან ვნახეთ „ჰამლეტი“, სადაც მხოლოდ ჰამლეტი იყო ცოცხალი.

გვინახავს არაერთი სპექტაკლი, სადაც შექსპირის ტექსტს... კითხულობენ.

სოხუმელები თამაშობენ.

აქ ყველა პერსონაჟი ცოცხალია. აქ არის სიტყვის ქმედებად გარდაქმნაც, საინტერესო შეფასებებიც, მეტყველი პაუზებიც, შთამბეჭდავი სახასიათო შტრიხებიც (მაგალითად, ძიძის სახეში — **მარიანა მაისურაძე**).

რეჟისურა კი ტრადიციულია, მაგრამ ორიგინალური სვლებიც არის მოფიქრებული.

სპექტაკლი რომ იწყება, ტრაგედია უკვე მომხდარია და ყოველივეს ლორენცო (**მამუკა პავლიაშვილი**) მოგვითხრობს.

რეჟისორი (**გიორგი რატიანი**) იმდენად ერთგულებს შექსპირს, რომ ლორენცო „მწამლავ ბალახით და გამკურ-

ნავ ყვავილებით" სავსე ძენნის კალათით დადის. მაგრამ ძენნის კალათი, ცხადია, საქმეს ვერ უშველიდა, მსახიობის თამაში დიდი გულწრფელობით რომ არ გამოირჩეოდეს. ის მშვიდი ფერებით ძერწავს თავის გმირს და მაყურებლისთვის ადვილად ასახსნელია მისი ნებისმიერი ქმედება. ამიტომაც ძნელია, ეჭვი შეიტანო იმ სიტყვებში, ბოლოს რომ წარმოთქვამს:„**თუ ამ საქმეში მე რაიმე ბრალი მიმიძღვის, მკაცრი კანონის მრისხანება მომისწრაფოს და შეიწიროს ეს მოხუცი სიცოცხლე ჩემი**".

ასეთივე დამაჯერებლობით თამაშობენ **ხვიჩა გულუა** (მერკუციო), **ჯაბა ჯანაშია** (ტიბალტი), **თენგიზ სორელი** (ბენვოლიო), **ხატია ხარებავა** (ქალბატონი კაპულეტი), **სერგო ურიადმყოფელი** (ბატონი კაპულეტი), **თამთა შამათავა** (ქალბატონი მონტეგი), **ოთარ ბელთაძე** (ბატონი მონტეგი), **კოტე მარტიაშვილი** (პრინცი), **ლაშა გაბრიჭიძე** (პიეტრო), **ირაკლი მანაგაძე** (მსახური), **ოთარ არონია** (პარისი).

თვალშისაცემია მასობრივი სცენების დადგმის მაღალი კულტურა, რაც ქორეოგრაფის **(ნუგზარ მახათელი)**, ფარიკაობის დამდგმელისა **(ქრისტეფორე ფილიევი)** და ცეკვების რეპეტიტორის **(ნანა არჩაია)** უდავო დამსახურებაა.

ძლიერ შთამბეჭდავია მუსიკა (კომპოზიტორი — **ზურაბ ნადარეიშვილი**), რომელიც ტრაგედიის სულსაც გამოკვეთს, სიყვარულის აღმაფრენასაც, ეპოქის სურნელსაც.

სპექტაკლი იმდენად მდიდრულია და ისე ლამაზად ჩაცმული, გავიწყდება, უბინაო და ღარიბი თეატრის წარმოდგენას რომ უყურებ. ზუსტი სცენოგრაფია და დიდი გემოვნებით შესრულებული კოსტიუმები აღარ გაგაკვირვებთ, როცა გაიგებთ, რომ მხატვარი **უშანგი იმერლიშვილია.**

მთავარი კი, გავიმეორებ, რომეო და ჯულიეტაა.

ბევრ თეატრში ამ როლების თითო შემსრულებლის პოვნა ჭირს.

სოხუმელებს კი ორი წყვილი ჰყავთ:

**თორნიკე ბელთაძე** და **ქრისტინე ბერუაშვილი;**

**თემურ ძონენიძე** და **მარიამ კალატოზიშვილი.**

თანაც ისინი „დუბლიორები" კი არ არიან და ერთმანეთს კი არ იმეორებენ, ახერხებენ, რომ „თავიანთი" რომეო და ჯულიეტა წარმოგვიდგინონ.

პირველებთან მეტი ძალა და შინაგანი ექსპრესიაა.

მეორე წყვილი მეტი ლირიზმით გამოირჩევა.

რაც მთავარია, გრძნობა ორივე შემთხვევაში წრფელი და ნამდვილია.

ლამაზად უყვართ და ლამაზად კვდებიან.

სპექტაკლი კი სიკვდილით არ მთავრდება:

რომეო და ჯულიეტა წამოდგებიან და ცნობილ აივანზე ავლენ.

და სპექტაკლი მთავრდება ულამაზესი კადრით (ეს სიტყვა შემთხვევით არ წამომცდა), როცა ისინი კვლავ განათებულ აივანზე დგანან: სიყვარულის დამარცხება შეუძლებელია — ასეთი ფინალიც ორიგინალურ რეჟისორულ გადაწყვეტაზე მიგვანიშნებს.

და მაინც, რეჟისურა ტრადიციულია.

და რატომ არ უნდა იყოს ტრადიციული.

მითუმეტეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

ასეთ თეატრში მსახიობებმა ჯერ სცენაზე ნამდვილი განცდით ცხოვრება (და არა უბრალოდ თამაში) უნდა ისწავლონ. ექსპერიმენტებს მერეც მოასწრებენ.

კათარზისი, რომლისთვისაც თეატრი შეიქმნა, წრფელი განცდის გარეშე ვერ მიიღწევა.

უამისოდ არც სცენისა და დარბაზის ერთიანობა შედგება.

სოხუმის „მოზარდში" ეს შედგა.

ვფიქრობ, სწორედ ამიტომ მითხრა სპექტაკლის შემდეგ ბატონმა **გიზო ჟორდანიამ:**

**„დღევანდელმა ბედნიერმა დღემ დამაფიქრა იმაზე, რომ აუცილებელია უკან მივიხედოთ".**

დარწმუნებული ვარ, სოხუმელთა ეს სპექტაკლი არაერთ ამბიციურ რეჟისორს მიახედებს „უკან" და ბევრს რასმე გადააფასებინებს.

ოღონდ ამისათვის ეს სპექტაკლი უნდა ნახონ.

ნახავენ კი?..



შოთა ქურდაძე

# პირზე მომდგარსა სიტყვასა

ჩემთვის და, არამარტო ჩემთვის, იძულებითი სათქმელის დასასათაურებლად ხალხის ბრძნული შეგონება შევარჩიე. ვგულისხმობ ორი ტიტულოვანი რეგალიებით შემოსილი პროფესორის — ედიშერ ჭელიძის და გიორგი გოგოლაშვილის — ნაფიქრალ-ნააზრევის იაკობ გოგებაშვილის გაუხუნებელი შემოქმედების შესახებ, რომელსაც ჟურნალში „ჩვენი მწერლობა", 10 ივნისისა და 2 სექტემბრის ნომრებში პროფ. გიორგი გოგოლაშვილის წერილებით გავეცანი, მაგრამ ნეტავი არ გამეცნო, 85 წლის კაცი ვარ, პედაგოგიკური აზროვნების სფეროში, შეძლებისდაგვარად, ვმუშაობ. არ ვიკვეხნი, ცოტა რამ გამიკეთებია, ნახევარ საუკუნეზე მეტია ვკითხულობ ლექციებს უმაღლეს სასწავლებელში და დღემდე არ მსმენია იაკობ გოგებაშვილის დიდად საშვილიშვილო, სახალხო ინტერესებით ალსავსე ღვაწლის იმგვარი არაობიექტური, არამეცნიერული შეფასება, რაც ხსენებულ წერილებში ამოვიკითხე — ერთში როგორც მტკიცება და მეორეში როგორც ამ მტკიცების ჯეროვანი კრიტიკა

დიდად შევწუხდი.

სამწუხაროდ, დღემდე არ ვიცნობდი ბატონ ედიშერს. ინტენსიურად ყურადღებას ვაქცევ გოგებაშვილოლოგიაში გამოქვეყნებულ ნაშრომებს, მაგრამ, თუ არ ვცდები, მის ნაშრომებს ამ სფეროში აქამდე არ გავცნობივარ, თუმცა ეს არ არის არსებითი. მთავარი ის გახლავთ, რომ ედიშერ ჭელიძემ რატომღაც ყურად არ იღო გიორგი გოგოლაშვილის, ჩემი აზრით, დიდი ტკივილით დაწერილი ობიექტური მოსაზრებანი და 90 გვერდიანი უსაფუძვლო მოსაზრებებით უპასუხა:

ამგვარი ქმედება სხვაგვარ კვალიფიკაციას იმსახურებს. არა, ბატონო

ედიშერ, წარმოდგენა არა მაქვს ასეთი „არას დამმადლება, ანუ „დამდაბლება გინა მაღალი შემუსროს, გინა დაჩაგვრა, „სხვას მოერიოს და არღარა კეთილი აქმნიოს.

ვთქვათ, როგორღაც განსხვავებული აზრი გაუჩნდა ოპონენტს, მაშინ ჯეროვნად გაეთვალისწინებინა და დასაბუთებულად უარეყო. პროფესიული შეფასებანი ასე საძებარია სპეციალურ ლიტერატურაში?! რასაკვირველია, არა მაქვს საფუძველი ვიფიქრო, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გელათის აკადემიის კათედრის გამგე, ღვთისმეტყველების ლექტორი ედიშერ ჭელიძე ჯეროვნად არ იცნობს იაკობ გოგებაშვილის თანამედროვეთა, მის თანამოაზრეთა, სახელოვან თერგდალეულთა, აგრეთვე XX საუკუნის ცნობილ მწერალთა პედაგოგიკური მეცნიერების აღიარებულ მკვლევარების: პროფესორების-გიორგი თავზიშვილის, დავით ლორთქიფანიძის, ვალერიან რამიშვილის და სხვათა მრავალთა მოსაზრებებს იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის შესახებ?!..

და თუ რასაც აღვნიშნავთ, ეს ბატონ ედიშერსაც კარგად მოეხსენება, მაშინ მაპატიოს პატივცემულმა კოლეგამ, მისი პოზიცია ჩემთვის გაუგებარია. და მაინც, რაკი ვეხმაურები საკამათო პოსტულატებს, საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რა სულიერმა, ფრიად სანდომ და ნათელმა მოსაზრებებმა განაპირობეს ჩემი გამოხმაურების მოტივირება. ცხადია, არ გამოვრიცხავთ, ზოგი მოსაზრების პირდაპირი ან ირიბი გამეორება მომიხდეს, მაგრამ შევეცდები, თუნდაც ამგვარ შემთხვევაში, სათქმელს ჩემეული, განსხვავებული ელფერი მივცე, თუმცა ისიცაა, რომ ამგვარი მიახლოება უკვე ნათქვამთან ჩემი სათქმელისა, საერთო-საზოგადო ღირებულებათა წარმოსაჩენად შეიძლება სასარგებლოც იყოს.

საქმე ისაა, რომ იმ მოღვაწეთა აღიარებულ მოსაზრებათა შესაძლო გამეორება, როგორც სანდო არგუმენტი, ამ შემთხვევაში დამჭირდება იმის გამო, რომ ის მოღვაწენი, დიდი იაკობის თანამოაზრეები და ახლო მეგობრები იყვნენ, ბევრჯერ ურთიერთთან შეთანხმებით, აქვეყნებდნენ დროსათვის აუცილებელ ნაშრომებს, სტატიებს, ან იაკობის მეგობრული სურვილით თარგმნიდნენ საბავშვო მწერლობისათვის მხატვრულ ნაწარმოებებს. როგორც აღნიშნულია, იაკობი ზოგჯერ ილია ჭავჭავაძის გაზეთისათვის მოწინავეებსაც კი წერდა, ხოლო ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა იაკობის აზრს თავის თხზულებათა თემატიკური შინაარსის გაგებისა, აკაკი წერეთელი კი სიამოვნებით თარგმნიდა იაკობის სახელმძღვანელოებისათვის სასურველ მხატვრულ ნაწარმოებებს.

აგრეთვე, ვგულისხმობ თვითონ იაკობის პირუთვნელ შეხედულებას თავისივე შემოქმედებაზე, აკაკი წერეთელს რომ სწერს: „ყოველ შემთხვევაში მე ჩემს მოღვაწეობაში სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩვენი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი. ეს მაინც კარგად იცი და მინდა, რომ სხვამაც შეიგნოს".

ახლა პირველ რიგში გავეცნოთ ილია ჭავჭავაძე როგორ აფასებს იაკობის ფუნდამენტურ ღვაწლს; შეგახსენებთ 1884 წელს დაწერილი ლექსის „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი", რომელშიც მე-19 საუკუნის სხვა დამსახურებულ პიროვნებათა შორის იაკობ გოგებაშვილიც თვალნათლივაა წარმოჩენილი:

ჩემი ან სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, ვინცა მიქია,
დედა-ენა მიჩნს სახელად
არ თავი გამიქიქია
იგია ფუძე ქართველთა,
მაგარი ვითა ჯიქია
დედა-ენითა წვრთნა ყრმათა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია,
დედა-ენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი.
მეტად ტკბილად მოსასმენი,
ყრმათა წვრთნისა დიდი მარგი
*მით ზრდას არვინ დამიწუნებს,*
*თუ კაცია მართლა ვარგი.*

ამ თოთხმეტტაეპოვან ლექსში გამჭვირვალედ მოჩანს იაკობის გაუხუნებელი ღვაწლის შეფასების შემდეგი მართებული კონცეფცია; 1. იგი მიჩნეულია ქართველ ყრმათა დიდ პედაგოგად. 2. მშობლიური ენის ორიგინალური პედაგოგიკური მოძღვრებით სწავლება კი-ქართველთა ცხოვრების ფუძედ. 3. ილია ჭავჭავაძეს სჯერა, სამომავლოდ იაკობისეულ წრთვნას „არავინ დაუწუნებს". 4. დედა-ენა ,,პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი", ხოლო ყრმათა სწავლება და აღზრდა-ამ სიბრძნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წახნაგი. 5. ამ საპასუხისმგებლო ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია ერთადერთი პირობა: „თუ კაცია მართლა ვარგი".

როგორც ვხედავთ, ილიასეულ იაკობის ღვაწლის დახასიათებაში არ არის ნახსენები მართლმადიდებელი რელიგიისაგან რაიმე გადახვევის ნატამალი.

რა ვიფიქროთ, მართლმადიდებელმა ილია ჭავჭავაძემ ვერ შენიშნა უახლოესი მეგობრის აზროვნებაში რაიმე გადახვევა? რის თაობაზეც დაბეჯითებით გვარწმუნებს ბატონი ედიშერ ჭელიძე?! არა გვგონია!

გავიხსენოთ ილიას ერთ-ერთი საპროგრამო თხზულებიდან „პოეტი" ორი სტროფი:

*მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,*
*მიწიერი ზეციერსა;*
*ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ*
*რომ წარუძღვე წინა ერსა.*
*დიდის ღმერთის საკურთხევლის*
*მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,*
*რომ ერისა მოძმე ვიყო*
*ჭმუნვასა და სიხარულში.*

ხაზგასმულ ტაეპებში ილია ჭავჭავაძე მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოებით ზენაარსს გულისხმობს და არა სხვას. როგორ გავიგოთ, მართლმადიდებელი ღმერთის ამგვარი რწმენის შემოქმედს, „ბედნიერი ერისა" და „ქვათა ღაღადის" ავტორს, შეიძლება ვუსაყვედუროთ, ვერ შენიშნა იაკობს რაღაც აბრუნდი და სპეკულაცია მართლმადიდებელი სარწმუნოების მოძღვრების გაგებაშიო?! დაუჯერებელია. სამაგიეროდ, კანთიელად ისაა დასაჯერებელი, რომ ვირწმუნოთ **ილია ჭავჭავაძემ იაკობ გოგებაშვილის ღვაწლში დაინახა ღრმა საფუძ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვლები და ლაკონურად შეაფასა იმ დროისათვის უაღრესად საჭირო ორიგინალური პედაგოგიკური მოძლვრება.** ეს მოძლვრება სამომავლოდ **სანთელ-საკმევლად** მიიჩნია და მკაფიოდ გვიანდერძა, ვის შეუძლია შეიცნოს და ობიექტურად შეაფასოს ეს დიდი სულიერი მემკვიდრეობა.

ილიასეული დამოკიდებულება იაკობის შემოქმედებითი ღვაწლისადმი სისხლხორცეულია აკაკი წერეთლისთვისაც, რომელმაც იაკობ გოგებაშვილი მიიჩნია ძმად, ახლო მეგობრად და მარად მოყვარულ მეგობრად, მეტიც: მას მეტაფორულად წარსულის შვილი, მომავლის მამა და მყობადის გადია უწოდა.

**ოთარ ჩხეიძემაც ახალ კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებაში შეგნებულად გაიზიარა თერგდალეულთა მყარი მოსაზრებანი იაკობ გოგებაშვილის ღირსებისა და უფრო მაშტაბურად გააცნობიერა მისი ღვაწლის მნიშვნელობა:** იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ყაიდა თვალნათლივ და საუკეთესო ნიმუშია, აღნიშნავდა ბატონი ოთარი, თუ როგორ შეიძლება ერთმა პიროვნებამ ორთა ბრძოლაში გამოიწვიოს იმპერია და ეს უთანასწორო შერკინება სასწაულებრივი გამარჯვებით დაასრულოს.

**ქართული სკოლის შექმნა უკიდურესად მკაცრი და მიზანდასახული რუსიფიკატორული რეჟიმის პირობებში სხვა არაფერია, თუ არა ჰეროიკული ღვაწლი, სასწაულებრივი ელვით გასხივოსნებული.**

ამ შეჯამებაში არ ურევია პათეტიკის ნასახიც კი.

ეს მხოლოდ ლაკონური და მიუკერძოებელი განსაზღვრებაა.

იაკობ გოგებაშვილმა მართლაც თითქმის შეუძლებელი შეძლო და ამ მხრივაც სამაგალითოა.

ამ მოსაზრების გაცნობისას გარდა ალტაცებისა და სიამაყისა, ვერაფერს იტყვი. თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე ბიოგრაფიული რომანების ოსტატმა როსტომ ჩხეიძემ იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას უაღრესად სოლიდური რომანი „ბურჯი ეროვნებისა“ მიუძღვნა.

კიდევ ერთი მიზეზი გამოხმაურებისა: ხელახლა გადავიკითხე იაკობ გოგებაშვილის საღმრთო ისტორია, ძველი აღთქმის ერთი ნაწილი, ახალი აღთქმა, კერძოდ, ახალი აღთქმის ძირითადი სიუჟეტები: ქართველთა მოქცევა ქრისტიანობაზე და წმინდა ნინო, ჩვენი განმანათლებელი, სწავლა წმიდა სამებაზე, ანგელოზებზე და ათ მცნებაზე. დავერსად შევნიშნე კლასიკოსი პედაგოგის საანათემო კონცეფცია...

დასასრულ ერთი პასაჟის თაობაზეც, რომელიც ბატონი ედიშერის მეორე წიგნაკში ამოუკითხავს გიორგი გოგოლაშვილს: „...თურმე ბატონ ედიშერს ეჭვი ჰქონებია, თითქოს პროფ. გ. გოგოლაშვილი მის წარმატებებს შურით ეპყრობოდა“... თუმცა აჯობებს თვითონ პროფ. ე. ჭელიძის ნავარაუდებს გავეცნოთ — **„ეჭვი არაა, იკითხება მის ნააზრევში, საქმე გვაქვს მის სულში** (ე.ი. გ. გოგოლაშვილის სულში შ.ქ.) **და სამწუხაროდ არამხოლოდ მის სულში, წლობით ნაგროვებ თხრამლთან, რასაც ჟამი დაუდგა... (ყოველ შემთხვევაში თვითონ ჩათვალა, რომ „დადგა ჟამი“) „გადმოდინებისა“.**

რა შეიძლება ითქვას ამ პასაჟზე გიორგი გოგოლაშვილის კომენტარის დამატებით? ოდენ ის თუ ამგვარ ვარაუდებსა თუ შენიღბულ ნათქვამებს როგორ აფასებდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები: სულხან-საბა ორბელიანი ეჭვს განმარტავს: „ეჭჳ არს არა მართლიად, არამედ გონებით ჰგონებდეს რისამე ნაცილად“. განმარტებაში ვფიქრობ, ნათელია, მაგრამ მასობრივი მკითხველისათვის სასურველია, სიტყვა „ნაცილად“ შინაარსის საბასეული ახსნაც გავიცნოთ. „ნაცილი ტყუ(ვ)ლი“.

„ვეფხისტყაოსანში“ ტყუილი, ცრუობა ასეა შეფასებული: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“... ჩემი აზრით, მოხმობილი პასაჟით გასაგებია ყველაფერი. თითქოს არც იყო აუცილებელი მისი შინაარსის რეტროსპექტულად ლიტერატურულ-ენათმეცნიერული სააზროვნო ველით გაგება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ სტრიქონების ავტორს ოდენ საპოლემიკო ტექსტს კი არ გულისხმობს, არამედ იმას, რომ, **სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს, მავანი და მავანნი სწავლული თუ უსწავლელი, რატომლაც თავს ნებას აძლევენ ეროვნული თუ ზოგადსაკაცობრიო მეცნიერული და კულტურული ღირებულებანი სუბიექტურად შეაფასონ. ამგვარი ქმედება, ნებითი თუ უნებლიეთი, დიდი ცოდვაა, სამწუხაროა.** მაგრამ როდესაც ამას ამტკიცებს ადამიანი, თავის გულშიც ჩაიხედოს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შესაძლოა ამგვარი მოკლე დასკვნები გაკეთდეს:

1. იაკობ გოგებაშვილის მეცნიერულ-ორიგინალურსა და ზნეობრივად ღირსეულ ნამოღვაწარს არ ეკადრება „საანათემოდ“ განწირვა.

2. ჩემთვის სავსებით დამაჯერებელია გიორგი გოგოლაშვილის პოზიცია იაკობ გოგებაშვილის მრავალსახოვანი პედაგოგიკურ-ლიტერატურული და პუბლიცისტური ღვაწლის შესახებ.

3. საზოგადოდ ყველას, ძიება-ქმედებისას დიდი სიფრთხილე, ობიექტურობა და წინდახედულობა გვმართებს.

ამ შემთხვევაში შეგახსენებთ ინოვაციური მოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებლის, ამერიკელი ფილოსოფოსის ჯონ დიუს მოსაზრებას: **„არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი მტკიცე შეხედულება იმის თაობაზე, რომ თანამედროვეობის ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს არა ახალი განათლება ძველის წინაალმდეგ, ანდა პროგრესული განათლების დაპირისპირება ტრადიციის წინაალმდეგ, არამედ თუ როგორი უნდა იყოს ის, რაც ღირსეულად იმსახურებს სახელს განათლება. ჩვენ უფრო დამაჯერებლად და სწრაფად მივაღწევთ პროგრესს, როდესაც თავს მივუძღვნით იმის ძიებას, თუ რა არის განათლება და რა პირობები უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის, რომ განათლება რეალური იყოს“.**

ჭეშმარიტად ასე უნდა ვიწამოთ და შევაფასოთ ჩვენი პროგრესული მემკვიდრეობაც და მსოფლიო ინოვაციური მოძღვრებაც.

დასასრულ რა ვირწმუნოთ, ვის დავუჯეროთ ედიშერ ჭელიძესა თუ გიორგი გოგოლაშვილს? პროფესიონალი მკითხველისათვის სარწმუნოა ის, რაც იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ-პედაგოგიური მემკვიდრეობის საფუძველზეა აღმოცენებული.

ვახტანგ ჯავახაძე

# ეფემერული სიმფონია

## (ციკლიდან — „ისევ გალაქტიონი“)

1958 წლის გაზაფხულზე, როდესაც გალაქტიონის „რჩეული“ თითქმის შევადგინე, ისეთი შედევრები მოვისაკლისე, რომლებიც ზეპირად მახსოვდა: დამატებით ამოვბეჭდე და შევავსე წიგნი. ცხადია, მაშინ ვერ ვივარაუდებდი, კიდევ რომელი და რამდენი აკლდა დედანს. ესენი მე შემთხვევით გამორჩენილები მეგონა, ანკი როგორ წარმოვიდგენდი, რომ „სასაფლაონი“, „ათი ქალწული“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „დედოფალა“, „დომინო“, „ვინ არის ეს ქალი?“, „მზეო თიბათვისა“, „მნარე იავნანა“, „შადრევნების ვედრება“, „შიში“ და მისთანანი რვატომეულში არ დაბეჭდილა. ამისთვის საჭირო იყო რვატომეულის ანბანური საძიებლის შედგენა და „ზარნიშიან წიგნთან“ შედარება. მე კი ამის დრო ვინ მომცა: ყოველდღე მაკითხავდა გალაქტიონი:

— დამიჩქარე, ძამიკო, და მე ვიცი შენი პატივისცემა!



რვატომეულის ანბანური სარჩევი მოგვიანებით შევადგინე და თორმეტტომეულის შენიშვნების დახმარებით საბოლოოდ გამოვამჟღავნე რვატომეულში გამოტოვებულები. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებდა 1915-1926 წლებში დაწერილი და ლიტერატურულ პრესაში, „არტისტულ ყვავილებსა“ და „ზარნიშიან წიგნში“ გამოქვეყნებულები, რომელთა შეტანაც 1935-1957 წლებში გამოცემულ ტომებში გალაქტიონმა ვერ გაბედა. ასეთი, ჩემდა გასაოცრად, 180 ერთეული აღმოჩნდა, რომელთა გარეშეც გალაქტიონი ნახევარი გალაქტიონია.

თვითონ ბრძანებს — „სხვადასხვა მოსაზრებათა გამოო“, — მაგრამ ჩვენ ვიცით, ეს ჩაიდინა მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მოსაზრებით — საკუთარი „კრიმინალური“ ანუ სიმბოლისტური ანუ პესიმისტური წარსულის კვალის დაფარვის მიზნით.

მართალია, ომის დაძაბულობით ისარგებლა და აქედან ასოთხმოცის ნახევარი 1944 წლის „რჩეულში“ შეაპარა, მაგრამ ამის შემდეგ ხუთი ტომი გამოსცა და ამ ოთხმოცდაათიდანაც კი ვერცერთი ვერ გაიმეორა ვერც მომდევნო ტომებში და ვერც სხვა გამოცემებში, ვინაიდან 1946 წლის ცეკას დადგენილებამ ორი რუსული ჟურნალის შესახებ კიდევ უფრო გაამკაცრა ლიტერატურული რეჟიმი.

პირიქით: ათი წლის შემდეგ გამოცემული „რჩეული“ ისეთი საგანგებო და საგანგაშო შემთხვევაა, რომ პუნქტუაციის ახალი ნიშანი უნდა შემოვილოთ და მისი სახელწოდება ორმაგ ფრჩხილებში უნდა ჩავსვათ — „„რჩეული““. ამ წიგნში პირველად და თითქოს საგანგებოდაა მითითებული შემდგენლის ვინაობა: აქტიურმა და ავტორთან შეთამამებულმა ბენედიქტე ჩიქობავამ, — როგორც იგონებს მისი ვაჟიშვილი, რომელიც ლექსებს წერდა და ერთხანს გალაქტიონის პირად მდივნადაც მუშაობდა, — 1950 წლიდან ილვანა და ვერ წარმოიდგინა, ანკი როგორ წარმოიდგენდა, რომ წიგნის გამოსვლის 1954 წელს სტალინი ცოცხალი აღარ იქნებოდა. ამ კურიოზულ ანტირჩეულში 1915-1926 წლების 492 ლექსიდან შეტანილია 50, ესე იგი — მეათედი. თუმცა ეს მეათედიც არაადეკვატურადაა მოწოდებული: შეცვლილია სათაურები და თარიღები, შემოკლებულია ლექსები და, რაც მთავარია, არა ავტორის მიერ ნასწორებია ტექსტი. „ეფემერას“ აწერია „ისევ ლურჯა ცხენები“. განახლებულ სათაურს მოსდევს ქვესათაური — „ნაწყვეტი ლექსიდან „ეფემერა“ (ნაწყვეტი პოემიდან გამიგია, მაგრამ — ლექსიდან?) და — ნაცვლად თოთხმეტი სტროფისა — წარმოდგენილია პირველი ხუთი. ამ ხუთ სტროფშიც ექვსი სტრიქონი გასწორებულია: „შურიანი თვალები“ — „შორს ვერმჭვრეტი თვალები“, „წვეთი სისხლის არ არის“ — „არაფერი არ არის“ და ასე შემდეგ. „ეფემერა“ გალაქტიონმა საკუთარი ჟურნალის პირველსავე ნომერში დაბეჭდა პირველსავე გვერდზე 1922 წელს და ზუსტად დაათარილა: „ხელოვნების სასახლე. 1922 წ. თბილისი“, და მიუხედავად ამისა, ლექსი 1916 წლითაა გადათარილებული.

სამწუხაროდ, ეს აშკარად ფალსიფიცირებული სუროგატი ყველაზე დიდი ტირაჟით დაიბეჭდა (ათი ათასი ეგზემპლარი) და დიზაინითაც გამოირჩევა.

როგორც მოსალოდნელია, ამ ვითომ-გალაქტიონის ვითომ-რჩეულში ჩვენი ასოთხმოცის გამოძახილი არ ისმის.

ისე, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ამ რეპრესირებულების ცალკე წიგნად გამოცემა, ერთი პოეტის უკვდავებისათვის საკმარისი აღმოჩნდებოდა.

როგორც ჩანს, ჩემს მიერ შედგენილი რჩეულით დაიწყო ამ ასოთხმოცის რეაბილიტაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, გალაქტიონი არ დაელოდა, ვერ დაელოდა და ველარ მოესწრო.

და კიდევ: ამ ასოთხმოცს ერთი ამდენი რომ დაემატოს იმავე პერიოდისა, მივიღებთ ყველაზე ოპტიმალურ სრულიად მოულოდნელ რჩეულს, რომელიც გალაქტიონის თვით ყველაზე მეტად დაინტერესებულ და გათვითცნობიერებულ პატრიოტებსაც კი გააკვირვებდა.

თუმცა პრობლემა მარტივად ვერ გადაიჭრება: იმდენად შეუვალია ათეული წლების მანძილზე სახელმძღვანელოებითა და ანთოლოგიებით დამკვიდრებული და საბჭოთა დესპოტიზმით დაღდასმული გალაქტიონ ტაბიძის რჩეული ლირიკის გამრუდებული მოდელი, რომ ერთბაშად ინერციის დაძლევა და მკითხველის გადარწმუნება არც ისე ადვილი აღმოჩნდება. არადა, გადაფასების აუცილებლობა გვაჩქარებს და პროცესი დიდი სიფრთხილით უნდა ჩატარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს. აუცილებელია აგრეთვე ნებით თუ უნებლიეთ აღრეული თარიღების ერთხელ კიდევ დაზუსტება და დაბალანსება. სავარაუდო მასალამ უპირატესად 1915-1926 წლების თორმეტსაფეხურიანი ოქროს ხანა უნდა მოიცვას და გზადაგზა უნდა აღსდგეს იძულებით ნასწორები ტექსტები, სადაც ამის საშუალება არსებობს.

იძულებით ნასწორები ტექსტების აღდგენის გარდუვალობა რომ ვირწმუნოთ, საჭიროა ერთი სამაგალითო ნიმუში დავაწყვილოთ:

**მიუძღოდი ჯარს, ჭიხვინებდა შენი მერანი,**
**ომში ნასულთა ზიარება გებარა ოდეს.**
**წინ მიდიოდენ მედროშენი მოსიმღერენი,**
**ერთი მათგანიც აღარ მოვა აქ არასოდეს.**
**უკანასკნელად გილიმოდენ გზაზე ქალები:**
**გახსოვდეს, ძმაო, საქართველო შენი გახსოვდეს,**
**ბედნიერებას გპირდებოდენ მათი თვალები,**
**ერთი მათგანიც აღარ მოვა აქ არასოდეს.**
**მუსიკა, ცრემლი, საქართველო: ზრუნვის საგანი,**
**თითქო ყველაფერს კარი მძიმედ გადარაზოდეს,**
**ოჰ, არასოდეს არვინ მოვა იმათაგანი,**
**ოჰ, არ ამოვა საქართველოს მზე არასოდეს!**

კოლორიტული ბატალური ეპიზოდია: ქართულ მხედრიონს ამხედრებული მოძღვარი მიუძღვის, — როგორც სათაურიდან შევიტყობთ და ისედაც ვიცით — განწირული მხედრიონის განწირული მხედარი, რომელსაც მეგობრობასმონატრებულმა პოეტმა „მეგობარი" უწოდა და ამჯერად ერთი კითხვა კიდევ შემოგვთავაზა.

ეს ელეგია, რომელსაც ედგარ პოს **Nevermore**-სავით გასდევს სიტყვა-რეფრენი „არასოდეს" და ეწოდება „მეგობრის ხსოვნას", აშკარად ოციანი წლების დასაწყისშია დაწერილი და უკანასკნელი სტრიქონის წაკითხვის შემდეგ აღარ გაგვიკვირდება, რატომ დაწვა 1921 წლის აპრილის თვეში საკუთარი ხელნაწერები და გაგვიკვირდება კი, როგორ გადარჩა ეს ერთი.

ამ ელეგიას ქართველი მკითხველი 2005 წლამდე — საარქივო ოცდახუთტომეულის მერვე ტომის დაბეჭდვამდე — არ იცნობდა, იცნობდა მხოლოდ 1925 წლის „მნათობის" მეათე ნომერში გამოქვეყნებულ გადათარიღებულ ვარიანტს — „ცხრაას-ჩვიდმეტი":

**ცხრაას-ჩვიდმეტი! ჭიხვინებდა შენი მერანი,**
**ბარიკადების მღელვარება გებარა ოდეს.**
**ურიცხვ დროშების მოდიოდენ მოსიმღერენი,**
**ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!**
**უკანასკნელად გვიღიმოდენ გზაზე ქალები:**
**გახსოვდეთ მასსა... და მიზანი მისი გახსოვდეს.**
**ბედნიერებას გპირდებოდენ მათი თვალები,**
**ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს.**
**მუსიკა, რისხვა და ქვეყანა, ზრუნვის საგანი,**
**თითქო ყველაფერს კარი მძიმედ გადარაზოდეს!**
**ო, არასოდეს არვინ მოვა იმათაგანი.**
**ცხრაას-ჩვიდმეტი არ იფეთქებს კვლავ არასოდეს.**

ამ ვარიანტს მეორე ტომში „ურიცხვ დროშებში" გადაარქვა და უკანასკნელი სტრიქონი მოაკვეცა.

ცხადია, დაპირისპირების მსგავს შემთხვევაში არჩევანის საკითხზე აღარავინ იყოყმანებს.

ამავე განზრახვით გადასამოწმებელია ყველა ნასწორები ავტოგრაფი.

მოსაძიებელია აგრეთვე არქივში ჩაკარგულები: როგორ შეგვიძლია მკითხველს დავუმალოთ სრულიად უცნობი ქართული ხოკუ:

**როგორ შემეძლო,**
**არ დამეთვალა,**
**რამდენჯერ სცემდა ტყეში ნაჯახი?!**

ანალოგიური რესტავრირებული ამოკითხვები და წაკითხვები აღმოჩენის ტოლფასია.

როგორც ხედავთ, თითქმის ჩვენი თანამედროვე პოეტი თითქოს ხელახლა აღმოსაჩენი და გადასარჩენია.

ასეთი გალაკტიონი კი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ გალაკტიონს გააოცებდა და დიახაც გააოცებდა, ვინაიდან საკუთარ შედევრებს „წინანდელ ლექსებს" ეძახდა და თავის თავს არწმუნებდა, რომ „წინანდელების" დრო „სამუდამოდ" წავიდა.

ჩვენ არ უნდა დავუჯეროთ გალაკტიონს, უნდა დავხვეწოთ ახალი კანონიკური რჩეული და ქართველ მკითხველს „სამუდამოდ" უნდა დავავიწყოთ, რომ „მესაფლავე" გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა.

მე ხშირად მესიზმრება ეს საოცნებო „რჩეული" და სწორედ ამ საოცნებოს მომავალ მკითხველს ვგულისხმობდი, როდესაც ჩემი „უცნობი" ამგვარი გამომწვევი სიტყვებით დავასრულე:

—გალაკტიონის მკითხველები ჯერ არ დაბადებულან!

ჩვენთვის საინტერესო რენესანსი „მთაწმინდის მთვარით" დაიწყო და „კოსმიური ორკესტრით" დასრულდა („ჩავაცივდები კბილებით კოსმოსს"). არის კიდევ ოთხი დანამდვილებით 1923 და 1925 წლებში დაწერილები, რომლებიც, როგორც ჩანს, ავტორს გაებნა (რაც სრულიადაც არ გახლავთ გამორიცხული) და ვერც დაიბეჭდა და ვერც „ზარნიშიან წიგნში" მოხვდა და მხოლოდ თორმეტტომეულის მეორე ტომში გამოჩნდა 1966 წელს:

1. * შენ ემართლები მიმქრალ სახეებს.
2. * ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!
3. ელეგია (ბავშმა დავლვარე ცრემლი ღვარული).
4. ტფილისი ღამით.

ეს უკანასკნელი ყველაზე ზუსტადაა დათარიღებული და დამისამართებული:

— 9 სექტემბერი. 1925 წ. ტფილისი. ჩემი ბინა — ხელოვნების სასახლე.

და არის კიდევ ერთი — „ლენინი", რომელიც „მნათობში" კი გამოაქვეყნა 1925 წელს, მაგრამ მომავალ წელს დაბეჭდილ „ზარნიშიან წიგნში" აღარ შეიტანა...

გალაკტიონის შემდეგ გამოიცა რჩეულები, ერთტომეულები, ორტომეულები, ხუთტომეულები, აკადემიური თორმეტტომეული, საარქივო ოცდახუთტომეული და — ჩვენი დამაინტერესებული — აღკვეთილი ორჯერ ოთხმოცდაათის კვალი წაიშალა. მაგრამ ლიტერატურის ისტორიისათვის და — ქვეყნის ისტორიისათვისაც — აუცილებელია, გადავარჩინოთ და შთამომავლობას ვუანდერძოთ პოეტის სიცოცხლეში ტაბუდადებული ასოთხმოცის სარჩევ-საძიებელი-სიმფონია:

# გალაკტიონოლოგია

1. ადრიანი გაზაფხული.
2. აელვარებულ ლუმელთა შორის.
3. ავდრები.
4. ათი ქალწული.
5. აი რა მზის სიზმარია.
6. ალაზანთან.
7. ალის თასი.
8. ამ ბნელი ღამით.
9. ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი.
10. არა ერთი და ორი.
11. * არა ზეცა, არა ლანდი, არა ფერია.
12. არ არის იგი იმდენად ტკბილი.
13. არასდროს ბედი არ ყოფილა ისე ცბიერი.
14. არ ღირს ერთ ცრემლად.
15. არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება.
16. არწივებს ჩასძინებოდათ.
17. აფიშა, როგორ.
18. აქ მარმარილოს მაღალი სვეტი.
19. ახალ მერნების ნყება.
20. * აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე.
21. ან კივილისთვის ირევიან.
22. ახალი მზე.
23. ახალი მოსახლეობა.
24. ბალახები.
25. ბაწარზე.
26. ბნელ ქიმერებში.
27. ბრმა ცალი თვალით.
28. ბრძოლა ღმერთთან.
29. გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი.
30. გავსცდით ხანდაკს.
31. გაიცქირება მომავლისაკენ.
32. გაქრენ ზაფხულის დღენი...
33. გახსოვს, რა დრო იყო ის დრო!
34. გორიდან.
35. გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ.
36. გრძნობა, რომელიც დაკარგულია.
37. გუბე.
38. გული გრძნობს.
39. და ბევრი რამ მინდა გიამბო.
40. დაბრუნება.
41. დაილუპა ის ხომალდი.
42. დალუქულ ფოლიანტებთან.
43. დამშვიდობება.
44. დაუმეგობრდა.
45. დედოფალა.
46. დომინო.
47. დროის უარმყოფელი.
48. დღე.
49. დღეთა კარებთან ვდგავარ ნუხილით.
50. დღეს დღეები ეცლება.
51. დღე შემოდგომის ცივი.
52. ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.
53. ეს შეღამება.
54. ეფემერა (შეხედე! მშვიდი შენი დობილი!).
55. ვერ გაიგონეს.
56. * ვეფხვი კასპიის პირად.
57. ვით აფეთქება.
58. ვილანელი.
59. ვინ არის ეს ქალი?
60. ზაჰესთან.
61. ზღვის ფსკერიდან.
62. თოვლი (ხეები თოვლით დაფენილია)...
63. თქვენ გართობდათ.
64. თქვენი ბინა.
65. იარე, კაცი შენ აღარ გქვიან...
66. ითვლის თვითეულ მისხლით.
67. ის გრიგალს ელის.
68. ის, როგორც დენდი.
69. ის დირიჟორი.
70. ის წაიყვანა ოცნებამ მისმა.
71. ილიმებიან სახლები.
72. იცვალენ დრონი.
73. კაცი, რომელმაც გაბედა.
74. ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების.
75. ლეგენდარული მისი დიდება.
76. ლოდთან.
77. ლოცვისთვის.
78. ლურჯი ხომალდი.
79. * მან მოიტაცა.
80. მაღალი კოშკი.
81. მაღაროში.
82. * მდუმარე სმენით.
83. მე არაერთხელ მქონია ფრთები.
84. მე ერთადერთი მქონდა ნუხილი.
85. მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ.
86. * მე მარწმუნებდნენ.
87. მე მძინარე ვარ.
88. მზადება გასამგზავრებლად.
89. მზეო თიბათვისა.
90. მთა.
91. მთაწმინდის იქით...
92. მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით...
93. მივდიოდი ალაზნის ველად...
94. მისი პათოსი.
95. მიცვალებულის ხსოვნას.
96. მინა გამოჩნდა.
97. მოედანზე.
98. მოჩვენება ნანგრევებში.
99. მუხები.
100. მფარველი იალქნები.
101. მღელვარება.
102. მნარე იავნანა.
103. მწვანე ბუმბერაზი.
104. მხოლოდ ბრძოლების სურვილით სავსეს.
105. მხოლოდ გული.
106. ო, გადავეშვათ უფიქრებლად.
107. ოთხი დემონი.
108. ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა.
109. ოპერის თეატრთან.
110. ორად გაიპო წითელი კლდე.
111. ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა.
112. პლაკატების კივილი.
113. პორტრეტი.
114. რა მშვენიერი მინდვრებია.
115. რას კივის ქუჩა.
116. რა ღრიანცელში ვიდოდა გემი.
117. რაც იქნეს — იქნეს.
118. რევოლვერი.
119. როგორც კი დილა გათენდება.
120. როგორც ნუხილი არაგვის კიდის.
121. როდესაც მთვარე ანათებს დღისით.
122. როდესაც ყველას სძინავდა.
123. * როცა დაეცა შუქი ბინდისა.
124. რუს პოეტს.
125. * სადაც ტყეების ისმოდა დარდი.
126. სად იყო სმენა და გაგონება.
127. სამგლოვიარო ეტლების ფრენა.
128. სამშობლო შავი ლიუციფერის.
129. სასაფლაონი.
130. სასწაულს.
131. სახლი ტყის პირად.
132. * სდგას ხეივანი.
133. სიხარული ბრძოლაში.
134. სული უსახლო.
135. სულ მალე.
136. სულ რამდენიმე დღის წინ.
137. სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს.
138. ტყე.
139. უბედურ საათს არვინ დაგიცავს.
140. უბინაო ბავშვები.
141. უეცარი ქალაქი.
142. უკანასკნელი საზღვარი.
143. * უცხო მხარეში.
144. ქალაქი სიბნელეში.
145. ქალაქში.
146. ქალმა დამწყევლა ლამაზმა...
147. ქარებმა კარი შემოაჯახეს.
148. ქარი ქანაობს ქნარად.
149. ქაჯები, ალები, ჭინკები.
150. ქუჩაზე.
151. ღრუბლები ოქროს ამურებით.
152. ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს.
153. ყვავის სიმღერა.
154. ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი.
155. ყორანი.
156. ყორანის ცრემლები.
157. შადრევნების ვედრება.
158. შავი სვეტები.
159. შემდეგაც, მაინც.
160. შემოდგომის დღე (მკვდარ ყვავილების ფენა).
161. შენ ყოველთვის კარგი ხარ.
162. შეღამება.
163. შეშლილივით დაალებს კარებს.

164. შიში.
165. შრიალებს ჩალა.
166. „ჩემო იარალი“.
167. ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის.
168. ჩვენი დღის ამბებს.
169. ცა თოვლით ფენილი.
170. ცისფერი.
171. ცხენით ხიდზე.
172. ძველი წიგნების გვერდებს არეულს.
173. ძველი ხელები წყდება კალიფსოს.
174. წამი წამს ეზიდება.
175. წარწერები.
176. ჭოტი.
177. ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები.
178. ხელები.
179. ჰაერი.
180. ჰქროდენ სიონი.

## დაუვიწყარი სახელები

გურამ გოგიაშვილი

# ლამაზი პოეტი

*

### თამაზ ჩხენკელის გახსენება

ის ამ მხრივაც მართლა გამორჩეული იყო; უფრო ლამაზი, სახიერი, მგონი, სხვა პოეტი არცა გვყოლია. ლაპარაკია მამაკაცურ სილამაზეზე, მამაკაცურ სახიერებაზე, რაც თითქოს არცრა კავშირშია შემოქმედებასთან. საერთოდ და ზოგადად; მაგრამ თამაზ ჩხენკელის შემთხვევაში ნამდვილად დარღვეულია ეს საერთო თუ ზოგადი უკავშირობა პიროვნების ხატკეთილობასა და შემოქმედებას შორის.

ლამაზ პოეტს სიტყვაც ლამაზი აქვს; ხოლო ეს სილამაზე, ეს სახიერება შინაგანია და არა ოდენ გარეგნული, ზედაპირული. დიახაც ეს სილამაზის ესთეტიკა თუ სახიერების ესთეტიკაა ის იდუმალი რამ, რაც ქმნის თამაზ ჩხენკელის, როგორც პოეტისა და როგორც ადამიანის, მომხიბვლელობას, ეს ბუნებაში არცთუ ხშირი მომხიბვლელობა კი, ეტყობა, ღვთივბოძებულია და არა გამომუშავებული, რადგან მომხიბვლელობის გამომუშავება საერთოდ შეუძლებელია; და თვითონ ეს აზრიც ამ ჭეშმარიტებასავით ძველია.

თავად თუ რა შეხედულებისა იყო სილამაზეზე, შოთა ჩანტლაძისადმი მიძღვნილ „იკანკლედად“ სახელდებულ ლექსში აქვს გაცხადებული:

**ბათუმის ბულვარში, მზის ჩასვლისას, ერთხელ**
**შოთამ გაიხსენა: გივი ძნელაძესთან**
**გურიაში ვარ და, — აღარ მახსოვს რაზე, —**
**დედამისმა თქვაო, ვარდის ფესვი თურმე**
**ქვევრს გახეთქავს ბრჯღალით, მაგარია ისე.**
**იკანკლედი ჰქვია ვარდის ფესვსო, უთქვამს**
**შოთასათვის დედას გივი ძნელაძისას...**
**გამეხარდა დიდად, სილამაზეს ყოველს**
**ნეტავ ვარდის ფესვი — იკანკლედი ჰქონდეს!**

სულაც ზედმეტი არ მომივა, გაბედულად ვიტყვი, რომ თამაზ ჩხენკელის კაცურ და პოეტურ სილამაზეს ფესვად დასტურ იკანკლედი ჰქონდა, ანუ ვარდის ფესვი, და სიტყვაც ამად მოუყონავდა კალმის წვერიდან ამ ყვავილით ფეროვანი და სურნელოვანი, რითაც ყველასაგან გამოირჩეოდა არა როგორც მაინცდამაინც დიდი და კლასიკური, არამედ როგორც არავისი მსგავსი და თავისთავადი, როგორსაც იქნებ ძალიანაც ცოტა, მაგრამ მხოლოდ უცხოგემოვნებიანი მკითხველი ეტანება...

პირველად 1953 წელს შევხვდი ჩვენს დედაუნივერსიტეტში, „პირველი სხივის“ წრეში. იმ წელს გამოვიდა „პირველი სხივის“ საიუბილეო კრებული, მე-5-6 წიგნი, რომელშიც თარგმანების რკალს წინ უძღვის თამაზის ვრცელი წერილი — „ფართო ჰორიზონტისათვის“, ნამდვილი მანიფესტი-პროექტი, დღესაც ძალადაუკარგავი, სადაც ნათქვამია, რომ დიდმა და ძირეულმა ცვლილებებმა მსოფლიოში აუცილებელი გახადეს ერთი ერის მიერ დანარჩენ ერთა კულტურული მონაპოვრების გაცნობა და ათვისება, აქამდე უცნობი ცივილიზაციების მიერ სულიერების გზაზე დაგროვებული ცდების ურთიერთგაზიარება, რისთვისაც გადაუდებლად საჭიროა თარგმნა, რასაც ძველი ქართველი მწიგნობარნი ქართული ტერმინით, ანუ გადაენება-გადმოენებად მოიხსენიებდნენ, რაც, თამაზ ჩხენკელის აზრით, მსოფლიო ლიტერატურის სისხლის მიმოქცევის მთავარი არტერიაა, ურომლისოდაც ჩვენს დროში შეუძლებელია დიდი ლიტერატურის არსებობა და განვითარება...

ძველ ქართველ მთარგმნელ-მგადმოენებელთა ღვაწლს რაც შეეხება, ვერავინ ვერ იტყვის, რომ „ნაწილობრივ არ შეემზადებინოს ნიადაგი რუსთაველისთვის... ასევე ცნობილია, თუ რა დიდი საქმე შეასრულა ახალი ქართული ენის ჩამოყალიბებაში ივანე მაჩაბლის ქართულმა შექსპირიანამ“... ისეთ დიდ ერს, როგორიც იაპონელები არიან, დღემდე დაახლოებით ასი წლის მანძილზე ოცდაცამეტი ათასი უცხო ნაწარმოები გადაუენებია იაპონურად და კვლავ დაუღალავად შრომობს ამ მხრივ, ჩვენ კი, ქართველებს, პირდაპირ უნდა ითქვას, ქართულად არა გვაქვს მსოფლიო ლიტერატურის მინიმუმიც, რაც ყოველი კულტურული ერისთვის აუცილებელია... და ამ გულისტკივილს ასეთი ფრაზა მოსდევს: ჩვენ თვალწინ იცვლება მსოფლიოს სახე, იცვლება ადამიანის სულიც, ჩვენ არ უნდა მოვიზღუდოთ ვიწრო ჩარჩოებით, ქართული ლიტერატურის უკვდავ ტრადიციებზე დაყრდნობილებმა, არა მარტო ჩვენი ქვეყნის დიდი ლიტერატურა უნდა ვიკითხოთ, არამედ „უთვალავი ფერით“ გაშლილი მსოფლიოს კულტურულ მიღწევებსაც გავეცნოთ და ავითვისოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ თამაზი სულ ახალგაზრდა, ალბათ, ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ უკვე ასე თვალნათლივ ხედავდა ჩვენი კულტურული განვითარების იმ მაგისტრალურ გზას, რომელიც შემდგომ მეტ-ნაკლებად სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა.

ამ მხრივ სხვათათვის პირველი მაგალითის მიმცემიც თავად გახდა. ჯერ იყო და უძველესი იაპონური პოეზია გაგვაცნო (ნოდარ დუმბაძესთან ერთად), მალე კი ნამდვილად დიდ ქართულ ლიტერატურულ მოვლენად იქცა თამაზ ჩხენკელისეული ქართველი ბო ძიუ-ი, შუა საუკუნეების უდიდესი ჩინელი პოეტი, რომელმაც მხატვრული სიტყვიერებით გატაცებული მთელი ქართველი საზოგადოება აალაპარაკა. დიახაც თამაზის წყალობით ბო ძიუ-ი დღეს ქართველი კლასიკოსიც გახლავთ...



თამაზ ჩხენკელი

ვინც თამაზ ჩხენკელის ლექსთა პირველ კრებულს — „მზებუდობას" იცნობს („მზებუდობა" თითქმის მთლიანად შედის მეორე კრებულშიც — „სარკითა და სახითა", რაც პოეტისავე თქმით, კრებულისთვის ეპიგრაფად დართული სახარებისეული სენტენციიდან არის მოხმობილი), ალბათ, არც უნდა უკვირდეს მისგან ამ უძველესი ჩინელი მგოსნის გაქართველება. 1946 წელს, ჯერ კიდევ 19 წლის თამაზს იქნებ არც გაეგონა ბო ძიუ-ის სახელი, მაგრამ იქ, „მზებუდობაში", ერთი ასეთი ლექსია:

**ჩამოვუარეთ ხევს,**
**პეშვი აჩუქე წყაროს...**
**უკვდავების ხევ,**
**უკვდავებისა წყალო.**
**ჩემს სულს ალერსი სურის**
**და თუ წყაროს წყალს აქებ, —**
**დალიე ჩემი სულიც,**
**ოღონდ შემახე ბაგე.**

განა ამ სტრიქონებში უკვე შორეულად არ ისმის ბო ძიუ-ის ხმა? ასე რომ, თითქმის ათ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ სრულიად ბუნებრივად ჩანს ამ ორი პოეტის შეხვედრის ამბავი და არა უბრალოდ აბრეშუმის გზის, არამედ ლექსის აბრეშუმის გზით...

თამაზ ჩხენკელი პირადად ჩემთვის ყოველთვის იყო ის სიმაღლე, რომლის დაძლევასაც უნდა ესწრაფოდეს სუყოველი მეკალმე, ვისაც მხატვრულ სიტყვასთან „არშიყი" გადაუწყვეტია. ჩვენს ურთიერთობაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ დიდოსტატობა მუდამ განუყრელ კავშირშია დიდბუნებოვნებასთან და განა ცოტას ნიშნავს, როცა სხვისი სიხარული შენს სიხარულად მიგაჩნია და, ბედისა არ იყოს, შუბლზე განერია, რომ სხვისი რამ ნაკლი შენ ღირსებას არ გმატებს... რაბლეს პირველი ორი წიგნის შემდეგ იქნებ ასე შემართებით ველარც მემუშავა დარჩენილ სამ წიგნზე, თუ არა დროდადრო თამაზის შეძახილი (ისევ ნოდარ დუმბაძესთან ერთად), მიდი, მიდი, არ გაჩერდე, შენ კიდევ არ იცი, ეგ გაქართველებული რაბლე რანაირად მოიქნევს თავის ფხაშეუშლელ ფრანგულს ჩვენს რუსთველურ ქართულშიო... ყოველი წიგნის დაბეჭდვის შემდეგ („საუნჯის" ფურცლებზე) პირველი ზარი მუდამ თამაზ ჩხენკელისა იყო, რაც ჩემთვის, ახალი ფრთების შესხმასთან ჭრიდა, ძალ-ღონის შემატებას უდრიდა... ერთხელ საგანგებოდ მითხრა კიდეც (ფრიდონ ხალვაშის სოფელში ვიყავით, გეგელიძეებში): მარტო მე კი არა, ოთარ ჭილაძეც გიქებდა რაბლესო. სულ ახალი სტილისტიკააო...

თამაზ ჩხენკელი როგორც ჩემთვის, ისე ძალიან ბევრისთვის იმ ავტორთა მცირერიცხოვან გუნდს ეკუთვნის, რომელთა გვარ-სახელით ხელმოწერილს უმალ წასაკითხავად განგაწყობს... ამ თავისებური მაგნეტიზმის თუ მიზიდულობის ძალა დიდ ნიჭიერებასთან ბუნებრივად შერწყმულ დიდ განსწავლულობაშია, რაც აგრერიგად გამოარჩევდა თავის თანამედროვეთაგან თამაზ ჩხენკელს... იქნებ ვცდები კიდეც ან ვაჭარბებ, მაგრამ არა მგონია, ვინმემ ოდესმე უფრო უკეთესი წიგნი დაწეროს გენიალურ ცალთვალა ჩარგლელზე, ვიდრე თამაზ ჩხენკელის „ტრაგიკული ნილბებია" (ჩემთვის ძალიან ძვირფასი ძღვნა-წარწერით); ანდა ქართული ანბანის კვლევა რად ღირს!..

ჩემი თვალთახედვით, ის მუდამ პოლიტიკის გარეთ დგომას ცდილობდა (ეგრეთ წოდებული საჯაროობის დაწყებამდე მაინც, სანამ ბოლო დროის პოლიტიკური უამინდობისდა შესატყვისად თვითონაც აშკარად ანტიკომუნისტი არ გახდებოდა და ვაჟაშიც ანტისოციალ-დემოკრატს არ აღმოაჩენდა...), თუ შეიძლება ასე თქმა, თავის საკუთარ კულტურის კოშკში იყო გამაგრებული, თუმცა კარგი გაგებით, ალბათ, არც ის იქნება მცდარი აზრი, თუ ვიტყვით, რომ მუდამ შუმი (ამასთანავე, ჩუმი) ნაციონალისტი იყო, რომელიც იდეოლოგიურად ვერ ეგუებოდა და შინაგანად ებრძოდა კიდეც თავის თანადროულ სინამდვილეს. ამის თქმის უფლებას მაძლევს 1991 წელს დაწერილი „დროის შურისძიება", რაც ამავე დროს თვითონ

თამაზ ჩხენკელის შურისგებაც არის. ამ შემთხვევაში ის ძალზე პოლიტიკური და იდეოლოგიურია, თანაც იმდენად, რომ უჩვეულოდ აჟიტირებული ერთ ძველ საგანგებოდ შეთხზულ ჭორსაც კი იმეორებს: ამბობენ, თითქოს ვაჟას ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი ჯუღაშვილი შემოელახაო... რომელსაც ვითომ ალიზიანებდა ვაჟას ღრმა მითოსი, უნივერსალური მსოფლმხედველობა და პირწმინდად ქართული მსოფლშეგრძნება...

სხვათა შორის (აქ ამის თქმა უპრიანი იქნება) თვითონ კანდიდ ჩარკვიანთან კერძო საუბრიდან ვიცი, რომ მისთვის არცვის ნიშანდობლივ არცრა დაუვალებია რა და, ვითარებისდა შესაბამისად, მან თავისი პასუხისმგებლობით მოივარგა ვაჟას ენის ფშაური დიალექტი, როგორც მაგალითი „ზევიდან თავს მოხვეული აზრის“ გასამართლებლად... მახსოვს, ამ საკითხზე სწორედ იმ 1990-იან წლებში კარგა ხანს ვიკამათეთ კიდეც. ქობულეთში ერთდროულად ვისვენებდით და სალამოობით ზღვის პირას სეირნობისას ვაჟაზე საუბარს მუდამ ამ კუთხით წარმართავდა. მე ზოგიერთ რამეში არ ვეთანხმებოდი, რის გამოც, ვატყობდი, თავისებურად ცხარდებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ჩემი აზრით, ის საერთოდ ადამიანებთან კონფლიქტს ერიდებოდა, თუმცა თავის შეხედულებას ჯიუტად იცავდა... როგორც ჩანს, „დროის შურისძიება“ ან უკვე დაწერილი ჰქონდა, ან დაწერას ეპირებოდა.

ყოველ ხუმრობაში თუ მართლაც სიმართლის მარცვალია, ალბათ ჩემს შეხუმრებაშიც ყოველთვის იყო ეს სიმართლე, როცა პირადი შეხვედრებისას თუ ტელეფონით საუბარში ბორხესად მოვიხსენიებდი ხოლმე... არადა, დიახაც თამაზი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ქართველებს ეს დიდი მეოცესაუკუნელი არგენტინელი გაგვაცნო, რომელთანაც უთუოდ გრძნობდა დროისეულ სულიერ ნათესაობას, როგორც სასწაულად განსწავლულ პოეტთან და ლიტერატორთან...

ისე დაბერდა, ნირი არ შესცვლია, სიტყვის ხარისხი ოდნავადაც არ შესუსტებია. მიმცხოვნებულიც ლამაზ პოეტად დარჩა...

იმ ერთი ფილოსოფოსისა არ იყოს, თუ აზროვნება იგივე არსებობაა, თამაზ ჩხენკელს, თავისი ნააზრევისდა შესაბამისად, როგორც ჩანს, ქართულ სინამდვილეში მუდმივი არსებობა უწერია, უკეთუ თვითონ ამ სინამდვილეს რამე ავბედითად არ დაემუქრა ისევ და ისევ ჩვენი ბედოვლათობისა გამო, რაც აგრერიგად მოგვეძალა, და არა მარტო მიწა-წყალს გვაცლიან ფეხქვეშ, არამედ ჩვენს უძველეს ენას თვალსა და ხელს შუა სხვათა ენის პროთეზით გვიცვლიან... და რა ლამაზად ამბობს ყველა ჩვენგანის სათქმელს გულზე ძვალივით ჯავრდამდგარი პოეტი:

**ჩოქბჯენში არის საქართველო, მაგრამ როდემდის,**
**როდემდის უნდა ვუცქეროდეთ ასე მოლვენთილს,**
**გაჩანაგებულს, თავჩაქინდრულს, სასოწარკვეთილს**
**ხალხს, ვისაც მუხლზე დაჩოქებულს**
**სიკვდილი უჯობს?!**
**როგორ მოვიქცეთ,**
**რა ვილონოთ,**
**რა გავაკეთოთ,**
**რომ სიმწრისგან ყოველდღე არ ვიკვნეტდეთ**
**ტუჩებს?..**

ეს სიტყვის ალქიმიას დაუფლებული თამაზ ჩხენკელის ერთ-ერთი ბოლო ლექსის სტრიქონებია, შთამომავლობისთვის ანდერძად დატოვებული...

გამოხმაურება

# „ერთსა კაცსა ბლისკინელსა“...

ჩემთვის ღრმად პატივცემული ნამდვილი მწერალი (სახელდებით არც მე მოვიხსენიებ, ცოტა ხნით მისსავე კვალზე შევდგები) ყოველთვის უაღრეს კეთილგანწყობას იჩენდა ჩემი საქმიანობის მიმართ, სანამ მხოლოდ თარგმანებს ვაქვეყნებდი. ახლა კი უცებ, თვალსა და ხელს შუა, „ბლეფისტი“ და „ჩამწყობი“ გავმხდარვარ, რაც გულთან რატომღაც ძალიან ახლოს მიუტანია, დაუხანებლად ამცნო საზოგადოებას თავისი ახალი საწუხარი. უჭირს ბატონ ნამდვილ მწერალს, იდგეს და უყუროს „ამ სიგიჟეს“, თუ როგორ „აქებს და ადიდებს თანამედროვეობა რომელიღაც შარლატანს“, ამჯერად უკვე ჩემი სახითა და მკაცრად დავერდიქტებული „არაკომპეტენტურობით“. არა და არ გამოელია ცხოვრებაში ეს ყველაფრის ჩამწყობი შარლატანები, თან — ბედი არ გინდა? — უკლებლივ მის წინააღმდეგ შეთქმული.

ისე, კაცმა რომ თქვას, რა „თანამედროებისაგან განდიდებული“ მე მნახა! დავამშვიდებ: ჭორია ეგ ამბავი. ყველა „ნამდვილი მკითხველი“, აკი ვიცით, „გარანტირებულად“ მისი და მხოლოდ მისია, რასაც დაულალავად „გვიმეორებს და გვიმეათასებს“ ადვილად გასაშიფრავი, თვალში საჩრელი მიხვეულ-მოხვეულებით. ეგ არის, გულს ვერ უბრძანებ, თორემ ერთი-ორი „არანამდვილი“ და „არაკომპეტენტური“ მკითხველის გამო ასე ძალიანაც რატომ უნდა შელონებულიყო ამდენი „უნალდესის“ პატრონი? მაგრამ არა, გააფთრებული არა: ეს ვინ გამიბედა, მოწონების სიტყვა სხვებზე წამოსცდა! ჩაწყობილია, ჩავერაგებულია ყველაფერი!

ზოგადად, დასკვნისდაგვარად, ბარემ იმასაც ვიტყვი, ცხადია, არა მისი მისამართით, რომ მთლად სარწმუნო თუ არა, ჰიპოთეტურად მაინც დასაშვებია, წერა სხვამაც იცოდეს, შესაძლოა, ცოტა უფრო ზუსტიცა და, შესაბამისად, ცოტა უფრო მტკივნეულიც, მხოლოდ ლობე-ყორეს რომ არ ედება, — გაუწინმატებელი, მთავარზე ორიენტირებული, მოკლე და მკაფიო, ნედლისაგან ფუტუროს გამრჩევი.

**დავით წერედიანი**

ეკა ბუჯიაშვილი

# „როგორ აღმომაჩინე, შვიდი ფენა მფარავდა...“

დღეები თითქოს ერთ რიგად ჩარიგდებიან ხოლმე და ერთნაირი, უცვლელი სევდით მიდიან... ამ სევდას მონატრება ჰქვია, დაუსრულებელი, უსათავეო და უბოლოო მონატრება, ნებით თუ უნებლიეთ ცხოვრების არსად ქცეული, ტკივილიანი იდუმალებით სავსე, დროისა და სივრცის იდუმალებით, მუდამ თან რომ გდევს, სადაც უნდა იყო, მითუმეტეს მაშინ, როცა ძალიან ძვირფასსა და შენეულს შორდები და მერე, მარტო დარჩენილს, ისლა დაგრჩენია, საკუთარ თავს ჩაუღრმავდე, საკუთარ თავსვე შეეფარო, შენს ფიქრსა და სატკივარს, რადგან ის ერთადერთია ქვეყნიერებაზე, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმაც რომ გამოგყვება, ოთხ კედელშუაც არ დაგტოვებს მარტო... და ასეთ დროს... აი, ასეთ დროს ყველაზე მეტად რაც გინდა არის ის, რომ სიტყვებმა, რომლებსაც იპოვნი — თუ გაგიმართლა და შენი განცდებისხელა სიტყვებს იპოვნი — შეძლონ ბოლომდე გამოგთქვან... ეს ლექსებიც, ია ჯინჭარაძის ლექსებიც სიმარტოვეში იბადებოდნენ.



ია ჯინჭარაძე შვილთან ერთად

სამშობლოდან შორს, ოთხკედელშუა, მოცალეობის ჟამს, მონატრებისას — იმ უსათავეო და უბოლოო მონატრებისას, ნოსტალგია რომ ჰქვია და მუდმივად თან გდევს, აქაც — შენს სამშობლოშიც, რომელიც სხვანაირი გახსოვს. თითქოს შენს მიწაზე ხარ, შენი ცის ქვეშ, შენს ენაზე საუბრობ, მაგრამ გრძნობ, რომ ეს ყველაფერი ოდესღაც სხვანაირი იყო. და როგორც ლიტერატურაში არ არსებობს დრო და სივრცე, თითქოს ისე მოშლილა საზღვრები რეალობაშიც და გგონია, რომ წიგნის პერსონაჟივით, ის საქართველო, თავისი ოქროს ხანითა თუ ძნელბედობის ჟამით, შენც გამოიარე. მაშინაც, იმ დროსაც ცხოვრობდი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, დიდგორის ველზეც იბრძოდი და ტაძრებსაც აშენებდი, სისხლში გახამებული ჩოხაც გეცვა და „ვეფხისტყაოსანსაც“ იწერდი სამზითვოდ. და ახლა ეს ნოსტალგია რაღაც ძველი დიდებისა, წარსულიდან რომ მოგდევს, უხსოვარი დროიდან რომ გახსოვს, სულის ულრმეს შრეებში რომ ჩაფენილა, ყელში ბურთივით რომ გაგჩრია, სიტყვაში ეძებს გზას და ლექსებად იწურება. იმ ლექსებად, „ვეფხისტყაოსნის“ ნაცვლად რომ მიგაქვს მზითვში, დროისა და სივრცის საზღვრებს მიღმაც რომ მიგაქვს, რათა იქ მყოფ ადამიანებს, ძალიან ძვირფასებს და შენიანებს, თავიანთი წასვლით სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი რომ მოგიშალეს, უთხრა, რომ რაღაც შენც დატოვე, რაღაც ღირებული შენც თქვი.

ეს განცდა იქ, სამშობლოდან შორს, იტალიის პატარა ქალაქ ვერონაში უფრო ხელშესახები გამხდარიყო. ბედისწერას ასე განესაზღვრა მისი ცხოვრება — მეუღლე იტალიელი არაბია, პროფესიით ექიმი, საქართველოში რომ გაიცნო და კიდეც გადაეჯაჭვა მათი გზები ერთმანეთს. ერთხანს აქ ცხოვრობდნენ, შემდეგ სირიაში, ქმრის ისტორიულ სამშობლოში, ამ სამიოდე წლის წინათ კი იტალიაში დაფუძნებულიყვნენ.

კარგი ხალხია ეს იტალიელები და გაუსაძლისი მონატრების მიუხედავად, ამ ეტაპზე მაინც არ ისურვებდა საქართველოში ჩამოსვლას. იქნებ იმიტომ, რომ ჰგონია, ის სასიცოცხლო ენერგია აქ არ ექნება, რადგან წელიწადში ერთხელ სამშობლოში ჩამოსვლისას ისევ გაუცხოებული ეჩვენება ყველაფერი, რაღაცნაირად მოდუნებულსა და თავგზააბნეულს ხედავს ხალხს, იქ კი... უფრო დალაგებულია — ყოფაცა და საზოგადოებაც. ურთიერთობების თვალსაზრისით უფრო მეზობლებითა და ბაღის მასწავლებლებით შემოიფარგლება, მაგრამ მაინც... იტალიაში ყველაფერი გაგრძნობინებს ევროპის სუნთქვას. მოსწონს, რომ ადამიანები მიზანდასახულები არიან — იციან, რა სურთ. მოსწონს, მაგრამ ფიქრობს, რომ თვითონ ასე ვერასოდეს იცხოვრებს. მაგალითად, ყოველ დილით ზუსტად შვიდ საათზე ვერ გაიღვიძებს, მაინცდამაინც რვა საათზე ვერ ისაუზმებს... ვერც სახელდახელო სადილზე გადაატარებს ქმარ-შვილს... ეს თვითონ... თვითონ ფიქრობს ასე, თორემ დაფასებით ბევრ რამეს აფასებს მათ ყოფაში. ის მეზობლობაც რაღაცით ჰგავს ქართულს, უფრო სწორად, ჰგავდა, თორემ ახლა ადამიანები მეტ-ნაკლებად საკუთარი ოჯახის ნაჭუჭში ჩაიკეტნენ. იქნებ ყოფის გამოც. აღმოსავლურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომებმა თუ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ის მოიტანა, რომ ემიგრანტთა დიდი ტალღა მიაწყდა ევროპას და ამან ბევრწილად განსაზღვრა — ყოფაცა და ურთიერთობანიც. ემიგრანტებს იქ მაინცდამაინც არ სწყალობენ, თუმცა მის ოჯახს ეს არ შეხებია, რაკი მეუღლე იტალიაშია დაბადებული. და ახლა, მდინარის ორ ნაპირზე გაშენებული ქალაქის — რომეოსა და ჯულიეტას ქალაქის — ვერონას ერთ მყუდრო გარეუბანში საკუთარი სამყარო აქვს, რომელშიც ცხოვრობენ შვილები, ქმარი და... ლექსები.

არა, ვერონას ძირფესვიანად არ იცნობს, მაგრამ რასაც იცნობს, ძალიან მოსწონს. აი, ჯულიეტას ცნობილი აივნიდან კი მასაც გადმოუხედავს, სურვილიც ჩაუფიქრებია, წერილიც დაუწერია... ვარსკვლავის მოწყვეტისა არ იყოს, არა და არ ამახსოვრდება, რას ჩაიფიქრებს ხოლმე, მაგრამ ჯულიეტას აივნიდან განა რა უნდა ეთხოვა განგებისათვის, რა — სიყვარულის გაძლიერებისა და განმტკიცების მეტი.

და კიდეც გაძლიერებულიყო...

გაზრდილიყო...

ქვად და რკინად ქცეულიყო, მტკიცე გალავნად რომ შემორტყმოდა მის ცხოვრებას;

სხვა სახე და იერი მიეღო — ასე სცოდნია ოჯახურ ყოფას.

ერთ რიგად ჩარიგებულიყვნენ დღეები და ერთნაირი უცვლელი საზრუნავით გადიოდნენ — ოჯახური საზრუნავით. და არის ამ ყოველდღიურ, ცოტათი დამღლელ და ცოტათი მომაბეზრებელ ფუსფუსში რაღაც სანუკვარიც — უჩვეულო სტაბილურობის, გამტკბარი სიმყუდროვის, მოშინაურებული სიმშვიდის განცდა — თითქოს ნელ ცეცხლზე მოთუხთუხე სადილის ოხშივარითა და ყინვიდან შემოტანილი, ახალდაუთოებული სარეცხის სუნით გაჯერებული, თან ასე რომ გათბობს და ხანაც ასე რომ გაკრთობს და გაფხიზლებს, რადგან არ გინდა ამ ყველაფერმა ხელიდან გამოგაცალოს ის, რაც შენთვის ასეთი მნიშვნელოვანია — პოეზია — ახლა, ამ ეტაპზე ყველაზე მაღლა რომ აყენებს, ოღონდ თავისთვის, თავის თავში, თორემ ბავშვი თუ ტირის ან ვინმეს თუ სჭირდება მისი ხელი, ლექსის დასაწერად როგორ განმარტოვდება?!

წერს მაშინ, როცა ამის დრო აქვს — მაგალითად, ქმარი სამსახურშია, ერთი შვილი — ბაღში, მეორემ კი — გაუმართლა და — დაიძინა. ასეთ დროს აბა სად დაეძებს მუზის ასავალ-დასავალს?!

ჯდება და მუშაობს.

ახლა უფრო მეტს ფიქრობს ლექსზე.

ამბობს, რომ ფილოსოფიისკენ გადაიხარა, იმდენად, რომ ყველა ურჩევს: ცოტათი უნდა გამარტივდე, თორემ შენს ლექსს ზეპირად არავინ ისწავლისო.

მას კი სულაც არ უნდა ვინმემ დაიზეპიროს ეს სტრიქონები. მთავარია გაუგონ, გულის ღრმა შრეებამდე ჩაჰყვნენ და მოუსმინონ.

— ვისთვის წერ? ასე ხომ ცოტა მკითხველი გეყოლება, ეს ყველაფერი საინტერესოა კია, მაგრამ ძნელი წასაკითხია, არადა, თაყვანისცემელი ვარ შენი პოეზიისო, — ასეც უთქვამს მისთვის კეთილისმსურველს.

თვითონ კი:

— მე მასისთვის არ ვწერ, ვწერ ერთი გარდაცვლილი და რამდენიმე ცოცხალი ადამიანისათვის. მათ შორის თქვენთვისაცო, — უპასუხია.

წერს ისე, როგორც ეფიქრება.

ამდენი ფიქრი კი... საკუთარ თავში ჩაღრმავებამ მოიტანა.

მას თუ ჰკითხავთ, მნიშვნელობა არ აქვს, საქართველოში იქნებოდა თუ სან-ფრანცისკოში, სირიასა თუ იტალიაში, ეს ეტაპი — საკუთარ თავთან მარტო დარჩენის ეტაპი — მაინც დადგებოდა. ოჯახურ რუტინას ეს თავისებურებაც ახლავს, მითუმეტეს თუ სამშობლოდან შორს ცხოვრობ, და ამ ჭერქვეშ ზოგჯერ გგონია, კედლებს უკეთ ესმით შენი, ვიდრე ადამიანებს, დროდადრო რომ გსტუმრობენ ხოლმე.

თუმცა... ამ მარტოობაშიც ყოფილა რაღაც სასურველი, რადგან მიიჩნევს, რომ თუ შემოქმედი ადამიანი საკუთარ თავთან არ განმარტოვდა, ღირებულს ვერაფერს შექმნის.

— დღესდღეობით ისეთი ელიტარულია საქართველოში ლექსი, რომ ნიჭთან ერთად ბევრიც უნდა იშრომო, თორემ გამორჩეულს ვერაფერს იტყვი. ახლა ბევრი წერს და არაერთი ნიჭიერი პოეტი გამოიკვეთა, რომელთა პუბლიკაციებსაც სულ ველოდები, მაგრამ... აი, კითხულობ ლექსს, თითქოს სამშობლოს სიყვარულიცაა, ღმერთისაც, რითმაც არის და რიტმიც... მიდის, მირაკრაკებს... ჩახვალ ბოლოში და... არაფერი გრჩება. ამიტომ ვცდილობ, უფრო მეტი სიღრმით მივუდგე ამ ყველაფერს, ვცდილობ, ორიგინალური ვიყო. მე ასე მინდა... და მერე ტვინი თავისთვის მუშაობს, რომ ლექსი სწორედ ასეთი გამოვიდეს — ამაზე განსაკუთრებული მეცადინეობა აღარ მჭირდება... და როცა ვწერ, ვთქვათ, „სიყვარულის ახსნას", ჩემი „სიყვარულის ახსნა" არ უნდა ჰგავდეს სიყვარულის ახსნას და „ნატირალი" — ნატირალს.

მინდა ჩემი ლექსი იმას ამბობდეს, რაც აქამდე არ მითქვამს და ისე ამბობდეს, როგორც აქამდე არ მითქვამს.

ახალი ლექსების კრებული ჯერ არ გამოუქვეყნებია.

აქამდე კი...

აქამდე აი, ასე ამბობდა:

**...მერე რა მოხდა**  
**თუ მინაზე ვდგავარ და წყალი**  
**ილვრება ჩემი ხელებიდან**  
**ვარ უმინაწყლო,**  
**როგორც სურაში მომწყვდეული**  
**სული საწყალი**  
**და როგორც სურო მოსიარულე...**

*** * ***

**...გამიცვდა ხამლები,**  
**ეს ჩემი სისხლია,**  
**მეძნელა, ცხოვრება ღირს ამად.**  
**ვიტყვი და უდაბნო ზამბახებს მოისხამს**  
**და ბნელი იქცევა სისხამად...**

ან კიდევ:

**ხომალდებს ხომ ადრე**  
**შვენოდათ აფრები,**  
**ებრძოდნენ ტალღებს გამძაფრებით,**  
**რომლებიც ვერ თმობდნენ უფლებას**  
**მათი სამუდამოდ ფლობისა.**

* * *

**როგორ ალმომაჩინე, შვიდი ფენა მფარავდა**
**ჩემო თვალისჩინო და ჩემო თავფარავნელო.**
**ფარას მოეფარება მთვარე ქაშანურისა,**
**ქარს გავატან წერილებს**
**თუ მოვიშინაურე...**

და როცა მას ალმოაჩენთ, მიხვდებით, რომ საერთოდ ბუნება აქვს ასეთი, თუ- სწავლობს, კარგად სწავლობს; თუ წერს, კარგად უნდა წეროს; როცა გათხოვდა, გადაწყვიტა, კარგი მეოჯახე ყოფილიყო, ამიტომ ლექსს ცოტა დაშორდა. ცოტა უფრო ადრე დაშორდა — მაშინ, როცა სწავლობდა: ჯერ უნივერსიტეტში, შემდეგ — საზღვარგარეთ, მერე ასპირანტურაში. ოჯახის შექმნამ ხომ მთელი მისი ცხოვრება შეცვალა. უცხო ტომის კაცზე გათხოვებამ არაერთი პრობლემა შეუქმნა... და ახლა რომ იხსენებს, ეს ისეთი რამ იყო, ისეთი... თითქოს ბერლინის კედელი აეშენებინოთ კედელი, რომელიც უეცრად, თვალსა და ხელს შუა წამომართულიყო მას და სამყაროს შორის და ყველასთან და ყველაფერთან აკარგვინებდა კავშირს.

არა, თვითონ კი ბედნიერი იყო, მაგრამ...

ბედნიერება ხომ ისეთი რამაა, მარტო შენთვის არ გემეტება, გინდა ყველა იმ ადამიანს გაანვდინო და ამყოფინო, ძალიან, ძალიან, ძალიან რომ გიყვარს.

და ჩარიგებულიყვნენ... ერთ რიგად ჩარიგებულიყვნენ დღეები, ერთნაირი, უცვლელი ტკივილით რომ მიდიოდნენ (თუ გადიოდნენ) ამ წუთისოფლიდან და თან მიჰქონდათ რაღაც ძალიან ძვირფასი და სანუკვარი, შენი ცხოვრების ნაწილი მიჰქონდათ და ისღა დაგრჩენოდა დასდევნებოდი და გამოგეგლიჯა, ხელიდან გამოგეგლიჯა ყველაფერი, რაც დასაკარგავად არ გემეტებოდა.

დღეს გასაცემი სიყვარული დღესვე გაგეცა.

დღეს დასაწერი სტრიქონი დღესვე დაგეწერა.

და არც დღეის წილი ლოცვა გადაგედო ხვალისთვის.

მითუმეტეს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრებას თავისი წილი ხარკი მიჰქონდა შენგან და თავისებურად გიწენავდა ყოფას.

ჯერ მარტო ის თქვით, მოკლე დროში სამ ქვეყანაში რომ მოგიწევს ცხოვრება, სამი ქვეყნის კულტურისა და ყოფის გათავისება და თანაზიარობა. თვითონ ქართულად ელაპარაკება ბავშვებს; მამა ცდილობს არაბული ენა არ დაივიწყონ პატარებმა; ბიძა იტალიურად ესაუბრება და ისინიც ისე დაბნეულან, ისე... გოგონას, რომელიც სულ ორწლინახევრისაა, ურჩევნია მუნჯურად გიპასუხოთ — თან ძალიან ოსტატურადაც მოახერხოს ეს — ვიდრე სამ ენაზე ეძებოს სიტყვები.

აი, სიტყვებს კი... სხვა ძალა და სხვა მადლი შეეძინათ ამ უცხო ცის ქვეშ.

— მეუღლეც კარგია, შვილებიცა და ოჯახიც, მაგრამ წერა რომ ამიკრძალონ, ასე მგონია ეს მშვიდი, გაწონასწორებული, მეოჯახე ქალი ერთ ავ და აწჩხლ ადამიანად ვიქცევიო.

და წერს...

უფრო თავისთვის.

მეუღლეს პოეზია არ უყვარს.

ადრე სულ უკითხავდა, უზიარებდა, აზრსაც ეკითხებოდა... ახლა ალარც ცდილობს. არც აძალებს დაინტერესდეს. მეორე მხრივ, ეს შინაგან თავისუფლებასაც ანიჭებს. არავის არაფერს უთანხმებს. არავის აზრს არ ითვალისწინებს. წერს ისე, როგორც ეწერება. მეტსაც გეტყვით — შეუძლია თამამად თქვას, რომ მეუღლეს მის ხელში ფურცელი და კალამი არც კი უნახავს. როცა ის შინაა, მთელი დრო მისია.

ერთად ვახშმობენ...

ერთად უყურებენ ტელევიზორს.

ერთ ჰაერს სუნთქავენ — ერთი ჭერით გადახურულს.

...და საუბრობენ — ყველაფერზე, ყველაზე ნაკლებად ალბათ პოეზიაზე. თუმცა ის ლექსიც კარგად ახსოვს, შეყვარებულობისას რომ უძღვნა ქმარმა და დღემდე კედელზე აქვს გაკრული.

წელიწადში ერთხელ სამშობლოსაც სტუმრობს.

სამშობლოს, რომელიც სხვანაირი ახსოვს და ძველი დიდების დაბრუნების მოლოდინით ცხოვრობს.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს, შენს მიწას დედის სურნელი ასდის, მშობლიური მადლი მოჰყვება, ამიტომ აქაური ჰაერიც ავსებს და აძლიერებს — ისე, რომ იტალიაში დაბრუნებულს ჰგონია, მთების გადადგმას შეძლებს. მაგრამ იქ ამას არავინ სთხოვს. იქ მთებიც ევროპული სიმტკიცით, სიმშვიდითა და სტაბილურობით დგანან ოდესლაც მიჩენილ ადგილას და მასაც ეს ენერგია, სამშობლოდან წაღებული ენერგია, ძალას სხვა რამისთვის აძლევს — ხანდახან, მოცალეობის ჟამს, ყოველდღიურობაზე ამაღლდეს, უბრალოდ, სულ უბრალოდ, ფეხის წვერებზე აიწიოს და... პოეზიის სივრცეებამდე აფრინდეს.

ასე დაუგროვდა ლექსები მესამე კრებულისთვის. პირველი — „აბორგებული აბორიგენები" ოცდაერთი წლისამ გამოსცა და დღესაც, ამ გადასახედიდანაც მიიჩნევს, რომ ოცი წლის ასაკისთვის კარგი რამ იყო. კიდეც გამოეხმაურა „ჩვენი მწერლობა", როგორც საგულისხმო დებიუტს და ეს მეგობრობაც პოეტსა და რედაქციას შორის ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ჟურნალი გაზეთის სახით გამოდიოდა.

მეორე კრებულიდან — „ცა ცვალებადობს" — რამდენიმე ლექსი არ ეთმობა დასაკარგავად.

ახლა კი...

ახლა ფიქრობს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მისთვის პოეზია არასოდეს ყოფილა, ამიტომაც ცდილობს, ბევრი იმუშაოს... და დღეებიც რაღაცნაირი სხვანაირი მუხტითა და მადლით ჩარიგებულან და უჩვეულო სურვილით მიდიან, ნებსით თუ უნებლიეთ ცხოვრების არსად ქცეული, უსათავეო და უბოლოო სურვილით, რომლის სახელიც ზუსტად არ იცის, მაგრამ ძალიან ავსებს, დროისა და სივრცის იდუმალებით ავსებს, რადგან რეალურად, გინდა ეს შენ თუ არა, დროსაც და სივრცესაც თავისი საზღვრები მაინც ჰქონია და არც შენ გაუჩენიხარ განგებას ლიტერატურულ პერსონაჟად, სხვა წიგნში რომ გააგრძელო ცხოვრება.

ერთი სიცოცხლე მოგცა უფალმა.

ერთი გზა.

ერთი შანსი.

...და გინდა, ძალიან გინდა, რომ იპოვნო სიტყვები — თუკი გაგიმართლა, შენი განცდებისხელა სიტყვებიც — ბოლომდე რომ გამოგთქვამენ...

შვიდივე ფენასა და საფარველს გადაგაცლიან...

და ცოტათი, სულ ცოტათი მეტსაც იტყვიან — იმას, რისი თქმაც

ერთი ცხოვრებით,
ერთი გზით,
ერთი შანსით ვერ მოასწარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამნაშავე უფრო დროა

ძვირფასო ბატონო რედაქტორო!

ის, რომ გულმოდგინე მკითხველი ვარ თქვენი ჟურნალისა, იმედია თავმოწონებად არ უნდა ჩამეთვალოს; პირიქით, მადლიერება მსურს დაგიდასტუროთ. მოგეხსენებათ, კარგი რამაა ლიტერატურით ფიქრი აბეზარი ყოფის დასაჯაბნად... აქვე ვაღიარებ, ერთბაშად და პირწმინდად თუ ვერ ვკითხულობ ყველაფერს, გამორჩევით მაინც და ნება-ნება.

ამჯერადაც ორი რუბრიკა ამოვირჩიე: „როგორ ვკითხულობთ კლასიკას" და „ახალი თარგმანები".

შთაბეჭდილებათაგან ორიოდე სიტყვით ჯერ მომდევნოს დავაწინაურებ. თარგმანის თქვენი და პაატა ჩხეიძისეული ვერსია — „ჯორჯ ბაირონი, ბავშვობა და ყრმობა, ჯულია" ჩემთვის გახლდათ, მეტაფორად რომ მოგაწოდოთ, ჟანგბადი: ლაღი სტილი, დახვეწილი თხრობა, გამჭვირვალე და მიმარჯვებული ქართული, თანაც იმგვარად, პერსონაჟები თავისი ქვეყნის კოლორიტში რჩებიან და ისე არაა, კომპლიმენტად რომ აგებებენ ჩვენს მთარგმნელებს: ესაოდა, თითქოს ქართულ ნაწარმოებს ვკითხულობდეთო... ეს, სხვათა შორის, და მოუთმენლად დაველოდები შემდეგ თავებს, თქმა რომ უყვართ ისე, ყოველგვარი ლაფსუსების გარეშე.

„...რა მოიგონე ახლა შენ პლატონ?" — ასეა დასათაურებული გია არგანაშვილის წერილი და დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს" განიხილავს. მისი სხვა სიახლისმაძიებლური პუბლიკაციაც მახსოვს ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაზე". რა თქმა უნდა, ოპონენტთა კომენტარებითურთ.

ავტორი აქაც ჯერ გაუგონარს გვთავაზობს და სტიქიაშია. მის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ კლასიკას, კერძოდ მშობლიურს, რაღაცნაირი და გადამეტებული ყურადღებიანობით კითხულობს თურმე. შესაშური ამბავია, რა სჯობია კლასიკით ტკბობას... მაგრამ აქ საქმე სხვაგვარად ყოფილა და პირველივე აბზაცში აცნაურებს ჩვენი კრიტიკოსი მცდელობას, ჟინიანად მოერგოს დროს. „ცხოვრების წესი და გარემოება მაიძულებს წელიწადში რამდენჯერმე ხელახლა გადავიკითხო ქართული კლასიკური ლიტერატურის მხატვრული ტექსტებიო". და მოადევნებს მსჯელობას, თურმე ნაწილი ამ ტექსტებისა გადასაფასებელია დრომოჭმულობის გამო. ზოგის ზედაპირი (ნაწარმოების) უფრო მეტად აპრიალებულა და გარეგნული ბრწყინვალებით ერთიორად აძლიერებს მომხმარებლის ნდობასო.

რას ვიზამთ, მომხმარებელი — მკითხველი, ბაზარი — წიგნი... ასეთი უამურად ვერბალური დაწყვილება დრომ მოიტანა და გია არგანაშვილს ცოდვად ვერ მოეკითხება. მაგრამ რა დააშავა დავით კლდიაშვილმა? რატომ გახდა მისი წაკითხვა აკვიატებულად ახლებური და ამგვარ ამორჩევაში ნამეტანი ახლებურიც რომ არაფერია. ანუ ბატონო გია: — რა მოიგონეთ ახლა თქვენ ახალი?

ის, რომ ბეკინა სამანიშვილი, ერთობ გადაპრანჭული არისტოკრატი საკუთარი ღირსების გრძნობამ მოცელა? „როყიო" ლაპარაკი რომ არ შეუძლია და მხოლოდ მიტევებას ითხოვს?

ის, რომ პლატონი, „მცირედით კმაყოფილი" აზნაურიშვილი პასუხისმგებლობის და ურთიერთგაუტანლობის თავზარდამცემმა შიშმა გადარია?

ის, რომ პერსონაჟები გაჭირვებასა და უსახსრობას, ე.წ. დროის მანქანებას, კუთხეში მიუმწყვდევია და წყლიდან ამოყრილი თევზებივით ლაფავენ სულს? (აქეთ-იქით ახლაც მიიხედეთ, რადგან ეს ცხოვრების წესია).

ის, რომ ქალები, ძველი ქართველი ქალები ბედს დამორჩილებიან და ისე ინახავენ ოჯახის ღირსებას, მათი სირცხვილ-ნამუსის მძიმე ტვირთს, მკითხველიც სიმწრის ღიმილით თანაუგრძნობს.

ის, რომ ჯიმშერ სალობერიძემ, რაღაცა მანქანებით, ეკონომიური სტაბილურობა შეინარჩუნა (მისი ოჯახი, რატომღაც, კრიტიკოსის თვალს მიღმა დარჩა).

ის, რომ ივანე გვერდევანიძე, ნოყიერი კაცი, ბედაურზე ამხედრებული თავადაა ულმობელი ყოფის სიმბოლო, სათავისო კანონის სრული დამცველი და მესაკუთრე...

კლასიკოსმა პერსონაჟები (მთავარი თუ ეპიზოდური) თავბრუდამხვევი მოძრაობით ჩვენს დღეებამდე მოიყვანა. ადამიანებს აღარ ესმით ერთმანეთის. მოჩვენებითი გამხდარა თანადგომა, მხარში ამოდგომა ანგარებისა და სიყვარულის გარეშე, მოძმის მიერ უგერგილოდ გამხნევება მოქიშპური სისინით...

ჩვენი კლასიკოსი ამ ბრწყინვალე ნაწარმოებში (და სხვაგანაც) ადამიანის მარტოობის ტრაგედიას უტრიალებს. რომ კაცი, თანაც შეჭირვებული, არა მხოლოდ სიკვდილის დროსაა მარტო, მთელი სიცოცხლე მარტომყოფია. ისინიც კი, საზოგადოებაში ძალისძალად, მიწოლით რომ ტრიალებენ და რიხით იგნებენ გზას კირილე მიმინაშვილივით.

ვეთანხმები ბატონ გიას, როცა ამბობს, რომ ბეკინა სამანიშვილი მთელი თავისი ცხოვრებით „გვირგვინია ბუნებისა და ბუნებამაც სწორედ ის აირჩია (ღმერთმა ასე ინება) მომავლის მამად".

ვერ ვიზიარებ მისეულ ხედვას თუ განჭვრეტას სხვა პერსონაჟის მისამართით, რომ ელენე უფერულია და თანაც ბიბლიური სარას გაოცებულ სახეს კი აგონებს... (?)

და საერთოდაც, აქ შევწყვეტ წერას, რადგან კრიტიკოსის მოსალოდნელ რისხვას გვერდი მინდა ავუარო, თუმცა არც გავექცევი, საჭიროებისამებრ. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი არგანაშვილი წელიწადში რამდენჯერმე კითხულობს კლასიკას, თანაც ქართულს, აუცილებლობით რომ ყოფილა ნაკარნახევი და, ცხადია, ტექსტების ახლებური კირკიტი მისი პრეროგატივაა. ჩემი შთაბეჭდილება კი ნაუცბათევია, ცხელ გულზე დაწერილი.

და თვალს ვუსწორებ მართლაც ბიბლიურ პროფილს კლასიკოსისას (დიდებული პორტრეტი შეგირჩევიათ), მის კრიალა და ნაღვლიან მზერას მომავლისაკენ. წინასწარმეტყველივით იხედება და ეცოდება ადამიანი. ალბათ, თავისი პერსონაჟებიც არ ემეტება იმ კრიტიკოსებისათვის, რომელთაც ისე აუპრიალებიათ საკუთარი კალმები, როგორც ყასბებს პროფესიული იარაღი.

პატივისცემით

**თინა ნაცვალაძე**

*პენსიონერი პედაგოგი ხარაგაულის რაიონიდან*

ნატა ვარადა

# ესმას და რენოს ფერთა ბრწყინვალე დღესასწაული

*...იბადება ადამიანი და მასში მარადიულის ხსოვნა, ერთიანობა უსასრულობასთან ცინცხალია. უმეტესობა ასაკის მატებასთან ერთად შორდება მარადიულ ჭეშმარიტს, იძირება შემოგროვილ ჩენჩოში... ჩემი შემოქმედებით სწორედ ამას მინდა შევახსენებდე ადამიანს, რაღაც მივიწყებულს, ძირეულს, ძალიან ნაცნობ-ჩვეულებრივს; არ ვაძლევდე მის სულს პირველადის, ბედნიერის, კეთილის დავიწყების საშუალებას.*

**ესმა ონიანი**

ორი ფერი — ერთი ლაჟვარდისფერი, ზეციური და მეორე, მცხუნვარე, გადადუღებული მზისდარი მენამულისფერი, როგორც დედისა და ყრმის გამოსახულება, გამორჩეულ ფერთა ნამდვილი ამობრწყინება ტილოზე და ნიჭიერების, როგორც სულიწმინდისეული მადლის გადმოქცევა — ეს პირველი შთაბეჭდილებაა, რომელიც არ შეიძლება არ დაგეუფლოს, როცა ორ ქართველ, უაღრესად თვითმყოფად, ერთი შეხედვით, და ალბათ, ასეცაა, მხატვრული სკოლის განსხვავებულ წარმომადგენელს შეხვდები, ისევ და ისევ უზენაესის ნებით.

ის, რაც ამ ორ ადამიანს და შემოქმედს აახლოებს, არის თანადროული ეპოქა და ქალაქი — თბილისი. კომუნისტურ და უღმერთო, დროის გაშეშებული ბელადების ფონზე აღმოცენებული ორი ღვთის ყვავილი, ქალი და მამაკაცი, ორი სრულყოფილება ნიჭისა, და მინიშნება ირგვლივ მყოფ ადამიანებისთვის — არ მიმიტოვებიხართ, ნუ გეშინიათ. მაშინდელ ადამიანებზე არაფერს ვიტყვი, თუმცა, როგორც ჩანს, შიშის ძალით ბევრი ძალითაც იტყუებდა თავს და ჭეშმარიტებას გაურბოდა — ესეც ერთ-ერთი ნიშანთაგანი.

როგორც რიგითი ქართველი, რომელსაც შეუძლია ნახოს და გაიცნოს ესმა ონიანის და რენო თურქიას სამყარო, თავს უფლებას ვაძლევ და ვწერ, რომ ფიროსმანის სული ორად გაიყო და ჩვენ გვაქვს სულიერების ორი უმაღლესი ნათელი გამობრწყინების ხატება.

გაზაფხულის მშვენიერ თბილ დღეს, ნიკოლოზობას, ესმა ონიანის დასთან, ქალბატონ ირინა ონიანთან, მხატვრის ბინაში წვეულებაზე ვიყავი მიპატიჟებული. „ესმასთვის შეთქმულები" (ასე ხუმრობით ვიხსენიებთ ერთმანეთს, გამომცემლობა „ინტელექტის" თანამშრომლები და მეგობრები) ქალბატონმა ირინამ შეგვკრიბა. პატარა ნიკოლოზ კვარაცხელია, როგორც იმ დღის ანგელოზი განსაკუთრებულ საზეიმო განწყობას გვიცხოველებდა.

ოდესმე ყოფილხართ ზღაპარში?! ოდესმე თქვენც აღმოჩნდებით, თუ ესმა ონიანის სახელოსნოს, მის გამოფენას ესტუმრებით. როცა მის ფერების ოკეანეში დედამიწიდან შორს აღმოვჩნდი, რატომღაც გამახსენდა, რენო თურქიას სახელი და გვარი და მისი უცნაური კომპოზიციები მხატვრობაში. დიდი ხანია მინდოდა რენოს შემოქმედებაზე პატარა წერილის დაწერა და ესმა ონიანის სახელოსნოში გახსენებული მხატვარი ჩემამდე ისევ მოვიდა.

მქონდა ბედნიერება პირადად გამეცნო რენო თურქიას მუზა, მისი მეუღლე, ძალიან უცნაურად მორიდებული და ჩუმი ქალბატონი. ის იყო განუზომლად მწუხარე და ბედნიერი ერთობლივად, როცა საუბრობდა გარდაცვლილ მხატვრის უკვდავ შემოქმედებაზე და თავის სიცოცხლეს უძღვნიდა რენოს შემოქმედებას.

მისი მოგონებები, რომელსაც გამოსაცემად ამზადებდა, ჩანაწერები მხატვარზე ჩემთან დარჩა. თვითონ კი უცბად გაქრა. დამიტოვა, ასევე, რენოს შესახებ გამოცემული პატარა ფერადი და ლამაზი წიგნი.

ესმა გომელაურს, რენოს მეუღლეს, ერთხელ მორიდებით ვკითხე, ბავშვი არ გყავთ?! მითხრა, ჩემი ავადმყოფობის გამო რენო არ იყო მომხრე შვილი გამეჩინა, ექიმებმა გვითხრეს, თუ ბავშვს გავაჩენდი, დავბრმავდებოდიო.

რენოს შეეძლო მსხვერპლის გაღება. ის ხვდებოდა, რომ მის მხატვრობას უკვდავება ეწერა და საყვარელ ქალს შეუნარჩუნა თვალისჩინი. სხვათაშორის, რენო თურქიას უცნაური, მისტიკური ცხოვრების შესახებ ჩანაწერებში ძალიან საინტერესო ამბებია მოთხრობილი. არ ვიცი, გამოსცა თუ არა წიგნად, თუმცა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა საზოგადოებისთვის გაეცნო, თავს ნებას მივცემ და ამ წერილში რამდენიმე ნაწყვეტს აქ მოვიტან:

**...დედაო ღვთისა, მზეო მარიამ,**
**როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი**
**ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია**
**და შორეული ცის სილაჟვარდე...**

ხშირად წარმოთქვამდა რენო შთაგონებით, და, ვფიქრობ, არა მხოლოდ გალაკტიონის თაყვანისცემის, მასთან სულიერი სიახლოვის გამო... „სილაში ვარდი — ცის სილაჟვარდე" — არა მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული ამ შეუდარებელი რითმით აღტაცემის გამო. რენო ღვთის მადლით დაჯილდოვებული, ჭვრეტის, ნათელხედვის უნარით, ამ სიტყვებში თავის ბედისწერასაც ასურათხატებდა.

„მახსენდება, ჩემმა დედამთილმა მიამბო რენოს ამ ქვეყნად მოვლინების შესახებ: თურმე 11 აგვისტოს (1926 წ., სოხუმი) სამშობიაროში გვიან ღამით დაბადებულა, იმ დღით ყველაზე ბოლოს, „ჩეფჩიკები" უკვე აღარ ჰქონიათ და ე.ი. არ შეხვედრია. დილით, როცა მოუტანეს, „კატეგორიულად" (არაფრით) არ დაუხურავს, ტირილით აუკლია იქაურობა.

ეს გარემოება თითქოს სიმბოლურ გამოხატულებად იქცა რენოს ცხოვრების ხასიათის წარსამართავად და გასაცნობიერებლადაც. მას ამქვეყნიური თითქმის არაფერი გააჩნდა (არც ინდომა). ყველაფერი, რითაც უხვად იყო დაჯილდოებული და რითაც ირგვლივ მყოფთ ხიბლავდა, უზენაესისაგან ჰქონდა მინიჭებული" (ესმა გომელაური. რენოსკენ სავალი გზებით).

შემთხვევითი არ არის, რომ რენო თურქიას მუზას და მეუღლეს სახელი ესმა ჰქვია, სწორედ ის სახელი, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ატარებდა ესმა ონიანი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი სახელი და მეც შემთხვევით არ „მესმა" სახელოსნოში რენო თურქია.

გაგანია კომუნიზმის ეპოქაში შექმნა სულიერების კუნძული, მუშაობდე თავდავიწყებით, ცხოვრობდე აბსოლუტური ასკეტიზმით, არანაირი ცხოვრებით ტკბობა და მატერიალური საცხოვრისების კეთილმოწყობით გატაცება — დამეთანხმეთ: განსაკუთრებული და ღირსეული ადამიანების შემთხვევაში ხდება მხოლოდ.

რენო თურქიას ყველა მხატვრული ტილოს უკანა ხედზე მოჩანს ეკლესია. ხეების, ტბის, პეიზაჟების ფონზე აუცილებლად შორს ოდნავ ბინდ-ბუნდში, მაგრამ ყოველთვის პატარა ეკლესიას მოჰკრავ თვალს მნახველი. რწმენის არსებობის ეს უტყუარი დასტური, როგორც ხელმონერა. შორეულ ლაჟვარდისფერის თვალის მიმტაცი ელვარება, გაყუჩებული ბუნება და გარემო ადამიანს თავშესაფარს სთავაზობს. ხოლო პორტრეტებიდან მოდის ფარული სევდა და სრული მორჩილება, რომელიც სასულიერო პირებს ახასიათებთ.



რენო თურქია

ასეც წერს:

ჩემი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, წინ წამოვწიო ყველაფერში დანახული მშვენიერება...

...სალებავებში, ამ საოცარ შენაერთებში დიდი გამომსახველობითი ძალა იმალება... მაგრამ რა მშვენიერი და ძლიერიც არ უნდა იყოს ფერი, ის კარგავს ყოველგვარ აზრს, თუკი სიმახინჯეს ემსახურება, ან არაფრისმთქმელია და უბრალოდ, სურათის ფორმალურ ნაწილს წარმოადგენს.

ესმა ონიანთან მდუღარე ენდროსფერში გათქვეფილია ბიბლიური პერსონაჟები, ხოლო პორტრეტების გრადაცია, მათი დაჭიმული სხეულები ფიზიკური ძალის დემონსტრაციაა.

მათ შემოქმედებას ადამიანთა სიყვარულისა და ურთიერთსაჭიროების საიდუმლოს გაცხადებასაც დავარქმევ, ადამიანთა დროებითი სიცოცხლის აუცილებლობას. ხელოვანთა სულიერი ცხოვრების კრედო, სწორედ სიცოცხლის, მართალია ხანმოკლე, მაგრამ მარადიული სახელისთვის სამყოფ დროში გამოხატული თანადგომისა და ენერგიის გაცემის უშურველობით გამოირჩევა და გადაიკვეთება. გარშემო მყოფთა სიკეთით ყოფნის უდიდესი სურვილით. როცა ესმა ონიანის ჩანაწერებს ვკითხულობ, ასეთი განცდა მამა გაბრიელზე მოგონებების დროსაც მიჩნდება, გული მწყდება რომ არ მქონდა საშუალება პირადად გამეცნო და თუნდაც ერთი სიტყვის მეშვეობით მასთან ურთიერთობის ბედნიერება მქონოდა, რადგან სიტყვის ძალით ის ძალიან საჭირო და ადამიანისთვის სასიცოცხლო რჩევებს გვწერს. თუ გაგვიჩნდება სურვილი დავინახოთ, შევიგრძნოთ და გავითავისოთ, რა თქმა უნდა. მხოლოდ სინამდვილის — ამ სიტყვის გამორჩეულობის შესახებ რამდენი რამის თქმაა შესაძლებელი. მისი წიგნიდან (ესმა ონიანი. ლექსები, ესეები, წერილები. თბილისი. 2000) თითქმის მთელი მასალის გადმოტანის სურვილმა შემიპყრო, როდესაც ეს წიგნი გადავშალე და შიგ ჩავეფალი. ლექსები, ნამუშევრები, საბავშვო პოეზია, წერილები, ფიქრები, ჩანახატები — უმდიდრესი მასალა ახალგაზრდა თაობების გონებას და ანალიზს დიდი მოთმინებით ელის. ელის თავის დროს.

ერთ-ერთი ქვეთავი სათაურდება ასე: ძველი რვეულებიდან. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მალე გამომცემლობა „ინტელექტი" გამოსცემს ცალკე წიგნად ესმა ონიანის ჩანაწერებს და დაინტერესებულ მკითხველს მიეცემა საშუალება ეს უნიკალური აზრები ახლოს გაიცნოს. მე კი ახლა ქრონოლოგიის გარეშე, აკი ასე უწერია ესმას ქვეთავის ეპიგრაფად (არავითარი ქრონოლოგია — სხვადასხვა რვეულებში გაბნეული გადმოვწერე. ვწერ როგორც არის, — შენიშვნების სახით). ვეცდები ისეთი მონაკვეთები ამოვარჩიო, რაც აქტუალურია დღესაც.

*

სამყარო იმისთვისაა, რომ ყოველთვის გაიოცო.

*

ღმერთად „დაშლის" უნარი.
ჩემთვისავე პარადოქსული იყო უცებ ეს აზრი.
ყველაფერი ერთ-ად ღმერთი,
რამდენი ხანია მქონდა გემო — ერთი-მრავალი, მაგრამ ახლა იყო გემო მიმართულებით — ერთიდან მრავლისაკენ.

*

(ეს არ არის ცარიელი სიტყვები — ამაშია ღვთაებრივი ძალა)

რაც უფრო (კარგია) (ნამდვილია) (ადამიანი, ოჯახი, სახელმწიფო, ერი) — მით ძლიერი საპირისპირო ძალა სდევს, უპირისპირდება მას — მაგრამ ნათელი, სასიცოცხლო, ჭეშმარიტი ყოველივე (სულიერობა) — ეს რეალური, სრულიად რეალური ენერგიაა; უპირველესი კი ამათგან ისაა, რომ საპირისპირო ბნელი ძალა, დაწოლა, იწვევს სწორედ ამ ენერგიის „დაწყებას", გამოწვევას, გამომჟღავნებას, მთლიანად არსებული უძრაობიდან მაშინ ინივთება და გამოედინება იგი, მით უფრო და უფრო ძლიერდება და სპობს თავისსავე წამქეზებელ ძალას.

*

(ისევ პირველი ნაწერებიდან)

ჩვენი სიცოცხლე არის სარკმელი უსასრულობაში, მუდმივ საადამიანოდ არარსებულ არსებობაში გასახედად; იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რომ ის არსებობს და იარსებებს ჩვენთვის ადამიანურად არარსებული, გვეძლევა სიცოცხლე.

*

...ამავე დროს სხვადასხვა ანტაგონისტური ნაკადი და ყველა ცრუ იბრძვის ადგილის დასაკავებლად, არის გადაწონვა-გადმოწონვა, ჭეშმარიტება კი დაძონძილი ოდისევსივით ჩრდილში გამდგარი უცქერის ამ პაექრობას და დავიმშვიდოთ თავი და ვიფიქროთ, რომ ის თავის წუთს მოესწრება.

*

(ძველი რვეულებიდან)

(ისევ გონებასთან დაკავშირებით)

არაფერი არ მაღიზიანებს ისე, უფრო სწორად — მეცინება — სიტყვა „თანამედროვე"... რამდენად რამდენად რამდენად უფრო თანამედროვეა ბარათაშვილი ახლანდელ პოეტებზე. ესენი შესაძლოა კოსმოსზე წერდნენ, ადამიანის მთვარეზე დაფრენაზე, რადიატორებზე, როგორც სახლის დაგრეხილ ნერვებზე, ალუმინზე, მინაზე, თვითმფრინავზე, ფიზიკაზე, ატომზე; თავიანთ (ვითომდა) თანამედროვედ განერვიულებულ ფსიქიკაზე, ტელეფონების უეცარ ზარებზე, მაგრამ ესენი უიმედოდ უფრო მოძველებულნი არიან, გონების მუდმივ თანამედროვეობას უაღრესად ჩამორჩენილები.



ესმა ონიანი

*

ისევ რითმაზე

(ჭეშმარიტ მდგომარეობაში) რითმა ბედნიერი „სისწრაფის" გამოვლენაა, მისი გემოა; დასტურია სულისა და ხორცის — ასწრაფებისას ერთმანეთში შერწყმის ეფექტისა — „იდეა" ხდება სხარტი, ელვარე და ზემოქმედი.

*

როგორც — კადრები ჩახვეული, გასაშლელი („ლენტად") — დაბადებამდე — მოცემულია — იმიტომ მეცნობა — ყოველი მომენტი და ფერწერაში ჩემი გამოხატვის სტილი — ჩანთქმა თბილ ბნელ-ნათელ ტკბილ მთლიანობაში — სანამ არ ჩაინთქმებიან (წინასწარ კი არ ვფიქრობ, თვითონ პროცესში მთხოვს გემო-მადა), ვერ ვკმაყოფილდები.

ესმა ონიანის ეს და სხვა ჩანაწერები, ძველი რვეულიდან ამოუწურავი სიბრძნის ქანებია. შლი ერთს, ალაგებ, შენში გარდასახავ და მეორე, უფრო ღრმა თავისკენ ნაგილებს, დაგანანილებს, რომ ერთი მთლიანობისკენ შეგიტყუოს და შეგკრას.

ალბომიდან — ესმა ონიანი ფერწერა, პოეზია ესეები — რომელიც მე მიმაჩნია საუკეთესო წიგნად თუ ალბომად რაც კი ჩვენი ერის შვილებისათვის, მისი ოჯახის წევრებს გამოუციათ, ეს ალბომი ქართული სულიერების ასევე ერთი დიდი ამონათებაა. ვკითხულობთ ასეთ ტექსტს:

„ანა აბაშიძე"

არის ერთ-ერთი პორტრეტი ციკლიდან — „წინაპრები". საუკუნის დასაწყისის ფოტოზე ნანახი პაპიდის იერი მიზიდავდა კეთილშობილებით, დახვეწილი, ლამაზი სახის ნაკვთებითა და ხელის მტევნებით; ინტერესს მიღვივებდა ისიც, რომ იგი ახალგაზრდა გარდაცვლილა და მინის რაღაც საგანი, რომელიც მას ფოტოზე უჭირავს, ჩემს მიერ წამლის ჭურჭლად აღიქმება. მე მთლიანად დავარღვიე კომპოზიცია და სრულიად არ მივსდევ ფოტოს — ჩემთვის საინტერესო მხოლოდ ნაკვთების, იერის იდენტურობა და რაღაც მოუხელთებელი სევდიან-ამაღლებული გამომეტყველება იყო. ყოველივე ზემოთქმულმა მოითხოვა შემდეგი ფორმისმიერი განხორციელება: ნაკვთების რაც შეიძლება ლაკონური ძერწვა და მხოლოდ მიმქრალი კონტურებით მინიშნება სათქმელისა, სახის ნაზ-მომწვანო ვარდისფერი ლაქით მინიშნება სიძველეზე, ფოტოსმიერ ინფორმაციაზე, გარდასულობის სევდაზე; ასევე ფონის ინერტულ ფერზე ვარდების მოოქროსფრო-ყვითელ ლაქებს ჭკნობადობა-წარმავლობის ასოციაცია უნდა გამოეწვია. გულსაბნევის კარაქისფერ ლაქასა თუ საერთოდ ამ მინორულ განწყობას ერთგვარად უპირისპირდება და გარდასულის თანამედროვეობაში გარდატეხვის მომენტს გვახსენებს სავარძლის საზურგის ღია ლურჯ-ცისფერი ზედ გამოკვეთილი ფხიზელი თეთრ-მოცისფერო ლაქით.

დაბოლოს:

*

(რომელილაც დღევანდელი ჩვენი პოეტის ლექსში წავიკითხე — ჩავისახე „კურდღელივით" და შიშით და სხვა) მე მისი საპირისპირო გრძნობა მქონდა და რაზედაც ის წერდა, ძალიან ხელოვნური მეჩვენა. ჩემთვის კი ყველაფერი ასე იყო: სული ჩემი ჩაფრინდა ჩემს დედად და მამად არჩეულ სხეულებში, იმიტომ, რომ მათგან სიყვარულის არაჩვეულებრივი სინათლე-სიკაშკაშე მოლივლივებდა. მე სიხარულით გაბრწყინებული, ღიმილით, ცეკვა-თამაშით ჩავეშვი ჩემს ადამიანურ ნავსაყუდელში, მე ვიგრძენი ჩემი სულისათვის ადამიანად გასაფურჩქნი კეთილმყოფელი ადამიანური განსაზღვრულობა. სწორედ იმ წლებში (ალბათ ზემოხსენებულ პოეტს ვგულისხმობ) განხორციელებულისათვის ცივ ხაფანგად კი არ მექცა დედის საშო — პი-

## მარადი ხელოვნება

რიქით, რაც მომყვა, მისი ხსოვნა ადამიანად ყოფნის მთელ მანძილზე არ შემნელებია! მადლობა და დიდი მადლიერება ჩემს ქართველ დედად და მამად განხორციელებულ სულების სიყვარულს, რომლის სინამდვილემაც განაპირობა გამოსხივების ის ძლიერი სიკაშკაშე, ჩემს სულს რომ დაენახა და გახარებული, ფართხაფურთხით მიიზიდა.

ესმა ონიანის პოეზიას ჯერ კიდევ სჭირდება თაობების გამოღვიძება, მისი მკურნალი სიტყვების გათავისება — წლები.

ესმა ონიანი უდავოდ იყო პოეზიის დედოფალი, სიტყვების ფეთქებადი და ვულკანივით ამომფრქვევადი ძალით შესრულებული ნაწარმოებებით, რენო თურქიას პოეზია მასზე დაქორწინებული ესმა გომელაურია. მისი დამოკიდებულება საყვარელ ქალისადმი, როგორც, სამყაროსადმი, მისად მონინებისა და მორჩილების გაცხადება, თითქოს და სამადლობელია ყოვლად წმინდისადმი. დამერწმუნეთ, პოეზიის ულამაზესი გამოვლინებაა.

ეს ორი მხატვარი ერთად სულიერების მართლაც რომ ზეიმია და საქართველოს თაობების და ეპოქების აღმოჩენის წინაალტაცება. გადაურჩე ამ ქალაქს, როცა მას ახრჩოლებდნენ კომუნიზმის ბოროტების ყვავილთა ბოლით, ხოლო მოქალაქეებს წამლავდნენ დასმენის, შურის, ვერძლომის ცდომილებებით, შენ კი სულიერების ამ მწვერვალზე მდგომი, ისე რომ ბიწიერების ნასახი არ აგირეკლავს — მაგალითია.

ქართული სულის გაბრწყინებას ხშირად გაოცებაში მოვუყვანივართ, როცა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიწიდან ამოსულა უცნაურად დახვეწილი ოქროს სამკაულები, ღმერთების პანთეონისა და მათი კერპების ქანდაკებანი გვიხილავს, მაგრამ ამ ორი უმაღლესი ფერის — საწყისის ლაჟვარდისფერისა და სააღდგომო კვერცხისფერის — გაცხადების, ასეთი უზარმაზარი სიმდიდრის წინაშე როცა დგახარ, ნამდვილად იცი, რომ არასოდეს ეს სიმდიდრე მტვრით არ დაიფარება, რადგან ამ ყველაფერს უფალი მფარველობს, რა თქმა უნდა, რწმენაში ძლიერდები და გინდა თქვა, დიდება შენდა ღმერთო.

## კრიტიკა

სოფო წულაია

# ერთი ყველაზე პაციფისტური ტექსტი

რა უფრო მინიშვნელოვანია ლიტერატურაში, რა იმსახურებს კრიტიკოსის კეთილგანწყობას — ფორმა, ნარატივი თუ სტილის შეგრძნება? თანამედროვე ლიტერატურაში, ალბათ, ფორმაა პრიორიტეტული, რადგან შემოქმედს, ნარატივზე აქცენტირების შემთხვევაში, ყოველთვის უჩნდება ერთგვარი კომპლექსი, რომ არ იყოს ბანალური, უფრო კონკრეტულად — ნაწარმოების სიუჟეტს არ დაბრალდეს ტრივიალურობა. ...სწორედ ამიტომ გაჩნდა ახალი ჟანრი, რომელსაც "ექსპერიმენტულს" უწოდებენ. მართალია, იგი თავის ფორმასა და სტილში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, მაგრამ მთავარი მახასიათებლები რამდენიმე სიტყვით შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: შემოქმედის მუდმივი ძიება და ფაბულის ორიგინალურობა, მეტი შემოქმედებითობა, გაუთავებელი ექსპერიმენტები, რომლებიც თავის თავში ავტორის ამბიციებსა და ორიგინალურობის სურვილებს უფრო იტევს, ვიდრე ახალი, დამოუკიდებელი ჟანრის შექმნის მცდელობას, რადგან ჟანრი ერთგვარი მედიუმია მკითხველსა და ნაწარმოებს შორის, რომელიც წინასწარი განწყობის შექმნაში გეხმარება, წინასწარი განწყობით ტექსტთან ურთიერთობა კი მთელი რიტუალია, რადგან ეს გაძლევს საშუალებას, გარკვეული კუთხით მიუდგე ნაწარმოებს და ჩამოგიყალიბდეს მასზე ზოგადი წარმოდგენა.

როცა რომანს კითხულობ და წინასწარ იცი, რომ მასზე კრიტიკული წერილი უნდა დაწერო, ამასთან, ხვდები, რომ ეს არის საბრძოლო რომანი, რომელიც შენი ქვეყნის ისტორიის უახლოეს პერიოდს აღწერს, განწყობა ბევრად განსხვავებულია, ვიდრე მაშინ, როცა "ომი და მშვიდობის" კიდევ ერთხელ გადაკითხვას ცდილობ და შეგნებულად "ახტები" ომის ამსახველ სცენებს, რომ რაც შეიძლება მეტი იკითხო სიყვარულზე, მაშინ, როდესაც შენი საპირისპირო სქესის წარმომადგენელს ერთი სული აქვს, როდის იქნება სისხლიანი სცენების აღწერა და ომის სტრატეგიებში რაც შეიძლება ღრმად დაკარგვასა და გმირთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ცდილობს (რატომღაც, ეს ნაწარმოები არ უყვართ ინტელექტუალებს, მე კი ის ეპიზოდი, სადაც ანდრეი ბოლკონსკი თავისი მეტოქის მოჭრილ ფეხს შეხედავს და მიხვდება, როგორ ძლიერ უყვარს ადამიანი, რომელმაც ცხოვრება დაუნგრია, მთელ დესტრუქციულ და "ძალით ინტელექტუალურ" რომანებს ერთად აღებულს მირჩევნია, ეს თემასთან თითქმის არ არის კავშირში, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ წერილის ფინალში ჰუმანიზმზე მინდა რამდენიმე სიტყვის თქმა).

წინასაახალწლო დღეებში გურამ მეგრელიშვილის რომანი "ირატტა. რუ" წავიკითხე... მიმაჩნია, რომ აქ ნარატივი დომინირებს ფორმასა და სტილზე. ავტორი სულაც არ ცდილობს, იყოს ორიგინალური, თითქოს არ ხიბლავს ექსპერიმენტატორობა, რაც იმით გამოიხატება, რომ თითქმის არ იყენებს მხატვრულ ხერხებს, სტილის სისადავე და ენის ექსპრესიულობა, მხოლოდ შინაარსის ასახვის ხარჯზე, ცოტა უცხოა თანამედროვე მეტატექსტებით დაძუნძლული ლიტერატურისთვის. ავტორის ენა თხრობითი, სტილი კი დოკუმენტალისტურია, მიუხედავად იმისა, რომ აქ აღწერილი ამბავი რეალურ ფაქტებს თითქმის არ ეყრდნობა. მეორე და, ასევე ნიშანდობლივი, ნაწარმოებისთვის არის ის, რომ რომანი საკმაოდ ადვილად და საინტერესოდ იკითხება — მონიტორზე ფურცლები ერთმანეთს ისე სწრაფად ენაცვლებოდა, ვერც კი მივხვდი, როგორ გავედი ბოლოში, რაც ნაწარმოების ერთ-ერთ პლიუსად მიმაჩნია. დავიწყე იმაზე ფიქრი, რითი მიიღწევა ეს ეფექტი? ჩემი აზრით, გადამწყვეტი ამ შემთხვევაში, თემატიკის აქტუალურობაა, რადგან, პრობლემა იმდენად ახლობელი და მტკივნეულია თითოეული ქართველისთვის, შეუძლებელია გულგრილი და-

ტოვოს მკითხველი. პირადად ჩემთვის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, არის თუ არა ეს მარკეტინგული გათვლა, რომლის მიზანია წიგნზე გულაცრუებული მკითხველი როგორმე კვლავ დაუბრუნოს მას და ამისთვის არაფერს ერიდება, მტკივნეული თემებით სპეკულირებასაც კი... არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვისი დაკვეთით დაიწერა ეს რომანი და შედის თუ არა სახელმწიფოს ინტერესებში მსგავსი ნაწარმოებების პოპულარიზაცია (ამასთან დაკავშირებით, პირველი მსოფლიო ომის პერიოდის გერმანული კინო მახსენდება: დამარცხებული და თავმოყვარეობაშელახული საზოგადოებისთვის საბრძოლო სულისკვეთების გაღვივება და მომავლისადმი რწმენის დაბრუნება სწორედ საბრძოლო პათოსის ფილმებით ხდებოდა).




მნიშვნელოვანი სხვა რამაა: რომ ძნელია გულგრილად მიუდგე თითოეულ ფრაზას და მხოლოდ ლიტერატორის თვალით შეაფასო ის, რაც რომანის მოქმედების ფოკუსშია მოქცეული... ნაცნობი ტოპონიმების, ნაცნობი სიტუაციების, ნაცნობ სტერეოტიპთა რეპრეზენტირებისას იმდენად ახლოს ხარ სიუჟეტთან, იმდენად მტკივნეულად განიცდი თითოეულ ეპიზოდს, სადაც საოცარი ნატურალიზმითა და ექსპრესიითაა აღწერილი ომის სცენები, ხვდები, რომ ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებში რომანი განმარტებულია, როგორც შედარებით დიდი ზომის ლიტერატურული ნაწარმოები, რომლის მთავარი მახასიათებელია გარკვეული ლოგიკით ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სიუჟეტური ხაზი, პერსონაჟთა მრავალფეროვნება, რომლებსაც დამოუკიდებელი ამბები, მიზნები და პრობლემები აქვთ... ეს უკანასკნელი რომანისათვის ნამდვილად ნიშანდობლივია. გვხვდება არაერთი სახასიათო პერსონაჟი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თითოეულის ლიტერატურული კონტური ავტორის მხრიდან ერთნაირი ოსტატობითაა დახატული... მინდა აღვნიშნო "ქოთანას" მხატვრული სახის ერთგვარი უპირატესობა: ჩემი აზრით, ესაა საოცრად ეპოქალური პერსონაჟი: 90-იანი და 2000-იანი წლების "პროდუქტი", რომელიც სამოქალაქო ომმა და კომპიუტერულმა ტექნიკამ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შვა... უდაოდ დასაფასებელი და პატივსაცემია ავტორის ზომიერების გრძნობა, რადგან, როგორც წესი, ასეთ პერსონაჟთა შექმნისას, ხშირად ებმებიან მახეში და გადაჭარბებული ჰიპერბოლებით, უტრირებით ხატავენ გმირებს, რომლებიც ნაკლებ დამაჯერებლები და ბუნებრივები არიან. გურამ მეგრელიშვილი ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ქმნის პერსონაჟს, რომელიც მუდმივად ცდილობს ყოფითი რეალობის ჩანაცვლებას ვირტუალური რეალობით, სამყაროს მონიტორში, ან ფანჯრის რაფაზე ჩამოსკუპებული უყურებს, ამიტომაც შეარქვეს "ქოთანა". მომეჩვენა, რომ ეს ანტიგმირი ქართველი ერის ერთგვარი სიმბოლოცაა, მის მსგავსად შორიდან ყველაფერს ხედავს, მათ შორის ტერორისტებსაც, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას განადგურებით ემუქრებიან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ეუბნება ამის შესახებ არავის, რადგან გმირობა ეზარება... ან სულაც იმიტომ, რომ ინტერნეტ-სივრცეში რაც შეიძლება ღრმადაა ჩაკარგული და ვირტუალური სექსით ერთობა. "ქოთანას" სუსტი სხეული არ არის გმირობისთვის მზად, ის ჯერ პატარაა, სულ რაღაც 33 წლისა და მშობლების კმაყოფაზე ცხოვრობს, ამიტომ მისთვის ბევრად ადვილია ანონიმური წერილები წეროს და ვირტუალურ ცოლს კომპლიმენტები უთხრას, მერე კი სხვასთან ისე ადვილად უღალატოს, რომ არც შერცხვეს საკუთარი ორგულობის, თავისუფალ დროს კი ინტერნეტ ფორუმებზე "ქოთანა 1975"-ის სახელით დარეგისტრირდეს და რუსებსა და ოსებს რაც შეიძლება პოეტური ეპითეტ-მეტაფორებით აგინოს...

სამწუხაროდ, იგივე კომპლიმენტს ვერ ვიტყვი დანარჩენი პერსონაჟების მისამართით, ალბათ, სწორედ ამიტომ მომეჩვენა, რომ კავშირი რომანის სიუჟეტურ ხაზებს შორის ხშირ შემთხვევაში საკმაოდ სუსტია, ისეთივე სუსტი, როგორც ზოგადად კავშირი ქართველებს შორის, როცა 60 კილომეტრის რადიუსში ბომბები საცხოვრებელ სახლებს ანგრევს და მშვიდობიან მოსახლეობას ანადგურებს, დედაქალაქი კი აგვისტოს შემაწუხებელ სიცხეს რესტორნებიდან "ებრძვის" და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ქალაქური სიმღერების ჰანგებსა და საქართველოს სადღეგრძელოებს უპირისპირებს.

ჩემთვის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პაციფისტური ტექსტი, რაც ოდესმე წამიკითხავს და სწორედ აქ გამახსენდა ტოლსტოის უზარმაზარი რომანიდან ჩემი საყვარელი ეპიზოდი, რომელზეც დაწვრილებით ზემოთ ვისაუბრე და აღვნიშნე, რომ ჰუმანიზმის გამო ბევრ რომანს მირჩევნია... ტექსტში მკაფიოდ იკითხება, რომ ომი არც რომანტიკაა, არც თამაში და არც გართობა... ეს არის დანაშაული, რომელსაც ადამიანების სიცოცხლე ეწირება (ბანალურად კი ჟღერს, მაგრამ ასეა).

ზოგჯერ ამა თუ იმ ნაწარმოებს ბევრად მნიშვნელოვანი მისია აკისრია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს: იქნებ ამ რომანმაც, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ბევრი წაიკითხავს, მოახერხოს, საზოგადოებას დაანახოს თავისი მანკიერი მხარეები... იქნებ ადამიანებს ერთხელ მაინც შერცხვეთ თავიანთი გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის, იქნებ ვინმე შეაწუხოს სინდისმა იმიტომ, რომ აგვისტოს დღეებში რესტორანში თავდავიწყებით ცეკვავდა და მღეროდა, თან კი საქართველოს სადღეგრძელოს სვამდა... თუ ერთი ადამიანი მაინც გამოჩნდება ასეთი, ჩავთვლი, რომ "ირატტა. რუ"-მ თავისი მისია შეასრულა და თვალს დავხუჭავ იმაზე, რომ ტექსტში რაოდენობრივი რიცხვითი სახელები თითქმის ყველგან არასწორად წერია (იმათ, ვინც წიგნზე იმუშავა, ვურჩევ, თვალი გადაავლოს რიცხვით სახელთა მართლწერას), და იმაზეც არაფერს ვიტყვი, რომ ზოგიერთი პერსონაჟი საკმაოდ სუსტადაა დახატული ...

საყვარელ ეპიზოდს რაც შეეხება, ერთი მეც გამოვარჩიე: როცა მაგიდაზე ვერანაირად ვერ თავსდება ერთად არყის, ბორჯომისა და კოკა-კოლას ბოთლი, რაც საბოლოოდ მაგიდიდან ბორჯომის ბოთლის გადაგორებით მთავრდება. მგონი, აქ ყოველგვარი ახსნა-განმარტება ზედმეტია, მიგნება კი უდაოდ გემოვნებიანი და ოსტატური.



ინგლისელი პოეტი და მხატვარი, გრავიორი და ვიზიონერი უილიამ ბლეიკი (1757-1827) ინგლისური პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე ელვარე და, ამავე დროს, იდუმალი ფიგურაა: სკოლაში არასოდეს უვლია, დედა ასწავლიდა. მშობლების პროტესტანტობამ ერთხელ და სამუდამოდ აქცია ბიბლიის მეტრფედა და მცოდნედ. ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა ხატვის ნიჭი, გრავიორს მიაბარეს და 21 წლისა უკვე ამ საქმის პროფესიონალად ჩამოყალიბდა. შემდეგ იყო ხელოვნების სამეფო აკადემია, ქეთრინ ბუშერზე ქორწინება, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა, შვილი არ ჰყოლიათ.

პირველი პოეტური კრებული 1783 წელს გამოსცა, თუმც მისი სახელი პოეზიის მოყვარულთა მხოლოდ ვიწრო წრემ თუ იცოდა. ილუსტრირებისას გამოიყენა და დაამკვიდრა ე.წ. „რელიეფური ანაბეჭდის ტექნოლოგია“.

ამბობენ, რომ ბლეიკი „თავისუფალ სიყვარულს" თანაუგრძნობდა და ეგებ ამის საფუძველიც გაბატონებული რელიგიური დოგმებისადმი მისი კრიტიკული დამოკიდებულება გახლდათ: „სული და სხეული განუყოფელია, რამეთუ სხეული სულის ნაწილია, მისი ხუთი გრძნობა სულის თვალებია. სიცოცხლე მოქმედებაა და სხეულიდან მომდინარეობს, აზრი კი მოქმედებას ებმის და მისი გარსია. მოქმედებაა მარადი აღფრთოვანება.

ბლეიკის მტკიცებით, ყმაწვილობიდანვე ჰქონდა ხილვები და გარდაცვლილთა სულებთან კონტაქტი ძალუძდა. ბლეიკმა შექმნა საკუთარი მითოლოგია, რომელიც დასაბამს ბიბლიიდან და ბერძნული მითოლოგიიდან იღებს. პოეტი დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" ილუსტრირებისას გარდაიცვალა.

ბლეიკი გნოსტიკურმა კათოლიკურმა ეკლესიამ (XX საუკუნის დასაწყისში დაარსებული ტელემას კანონის მაღიარებელი რელიგიურ-ფილოსოფიური საძმოს განშტოება) წმინდანად შერაცხა.

წარმოგიდგენთ დაახლოებით 1803 წელს დაწერილ ლექსს „uguries of Innocence" ბლეიკის ე.წ. „პიკერინგის" ხელნაწერიდან, რომელიც პირველად 1863 წელს დაიბეჭდა. ლექსი შეიცავს პარადოქსთა სერიას უმანკოების, ბოროტებისა და მორალური დაცემის თანამყოფობაზე.

**უილიამ ბლეიკი**

## უმანკოების ნიშნები

ქვიშის მარცვალში გსურს შეიგრძნო სამყარო მთელი?
ყვავილის კვირტში სამოთხის ხე მარად იცნობა —
უსაზღვროებას შემოავლე ორივე ხელი,
ერთ გაელვებად შეადედე მარადისობა.

გულწითელაში, ტყვედ გალიას რომ ებარება,
იძვრის სამოთხის მძულვარება და მძვინვარება.

თვით სამტრედეში, მტრედთა გუნდი სადაც სახლდება,
საფრთეაშლილი ჯოჯოხეთი აცახცახდება.
პატრონის ჭიშკარს რომ შეუღრენს ძაღლი მშიერი,
ჩანს, ქვეყნის სხეულს შეჰპარვია სენი ცბიერი.

ცხენს რომ ბეზრდება აბეზარი მხედრის ტარება,
ცას შესჭიხვინებს, სისხლს კაცისას ემუდარება.
კურდღელი როცა სოროს ნაცვლად ეხლება ბადეს,
ის სიმი წყდება, გულისმომკვლელ ცრემლებს
რომ გვადენს.

ტყვია რომ ფატრავს ტოროლას შიშს და გულმფრთხალობას,
მაშინ ფრთამალი ქერუბიმი შეწყვეტს გალობას.
მოძიძგილავე მამლაყინწებს, ჟინით ალვსილებს,
სისხლი სწყურიათ, ამომავალ მზეს რომ აშინებს

ყოველი მგლის და ლომის ბღლვინვით, ყმუილით კრულით,
ჯოჯოხეთიდან ადამის ძის აღდგება სული.

რბის ხარ-ირემი და შხამიან აბზინდას სუნავს,
რაც იმას ნიშნავს, კაცის სულზე რომ არვინ ზრუნავს.

ზნეცვლილი კრავი ომს ავზნიანს მიელტვის, თანაც
შენდობას უთვლის მისთვის ყასბის მოქნეულ დანას.

მწუხრს ღამურათა შეწივლების მოუწევს სმენა,
ოღონდაც მათ ტვინს არ აანთებს მისხალი რწმენა.
ბუ გასცქერს ღამეს, არ შეაკრთობს მას
ქარის ქროლა —
მისი თვალებით იყურება ურწმუნოს ძრწოლა.

ვისაც სურს, ჩიტის შეიწიროს ციცქნა სხეული,
იგი ვერასგზით ვერ გახდება კაცთა რჩეული.
შოლტის ტკაცუნით ვინც გარეკავს რქადახრილ ხარებს,
მას ქალის გული ვერასოდეს ვერ შეიყვარებს.

თუ ბუზს ჰკლავს ბიჭი — ჟინით იძვრის მისი არსება —
რომელიც მალე თვით ობობას დაემსგავსება.
მაისის ხოჭოს ვისაც უნდა მოუსპოს სული,
თავს ფანჩატურად დაეწნევება წყვდიადი სრული.

მუხლუხო ფოთოლს ახოხდება, არ უკრთის წკვარამს,
ის იმეორებს დედამენის სულთქმას და ვარამს.
ნურც ჩრჩილს მოკლავ და ნურც ფარვანას —
მსხვერპლი გროვდება —
უკანასკნელი განსასჯელი გვიახლოვდება.

საომრად ვინც წვრთნის ცხენს თავისას,
მომართავს შურდულს,
სხვა პოლუსისას ვერასოდეს გადასწევს ურდულს.
მათხოვრის ძაღლს და ქვრივის კატას ნუ ხვდები ავად —
გაუყავ პური, შეგერგება ეს პური თავად.

კოღო იმღერებს ზაფხულის ჰანგს ნათელი ღამით.
ცილისწამება ენას ყოფს და მოწვეთავს შხამი.

ტრიტონის შხამთან, უხსენებლის გესლთან შეხებით,
გამყინავ ოფლით იფარება შურის ფეხები.

უნდა ვახსენოთ აქ ნესტარი და შხამი ფუტკრის,
ეჭვიანობას ხელოვანთა რომელიც უდრის.

პრინცის მანტია და მათხოვრის ჩვრები, ფლასები,
შხამასოკოა, მხოლოდ ძუნწს რომ ეძვირფასება.
შენს მართალ სიტყვას, თუნდ მიზანი არ ჰქონდეს შორი,
ძალუძს გაფანტოს ყველა შენი შეთხზული ჭორი.

ამგვარად უნდა იქცეოდეს კაცი ჭკვიანი:
დარდისთვის გაჩნდა და... ლხენისთვის ადამიანი.
როცა ამ ცოდნით აგევსება გონების სკივრი,
წუთისოფელში უშიშრად და უსაფრთხოდ ივლი.

დარდი და ლხენა — ხან სათუთი, ხან რომ მწველია,
მისწური სულის ღვთაებრივი სამოსელია.
სუყველა ტანჯვას, გვასაჩუქრებს რომლითაც ზენა,
აერთებს ძაფი აბრეშუმის, სახელად — ლხენა.

ჩვილი მეტს ნიშნავს, ვიდრე — მხოლოდ სახვევებს ლამაზს,
ნებისმიერი ფერმერიც კი მიხვდება ამას.
ყოველი ცრემლი, ჩამოყრილი თვალთაგან ნავსად,
მარადიულად გადიქცევა ერთხელაც ბავშვად.

ის, რასაც ქალის თვალთა ელვა ასაღებს გმობად,
ნირს შეიცვლის და გადიქცევა საკუთარ ტკბობად.
გრგვინვა, ღმუილი, ყეფა, ძაღლს რომ ყბა არ ეღლება,
ის ტალღებია, სამოთხეს რომ მიმოეხლება.

ბალღი დასტირის თავის სასჯელს, თვალებს ისიებს,
რაზეც სიკვდილის სამეფოში შურსაც იძიებს.
მათხოვრის ფლასი, ჰაერში რომ გაიფრიალებს,
სამოთხის ლანვზე ცრემლად იდენს და იბრჭყვიალებს.

ვინც აბჯარს ისხამს, თოფს იმარჯვებს და მახვილს ლე-
სავს,
დამბლადამცემი ძალით ახშობს ზაფხულის მესას.
ლატაკის გროში, აი, უფრო ძვირი რად არი,
ვიდრე — აფრიკის სანაპიროს ოქროს მადანი!

ოფლით ნაშოვნი ფული ოქროდ აიწონება,
შეძლებს, იყიდოს ნუნურაქის მთელი ქონება.
ხოლო თუ ზეცის მფარველობას წყალობად ელის,
ხალხის საზომად შეიქნება, სანყაოდ ერის.

ვინც ურწმუნობის შთანერგვისთვის ყრმას გაიმეტებს,
სიკვდილის ცელი გაუცრუებს იმას იმედებს.
ეჭვს ნუ შეაჩვევ, დაე, დატკბეს ბალღი ოცნებით,
თორემ ხაროდან ვერასოდეს ამოცოცდები.

ვინც ბავშვის რწმენას თაყვანსა სცემს და სწამს ღმერთისა,
ის შეიქნება შემმუსრავი ჯოჯოხეთისა.
თამაშობს ბავშვი. მოხუცი ჭირს მიიჩნევს არად —
ეს ხე კეთილი მწიფე ნაყოფს მოისხამს მარად.

ვინც ცბიერ კითხვებს სვამს და წრფელი სიმართლე
არ სურს,
თვითონ ვერასდროს მოიფიქრებს შესაფერ პასუხს.
ვინც პასუხს აგებს, რომ იჭვები გაფანტოს ცივი,
შეძლებს, გარემოს მიმოჰფინოს გონების სხივი.

ძლიერი შხამი, რომლის ნთხევაც ეშმამ ინება,
კეისრის დაფნის გვირგვინიდან მოედინება.
არარა კაცთა დაგონჯების არის მსურველი,
განყვიტოს ჯაჭვი ფოლადისა და საჭურველი.

თუ გუთანს ოქრო დაამშვენებს, იბრწყინებს კავი,
შურიც ინებებს, დაუხაროს სიმშვიდეს თავი.
ქარაგმა ახსენი ან ჭრიჭინას მიუგდე ყური —
აი, პასუხი, იმსახურებს რომელსაც შური.

ჭიანჭველას ან არწივს სრბოლა არ ემძიმება —
ამაზე თვითონ შლეგ ბრძენსაც კი გაეღიმება.
ვისაც აეჭვებს ქვეყნის ხილვით მოგვრილი ლხენა,
რასაც ისურვებს, არც იმისი ექნება რწმენა.

თუ მზეს და მთვარეს იჭვნეული გათანგავს ჰავა,
ფერს დაკარგავენ და ორივე სასწრაფოდ ჩავა.
ვნებამორეულს სიხარულის აგანთებს გზნება,
თუმც თავს ნააგებ, ულაგამო თუ გმართავს ვნება.

მეძავი ანდა მოთამაშე, ბნელ ფიქრს რომ ნილბავს,
ორივე ძერნავს თავის ხალხის ბედსა და იღბალს.
ქუჩიდან ქუჩას გადასწვდება კახპის მუდარა —
ძველი ინგლისის იქსოვება ამ ხმით სუდარა.

იმარჯვებს ერთი, სხვა მარცხდება და სიკვდილს
გვედრის —
მათი ხმა ცეკვავს საცხონებლად ინგლისის ცხედრის.

ყოველ ღამით და ყოველ დილით ერთი რამ ხდება —
ზოგი ამ ქვეყნად ტანჯვისა და დასჯისთვის ჩნდება.
ყოველი დილა ყოველ ღამით წარსულს ბარდება.
ზოგს გაუმართლებს და შვებისთვის დაიბადება.

ზოგს გაუმართლებს და შვებისთვის დაიბადება,
ზოგს უსასრულო ღამისათვის უწევს მზადება.

ჩვენ წინ მივდივართ, რომ სიცრუის დავლანდოთ კვალი,
როცა არ ძალგვიძს ცალი მაინც შევავლოთ თვალი,
რომელიც იშვა წამებისას ღამეულ ცრემლთა,
როდესაც სხივი ციალებდა და სული თვლემდა.

ჩნდება უფალი დაამებად დასენილ წყლულთა
ღამის წყვდიადში მობინადრე საბრალო სულთა.
მაგრამ მას უნდა მოევლინოს ადამიანი,
ვინც დღისით სუნთქავს, დღის საუფლო ფარავს მზიანი.

ინგლისურიდან თარგმნა
**გია ჯოხაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როალდ დალი

# კაცი სამხრეთიდან

ექვსი საათი სრულდებოდა. გადავწყვიტე ლუდი მეყიდა, გარეთ გავსულიყავი და საცურაო აუზთან შეზლონგზე ჩამომჯდარს საღამოს მზეზე მენებივრა.

ბარში ჩავედი, ლუდი ავიღე და ბაღის გავლით საცურაო აუზისკენ დავეშვი. ლამაზი ბაღი იყო. კოინდარს ილის კვლები მიუყვებოდა. ღია ყავისფერი ქოქოსის პალმების კენწეროებს ძლიერი ქარი არხევდა და ფოთლებს ისეთი სტვენა-შიშინი და ტკაცატკუცი გაჰქონდა, თითქოს ცეცხლი უკიდიაო. ფოთლებს ქვემოთ დიდი, ყავისფერი, ერთად შეჯგუფული კაკლები მოჩანდა.

აუზის გარშემო მრავლად გაშლილიყო შეზლონგები. იქვე, კაშკაშა ფერებით შეღებილი უზარმაზარი ქოლგების ქვეშ, თეთრი მაგიდები იდგა, რომლებთანაც მზეზე გარუჯული, საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები ისხდნენ. აუზში სამი თუ ოთხი გოგონა და ათიოდე ბიჭი დიდი რეზინის ბურთით თამაშობდა. წყლის შხეფები ჰაერში იფრქვეოდა და ირგვლივ დიდი ჟრიამული ისმოდა.

შევჩერდი და მოთამაშეებს დავაკვირდი. გოგონები სასტუმროში მცხოვრები ინგლისელები იყვნენ. ბიჭებზე ზუსტად ვერ ვიტყოდი, მაგრამ მათი სიტყვები ამერიკულად ჟღერდა. ამიტომაც ვიფიქრე, რომ ისინი ამ დილით ნავსადგურში შემოსული ამერიკული სასწავლო ხომალდიდან ნაპირზე გადმოსული საზღვაო სასწავლებლის კურსანტები უნდა ყოფილიყვნენ.

გზა განვაგრძე და ყვითელი ქოლგის ქვეშ დავჯექი, სადაც ოთხი თავისუფალი სკამი იყო. ლუდი დავისხი, სიგარეტი ამოვიღე, სკამის საზურგეს მივეყრდენი და საკმაოდ მოხერხებულად მოვკალათდი. ძალზე სასიამოვნო იყო აქ, ლუდითა და სიგარეტით მზეზე ყოფნა. მსიამოვნებდა აუზის მომწვანო წყალში მოთამაშეთა ცქერა.

ჩანდა, ამერიკელი მეზღვაურები ინგლისელ გოგონებს იოლად გაშინაურებოდნენ. უკვე იმდენად იყვნენ მათთან დაახლოებულნი, რომ ყვინთავდნენ, ფეხებში ხელჩაქიდებით გოგონები ჰაერში ამოჰყავდათ და ისევ წყალში აგდებდნენ ხოლმე.

ცოტა ხნის შემდეგ შევამჩნიე პატარა ტანის, თეთრ კოსტიუმში გამოწკეპილი ასაკოვანი კაცი, რომელიც სწრაფი ნაბიჯით აუზის პირს მოუყვებოდა და, თითქოს მალვა ახტომას აპირებსო, ყოველ ფეხის გადადგმაზე ცერებზე იწეოდა. კაცს კრემისფერი, განიერფარფლებიანი პანამა ეხურა. მოდიოდა ასახტომად გამზადებული ნაბიჯებით, თანაც ხალხსა და სკამებს თვალს არ აცილებდა.

ჩემს წინ გაჩერდა, გამიღიმა და გამოაჩინა თავისი ძალიან პატარა, უსწორმასწოროდ განლაგებული, ოდნავ ჩამუქებული კბილების ორი მწკრივი. საპასუხოდ მეც გავუღიმე.



– უკაცრავად, გეთაკვა, შეიძლება აქ ჩამოვჯდე?

– რა თქმა უნდა, – ვუპასუხე მე. – დაბრძანდით.

პატარა კაცმა, ჩვეული ნაბიჯით, სკამებს შემოურბინა, თანაც გზადაგზა მათ საიმედოობას ამოწმებდა. შემდეგ დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მას ირმის ტყავის თეთრი ფეხსაცმელები ეცვა, რომლებსაც მთელ ზედაპირზე პატარა სავენტილაციო ნაჩვრეტები ჰქონდა.

– მშვენიერი საღამოა, – თქვა მან. – საერთოდ, აქ, იამაიკაზე, კველა საღამო მშვენიერია.

დანამდვილებით ვერ ვიტყოდი, მისი აქცენტი იტალიურს უფრო წააგავდა თუ ესპანურს, მაგრამ იმას კი უდავოდ ვგრძნობდი, რომ სამხრეთამერიკელის ტიპი იყო. დაკვირვებული თვალი უფრო მეტ ხანსაც შეატყობდა, ასე სამოცდარვა-სამოცდაათი წლისა იქნებოდა.

– დიახ, – ვთქვი მე. – აქ მართლაც შესანიშნავია.

– ნეტავ ესენი ვინ არიან? სასტუმროს მობინადრეებს არ ჰგვანან, – იკითხა და აუზში მოთამაშეებზე მიმითითა.

– ვფიქრობ, ამერიკელი მეზღვაურები არიან, – ვუპასუხე მე. – ის ამერიკელები, რომლებიც მეზღვაურობას სწავლობენ.

– რა თქმა უნდა, ამერიკელები იქნებიან. მთელ მსოფლიოში სხვას ვის შეუძლია ასე იხმაუროს? თქვენ ხომ არა ხართ ამერიკელი?

– არა, – ვუპასუხე მე, – არა ვარ ამერიკელი.

მოულოდნელად ჩვენს წინ ერთ-ერთი ამერიკელი კურსანტი აისვეტა. აუზიდან ახალამოსულს წყალი ჯერ კიდევ წვეთებად ჩამოსდიოდა. მის გვერდით ერთი ინგლისელი გოგონათაგანი იდგა.

– ეს სკამები დაკავებულია? – იკითხა მან.

– არა, – ვუპასუხე მე.

– წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, აქ რომ დავსხდეთ?

– დაბრძანდით.

– გმადლობთ, – თქვა მან.

ამერიკელს ხელში დახვეული პირსახოცი ეჭირა, რომელიც დაჯდომისას გაშალა და შიგ ჩადებული სიგარეტის კოლოფი და სანთებელა აიღო. ჯერ გოგონას შესთავაზა სიგარეტი, რომელმაც იუარა, შემდეგ მე. ერთი ღერი ავიღე.

– გმადლობთ, არა, – თქვა პატარა კაცმა. თუმცა სიგარას კი გავაბოლებ. მან ჯიბიდან ამოაძვრინა ნიანგის ტყავის პატარა კოლოფი, გახსნა და თავისთვის სიგარა ამოიღო. შემდეგ საიდანღაც გამოაჩინა დანა, რომელსაც პატარა, დასაკეცი მაკრატელი ჰქონდა და სიგარას ბოლო მოაჭრა.

– მოგიკიდებთ, – თქვა ამერიკელმა და სანთებელა მოიმარჯვა.

– ამ ქარში არ აინთება. – თქვა პატარა კაცმა.

– რა თქმა უნდა, აინთება. ის ყოველთვის ინთება.

პატარა კაცმა ჯერ კიდევ მოუკიდებელი სიგარა პირიდან გამოიღო, კისერი მამალივით დაქაჩა, თავი გვერდზე გადასწია და ბიჭს შეხედა.

– კო-ველ-თვის? – ნელა გაიმეორა მან.

– რა თქმა უნდა, მას ჯერ თავი არ შეურცხვენია; ყოველ შემთხვევაში – ჩემს ხელში.



მხატვარი მალხაზ იაშვილი

პატარა კაცს კისერი ისევ მამალივით ჰქონდა დაქაჩული, თავი ცალ მხარეს გადახრილი და ბიჭს თვალს არ აშორებდა.

– კარგი, კარგი, ესე იგი თქვენ ამბობთ, რომ ეს განთქმული სანთებელა არასდროს შერცხვენილა, ასე არ არის?

– რა თქმა უნდა, სწორედ ასეა. — თქვა ბიჭმა. ის დაახლოებით ცხრამეტის ან ოცის იქნებოდა, ჰქონდა მოგრძო, ჭორფლიანი სახე და საკმაოდ წვეტიანი, წისკარტისებრი ცხვირი. არც ისე მზემოკიდებული, აქა-იქ ღია წითური, მეჩხერი ბალნით დაფარული გულ-მკერდიც დაჭორფლოდა. მარჯვენა ხელში ისევ ეჭირა დასაკვესად გამზადებული სანთებელა.

– ჯერ თავი არ შეურცხვენია, – გაიმეორა ბიჭმა და გაიღიმა. ჩანდა, ახლა უკვე განგებ ცდილობდა თავისი სანთებელას შესაძლებლობათა გაზვიადებას წარმოდგენას. – გარწმუნებთ, არასდროს შეურცხვენია.

– ერთი წუთით გეთაკვა! – სიგარიანი ხელი მაღლა აღიმართა, ისე, თითქოს გზაზე ტრანსპორტის ნაკადს აჩერებსო. – მხოლოდ ერთი წუთით! – ის უცნაურად მშვიდი ხმით, უინტონაციოდ, საუბრობდა. თანაც, მთელი ეს ხანი ბიჭს თვალს არ აშორებდა.

– შეიძლება, ამაზე პატარა სანაძლეო დავდოთ? – გაუღიმა მან ბიჭს. – პატარა სანაძლეო – აინთება თქვენი სანთებელა თუ არა.

– რა თქმა უნდა, დავნაძლევდეთ, – თქვა ბიჭმა. –რატომაც არა?

– გიყვართ დანაძლევება?

– რა თქმა უნდა, სანაძლეოზე ყოველთვის თანახმა ვარ.

კაცი გაჩუმდა და თავის სიგარას დააშტერდა. უნდა ითქვას, რომ მისი საქციელი მაინცდამაინც არ მომწონდა. თანაც ისე ჩანდა, თითქოს იგი, ახლა უკვე, რაღაც მეტის გაკეთებას აპირებდა. რაღაცის, რაც ბიჭს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა. ამავე დროს, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ის, მთელი თავისი არსებით დიდ სიამოვნებას განიცდიდა რაღაც პატარა, საკუთარი საიდუმლოთი.

მან ისევ შეხედა ბიჭს და ნელა წარმოთქვა: მეც მიყვარს დანაძლევება. რატომ არ შეგვიძლია ამაზე ერთი კარგი სანაძლეო დავდოთ? კარგი, სერიოზული სანაძლეო.

– მოიცათ, – თქვა ბიჭმა. – ამას ვერ გავაკეთებ. თუმცა შემიძლია 25 ცენტზე დაგენიძლაოთ, დოლარზეც კი; ან მის შესაბამის აქაურ ფულზე, რამდენიც იქნება – ალბათ რამდენიმე შილინგი.

პატარა კაცმა ისევ აღმართა ხელი. – მომისმინეთ, ახლა კარგად გავერთობით. ჩვენ ვნაძლევდებით. შემდეგ მივდივართ ჩემს ოთახში, აქვე სასტუმროში, სადაც ქარი არ უბერავს და მე გთავაზობთ სანაძლეოს, რომ ვერ შეძლებთ მაგ თქვენი სახელგანთქმული სანთებელას ათი ცდიდან ათივეჯერ ზედიზედ ანთებას.

– თანახმა ვარ, დავნაძლევდეთ, – თქვა ბიჭმა.

– ძალიან კარგი. ესე იგი ვნაძლევდებით, არა?

– რა თქმა უნდა. ჩამოვდივარ დოლარს.

– არა, არა. მე ძალიან კარგ სანაძლეოს შემოგთავაზებთ. მდიდარი კაცი ვარ, აზარტულიც. მისმინეთ, სასტუმროსთან ჩემი მანქანა დგას. შესანიშნავი მანქანაა, ამერიკული, თქვენი ქვეყნიდან – კადილაკი.

– ეე, მოიცათ, ერთი წუთით. – ბიჭი თავისი სკამის საზურგეზე გადაწვა და გაიცინა.

– მე ვერ შევძლებ ამგვარი ფსონის დადებას. ეს სიგიჟეა.

– სულაც არა. თქვენ ათჯერ ზედიზედ ცარმატებით ჩამოკრავთ სანთებელას და კადილაკი თქვენია. ხომ გინდათ გყავდეთ კადილაკი?

– რასაკვირველია, მინდა კადილაკი მყავდეს. – ბიჭი ისევ იღიმებოდა.

– ძალიან კარგი. შესანიშნავია. ჩვენ დავნაძლევდით და მე კადილაკს ჩამოვედი.

– მე რაღას ჩამოვიდე?

პატარა კაცმა ფრთხილად შემოაძრო თავის ჯერ კიდევ მოუკიდებელ სიგარას წითელი თასმა.

– ჩემო მეგობარო, მე არასოდეს გთხოვთ ჩამოხვიდეთ ისეთ რამეს, რის უფლებასაც საკუთარ თავს ვერ მისცემთ. გასაგებია?

– ანუ, რა უნდა დავდო?

– მე ამ საქმეს ზალიან გაგიადვილებთ.

– თანახმა ვარ. გამიადვილეთ.

– ერთი უმნიშვნელო რამე, რისი დათმობაც შეგიზლიათ, და თუ ისე მოხდა, რომ ცააგეთ, უიმისოდ არცთუ ისე ცუდათ იგრზნობთ თავს. ხომ სამართლიანია?

– მაინც რა არის ასეთი?

– რადა, მაგალითად, თქვენი მარცხენა ხელის ნეკი.

– ჩემი რა? – ბიჭს სახიდან ღიმილი გაუქრა.

– დიახ. რატომაც არა? თქვენ იმარჯვებთ, იღებთ მანქანას; აგებთ, მე ვიღებ თითს.

– არ მესმის. როგორ აპირებთ თითის ნაღებას?

– მოგაჩრით.

– ჯანდაბა! ეს გიჟური სანაძლეოა. მე მხოლოდ დოლარის დადებას ვფიქრობდი.

პატარა კაცი უკან გადაიწია, ხელები გაშალა და მხრები ოდნავ შესამჩნევად, დაცინვით აიჩეჩა.

– მაშ ასე, – თქვა მან. – არ მესმის. თქვენ ამბობთ, ინთებაო, მაგრამ სანაზლეოს არ დებთ. ასე რომ, დავივიწყოთ, არა? — ბიჭი გაუნძრევლად იჯდა და აუზში მყოფთ ფართოდ გახელილი თვალებით მიშტერებოდა. უცბად გაახსენდა, რომ მოწევას აპირებდა. ჯერ კიდევ მოუკიდებელი სიგარეტი ტუჩებში მოიქცია, სანთებელას ხელები გვერდებიდან მოაფარა და ბორბალს ჩამოჰკრა. პატრუქი განათდა და გამოჩნდა პატარა, თანაბრად მოციმციმე, ყვითელი ალი, რომელსაც ქარი ვერაფერს აკლებდა, რადგანაც ბიჭის ხელები იფარავდა.

– შეიძლება მეც მოვუკიდო? – ვუთხარი მას.

– ღმერთო, ბოდიშს ვიხდი, სულ დამავიწყდა.

მე ხელი გავიწვდინე სანთებელასკენ, მაგრამ ბიჭი წამოდგა და თვითონვე მომიკიდა.

– გმადლობთ, – ვუთხარი მე, და ბიჭი თავის ადგილს დაუბრუნდა.

– კარგად ერთობით? – ვკითხე მე.

– მშვენივრად, – მიპასუხა მან. – აქ ძალიან კარგია.

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. აშკარად ვხედავდი, რომ პატარა კაცმა მოახერხა თავისი უაზრო შეთავაზებით გუნება გაეფუჭებინა ბიჭისთვის. ის ძალიან მშვიდად იჯდა, თუმცა ჯერ ისევ მცირე, მაგრამ თანდათანობით მზარდი შინაგანი დაძაბულობა მაინც ეტყობოდა. ცოტა ხანში სკამზე წრიალი დაიწყო, მკერდს იქექავდა, კისერს იზელდა. შემდეგ ორივე ხელი მუხლებზე დაიწყო და მუხლისთავებზე თითები აათამაშა. მალე თითებს ცალი ფეხიც ააყოლა.

– მოდით, ეს თქვენი სანაძლეო განვიხილოთ, – თქვა მან ბოლოს. – თქვენ ამბობთ, რომ ავალთ ოთახში და თუ მე ათჯერ ზედიზედ ავანთებ ამ სანთებელას კადილაკს მოვიგებ. თუ ვერ ავანთე, თუნდაც ერთხელ, ვკარგავ ჩემი მარცხენა ხელის ნეკს. ასეა?

– ზუსტად. ასეთია სანაზლეო. თუმცა, ვფიქრობ, შეშინდით.

– რას ვიზამთ თუ წავაგე? მე რა, თითი გაშვერილი უნდა მეჭიროს, ვიდრე მოჭრიდეთ?

– არა, არა. ასე არ ივარგებს. თქვენ შეიზლება უარის სათქმელად სულმა ცაგზლიოთ და თითი აღარ გამომიშვიროთ. იცით რას ვიზამ? დაცკებამდე, ერთ ხელს მაგიდაზე დაგიბავთ. მე იქვე, დანით ხელში ვიდგები გამზადებული და მოვჩრი მაშინვე, როგორც ქი თქვენი სანთებელა არ აინთება.

– რომელწლიანია თქვენი კადილაკი? – ჰკითხა ბიჭმა.

– უკაცრავად, ვერ გავიგე. რომელ ცლიანია – ანუ რა ხნისაა კადილაკი? აჰ! რა ხნისაა? შარშანდელი. დიახ, სრულიად ახალი მანქანაა. მაგრამ მე ვხედავ, თქვენ არა ხართ ის, ვისაც სანაზლეოს დადება უკვარს, ამერიკელები ასეთები არც არასოდეს კოფილან.

ბიჭმა წამით შეიცადა. შემდეგ ჯერ გოგონას შეავლო თვალი, მერე მე.

– დიახ, – თქვა მან მტკიცედ. – დავდოთ სანაძლეო.

– კარგი! – პატარა კაცმა ხელები ერთმანეთს შემოჰკრა. – მშვენიერია, – თქვა მან. – ახლავე დავიცკოთ. თქვენ კი, ბატონო, – მომიბრუნდა მე, – იქნებ დაგვდოთ პატივი და იკოთ ჩვენი, რას ეზახით, ჰო – რეფერი.

მას ჰქონდა წყალწყალა, თითქმის უფერული თვალები, შავი, პატარა, მბზინავგუგებიანი.

– ჰოო, – ვთქვი მე. – ვფიქრობ, ეს გიჟური სანაძლეოა და მაინცდამაინც თვალში არ მომდის.

– არც მე, – თქვა ინგლისელმა გოგონამ. მან პირველად ამოიღო ხმა მთელი ამ ხნის განმავლობაში. – ვფიქრობ, ეს სულელური, უაზრო სანაძლეოა.

– თქვენ რა, მართლა აპირებთ, წაგების შემთხვევაში, თითი მოაჭრათ ამ ბიჭს? – ვთქვი მე.

– რა თქმა უნდა მოვაჩრი. ისევე, როგორც აუცილებლად მივცემ კადილაკს, თუ გაიმარჯვებს. გვეკოფა ლაპარაკი, ცავიდეთ ჩემს ოთახში. — ის ფეხზე წამოდგა. – იქნებ გნებავთ რაიმე გადაიცვათ? – იკითხა მან.

– არა, – უპასუხა ბიჭმა, – ასე წამოვალ. — შემდეგ მე მომიბრუნდა: მიმაჩნია, თქვენი მხრივ დიდი სამსახური იქნება, თუ წამოგვყვებით და იმსაჯებთ.

– კარგი, – ვთქვი მე. – გამოგყვებით, მაგრამ არ მომწონს ეს სანაძლეო.

– შენც წამოდი, – უთხრა მან გოგონას. – წამოდი და გვიყურე.

პატარა კაცი წინ გაგვიძღვა ბაღის გავლით სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე. ახლა უკვე აღელვებული და გამოცოცხლებული იყო და, როგორც ეტყობოდა, სწორედ ამის გამო სიარულისას ჩვეულებრივზე უფრო მაღლა იწეოდა ფეხის ცერებზე.

– ფლიგელში ვცხოვრობ, – თქვა მან. – ხომ არ გნებავთ, ჯერ მანქანა ნახოთ? აქვეა. — მან მიგვიყვანა იმ ადგილას, საიდანაც შეგვეძლო ცენტრალური ტრასიდან სასტუმროსკენ მომავალი გზის დანახვა. გაჩერდა და მიგვითითა კრიალა, ღია მწვანე ფერის კადილაკზე, რომელიც იქვე, ეზოში იყო გაჩერებული.

– აი, ის არის, მცვანე. მოგცონთ?

– თქმა არ უნდა, მშვენიერი მანქანაა, – უპასუხა ბიჭმა.

– კარგი. ახლა ზევით ავიდეთ და ვნახოთ, თუ შეზლებთ მის მოგებას.

ჩვენ მას ფლიგელში შევყევით და კიბეების ერთი წყება ავიარეთ. მან თავისი ნომრის კარი გაალო და ყველანი დიდ, სასიამოვნოდ მოწყობილ ორსაწოლიან ოთახში შევლაგდით. ერთ-ერთი საწოლის ბოლოზე ჩანდა განივად გადაფენილი ქალის კაბა.

– ახლა, – თქვა მან, – ცოტაოდენი მარტინი შევსვათ. დასალევი შორეულ კუთხეში მდგარ პატარა მაგიდაზე ელაგა. აქვე იყო ყველაფერი, რაც სასმელის მომზადებას სჭირდებოდა: შეიკერი, ყინული და ბლომად ჭიქები. პატარა კაცმა მარტინის მომზადება დაიწყო, თან ზარიც დარეკა. მალე კარზე კაკუნი გაისმა და ოთახში ზანგი მოახლე შემოვიდა.

– აჰ, – თქვა მან. ჯინის ბოთლი დადგა, ჯიბიდან საფულე ამოიღო და იქიდან ფუნტიანი ამოაძვრინა. – ახლა რაღაცის გაკეთება უნდა გთხოვოთ ჩემთვის, გეთაკვა, – და ფუნტიანი მოახლეს გაუწოდა. – გქონდეთ ეს, – თქვა მან.

– ჩვენ აქ პატარა თამაშის გამართვას ვაპირებთ და მსურს, რომ ცახვიდეთ და ჩემთვის ორი, არა სამი რაღაც იშოვოთ. მე მჩირდება რამდენიმე ლურსმანი, ჩაქუჩი და დანა – ხორცის დასაჩეხი დანა, რომლის დროებით ცამოლებაც სამზარეულოდან შეგიზლიათ. ხომ იშოვით, არა? – ხორცის დასაჩეხი დანა! – მოახლეს თვალები გაუფართოვდა და წინსაფართან ხელები ერთმანეთს გადააჭდო. – თქვენ გულისხმობთ ნამდვილ ხორცის დასაჩეხ დანას?

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. მიდით ახლავე გეთაკვა. თქვენ ნამდვილად შეზლებთ ჩემთვის ამ ნივთების შოვნას.

– დიახ, ბატონო, შევეცდები, ბატონო, აუცილებლად შევეცდები ვიშოვო. — მოახლე წავიდა. პატარა კაცმა მარტინი ჩამოგვირიგა. ჩვენ ვისხედით და კოქტეილს ვწრუპავდით – ბიჭი გრძელი ჭორფლიანი სახითა და წვეტიანი ცხვირით, შიშველი, თუ არ ჩავთვლით უკვე შემშრალ საცურაო შორტს; ძვალმსხვილი, ქერათმიანი, ღია ლურჯ საცურაო კოსტიუმში ჩაცმული ინგლისელი გოგონა, რომელიც ბიჭს, მთელი ეს ხანი, თავისი ჭიქის ზემოდან დაჰყურებდა; თეთრ, წუნდაუდებელ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა კაცი, რომელიც იდგა, მარტინის სვამდა და უფერული თვალებით ღია ლურჯ საცურაო კოსტიუმიან გოგონას უყურებდა. ალარ ვიცოდი, რა მეფიქრა; რა მოჰყვებოდა ამ ყველაფერს. ჩანდა, კაცი სანაძლეოს სერიოზულად უდგებოდა და თითის მოჭრასაც ნამდვილად აპირებდა. ჯანდაბა, რა იქნება თუ ბიჭი წააგებს? ჩვენ მოგვიწევს გავაქანოთ იგი საავადმყოფოში იმ კადილაკით, რომელიც ვერ მოიგო. მშვენიერი რამ იქნება. რა, მართლა მშვენიერი იქნება? ჩემი აზრით, ეს ძალზე ცუდი, უსარგებლო და სულელური რამე იქნება.

– არ ფიქრობთ, რომ ეს საკმაოდ სულელური სანაძლეოა? – ვთქვი მე.

– ვფიქრობ, ეს მშვენიერი სანაძლეოა, – მიპასუხა ბიჭმა. მას ერთი დიდი ჭიქა მარტინი უკვე ძირამდე დაეყვანა.

– მე კი ვფიქრობ, რომ ეს გიჟური, უაზრო სანაძლეოა, თქვა გოგონამ. – რა მოხდება, თუ წააგებ?

– რა მნიშვნელობა აქვს. აბა დაფიქრდი, არ მახსოვს, ოდესმე ჩემს სიცოცხლეში, რაიმეში დამჭირვებოდეს მარცხენა ხელის ნეკი. აგერ არის. ბიჭმა ხელი წაავლო თავის თითს. – აგერ არის და ჩემთვის არასოდეს არაფერი გაუკეთებია. მაშ რატომ არ შემიძლია სანაძლეოდ ჩამოვიდე? ვფიქრობ, ეს მშვენიერი სანაძლეოა.

პატარა კაცმა გაიღიმა, შეიკერი აიღო და ჭიქები ხელახლა შეგვივსო.

– სანამ დავიწყებთ, – თქვა მან, – მე გადავცემ რეფერის მანქანის გასაღებს. ჯიბიდან გასაღები ამოიღო და მე მომაწოდა. – საბუთები, – თქვა მან, – საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები და დაზღვევა მანქანაშია.

კვლავ შემოვიდა ზანგი მოახლე. ცალ ხელში მომცრო საჩეხი დანა ეჭირა – ისეთი, როგორსაც ყასბები საქონლის ხორცის დამუშავებისას ძვლების დასაჩეხად იყენებენ, მეორეში – ჩაქუჩი და ლურსმნებიანი პარკი.

– კარგია! კველაფერი მოგიტანიათ. გმადლობთ, გმადლობთ. ახლა შეგიზლიათ ცახვიდეთ. მან შეიცადა, ვიდრე მოახლე კარს გაიხურავდა, ხელსაწყოები ერთ-ერთ საწოლზე დაალაგა და თქვა: ახლა ჩვენ მოვემზადოთ, ხომ? და ბიჭს მიმართა: მომეხმარეთ, გეთაკვა, რომ მაგიდა ცოტათი გამოვციოთ.

ეს იყო ბრტყელი, სწორკუთხა, ჩვეულებრივი სასტუმროს საწერი მაგიდა, ზომით დაახლოებით ოთხი ფუტი სამზე, რომელზედაც დალაქავებული დასაფენი, სამელნე, საწერ-კალმები და ქაღალდი ელაგა. მათ მაგიდა კედელს მოაშორეს, ოთახის შუაგულისაკენ გამოსწიეს და საწერი მოწყობილობა აალაგეს.

– ახლა სკამი, – თქვა მან, სკამი აიღო და მაგიდასთან დადგა. ყველაფერს ძალიან ცოცხლად და აღფრთოვანებით აკეთებდა, თითქოს ბავშვების გასართობ წვეულებას აწყობსო. – ახლა კი ლურსმნები უნდა ჩავაჩედო. — მან ლურსმნები მოიტანა და მაგიდის თავში მათი ჩაჭედება დაიწყო. ჩვენ ვიდექით. ბიჭი, გოგონა და მე. ხელში მარტინის ჭიქები გვეჭირა და მუშაობაში გართულ პატარა კაცს ვაკვირდებოდით. ვუყურებდით, თუ როგორ აჭედებდა მაგიდაში ორ ლურსმანს, ერთმანეთისაგან დაახლოებით ექვსი გოჯის დაშორებით. ლურსმნები ბოლომდე არ ჩაუჭედებია; თითოეულის პატარა ნაწილი მაგიდიდან ამოშვერილი დატოვა, შემდეგ კი თითებით მათი სიმყარე შეამოწმა.

ნებისმიერი მიხვდება, რომ ამ ძაღლიშვილს ასეთი რამ ადრეც აქვს გაკეთებული, ვუთხარი საკუთარ თავს. მაგიდა, ლურსმნები, ჩაქუჩი, ხორცის დასაჩეხი – ზუსტად იცის, რაც სჭირდება და როგორც უნდა გამოიყენოს.

– ახლა კი, – თქვა მან, – მხოლოდ თასმა გვჩირდება. თასმაც მალე მოიძებნა.

– ესეც ასე. როგორც იქნა მზად ვართ. გეთაკვა, აქ ხომ არ დაბრზანდებით, მაგიდასთან? – მიმართა ბიჭს. ბიჭმა ჭიქა გვერდზე გადადგა და დაჯდა. – ახლა მოათავსეთ მარცხენა ხელი ამ ორ ლურსმანს შორის. ლურსმნები იმისთვისაა, რომ თქვენი ხელის ამ ადგილზე დაბმა შევზლო. კველაფერი რიგზეა, კარგი. ახლა თქვენს ხელს საიმედოდ დავამაგრებ მაგიდაზე. მან ბიჭს მაჯაზე და ხელის მტევნის ფართო ადგილას თასმა რამდენჯერმე შემოახვია და მჭიდროდ მიაბა ლურსმნებზე. კარგი ნახელავი გამოუვიდა. როდესაც დაამთავრა, არავითარი კითხვა ალარ არსებობდა იმის თაობაზე, შეძლებდა ბიჭი ხელის უკან გამოწევას თუ ვერა. თუმცა თითების მოძრაობა კიდევ შეეძლო.

– ახლა, გეთაკვა, მუშტი შეკარით, ოღონდ ნეკა თითი არა, ნეკი მაგიდაზე უნდა გედოთ გაშვერილი. შესანიშნავია! შესანიშნავი! ახლა უკვე მზად ვართ. მარჯვენა ხელით სანთებელას ამუშავებას შეზლებთ. თუმცა, ერთი ცუთით, გეთაკვა. – მან საწოლისკენ ისკუპა და დანა აიღო. შემდეგ დაბრუნდა და დანით ხელში მაგიდასთან შეჩერდა. – კველანი მზად ვართ? — იკითხა მან. – ბატონო რეფერი, თქვენ უნდა გვითხრათ, როდის დავიცკოთ.

ინგლისელი გოგონა, თავის ღია ლურჯ საცურაო კოსტიუმში, ზუსტად ბიჭის სკამის უკან ხმაამოუღებლივ იდგა. ბი-

ქი სრულიად უძრავად იჯდა, მარჯვენა ხელში სანთებელა ეჭირა და დანას მისჩერებოდა. პატარა კაცი მე მიყურებდა.

– მზად ხართ? – შევეკითხე ბიჭს.

– მზად ვარ.

– თქვენ? – მივმართე კაცს.

– სავსებით, – თქვა მან, დანა შემართა, ბიჭის თითიდან დაახლოებით ორი ფუტის სიმაღლეზე გააჩერა და დასარტყმელად გაემზადა. ბიჭი ამას აკვირდებოდა, მაგრამ არ შემკრთალა და არც არაფერი უთქვამს. მხოლოდ ნარბი შეიკრა და მოიღუშა.

– კარგი, – ვთქვი მე. – დაიწყეთ.

– თუ შეიძლება ხმამაღლა დაითვალეთ, რამდენჯერაც ავანთებ, – მითხრა ბიჭმა.

–კარგი, – ვთქვი მე, – დავითვლი.

ბიჭმა სანთებელას ხუფი ცერით ასწია და ბორბალს მკვეთრად ჩამოჰკრა. კაჟმა ნაპერწკლები გაყარა, პატრუქს ცეცხლი მოედო და პატარა ყვითელი ალით აინთო.
– ერთი! – დავიძახე მე. მან არ შეუბერა ალს, ხუფი დაახურა და ხუთიოდე წამი შეიცადა, ვიდრე კვლავ ახდიდა. ბიჭმა ბორბალს უფრო ძლიერად ჩამოჰკრა და პატრუქს ერთხელ კიდევ მოედო პატარა ალი.

– ორი!

არავინ არაფერს ამბობდა. ბიჭი სანთებელას თვალს არ აცილებდა. პატარა კაცს დანა შემართული ჰქონდა და ისიც სანთებელას მისჩერებოდა.

– სამი! ... – ოთხი! ... – ხუთი! ... – ექვსი! ... – შვიდი!

აშკარად ჩანდა, ეს იყო ერთი იმ სანთებელათაგანი, რომლებიც უნაკლოდ მუშაობენ.

კაჟი უხვად ყრიდა ნაპერწკლებს, პატრუქსაც ზუსტად საჭირო სიგრძე ჰქონდა. მე ვაკვირდებოდი ცერს, რომელიც ალს ტკაცუნით ახურავდა ხუფს. შემდეგ – პაუზა. მერე ცერი ხუფს ისევ ზევით სწევდა. ყველაფერი მხოლოდ ცერის გასაკეთებელი იყო და ისიც ყველაფერს აკეთებდა. ჩავისუნთქე და „რვის" სათქმელად გავემზადე. ცერმა ბორბალს ჩამოჰკრა! კაჟმა დაკვესა! გამოჩნდა პატარა ალი.

– რვა! – ვთქვი მე და მაშინვე, როგორც კი ეს სიტყვა წარმოვთქვი, კარი გაიღო. ყველა მივბრუნდით და დავინახეთ პატარა ტანის, შავთმიანი, საკმაოდ ასაკოვანი ქალი, რომელიც ღია კარში იდგა. იგი ორიოდე წამს შეყოვნდა, შემდეგ ოთახში შემოვარდა ყვირილით – კარლოს! კარლოს! – პატარა კაცს მაჯაში სწვდა, დანა გამოსტაცა და საწოლზე მოისროლა. მერე სტაცა ხელები კაცს თეთრი პიჯაკის ლაცკანებში და საშინელი ძალით დაუწყო ნჯღრევა. თანაც, მთელი ეს ხანი გაცეცხლებული, სწრაფად და ხმამაღლა რაღაცას ეუბნებოდა რომელიღაც ესპანურისმაგვარ ენაზე. ისე სწრაფად ანჯღრევდა,

რომ მისი წესიერად დანახვაც კი შეუძლებელი გახდა. ის ველოსიპედის მბრუნავი ბორბლის მანათას მსგავს ბუნდოვან, გაურკვეველ, სწრაფად მოძრავ კონტურად გადაიქცა. ცოტა ხანში სიჩქარე შენელდა და პატარა კაცის თვალით აღქმა ისევ შესაძლებელი გახდა. შემდეგ ქალმა იგი ოთახში გამოათრია და ერთ-ერთ საწოლზე პირქვე დააგდო. კაცი საწოლის კიდეზე წამოჯდა, თვალებს ახამხამებდა და თავს ატრიალებდა – ამოწმებდა, ისევ მყარად ედგა კისერზე თუ არა.

– ბოდიშს გიხდით, – თქვა ქალმა. – საშინლად ვწუხვარ, რომ ეს მოხდა. – ის თითქმის უნაკლოდ ლაპარაკობდა ინგლისურად. – ეს ძალიან ცუდია, – განაგრძო მან. – ვფიქრობ, ეს მართლაც ჩემი ბრალია. ათიოდე წუთით გავედი თავის დასაბანად და მარტო დავტოვე. დავბრუნდი და ის კი იმავეს აკეთებს. – ქალი შეწუხებული და ძალზე აღელვებული ჩანდა.

ბიჭმა მაგიდაზე მიბმული ხელი აიხსნა. ინგლისელი გოგონა და მე იქვე, ხმის ამოუღებლივ ვიდექით.

– ის საშიში კაცია, – თქვა ქალმა. – სამხრეთში, სადაც ჩვენი სახლია, მან, მთლიანობაში, სხვადასხვა ადამიანის ორმოცდაშვიდი თითი მოიგო და თერთმეტი მანქანა წააგო. ბოლოს მოკვლითაც დაემუქრნენ. სწორედ ამიტომ წამოვიყვანე აქ.

– ჩვენ მხოლოდ პატარა სანაზლეო დავდეთ, – ჩაილუღლუღა საწოლზე ჩამომჯდარმა კაცმა.

– ალბათ მანქანას ჩამოვიდა, – თქვა ქალმა.

– დიახ, – უპასუხა ბიჭმა, – „კადილაკს".

– მას მანქანა არ ჰყავს. მანქანა ჩემია. ეს კი უარესია მისთვის, – თქვა მან, – რადგან მაშინ დაგინაძლევდათ, როცა დასადები არაფერი გააჩნდა. მე მრცხვენია და ძალიან შეწუხებული ვარ ამის გამო. – იგი საოცრად სასიამოვნო ქალი ჩანდა.

– კარგი, აი, თქვენი მანქანის გასაღები. – ვთქვი მე და გასაღები მაგიდაზე დავდე.

– ჩვენ მხოლოდ პატარა სანაზლეო დავდეთ, – ისევ ჩაილუღლუღა კაცმა.

– მან არაფერი დაიტოვა სანაძლეოდ დასადები, – თქვა ქალმა. – მას არაფერი გააჩნია დედამიწის ზურგზე, სრულიად არაფერი. სიმართლე გითხრათ, მე თვითონ მოვუგე ყველაფერი დიდი ხნის წინათ. ამას დრო დასჭირდა, დიდი დრო. თანაც, ეს ძალიან ძნელი იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერი მოვუგე. – მან ბიჭს ახედა და გაიღიმა სუსტი, ნაღვლიანი ღიმილით. შემდეგ მაგიდასთან მოვიდა და გასაღების ასაღებად ხელი გაიწვდინა.

მე ახლაც თვალწინ მიდგას ის ხელი, რომელზედაც მხოლოდ ერთი თითი და ცერი იყო შერჩენილი.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**მალხაზ ფუტკარაძემ**


სამშაბათს, 1 ნოემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
განხილვა

**მარიამ წიკლაურის**
ახალი პოეტური კრებულისა

**„თეთრი ხზორები"**

მომხსენებელი
**მაია ჯალიაშვილი**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

## შეთხზული აღსარება

ისტორიული პროზის გამოჩენილი ოსტატი ლიონ ფოიხტვანგერი აღნიშნავს, რომ ისტორიული რომანების ავტორსა და მეცნიერ ისტორიკოსს შორის დაახლოებით ისეთივე განსხვავებაა, როგორიც კომპოზიტორსა და აკუსტიკის საკითხებზე მომუშავე მკვლევარს შორის.

გერმანელი მწერალი გულახდილად აღიარებს, რომ არასოდეს ანუხებდა თუ რამდენად შეესაბამება მისი მონათხრობი ამბები ისტორიას. უფრო მეტიც — იგი ხშირად ცვლიდა ისტორიულ სინამდვილეს, დოკუმენტური სიზუსტით რომ იცოდა, თუკი ეს სინამდვილე ეწინააღმდეგებოდა მისეულ ილუზორულ სინამდვილეს. ფოიხტვანგერის აზრით, ისტორიული რომანების ავტორს, მეცნიერის საპირისპიროდ, სრული უფლება აქვს, რომ ილუზიის ხელშემწყობი „სიცრუე" ამჯობინოს ილუზიის დამანგრეველ სინამდვილეს. გერმანელი მწერალი იმოწმებს ჰომეროსსა და ბიბლიის შემოქმედებს, შექსპირსა და ისტორიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა სხვა მრავალ ავტორს, ჩვენი დროის მწერალთა ჩათვლით, რომლებიც ძალზე ლაღად ეკიდებოდნენ ისტორიულ სინამდვილეს. გამარჯვებულთ არ განიკითხავენო, შენიშნავს ფოიხტვანგერი და ასკვნის, რომ მხატვრული სიტყვის მსახურთა მიერ შეთხზული ლეგენდები, დრამები, რომანები, გამოგონილი ადამიანები და გამოგონილი საქმენი, მათი არსებობის „სიცრუე", მეტწილად, უფრო სიცოცხლისუნარიანი გამომდგარა, ვიდრე სნავლულთა მიერ კრიტიკულად შესწავლილი მასალის საფუძველზე დადგენილი და ზედმინევნით ზუსტად აღნუსხული ფაქტები.

ამ პარადოქსულ მსჯელობას, რასაკვირველია, ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ მასში სიმართლის გარკვეული დოზა აშკარად შეინიშნება. ფოიხტვანგერი უტრირებული სახით წარმოგვიდგენს მწერალსა და მეცნიერს შორის არსებულ სხვაობას. მართლაც, ისტორიის მკვლევარი მკაცრი არტახებით არის შებოჭილი და მისი ასპარეზი შედარებით ვიწროა. მან ანგარიში უნდა გაუწიოს, უწინარეს ყოვლისა, ისტორიულ სინამდვილეს, რომელიც არხში მოქცეულ წყალს ნაგავს, ხოლო მწერალს ვერავინ დაუშლის, რომ იდუმალ ხმებსაც მიუგდოს ყური, მთის მდინარესავით აზორგებულ თხრობას გაჰყვეს, კალაპოტიდანაც ამოვარდეს და ნაპირები ნალეკოს. მკვლევარს შეიძლება ვუწოდოთ მონა ისტორიული სინამდვილისა, მწერალს კი — ბატონი. მკვლევარმა უნდა მიაგნოს ჭეშმარიტებას და ადვილი დასაშვებია, რომ არც გაიზიარონ მისი მსჯელობა და დასკვნები; მწერალმა კი უნდა გამოიგონოს ჭეშმარიტება და მკითხველის დარწმუნება უკვე მის ნიჭზეა დამოკიდებული. ძნელია შეედავო, ძნელია წამოუყენო მეორე სიმართლე. მისი სიმართლე, შემოქმედებითი ფანტაზიით ფრთაშესხმული, არსებობის უფლებას იძენს. ცნობილი გამოთქმა — ეს არ მომხდარა, მაგრამ შეიძლება მომხდარიყო, — სწორედ ამ შემთხვევაში ავლენს ძალმოსილების ეფექტს.

დიახ, მწერალი ქმნის თავის ისტორიას, თავის სამყაროს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთრებაა. და როდესაც მწერალს დიდოსტატის ნიჭი მოსდგამს, მკითხველიც იოლად ემორჩილება მას, მხატვრულ სინამდვილეს აღიქვამს ჭეშმარიტ ისტორიად და ათასი აღიარებული მეცნიერიც ვეღარ გადაარწმუნებს (ჩვენს მწერლობაში ამის სამაგალითო ნიმუშია ამბავი სვეტიცხოვლის შემოქმედისა კონსტანტინე გამსახურდიას რომანში).

ფოიხტვანერის მტკიცებას თავისებურად ეხმიანება ლევან გოთუას მოთხრობა „უგზო ქარავანი", რომელსაც ალექსანდრე ქუთათელმა ქართული პროზის შედევრი უწოდა.

ლევან გოთუას მიერ პატარა მოთხრობის შექმნა დიდი მოურავის შესახებ, ცხადია, საკმაოდ თამამ ნაბიჯად გამოიყურება.

გიორგი სააკაძე ხომ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ტრაგიკული ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. მისი მშფოთვარე თავგადასავალი სქელტანიან თხზულებებშიც ვერ ჩატეულა. უკვე რამდენი რამ იყო დაწერილი, ავი თუ კარგი, თითქოსდა ყველაფერი უკვე ითქვა, მაგრამ მწერალი მაინც მიიზიდა ამ თემამ, რადგანაც თავისი სათქმელი ჰქონდა, ჯერაც უთქმელი და მიჩქმალული. ამავე დროს, მის შთაგონებას, ეტყობა, აწვალებდა ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული გულისტკივილიც, ჩვენს „ქართლის ცხოვრებას" რომ ეხება: ეს ხალხის ისტორია როდია, მეფეთა ისტორია არისო; ხალხი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მოქცეულიო. და აი, „უგზო ქარავანში" სახელგანთქმულ ქართველ სარდალს მხარს დაუმშვენებს უბრალო ხალხის ღირსეული წარმომადგენელი.

აეწერა დიდი მოურავის ტრაგიკული ცხოვრების უკანასკნელი წუთები, ყველაზე მწარე და გარდუვალი, სადაც მწერალს ეძლეოდა შესაძლებლობა, რომ ამოეცნო და გაეაზრებინა, თუ რა ხდებოდა სახელოვანი გმირის სულში იმ დროს, როდესაც ადამიანი, მოსალოდნელი აღსასრულის წინაშე, ერთგვარად აჯამებს განვლილ გზას — ამ მიზნით არის გამსჭვალული ლევან გოთუას ჩანაფიქრი.

დიდი მოურავის აღსარება მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია. საამისო მასალა არც ერთ წყაროში არ მოიპოვება. იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი", სადაც თვით გიორგი სააკაძის პირით არის მოთხრობილი ცხოვრება მისი, გარკვეულ მიზანს ისახავს — გაამართლოს გმირის ყოველი ნაბიჯი, ყოველი ქმედება. პოემა უფრო მეტად თავის მართლებას და საქებარ საქმეთა ჩამოთვლას შეიცავს, ვიდრე სრულყოფილ აღსარებას. პოემის ავტორის განზრახვა იყო დიდი მოურავის რეაბილიტაცია, რამაც განაპირობა მისი ცალმხრივობა.

ლევან გოთუას მოთხრობაში რეაბილიტაციის უფრო პირუთვნელი და მაღალზნეობრივი ფორმაა გამოკვეთილი. ხინჯთა მიჩუმათების ნაცვლად — გულწრფელი აღსარება დიდი მოურავისა, რაც მეტ ხიბლს ანიჭებს გონიერი მკითხველის თვალში. სახელგანთქმული სარდალი გვევლინება, როგორც კეთილშობილი პიროვნება, რომელსაც შეუგნია თავისი ცხოვრების გზის მრუდე მოსახვევებიც და ოღრო-ჩოღროებიც („ხან ნალმა რომ ვიქნევდი ამ ხმალს და ხან უკულმა, ან სიბრძნე არ მეყო ან ზნეობა?.. სამი რჯული გამოვიცვალე და ბოლოს ყველგან ცოდვილი აღმოვჩნდი, ათ გზას გავყევი და ბოლოს ყველგან მარცხი განვიცადე...").

კრიტიკული თვალით განსჯა განვლილი გზისა, საკუთარი ცოდვების ხმამაღლა აღიარება საგრძნობლად აღამაღლებს ჩვენს წარმოდგენაში და უფრო გვაახლოებს დიდ მოურავს. აღსარებას ნაწილობრივ დაქარაგმებული ხასიათი აქვს, მაგრამ საქმეში ჩახედული მკითხველი იოლად მიხვდება, სახელდობრ რას გულისხმობს თავის გადაკრულ-გადმოკრულ სიტყვებში გიორგი სააკაძე. უკულმა მოქნეული ხმალი და არეულ-დარეული გზები — ერთობ გამჭვირვალედ მიგვანიშნებს მისი ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებს.

და რაც მთავარია, ლევან გოთუამ თავისი იდეური ჩანაფიქრი, მოთხრობის დედააზრი ქართველი გლეხკაცის მხრებზე შეაგდო. ვკითხულობთ „უგზო ქარავანს" და ჩვენამდე აღწევს იმ უბრალო მოკვდავის ხმა, იშვიათ სტუმრად რომ გვევლინება „ქართლის ცხოვრების" ფურცლებზე, თითქოს სამუდამოდ ჩაკარგული და ჩახშული, მაგრამ მწერლის მადლიანი კალმისა და დაუშრეტელი წარმოსახვის წყალობით რომ აღმდგარა, ვითარცა უმაღლესი ზნეობის, ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობისა და დიდი სიმართლის მჭევრმეტყველი საყვირი — განმკითხველი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შორეული მოკავშირე

ევროპიდან ინდოეთში მიმავალი საზღვაო გზის აღმოჩენას და პორტუგალიის გაძლიერებას ინდოეთის ოკეანის აუზში უკავშირდება ურთიერთობის დამყარება სეფიანთა ირანსა და პორტუგალიას შორის.

სეფიანთა ძლევამოსილი დინასტიის ფუძემდებელი შაჰ-ისმაილი (1501-1524) ოსმალებთან საომრად მოკავშირეებს ეძებდა. ევროპელი მონარქებიც, იმავე ოსმალთა საფრთხის წინაშე რომ აღმოჩნდნენ, თავის მხრივ, დაინტერესებულ იყვნენ ირანთა კავშირით, რათა აღმოსავლეთის ანტიოსმალურ ფრონტს საიმედოდ შეებოჭა ევროპელთა მთავარი მტრის ძალ-ღონე.

პორტუგალიელთათვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა 1514 წელს, როდესაც ოსმალეთთან ბრძოლის შემდგომმა პერსპექტივამ აიძულა შაჰ-ისმაილი, რომ დაედო ხელშეკრულება პორტუგალიასთან სამხედრო დახმარების მიღების თაობაზე, რის სანაცვლოდაც თანხმდებოდა კუნძულ ჰორმუზის დროებით დათმობას.

სეფიანთა ირანის მარცხმა ჩალდირანის ბრძოლაში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ბიძგი მისცა ანტიოსმალური პოლიტიკის გამოცოცხლებას.

1514 წლის 5 ნოემბერს ვენეციის რესპუბლიკის ელჩი რომში თავის ხელისუფლებას ამცნობდა, რომ რომის პაპი დიდად შეწუხებულა შაჰ-ისმაილის დამარცხებით ჩალდირანის ბრძოლაში და ასე უთქვამს: „შევიტყვე ეს ახალი უბედურება, რაც თავს დაატყდა ქრისტიანულ სამყაროს და მთელი ღამე თვალი არ დამიხუჭავს. უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავიცვათ ჩვენი სარწმუნოება. ლოდინი არ ეგების. უნდა გავაერთიანოთ მთელი ქრისტიანული სამყარო".

პაპმა მოუწოდა ყველა ქრისტიანულ სახელმწიფოს ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ. თავისი ელჩების პირით მიმართავდა ავსტრიას, საფრანგეთს, ინგლისსა და ესპანეთს — ერთიანი ფრონტით აღმდგარიყვნენ ოსმალეთთან საომრად.

სეფიანთა ირანის დაახლოებას პორტუგალიასთან გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ვენეციის რესპუბლიკა, რომელიც უკმაყოფილო იყო იმით, რომ პორტუგალიამ მონოპოლია დაამყარა სანელებლებით ვაჭრობაზე. ვენეციის წარმომადგენელნი აღმოსავლეთში სისტემატურად აუწყებდნენ თავის ხელისუფლებას სეფიანთა ირანსა და პორტუგალიას შორის მიმდინარე მოლაპარაკებათა მსვლელობასა და შედეგებს.

ვენეციის ნაცვალი კვიპროსზე ზუან პაოლო გრადენიგო 1515 წლის 29 აპრილს ნიქოზიიდან სწერდა თავის მთავრობას: „ამტკიცებენ, რომ სინიორ სოფიმ (ე.ი. სეფიანთა ირანის შაჰმა) თავი მოუყარა 100 ათასზე მეტ მეომარს, ჰყავს 10 ათასი მეთოფე და შეიძინა ზარბაზანთა დიდი რაოდენობა... ყველანი თვლიან, რომ ასეთი თოფებითა და არტილერიით ერთ წელიწადში შეავიწროებს ოსმალეთის სულთანს და ოსმალები უკან დაიხევენ. ღმერთმა ინებოს, რომ ეს მართლაც ასე მოხდეს, რადგან საუკეთესო რამ იქნებოდა ქრისტიანთათვის".

შაჰ-ისმაილის ჯარი ჩალდირანის ბრძოლის შემდეგ რომ უკვე აღიჭურვა არტილერიით, ამას ადასტურებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც XVI ს. ვენეციელი ისტორიკოსის მარინო სანუტოს თავის დღიურში შეუტანია. ეს გახლავთ კვიპროსზე ვენეციის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ბართოლომეო და მოსტოს წერილი თავისი მთავრობისადმი, დათარიღებული 1518 წლის 28 ოქტომბრით, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „მიღებულია ოფიციალური ცნობა იმაზე, რომ სოფი 70 ათასი მეომრით იმყოფება თავრიზში. მათ შორისაა თოფით აღჭურვილი 4 ათასი მეომარი და არტილერისტებიც, რომლებიც წარგზავნა პორტუგალიის მეფემ. მისგანვე მოვიდნენ ელჩებიც. სოფიმ მიიღო ისინი დიდი პატივით და ძვირფასი საჩუქრები დაურიგა. მან პორტუგალიელებს აჩუქა აგრეთვე არცთუ დიდი, მაგრამ ძალზე მოხერხებული კუნძული ინდოეთში".

როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის მითითებული, თუ რის სანაცვლოდ (ჰორმუზი!) გაუწიეს პორტუგალიელებმა სამხედრო დახმარება სეფიანთა ირანს.

კიდევ ერთი საბუთი ზემოთქმულისა არის ცნობა ნიქოზიაში ვენეციის ნაცვლის ალვიკ დ'არმერისა, რომელიც ეყრდნობა ალეპოში მყოფ ვენეციელ დიპლომატთა ინფორმაციას: „სოფი ძალზე გაძლიერდა ცოცხალი ძალისა და არტილერიის მხრივ".

დასასრულ, დავიმოწმოთ საგულისხმო ფაქტი, რომელსაც გვაწვდის ვენეციის წარმომადგენელი ბეირუთში ფრანჩესკო მიქაელი თავის წერილში (1521 წლის 1 ივნისი) კვიპროსზე ვენეციელთა ნაცვლის სებასტიან მოროს სახელზე: „სოფის გარემოცვაში ბევრი პორტუგალიელია".

ქრონიკა

## უწმინდესისადმი მიძღვნილი საღამო სნოში

ყაზბეგში მშობლიურ სოფელ სნოს ხშირად სტუმრობს უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი **ილია მეორე.**

მოხევეები ხშირად მისი სახლის ეზოში იკრიბებიან და უწმინდესს პოეზიისა და ფოლკლორის საღამოებს უმართავენ, ერთ-ერთი ბოლო სტუმრობისას, 15 სექტემბერს, **დარიალის სამონასტრო კომპლექსის გახსნის დღეს,** წირვის შემდეგ სნოში უწმინდესისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა:

ანსამბლმა **„ერისიონმა"** შეასრულა ცეკვა სნოური, რომელიც შარშან, საგანგებოდ უწმინდესის პატივსაცემად დაიდგა. შედგა ორი სიმღერის პრემიერა: **დათო არჩვაძემ** შეასრულა სიმღერა სნოზე, რომლის ტექსტი დეკანოზ **თავმას ჩოხელს** ეკუთვნის, ხოლო **დათო კენჭიაშვილმა** და მისმა გუნდმა შეასრულა სიმღერა გერგეტის სამება, რომელიც ახალგაზრდა პოეტ **ნიკოლოზ გოდერძიშვილის** ტექსტზეა შექმნილი.

პოეტმა **თენგიზ ავსაჯანიშვილმა** თავისი ლექსები წაიკითხა, ხოლო ადგილობრივმა და სტუმრად მყოფმა ახალგაზრდებმა სხვადასხვა პოეტების მიერ სამშობლოს თემაზე დაწერილი ლექსები გააცნეს მსმენელს.

უწმინდესმა კი შეკრებილ ხალხს თავის მიერ დაწერილი **„ავე მარია"** მოასმენინა, დალოცა საღამოს მონაწილენი და მადლობა გადაუხადა მშვენიერი საღამოსათვის.



# საცნობლად მედიასივრცეში

მიეჩინა რა ადგილი ამ მცირე სარეცენზიო მიმოხილვის სათაურს, საორჭოფო საკითხავიც დანინაურდა: თანამედროვე ქართველი ჟურნალისტის, თუნდაც პროფესიონალურად პროფესიონალის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, რამდენად აუცილებელია დღეს IV ხელისუფლებისათვის. მითუმეტეს ჩვენთან, აქ, სიმართლის სამსხვერპლოზე საჟურნალისტოდ, ლამის ქუდზე კაცი რომ გამოსულა და სინამდვილეში იმ ნავში ჩასახტომად ასწრაფებულან, ნოყიერების ნაპირისაკენ რომ უნდა გადაცუროს; წესების გარეშეც იბრძვიან ამისათვის, სიტყვით თუ კალმით. მაშ რაღა საჭროა წიგნი პროფესიული ეთიკის ნორმებზე? ზოგადად ჟურნალისტის მორალსა და პასუხისმგებლობაზე, ესთეტიზმზე, ზნეობრივ ფასეულობებზე?

მაინც რომ აუცილებელია, ამას გულმოდგინე დამაჯერებლობით ასაბუთებს პროფესორი **დიანა ტყებუჩავა** წიგნში **„ჟურნალისტიკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში“**. ავტორმა ნაშრომს საფუძვლად დაუდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრებისათვის ნაკითხული სალექციო კურსი. ხელმეორედაც გადაუმუშავებია, უხვი საილუსტრაციო, ქართული თუ უცხოური, მასალითაც განუვრცია, და ამგვარად, ანგარიშგასაწევი ანალიზითურთ, მიაწოდა მკითხველს (მონოგრაფია „უნივერსალმა“ გამოაქვეყნა და აქვე უნდა ითქვას, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს ამ მონოგრაფიით დაუწყია „ჟურნალისტის ბიბლიოთეკის“ სერიის გამოცემა).

სახელმძღვანელო წიგნი ერთიერთმანეთზე საინტერესო 18 პარაგრაფითაა წარმოდგენილი და მთლიანად პუბლიცისტური შემოქმედების საფუძველსა და მისი ძირითადი ასპექტების გამოსახვას ემსახურება. მიმოხილულია უცხოელთა გამოცდილებანიც, ქართული პუბლიცისტიკის კლასიკოსთა – **ილია ჭავჭავაძისა** და **ნიკო ნიკოლაძის** – ჟურნალისტური კამათის ზნეობრივ პრინციპებზე ხაზგასმითაა საუბარი. დიანა ტყებუჩავა თანამედროვე ქართულ მედიასივრცეში აღიარებულ პუბლიცისტთა მოღვაწეობაზე, სტილურ თავისებურებებზეც მიუთითებს, აანალიზებს, განმარტავს და გამოარჩევს მათ ნაშრომებს და უდავოდ საინტერესო მკვლევრად, გულმოდგინე კრიტიკოსად გვევლინება. მის მიერ განსახილველი პერიოდიკიდან აღსანიშნავია უკვე გაუქმებული „დილის გაზეთისა“ და „თბილისის“ ავტორები, კერძოდ, **ერლომ ახვლედიანისა** და **იოსებ ჭუმბურიძის** პუბლიცისტურ ოსტატობაზე, მათ სადა და გამჭვირვალე სტილზე საუბრობს. გამოკვეთს **როსტომ ჩხეიძის** წერის გამორჩეულ მანერას – სათქმელის მასშტაბურობას, სიტყვის სისავსეს, ემოციას გონების პრიმატს რომ უმორჩილებს. გულდასმით აანალიზებს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორის გვერდს, საუბრობს რუბრიკით წამოჭრილ თემათა აქტუალობასა და ცხოველმყოფელობაზე, მეტად მახვილად და დასამახსოვრებლად რომ მიეწოდება მკითხველს.

თანამედროვე ქართულ მედიასივრცეში საინტერესო კუთხითაა დანახული და წარმოჩენილი **დათო ტურაშვილის, ლაშა ბუღაძის, ბასა ჯანიკაშვილის, დავით კოვზირიძის** პუბლიკაციები გაზეთ „24 საათის“ ფურცლებზე. სათითაოდ და თანაც მიუკერძოებელი სიმპათიითაა დახასიათებული მათი საავტორო სვეტების ნიშნეული ხელწერა... ლოგიკურად და სარწმუნოდ მსჯელობს რა დიანა ტყებუჩავა ჟურნალისტურ ოსტატობაზე, კიდეც განმარტავს: პუბლიცისტიკა, როგორც დამარწმუნებელი კომუნიკაციის თეორია, მხოლოდ სიმართლეზე რომ უნდა იყოს ამოზრდილი, შესაბამისად, ოსტატურად მიწოდებული. ავტორის მიერ შერჩეული მასალა კი მაშინაა ზემოქმედების მიმნიჭებელი, როცა ის არა მხოლოდ შეტყობინების საშუალებაა, ანდა ობიექტური ფაქტების რეგისტრირება, ჟურნალისტი შემოქმედებითად უნდა მუშაობდეს. მხოლოდ ამ წესით მიაღწევს შედეგს – მკითხველს თავი წააკითხოს. „პუბლიცისტური ოსტატობა გულისხმობს რაციონალური აზროვნების პრიმატს, საგნის არსში წვდომას და აღსაწერი ფაქტებისა და მოვლენებისადმი შემფასებლურ დამოკიდებულებას,“ – დასძენს სახელმძღვანელოს ავტორი.




სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ ვრცელი ნაშრომიდან, რომელიც დაწერილია „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის“ ხელოვნებით, ბევრ საინტერესო, ახალ ინფორმაციას შეიტყობს მკითხველი თანამედროვე ევროპული ჟურნალისტიკის რიტმსა და თავისებურებებზე. ავტორს ეძლევა საშუალება, ხშირად იმოგზაუროს უცხოეთში, შესაბამისად, ხელი მიუწვდება ამა თუ იმ ძვირფას თეორიულ ლიტერატურაზე ჟურნალისტიკის სწავლებისათვის. ჩვენში ამოჩემებული დავა, რომ ჟურნალისტობა მხოლოდ თამამ ხასიათს საჭიროებს, მერე პრაქტიკაა და ნაკლებად მეცნიერების საფუძვლიანი შესწავლა (როგორც მოძღვრავენ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტობას, რომ თვითონ უნდა გაიგნონ გზა, პროფესიული დამოუკიდებლობა დამოუკიდებლად! (მარშივითაა არა?!) ისე კი საინტერესოა, ეს „სიბრძნის“ მაპკურებელნი როგორ მივიდნენ აღიარებამდე, მენტორულ დიდაქტიკამდე?.. თუმცა ამ გაუგებრობის საბუთიანი პასუხი ჭეშმარიტ პროფესიონალთა კომპეტენციაა. კერძოდ იმათი, ჟურნალისტიკის გადარჩენა, ნამდვილი ოსტატების გამოზრდა, გამოვლენა რომ ევალებათ. ისინი, ამ მშვენიერ ნაშრომში, ზნეობრივად სანიმუშო ქალბატონის საყურადღებო წიგნში, ბევრ საგულისხმოსა და გასაზიარებელს ამოიკითხავენ.

წიგნის ბოლო ფურცლებზე „ციტირებულ ლიტერატურას“ გაეცნობით. თვალის ერთი გადავლებითაც თვალსაჩინოა გაწეული სამუშაოსადმი უაღრესი პასუხისმგებლობა. იქვე წაიკითხავთ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, მრავალი საპატიო წოდების პროფესორის რევაზ ბალანჩივაძის ბოლოსიტყვაობას. სადაც სარწმუნო პასუხისმგებლობით დიანა ტყებუჩავას ეს ახალი წიგნი ჟურნალისტური მეცნიერების დიდ გამარჯვებადაა მიჩნეული.

**ნინო დეკანოიძე**



დიმიტრი ერისთავი

ᲛᲚᲔᲡᲐᲕᲘ

ISSN 1987-7730